

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

3. 1991

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

Известия Академии наук Грузии

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

3. 1991

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 8 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: გ. ციციშვილი (რედაქტორი),
ზ. ალექსიძე, თ. გამყრელიძე, ა. გვახარია (რედაქტორის მოადგილე),
გ. თოფურია, ს. ცაიშვილი, ბ. ჯორბენაძე (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Цицишвили Г. Ш. (редактор),
Алексидзе З. Н., Гамкrellidze Т. В., Гвахария А. А. (зам. редактора),
Джорбенадзе В. А. (зам. редактора), Топурия Г. В., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია
1991, № 3

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 5.VII.91; ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.X.91;
ანაწყოების ზომა $7 \times 12\frac{3}{4}$; ქაღალდის ზომა $70 \times 108\frac{1}{16}$; მაღალი ბეჭდვა;
პირ. ნაბეჭდი თაბახი 14.0; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11.78;

ტირაჟი 2300;

შეკვეთა 1666;

ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

•

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

გ. გოგოლაშვილი, აკაკი და ვაჟა	5
მ. ქასრაშვილი, კაბუჯ-ფალავანთა სახე კლასიკური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში	13
მ. ფერაძე, მხატვრული სიმართლე ვასილ ბარნოვის ისტორიულ რომანში „შურისგება“	30
ქ. გაფრინდაშვილი, „სული უღალთა ამათ და უვალთა გზათა სლვად“ („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ მიხედვით)	39
თ. ოთხმეზური, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების კვლევა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში	49
თ. ვაშაკიძე, დერივაციულ სახელთა ოკაზიური წარმოების ზოგი საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“	55
ბ. დარჩია, სოფელ სილაურის ტოპონიმია	61
დ. გრიგორაშვილი, 'თორემ' კავშირის შესახებ	36
ნ. კიზირია, ინტონაცია და წინადადებათა ტიპები	96
ა. არაბული, /ჰ/ და /ვ/ ფონემათა კომბინატორული ქცევის ზოგი საკითხი დიალექტებში	102
ვ. ლეკიაშვილი, არაბულ ფარინგალიზებულ თანხმოვანთა ადაპტაცია ქართულ ენაში	107
რ. დოლიძე, საბუნებისმეტყველო სტატიების კომპოზიციური სტრუქტურა	113

პუბლიკაცია

რ. ჭუბაბრია, ს. გრიჩის „ალა-მაჰმად ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს დედაქალაქ თბილისის (ფაიტაკარანის) გადაწვის მოკლე ისტორია“	118
---	-----

მოგონებანი

ა. ბარამიძე, ზვიად გამსახურდია (მოგონებათა კვალდაკვალ)	134
პ. შელკენი, მოგონებანი „ვეფხისტყაოსნის“ უბადლო მთარგმნელ ბელა ვიკარზე	142

მეცნიერის იუბილე

გ. ჩიქოვანი, აკადემიკოსი კონსტანტინე წერეთელი	151
---	-----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

კ. გაბუნია, ზანურ-აფხაზური ენობრივი ურთიერთობისათვის	154
თ. შურღაია, მეჰდი სოჰეილი — „ირანის პოპულარული ანდაზები“	159

СОДЕРЖАНИЕ

Статьи

Г. Б. Гоголашвили, Акакий и Важа . . .	5
М. С. Касрашвили, Образ чабука-палавани в грузинской историографии классического периода	13
М. Г. Перадзе, Художественная правда в историческом романе Василия Барнова «Шурисгеба» («Отмщение»)	30
К. Г. Гаприндашвили, Путь терпения, покорности и милосердия («по Житию Серапиона Зарзмели»)	39
Т. З. Отхмезури, Изучение грузинских переводов сочинений Григория Назианзина в Институте рукописей	49
Т. В. Вашакидзе, О некоторых вопросах образования деривационных окказиональных имен в поэме «Витязь в тигровой шкуре»	55
Б. Ш. Дарчия, Топонимия села Силаури	61
Д. А. Григорашвили, О союзе «тогет»	86
Н. А. Кизирна, Интонация и типы предложений	96
А. И. Арабули, К вопросу о комбинаторике фонем [W] и [V] в диалектах грузинского языка	102
В. А. Лекиашвили, Адаптация арабских фарингализованных в грузинском языке	107
Р. Г. Долидзе, Композиционная структура естественнонаучных статей	113

Публикации

Р. Г. Чубабрия, «Краткая история сожжения столицы Фантакаран Ага-Магомет Ханом 11 сентября 1795 года» Сероба Грича	118
--	-----

Воспоминания

А. Г. Барамидзе, Звиад Гамсахурдия	134
Палма Шелкен, Воспоминание о Бэлле Викар — прекрасном переводчике «Вепхисткаосани»	142

Юбилей ученого

Г. Чиковани, Академик К. Г. Церетели	151
--------------------------------------	-----

Критика и библиография

К. А. Габуния, О взаимоотношении занско-абхазских языков	154
Т. И. Шургая, Мехди Сохейли, «Иранские популярные пословицы»	159

საკაცი და ვაჟა

1913 წელს გაზეთ „თემში“ (№ 111, 18 თებერვალი) აკაკი წერეთელი აქვეყნებს ლექსს „ვაჟა-ფშაველას“:

„ენას გიწუნებ, ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო,
თუმც კი გვითესაე მარგალიტს!..
მკითხველიც იმას მკისაო!!
ჯერ არ ვყოფილვარ ფშავეთში,
მაგრამ კი ვიციან ცნობითა;
შენ დამიხატე ის მხარე
ფშაურის ჭკუა გრძნობითა.
და რაც არ გადმოგიცია
მის შვენებაზე ენითა,

მე თვითონ მივხვდი ყოლიფერს,
შენთანვე აღმაფრენითა.
ვიცი, რომ ფშავის სოფელი
წმინდაა მაღალ მთისაო,
ენა — მეტყველი სიმაღლის,
გულ-მკერდი ფოლაჯისაო.
წინეთ რომ ხმალი უჭრიდათ,
სადღეისოდ სჭრის კალამი...
გადაეც ბარის მგოსნისგან
მთიულებს ძმური სალამი“.

იმავე წელს, სამიოდე თვის შემდეგ, „სახალხო გაზეთში“ იბეჭდება ვაჟას ლექსი „დაგვიანებული პასუხი აკაკის“:

„ბევრი ვიფიქრე, ძალიან,
თუ რა პასუხი გამეცა
შენთვის, მხცოვანო პოეტო,
დღეცა ვფიქრობდი, ღამეცა.
როს დაეპირე სიტყვის თქმა,
უცებ თავხარი დამეცა:
სიტყვა, მოსული სათქმელად
ენიდან მომწყდა, გამექცა.
დაედონებულვარ ძალიან,
თითქოს სახლ-კარი დამექცა.
რაღა? რა ღმერთი გამიწყრა
მარგალიტების მფლობელობა,
რომ თავის უშნო ენითა
ვერას ვაგონებ მშობელსა?!
ბულბულისათვის გალობა
დაუწუნია რომელსა?
მარგალიტების მფლობელი
ენასა ხმარობს, ღონედა,
და როცა მარგალიტს სთესავს,
ან თუ ააგებს ყორედა,
მაინც ის არი, რაც არი
ქორები მოაშორეთა!
იქნებ მე, ჩემმა ენამა
სამშობლო დავადონეთა?
ფრთები შევკვეცეთ ოცნებას
დავამხეთ, დავამონეთა?
უვარგისობის მიზეზი
ფშაველობა არის სწორედა.
მოდღენილი არი მთის მიერ,
ჩამოტანილი ქარისა,

რატომ არ ჰგუობს, არ ვიცი,
ამ პანგს ბუნება ბარისა?!
აკაც ზომ ქართველები ვართ,
ყვავილი აქაც ჰყვავისა,
ხატად ჰყავს, სალოცავ ხატად,
შთიელთ სამშობლო თავისა.
და ენა მთისა სიმტკიცით
მსგავსია კლდისა სალისა;
იქნებ აკლია, არ ვიცი,
ამ ღომს სინაზე ქალისა?
ამისთვის დასაგმობია
და წასაღები წყალისა?!
აკაკი მეტყველი, მგრძნობელი,
ცხოვლად ამხელი თვალითა,
ამგვარის ამბის მოწამე,
შევდრკე, დავბუნჯდე ღამისა.
მაინც წინ მივალ, მაინცა,
არ მეშინიან შარისა,
გულს მისვენია ხატადა
ენა მთისა და ბარისა.
მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ,
თუა ქართველის გვარისა.
მოთაყვანე ვარ ყოვლისა
იმათ ტკბილის და მწარისა.
სხვა რამ მაშინებს, ისა ვსთქვათ,
დამხშობი მზის და მთვარისა,
სამშობლოს დამამხობელი
და გამომჭრელი კარისა...
სჯობს, რომ იმაზე ვიტიროთ,
მუდამ მთქმელი ვარ ამისა,
ნუ შეგაშინებთ, არ გაენებთ
მთიდან ყვირილი ხარისა“.

ეს ლექსები იმდენად ცნობილია, შეიძლებაოდ ამაჲამად აქ აღარ მოგვეყვანა, მაგრამ მაინც კიდევ ერთხელ გადავხედოთ მათ; დავუკვირდეთ მათ სტილს, ტონს, მიზანდასახულობას და შემდეგ განვაგრძოთ მსჯელობა.

რამდენიმე კითხვა იჩენს თავს:

რატომ ჰქვია ლექსს „დაგვიანებული პასუხი“, მაშინ, როცა თითქმის ერთი-მეორის მიყოლებით იბეჭდება ერთსა და იმავე წელს (სხვადასხვა გაზეთში)?

რატომ ჩანს ვაჟა ასე გაღიზიანებული, განრისხებული, როცა აკაკის ლექსი, გარდა ფრაზისა — „ენას გიწუნებ“ — ქება-დიდებაა ვაჟასი, ვაჟას შემოქმედებისა, ვაჟას მშობელი კუთხისა? ნუთუ ეს ფრაზა არის მხოლოდ ამის საფუძველი?

ამთავითვე უნდა ითქვას: ვაჟა რომ პატივისმცემელია აკაკისა, აშკარაა. გავიხსენოთ ქუთაისში აკაკის იუბილეზე თქმული ლექსი ვაჟასი:

„...მეც ამატირა ბევრჯელა
შენს თვალზე ცრემლის დენამა.
ნეტავი ბევრი გაზარდოს
შენისთანები დედამა!..
მადლობელი ვარ გულითა,
შოთაის სულის ლხენამა!
სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი გიკურთხოს ზენამა!“

ანდა ლექსი „უკანასკნელი სალამი“, რომელიც ვაჟამ აკაკის ნეშტს უძღვნა. ესეც გავიხსენოთ: ვაჟას აქვს „ჩანაწერები ქართველ მწერალთა შესახებ“.

„ანასტასია — ანუსხე-გადანუსხე.
კატო — ქალთა შორის კარგო.
ილია — ძუღლითი ხილია
იაკობ — „დედა-ენას“ ეშობ...
გრიგოლი — მუხების მიმყოლი...“

ჩამოთვლას კი აკაკითი იწყებს:

„აკაკი — რა კარგი!“

სამწუხაროდ, არაა მითითებული, რომელ წელსაა „ჩანაწერები“ გაკეთებული. ამას, ალბათ, ამ ორი გენიოსი პოეტის ურთიერთდამოკიდებულების გასარკვევად არსებითი მნიშვნელობა არცაა აქვს.

ფაქტია: აკაკისათვის ვაჟა მარგალიტების მთესავი, მაღალი მთის მგოსანია, ვაჟასათვის აკაკი — ღვთის მიერ ნაკურთხი ჩანგის პატრონი.

კიდევ ერთი ქებაც გავიხსენოთ ვაჟასი აკაკის მიერ თქმული: „ამით მე ას კი არ მინდა ვსთქვა, რომ რაზიკაშვილებს ნიჭი აკლდეთ!.. პირ აქედ, უხვად არიან მადლით მომადლებული. ამ კრებულში რომ დაბეჭდილია ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინა“, ერთი უკეთესთაგანია მთლად ჩვენს მწერლობაში. წვრილმანი ლექსები, როგორც საკუთრად ვაჟასი, ისე მისი ძმის ბაჩანასი და თედოსი, საზოგადოთ სამარგალიტო შაირები არიან!.. პროზა ხომ კიდევ უკეთესი“. რაზიკაშვილთა ეს ხოტბა აკაკიმ 1899 წელს დაბეჭდა.

ასე, რომ პაექრობს ორი გენიოსი. ობიექტურად შემფასებელნი და დამფასებელნი ერთმანეთის შემოქმედებისა.

დავუბრუნდეთ ზემოთ დასმულ კითხვებს. რატომ ჰქვია ვაჟას ლექსს „დაგვიანებული პასუხი“? არის კი ეს ლექსი აკაკის მხოლოდ იმ ლექსის („ვაჟა-ფშაველას“) პასუხი? არა, პაექრობას უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს.

1913 წ. თებერვლის 19—21-ში ვაჟა ქუთაისშია, ილიას სალამოში მონაწილეობს. დ. კლდიაშვილი იგონებს: „სალამოს მივაცილე სადგურამდ და გავისტუმრეთ თბილისში. სადგურისკენ მიმავალმა სხვათა შორის მითხრა:

— ახირებული ადამიანია ეს ჩვენი აკაკი! დამიწერა „ენას გიწუნებ ფშაველო“. კაცო, მე ამ ჩემი ენით მომწონს თავი, თორემ სხვა რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში! თუ ენაც დასაწუნია, მაშ ალარაფერი ყოფილა და ბარემვ ასე თქვი პირდაპირ და ის იქნება! უცნაური კბენა იცის ხოლმე! — ამას საოცარი გულისტკივილით ამბობდა დიდებული ვაჟა“...

ამ მოგონებიდან აშკარაა, რომ არ ყოფილა ვაჟასთვის იოლი ენის დაწუნება: „ჩემი ენით მომწონს თავიო“. ამას თებერვალში ამბობს, „დაგვიანებული პასუხი“ ივნისში დაიბეჭდა.

გულისტკივილი არ ჩანს მხოლოდ აკაკის დასახელებული ლექსით გამოწვეული. აკაკისა და ვაჟას შორის ენობრივ პოზიციათა შეუთანხმებლობა უფრო ადრეა დაწყებული. ზევით ნაწყვეტი მოვიყვანეთ აკაკის წერილიდან — ხოტბას რომ ასხამს რაზიკაშვილებს. წერილი ასე გრძელდება: «მაგრამ საწყენი ის არის, რომ განგებ ამახინჯებენ თვითვე მათ ნაწარმოებს ქართულის გადაჯორჯვ-გადმოჯორჯვით და შიგადაშიგ ისეთ რამეებს ახორცმეტებენ. რომ მშვენიერებას საუწმინდუროთ ჰდაღვენ!.. ვინ არ იცის, რომ ქართული ენის სიმდიდრეს უმეტესად შეადგენენ ზმნები, მათი უღვლილება და მიმოხვრა!.. ვინც ზმნებს ჯეროვნად ვერ ხმარობს. ის უეჭველად ქართული ენის უმეცარია!.. და ზმნებს საზოგადოდ, რაზიკაშვილებიც ვერა, ანუ უფრო მართალი იქნება ვთქვათ, განზრახ არა ხმარობენ სისწორით, ამახინჯებენ და ეს უკუღმართობა სიტყვიერებისა გარეგანი სხივ-ცისკროვნება ჰგონიათ!... ეს ზმნები: „ჩაუხოცავის, გაურეკავის, გავხედნებ, ავხედნებ, შეიბრალოდეთ, მიიბაროდეთ“ და სხვა ამგვარნი, ნეტავი რა ფრაზებია და ღრამატიკულს რომელს კანონთაგანს ეთანხმება?.. არ გაგონებსთ ეს რუსის მოჩორთვილ ქართულს, როდესაც ის „წადის“ მაგიერ „ცაუდის“ ამბობს და „გავაკეთებს“ ნაცვლად „გაუკეტინ მე-ს“?». მართალია, აკაკი ამ შემთხვევაში ბაჩანასა და თედოს ლექსებზე საუბრობს, არქიმანდრიტ კირიონისა და გრიგოლ ყიფშიძის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოში („სიტყვიერების თეორია და ქრესტომატია“, თბილისი, 1895) რომ დაიბეჭდა, მაგრამ საყვედური ვაჟასაც ეკუთვნის, რადგან, როგორც ვნახეთ, რაზიკაშვილებზე საუბრობს და ვაჟასა და მის ძმებს ერთად მოიხსენიებს. მკაცრია აკაკი და დაუნდობელი ამ წერილში რაზიკაშვილთა მიმართ. წერილი 1899 წელს იბეჭდება „აკაკის კრებულში“ (№ 2, თებერვალი). უფრო ადრე, 1887 წლის ოქტომბერში, იონა მეუნარგიასადმი მიწერილ წერილში აკაკი წერდა: „ისეთ რამეს მეკითხები, რომ პასუხის მიცემა ძნელია. „ენის მხრით რომელი უფრო მოგწონს შენი ლექსიო“, — მეკითხები, და მე დღემდღი ბევრა მომწონდა, მაგრამ დღეს კი „ივერიამ“ ისე ამირია, რომ აღარც ვიცი, როგორ გავარჩიო... მე მგონია, რომ აღარც ერთი აღარ ვარგა, რადგანაც ჩემი ენა თურმე ღოიიმერლებს და არა მოიხვესურ-მოიბაჩანავებს“. აქ აკაკი აშკარად ისევ ამჟღავნებს თავის უარყოფით დამოკიდებულებას რაზიკაშვილების ენასადმი. „მოიხვესურ-მოიბაჩანავებს“ სწორედ ფშავ-ხევსურული დიალექტური ფორმების გამოყენებას გულისხმობს. ასე, რომ 1887, 1899 წლებში კერძო თუ კრიტიკულ წერილებში გამოამჟღავნებულ პოზიციას, დამოკიდებულებას სალატერატურო ენაში დიალექტური ფორმების ხმარებით გამოწვეულს, მოგვიანებით, 1913 წელს, ცნობილ ლექსში ამგვარ, ასე ვთქვათ, რბილ ფორმულირებას აძლევს: „ენას გიწუნებ, ფშაველო“... ვაჟას საპასუხო ლექსში პათოსი, ტონი, გაღიზიანებული მართლება თავისა პასუხი ჩანს არა ამ ლექსისა, არამედ სწორედ ადრე გამოთქმული შენიშვნებისა თუ კრიტიკისა. „დაგვიანებულიც“ იმი-

ტომ ჰქვია პასუხს. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ აკაკის ამ პოზიციისადმი ვაჟას თავისი დამოკიდებულება, გულისწყრომა აღრეც გამოუთქვამს. დ. კლდიაშვილის მოგონებას რომ თავი დავანებოთ, 1901 წელს ვაჟა „ივერიაში“ აქვეყნებს ლექსს „ლილინი“, რომელსაც აკაკის უძღვნის:

„გაკაჟდი, გულო,
გაფხავდი, ენავ!
ვერას დამაკლებ, შავთ დროთა დენავ!
სანამ მაქვს სმენა
და პირში ქშენა,
ვერას დამაკლებს ძაღლების ღრენა!
სანამ მაქვს ჟანი
და ფეხზედ ჭლანი,
მუშაობს მკლავი და ტანზე თავი, —
მოკეთის ბაზმა
და მტრისთვის ავი

ვარ და ვიქნები.
მკვდარს რაღა მეზღვის?
ან რაღა მეთქმის?!
ცოცხალს კი ესა გულს გამეთესა:
ყელსა მჭრის დანით
მოძმეთა კენესა!
მიტომ არ ვიშლი,
ენასა ვლესავ
და მგლოვიარეს ქართულსა ვთესავ“.

ვაჟას რამდენიმე ლექსი აქვს, რომელშიც სათაურს ქვევით ფრჩხილებში მიანიშნებს, თუ ვის ეძღვნება ლექსი (ვუძღვნი ძმა-მეგობარს, ვუძღვნი შიომღვიმელს, ვუძღვნი თ. რაზიკაშვილს, ვუძღვნი განდევნილს, ვუძღვნი ახალგაზრდა მგოსნებს და სხვა). ყველა შემთხვევაში ასეთი ლექსი მიმართვას პოეტისა ლექსის ადრესატისადმი:

„რა გითხრა, ბიჭო, ისეთი,
არ გავაჯერო მსმენელი...“
(თ. რაზიკაშვილს)

„მცირე რამ შემონაწირა:
მიიღე თავის ძმისგანა...“
(შ. მღვიმელს) და სხვა...

ასე, რომ ზემომოყვანილი „ლილინი“ მიმართვას აკაკისადმი საკუთარი ენობრივი პოზიციის დასაცავად („გაკაჟდი, გულო, გაფხავდი, ენავ!“...). შეიძლება ცოტა უცნაურიც გვეჩვენოს ასეთი ტონი, მაგრამ გავიხსენოთ, რომ 1899 წელს იბეჭდება აკაკის „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“, სადაც დაუნდობლად იყო გაკრიტიკებული რაზიკაშვილების ენა. ყურადღება უნდა მიექცეს ალბათ ლექსის სათაურსაც — „ლილინი“. ვაჟას ზუთ ლექსს აქვს სათაურად „სიმღერა“, მრავალს — ქვესათაურად, „ლილინი“ — ორად ორს. ერთი ზემომოყვანილი ლექსია, აკაკისადმი მიძღვნილი, მეორე მიძღვნის გარეშეა:

„იმ დღეს ჩიოდა „პეტრუხა“:
„ბევრი მეწვება ნისია“.
ვაჭრობის წესი ეგ არის,
ნუ გასჯავრდები, ბიძია!...“

პოეტური განწყობა „სიმღერებისა“ და „ლილინებისა“ განსხვავებული ჩანს. „ლილინებში“ უფრო ირონია გამოკრთის თითქოს... ყოველ შემთხვევაში ეს საკითხი შესწავლას მოითხოვს...

აკაკისადმი მიძღვნილ ლექსს რომ „ლილინი“ ჰქვია, არ უნდა იყოს შემთხვევითი ამჯერად.

აკაკის შენიშვნებსა და კრიტიკას ვაჟა ვერ ივიწყებს, შემდეგშიც გაიხსენებს. 1908 წელს ქუთაისში აკაკის იუბილეზე წაკითხულ ლექსში — „აკაკის საიუბილეოდ“ — ისევ გაჰკენწლავს:

„თუნდ არ მოგწონდეს, იქნება,
ჩემის ფანდურის ჩხაკუნი,
მიიღე, სარეკელასი
როგორც წისქვილში რაკუნი“.

ეს ის ლექსია, რომელსაც დიდებული ქებით ამთავრებს:

„მადლობელი ვარ გულითა,
შოთაის სულის ლხენაჲ!
სამშობლოს სამსახურისთვის
ჩანგი გიკურთხოს ზენაჲ“.

მაგრამ წყენა მაინც გამოკრთა. საფიქრებელია, რომ არმოწონებაში („თუნდ არ მოგწონდეს, იქნება“) აკაკისეული კრიტიკა იგულისხმება რაზიკაშვილების ენის მიმართ.

კიდევ ერთ ლექსს მინდა ყურადღება მივაქციო. 1913 წლის 20 თებერვალს ქუთაისში სალიტერატურო დილაზე ვაჟას წაუკითხავს ლექსი „იმერეთს“. რომელიც ასე იწყება:

„ერთხანად ჩემო მძრასო,
ლიხს აქეთურო ღეღო“.

(ლექსი ქუთაისში იკითხება და ამიტომაც „ლიხს აქეთური“. ნაბეჭდში „ლიხს იქითურო“ ჩაუსვამს). რა ძრახვაზე შეიძლება იყოს საუბარი (ხელნ.-წერის I ვარიანტში „მწყევარო“ ყოფილა)? ესეც ხომ არაა აკაკისთან პაექრობის გამოძახილი? იმავე წლის ივნისში დაიბეჭდება „დაგვიანებული პასუხი აკაკის“.

ის ფაქტი, რომ აკაკის „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებზე“ ვაჟა წერილთა არ უბასუხებს კონკრეტულად, აკაკისადმი მოკრძალება-პატივისცემით უნდა აიხსნას. თორემ თავისი თაობის პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს პეტრე მირიანაშვილს „ივერიაში“ 1888 წელს დაბეჭდილი წერილისათვის „საგრო ენა და სათემო კილო“ საკმაოდ მკაცრი პასუხი გასცა ვაჟამ იმავე წელს „ივერიაში“. დავის საგანი აქაც დიალექტური ფორმების გამოყენება იყო.

თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ 1901 წელს ვაჟა „ივერიაში“ ბეჭდავს წერილს „ენა“, სადაც თავისი ენობრივი პოზიციის დაცვას ცდილობს. წერილი ასე იწყება: „ამ ბოლო ხანს ჩვენს საზოგადოებაშიაც შეხედებით სამდურავს ქართული ენის შებღალვისა გამო“. შემდეგ წერს: „თქვენს უმორჩილეს მონას, ამ წერილის ავტორს, ხშირად გამიგონია ზოგიერთის ჩვენის მწერლისაგან სამდურავი — დაძველებული, უვარგისი ფორმები ნუ შემოგაქვს მწერლობაშიო“. ხომ არაა ეს წერილი პასუხი აკაკის „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებზე“ (გავიხსენოთ, აკაკის წერილი დაიბეჭდა 1899 წელს)?..

ამგვარად, პაექრობას სამწერლობო ენის საკითხებზე აკაკისა და ვაჟას შორის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია და მწვავე ხასიათი ჰქონდა. გავიხსენოთ: გასული საუკუნის 80-იან წლებში კერძო წერილში აკაკი გამოთქვამს შენიშვნას რაზიკაშვილების ენის მიმართ, ხოლო 90-იანი წლების ბოლოს მწვავე კრიტიკას აქვეყნებს. 1913 წელს იმავე აზრს ვაჟასადმი მიძღვნილ ლექსშიც იმეორებს (შედარებით რბილ ფორმებში). 900-იანი წლების დასაწყისიდან ვაჟა სხვადასხვა ლექსში ცდილობს დაიცვას თავისი ენობრივი პოზიცია. 1913 წელს „დაგვიანებულ პასუხში“, ასე ვთქვათ, აჯამებს თავის შეხედულებებს და ვრცელ, ავტორის აზრით, დასაბუთებულ პასუხს აძლევს აკაკის პოზიციას. ასე,

რომ „დაგვიანებული პასუხი“ პასუხია არა კონკრეტულად 1913 წელს გამოქვეყნებულ ლექსზე („ვაჟა-ფშაველას“), არამედ ზოგადად აკაკის პოზიციისადმი რაზიკაშვილთა ენის მიმართ. „დაგვიანებულიც“ აპიტომ ჰქვია ამ პასუხს.

დავას აკაკისა და ვაჟას შორის სალიტერატურო კრიტიკაში, სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი შეფასება მიეცა. უმეტესად ამ პოლემიკაში ვაჟას პოზიციას იცავენ, ამართლებენ: „დიალექტიზმის წყალობით შეუნარჩუნა ვაჟამ განუმეორებელი კოლორიტი ჩვენს მთასა და მის მკვიდრთ... ამ დიალექტზე დაყრდნობით უფრო მოხერხდა ძლიერ ვნებათა გამოთქმა“... (გრ. კიკნაძე); „ვაჟას პოეზია წარმოუდგენელია ფშაური კილოს გარეშე“ (გ. ცოცანიძე); „ის, რომ თავის პოეზიაში ვაჟამ შეგნებულად მოიხმარა ფშაური კილი, საკამათო არაა“ (თ. ჩხენკელი). „ვაჟას თანამედროვე კრიტიკოსები და თვითონ აკაკი წერეთელიც კი, ჩემი აზრით, ცდებოდნენ, როცა ვაჟას ჩვეულებრივი საზომით უდგებოდნენ და გენიოსისთვის გამონაკლისს არ უშვებდნენ“, — წერს ერთ-ერთი პედაგოგი (ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, № 3 1980). კი. ბატონო, გვეუბნებიან „საკამათო არააო“ და ცდებოდა თვითონ აკაკი წერეთელიცო. მაგრამ კონკრეტულად არ თქმულა, რაში ცდებოდა აკაკი? როგორია მათი ენობრივი პოზიცია, რა არსებითი ხასიათის დაპირისპირებაა მათ შორის? როგორ ყალიბდებოდა ეს პოზიციები?

აკაკი წერეთლის პოზიცია სალიტერატურო ენის მიმართ ცალსახა და ნათელია. აკაკი იმ თაობის წარმომადგენელია, რომელსაც დიდი ბრძოლების გადატანა მოუხდა ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის დამკვიდრებისათვის. აკაკისა და მისი თაობის ზოგადი პოზიცია ასეთი იყო: სალიტერატურო ენა უნდა იყოს ერთი და იგი უნდა ეფუძნებოდეს საერთო-სახალხო ენას. მთელი თავიანთი ცხოვრებისა და შემოქმედების მანძილზე ილია და აკაკი ამ პოზიციაზე იდგნენ და ამასვე უკიყინებდნენ სხვასაც. რომელიმე კუთხის მეტყველებისათვის პრიორიტეტის მიცემა მათთვის მიუღებელი იყო. აი, რას წერდა აკაკი 1911 წელს: „საქართველოს ერთი რომელიმე კუთხე კი არ შეადგენს, რომ მთლიანი საქართველოს ენა მართო მას დაუმორჩილოთ, იმერეთიც ისეთივე საქართველოა, როგორც ამერეთი და მიტომაც იმერლობას ნურავინ მიკიყანებს. ღმერთმა ნუ მომიშალოს იმერლობა, რომელიც იგივე ქართველობაა... ქართველი მწერალი წერის დროს „ჩემიან-შენიანობით“ კი არ უნდა სარგებლობდეს. უნდა ყოველი კუთხე ჰქონდეს მოვლილი, შესწავლილი და გამოკვლეული. და თუ რამე ქართული ნახოს, ამოკრიბოს და იმითი კი არ იხელმძღვანელოს, რომ ეს ქართული არ არის და სხვა კუთხეაო... მაგალითად, კრილობის შესახვევს. ანუ ნაღრძობის შესაკრავ ფირფიტებს ქართველნი არტაშანებს ეძახით. ეს სიტყვა, ცხადია, რომ სომხურიდანა გვაქვს გადმოღებული და ნუთუ ქართველებს თავისი საკუთარი სიტყვა არ ექნებოდათ? ექნებოდათ, მაგრამ დაკარგულა. მეგრელებში კი დარჩენილა, აქ არტაშნები არ იციან რა არია და „ხერკალს“ ეძახიან, რაიცა ქართულია. და მაშ უფლება აღარა გვაქვს „ხერკალი“ ვიხმაროთ, რადგან ქართლში აღარ იციან?“.

ამ მსჯელობაში ერთ მომენტს უნდა მიექცეს არსებითი ყურადღება: ის, რაც ხელს შეუწყობს სალიტერატურო ენის გამდიდრება-გამრავალფეროვნებას, უნდა იქცეს კიდევ სალიტერატურო ენის ფაქტად. ასეთად მას დიალექტური ლექსიკა მიაჩნია. დიალექტური გრამატიკული ფორმების დამკვიდრება სალიტერატურო ენაში, მაშინაც კი, როცა მისი ადეკვატური შესატყვისი არ მოეპოვება ქართულ ენას, დაუშვებელია. მით უმეტეს, ეს მიუღებელია, თუ შესაბამისი გრამატიკული ფორმები გვაქვს სალიტერატურო ენაში. სადავო არ უნდა იყოს ის, რომ აკაკის ამგვარი პოზიცია სრულიად მართებულია და მისაღები. აქედან გამომდინარე, გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს საპირის-

პირო თვალსაზრისი. ვერც ზემოთ მოყვანილ თვალსაზრისს გავიზიარებთ: „ცდებოდნენ, როცა ვაჟას ჩვეულებრივი საზომით უდგებოდნენ და გენიოსი-თვის გამონაკლისს არ უშვებდნენ“. ვაჟა რომ გენიოსი იყო, ეს ყველაზე კარგად აკაკიმ და ილიამ იცოდნენ, თავად გენიოსებმა, მაგრამ ისინი საკუთარი თავისთვისაც არ დაუშვებდნენ გამონაკლისს: მათთვის ენა უზენაესი იყო, ღვთაება იყო და ყოველგვარი ადამიანური გენიოსობა მასზე დაბლა იდგა. აკაკისთვის სახელმძღვანელო ჩანს ილიასეული პრინციპი: „სხვისა არ ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს... ჩვენის მხრით ამას კი ვიტყვი, რომ ჩვენი ქართული ენა ისე გვიყვარს, რომ ჯერ ვეცდებით, რომ მის წინააღმდეგ არ მოვიქცეთ და, თუ ღმერთი გაგვიწყრა, მის შენიშვნას სიხარულით და მადლობით მივიღებთ“.

შენიშვნა: ენობრივ (თუ სხვა) საკითხებზე აკაკის კრიტიკული პოზიცია რომ საზოგადო ინტერესითაა ნაკარნახევი და კრიტიკის ობიექტსაც რომ შემთხვევით არ ირჩევს, კარგად ჩანს იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ერთი წერილიდან: „ბატონმა დოდაშვილმა, გიორგი წერეთელმა და მე დავასკვნით პირობა, რომ „ეკალისტვის“ კიდეც ერთი განყოფილება მოგვემატება: „სასწორო-მეტყველო“ და ჩვენს მწერლობაში როცა შევნიშნავდით ურიგო ქართულს, გვემხილებინა ხოლმე. პირველი სანიმუშო ისარი მე გავტყორცნე და იმ ისარმაც ყურთან გაუზუზუნა ბატონ იაკობ სიმონიძეს. ბატონი იაკობი მისთანა კაცია, რომ ბუზსაც არაღის ააფრენინებს, თვარა ყურთან ისრის გაუზუზუნებას როგორ აიცილენდა? ეს ჩვენ წინდაწინვე ვიცოდით, მაგრამ მაინც პირველად სიმონიძეს მიტომ გამოვეთამაშეთ, რომ ის სხვებზე უფრო შესამჩნევია: ისა ზრდის და ისა წვრთნის ქართველ ახალგაზრდობას! ენასაც ყველა მისგან სწავლობს და, მაშასადამე, იმის მცირე შეცდომასაც უფრო მეტი ენების მოტანა შეუძლია, ვიდრე სხვისას...“.

ენის უზენაესობა და ღვთაებრიობა ვაჟასაც რომ გაცნობიერებული აქვს, ფაქტია. მაშ, რატომღაც დავის საგანი ვაჟას პოზიცია? სწორად შენიშნავს თ. ჩხენკელი: „ვაჟა-ფშაველას საუკეთესო ქართულად მიაჩნდა ფშაური (ცნობილია მისი გაოცებული თქმა: ფშაველს ქართულს მიწუნებენო?). რატომ? იმიტომ, რომ ფშავის ქართულს იგი ორი უდიდესი ქართველი პოეტის — რუთაველისა და გურამიშვილის — პოეტური ენის მონათესავედ თვლიდა“ (ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, № 3, 1980). ახლა თვით ვაჟას მოვუხმინოთ: „ყოველი ეთნოგრაფი და საერო მწერალი მოვალეა ყველა საყურადღებო ხალხური სიტყვა, ან ფორმა გააცნოს ლიტერატურულს ენას, თუ იგი სიტყვა და ფორმა შეეფერება ენის ხასიათს, იმის ბუნებას. თუ ენა იშვილებს იმ ფორმას, იმ სიტყვას, ხომ კარგი, თუ არადა, არც არაფერი ამითი წახდება... ფშაველებს ამ შემთხვევაში საპატიო ადგილი ეძლევათ. საყურადღებოა იმათი საუბრის კილო და ფორმები, სხვათა შორის იმიტომაც, რომ იმათ უფრო მეტი საშუალება ჰქონიათ ქართული ენა დაეცვათ წმინდად, შეუბღალავად: ფშაველებზე (ფხოველებზე) ნაკლებად ჰქონდათ ზედმოქმედება ოსმალთა, სპარსთა, არაბთა და სხვ. ამიტომ იმათი სათემო კილო (თუკი შეიძლება სათემო კილო დავარქვათ იმათს სასაუბრო ენას) და გრამატიკული ფორმები ხელჩასაჭიდე-ბია, ღირსსაცოდნელი. ფშაურის საუბრის კილო და გრამატიკული ფორმები, როგორც ნამდვილი ძველი ქართული, სრულიად ჰგვანან ძველის მწერლებს ნაწერებისას“ (მცირე შენიშვნა, 1888). ეს იყო პოზიცია ვაჟა-ფშაველასი. ამ თვალსაწიერიდან, პოეტი არათუ ამახინჯებს, ბღალავს სალიტერატურო ქართულს, პირიქით, ცდილობს დააფუძნოს იგი ფშაურ დიალექტზე! ვაჟა ამ შეგნებით მოვიდა ქართულ მწერლობაში და ამ შეგნებითვე იღვწოდა სიცოცხლის ბოლომდე. კითხვა მაინც გაჩნდება: ფშაურ კილოსთან მიმართების თვალსაზრი-

სით ვაჟას ნაწერები არაა ერთგვარი. ყურადღებას მიაქცევენ იმ ფაქტს, რომ დიალექტური ფორმები ძირითადად პოეზიაში იჩენს თავს, ისიც — არა ყოველთვის. სამეცნიერო ლიტერატურაში ამის ახსნის მცდელობა არის, თუმცა გადასასინჯია; არც ისეა ყოველივე, როგორც წერენ. აქ სხვაზე მინდა ყურადღება გავამახვილო. ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც არის საჭირო ამ საკითხის განხილვა. აი, რატომ: 1896 წელს ვაჟა წერდა: „რა თქმა უნდა, თ. რაფაელის ლექსებმა, როგორც საერო კილოთი ნაწერმა და ისიც ჩვენებური მთის კილოთი, სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული, სხვანაირად შესძრა იგი. ამასთანავე ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ, თუმც მაშინ შეგირდი გახლდით, მაგრამ ხალხური, ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდით; ეს კილო მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირა; თუმც მაშინაც ლექსებს ვწერდა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ვბლაჯნიდი, მაგრამ ამ საერო კილოზე წერას ვერა ვბედავდი, რადგან მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული, არამედ სხვა კილო მეფობდა. ჯერ დღესაც სჭირს ამ ფშაურს კილოზე ნაწერია ლექსების საზოგადოებისაგან ყურის დაგდება და მაშინ ხომ უფრო საძნელო იქნებოდა. ჩვენმა სახელოვანმა მხცოვანმა მგოსანმა რაკი საერო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და ჟურნალ „ივერიამ“ გზა დაუთმო, მეც გაბედულება მომემატა“. ზევით მოგახსენეთ — ვაჟა ამ შეგნებით მოვიდა ქართულ მწერლობაში და ამ შეგნებითვე იღვწოდა-მეთქი ბოლომდე. იღვწოდა და იბრძოდა თავისი პოზიციის დასამკვიდრებლად და გასამართლებლად; მაგრამ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე სალიტერატურო ქართული იმ გზით მიედინება, რასაც აკაკი იცავდა. ვაჟას ენობრივი პოზიციაც რომ უაღრესად საინტერესოა, მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით თუ არ ვეთანხმებით მას, ფაქტია. „ვაჟა, როგორც ენობრივი მოვლენა, ჯერაც შეუსწავლელია“ (კ. გამსახურდია).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება
წარმოდგინა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

მეფეთა-ფალავანთა სახე კლასიკური ხანის
ქართულ ისტორიოგრაფიაში

XI საუკუნის მოღვაწის, ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ ქართული საისტორიო პროზის ერთ-ერთი პირველი და თავისთავადი ძეგლია. ლეონტი მროველი, როგორც ავტორი ამ თხზულებისა, მოხსენიებულია თვითონ „მეფეთა ცხოვრებაში“. ტრადიციულად ლეონტი მროველს სასულიერო პირად მიიჩნევენ. აზრთა სხვადასხვაობა იყო მეცნიერთა შორის ლეონტი მროველის მოღვაწეობის ხანასთან დაკავშირებით. ამ საკითხს ნათელი მოპდინა 1957 წელს თრეხვის გამოქვამულში ნაპოვნმა ქვაჯვარმა, რომელზეც ამოკვეთილი ნუსხური წარწერა გვაპცნობს, რომ ლეონტი მროველს აღფარსლან სულტანის შემოსევის დროს რუისის საყდრის მთავარი ღვთაების ხატისათვის და იმავე საყდრის შვილთა „ნათესაყუდელად“ ხსენებული ქვაბი აუგია. წარწერა თარიღიანია. მასში აღნიშნული ამბავი მომხდარა 1066 წელს. მაშასადამე, დადასტურდა კ. კეკელიძის მოსაზრება, რომელიც ლეონტი მროველს XI საუკუნის II ნახევრის მოღვაწედ მიიჩნევდა¹. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ მოიცავს როგორც ლეგენდურ თხრობას საქართველოს ისტორიის უძველესი ხანის შესახებ, ისე საქართველოს ისტორიას ქრისტიანობის მიღებისა და მისი გავრცელების პერიოდში. ლეონტი მროველის შრომა იწყება სხვადასხვა ტომის, მათ შორის ქართველებისა და სომხების, საერთო წინაპრის — თარგამოსის ისტორიით. ავტორი უწინარეს ყოვლისა არკვევს კავკასიაში მცხოვრები ერების ჩამომავლობას და მათ წარმოშობას უკავშირებს ნოესა და იაფეტის სახელებს. შემდეგ აღწერულია ქართველთა ცხოვრება წარმართობის ხანაში, რასაც მოსდევს მათი გაქრისტიანების ამბავი და ისტორია მირიან მეფიდან, ვიდრე ბაგრატიონთა დინასტიის დამკვიდრებამდე. ლეონტი მროველის საისტორიო ძეგლი ფაქტობრივად საფუძველს უყრის საისტორიო მწერლობას, რომელიც მომდევნო ხანის ქართულ კულტურაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს.

საისტორიო პროზას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს შუა საუკუნეების ქანობრივ სტრუქტურაში. შუა საუკუნეების ყველა ლიტერატურაში გვხვდება საისტორიო ხასიათის თხზულებები. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ინდოეთი, სადაც ასევე არ არის პავიოგრაფიული ჟანრი მწერლობისა. ეს დაკავშირებულია ინდოელთა წარმოდგენაზე, რომ ამქვეყნიური ცხოვრების ღირებულება არაფერია მარადისობასთან შედარებით, იგი მხოლოდ წარმოსახვითი ილუზიაა და შესაბამისად არ არის ფიქსირების, აღწერის ღირსი. აქედან გამომდინარეობს ინდოელთა უყურადღებობა როგორც საკუთარი ქვეყნის, ისე სხვათა ისტორიისადმი, რამაც ბუნებრივად გამოიწვია ინდოეთში საისტორიო პროზის არარსებობა (თუმცა ეს არ ეხება ინდოეთის ისლამურ კულტურას). შუა საუკუნეებში ისტორიოგრაფია ვითარდება როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნებში და, მიუხედავად ყოველი ქვეყნის ლიტერატურის თავისთავადობისა, მკვეთრად განსაზღვრული ტიპოლოგიური მსგავსებით, ჟანრობრივი სტრუქტურის ერთიანობით ხასიათდება. სხვადასხვა ხალხის საისტო-

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 238—239.

რით პროზისათვის დამახასიათებელია თხრობის პოეტურ-ლიტერატურული სტილი, მისი ბელეტრიზაცია. ეს მოვლენა თავს იჩენს ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, კერძოდ ტაციტუსის, თუკიდიდეს, ფსევდოკალისტენეს შემოქმედებაში, სადაც ერთმანეთს ერწყმის ისტორიული და მხატვრული. შუა საუკუნეებშიც, მიუხედავად თხზულებათა ჟანრის მკაცრი რეგლამენტაციისა, საისტორიო პროზა ვერ თავსდება ქრონიკისა თუ მათიანის ჟანრობრივ ჩარჩოებში და ეპიკურ სიუჟეტთან ნათესაობას ამჟღავნებს. ამგვარი ტენდენცია თავს იჩენს შუა საუკუნეების თითქმის ყველა ხალხის ისტორიოგრაფიაში². ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ ნათელი დადასტურებაა საისტორიო მწერლობაში მხატვრული ფორმებისა და საშუალებების გამოყენებისა. ლეონტი მროველის თხზულება მდიდარია სადევგმირო თუ ზღაპრული თქმულებებით, დავალებულია ქართული ხალხური ეპოსისაგან, ამავე დროს იგი სტილურად ენათესავება კლასიკური ხანის საერო მხატვრული ლიტერატურის ძეგლებს.

აქვე უნდა აღინიშნოს შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი თავისებურება. როგორც აღვნიშნავდით, ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ იწყება ლეგენდური თხრობით საქართველოს ისტორიის უძველესი ხანის შესახებ. მასში გადმოცემულია ძველი აღთქმისეული ეპიზოდები, რომელთა მონაწილეებად გვევლინებიან ქართველები. ლეგენდური დროის ისტორიის აღწერით იწყება აგრეთვე მოსე ხორენაცის „სომხეთის ისტორია“. თუმცა ამ შემთხვევაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მოსე ხორენაცის თხზულების ერთგვარ გავლენას ლეონტი მროველზე³ და არა ტიპოლოგიურ მსგავსებას. ისტორიის ლეგენდურ პერიოდს დიდ ადგილს უთმობს X—XI საუკუნის უდიდესი პოეტი ფირდოუსი თავის ასოციატას სტრიქონიან ეპოპეაში „შაჰ-ნამე“, რომელშიც მხატვრულად არის ასახული ირანელი ერის ცხოვრების მონაკვეთი მითოლოგიური ეპოქიდან ჩვენი წელთაღრიცხვის VII საუკუნემდე. ლეონტი მროველის თხზულებაში ჩანს, რომ იგი კარგად იცნობდა ამ ძეგლსაც. ძველი აღთქმისეული პასაჟები თავს იჩენს რუსულ მათიანეებშიც. ჩვეულებრივ, უმნიშვნელოვანესი რუსული მათიანეები იწყება სამყაროს შექმნით, წარღვნით ან ბაბილონის გოდოლის ძველი აღთქმისეული ეპიზოდებით; დ. ლიხაჩოვის სიტყვებით: «От Вавилонского столпотворения расходятся все события в «Повести временных лет». Отсюда ведут своё начало славяне. Начало славян переходит в сообщение сведений о разделении славян, разделение славян переходит в рассказ о русских племенах, затем выстраивается цепочка событий русской истории»⁴. ბიზანტიურ-სლავურ კულტურულ რეგიონში ტიპურია ისტორიული თხზულების ჩარჩოების განსაზღვრა სამყაროს შექმნიდან მემათიანის თანამედროვე ეპოქამდე. როგორც ჩანს, ისტორიული ძეგლის დასაწყისი მისი მთლიანი კომპოზიციის ერთ-ერთი ელემენტია, რომელსაც მნიშვნელოვანი იდეოლოგიური დატვირთვა აქვს. მასში მკვეთრად მჟღავნდება ისტორიკოსის რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულება. შუა საუკუნეების აზროვნებისათვის დროის კატეგორია არ არის უსაზღვრო. პირიქით, მას აქვს კონკრეტული საწყისი საზღვარი და უკავშირდება დროის განსაზღვრულ მომენტში მომხდარ შექმნის, შესაქმნის აქტს⁵. შუა საუკუნეებში დროის საწყისი განმსაზღვრელი ფუნქციის მატარებელია და

² Б. Л. Рифтин, Типология и взаимосвязи средневековых литератур, сб. «Типология и взаимосвязи литератур Востока и Запада», М., 1974, с. 17.

³ კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XII, თბ., 1973, გვ. 11—18.

⁴ Д. С. Лихачев, Поэтика древнерусской литературы, М., 1979, с. 265.

⁵ А. Я. Гуревич, Категории средневековой культуры, М., 1972, с. 100.

ამა თუ იმ მოვლენის საწყისზე მითითებაში ამ მოვლენის არსია საძიებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ მართალია შორეული აღმოსავლეთის ისტორიოგრაფიული ძეგლები მითოლოგიური ეპოქის აღწერით იწყება, მაგრამ მათში არ არის საუბარი სამყაროს შექმნაზე. შექველია, რომ აქაც თავს იჩენს ავტორის რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებები. წმინდა ფილოსოფიური თვალსაზრისით ბუდიზმი უარყოფს საწყისის არსებობას, რაც შესაბამისად აისახა ეტნამელი თუ კორეელი ხალხების ისტორიოგრაფიაში.

ისტორიული თხზულების ავტორი ჩვეულებრივ გვერდს არ უვლის ამა თუ იმ რელიგიის გავრცელების მიმოხილვას, ასევე ცდილობს მკითხველი გაარკვიოს ახალი რელიგიის არსში. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ საკმაოდ ვრცლად არის მოთხრობილი მეფე მირიანის მიერ ქრისტიანული რელიგიის მიღება, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ქრისტიანობის წარმოშობას. ქრისტიანობის მიღება როგორც სომეხთა, ისე ქართველთა მიერ გადმოცემულია მოსე ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში“, ქრისტიანული სულით არის გაუღენთილი ყველა რუსული მათიანე. ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს ზორაასტრიზმის შესახებ. შორეული აღმოსავლეთის ისტორიოგრაფია გადმოგვცემს ბუდიზმის ისტორიას, გვიჩვენებს მისი გავრცელების გზებს ამა თუ იმ ქვეყანაში. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ტიპოლოგიური მსგავსება ერთი და იმავე ქანრის ნაწარმოებებისა სხვადასხვა ხალხის კულტურულ მემკვიდრეობაში. თუ გავითვალისწინებთ ზემოთ ჩამოთვლილ რელიგიათა ადგილს შუა საუკუნეების ხალხების ცხოვრებაში, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ქვეყნის ისტორიის აღწერისას ისტორიკოსი შეგნებულად ჩერდება თავისი ხალხის რელიგიის შესახებ თხრობაზე და მნიშვნელოვან ადგილს უთმობს მას თავის შემოქმედებაში.

სხვადასხვა ხალხის, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ისტორიოგრაფიის ტიპოლოგიური მსგავსებების აღნიშვნისას არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ისტორიული თხზულების, როგორც გარკვეული ლიტერატურული ქანრის, გენეზისი. ლიტერატურათმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში ცნობილია ისტორიული თხზულების წარმოშობისა და აღმოცენების ორი გზა. პირველი არის ავტოქთონური გზა — როდესაც ისტორიული თხზულების ადრეული ფორმები უშუალოდ ზეპირგადმოცემებისა და ფოლკლორული ტრადიციებიდან მომდინარეობს. მეორე გზა ძირითადად ეხება ისტორიოგრაფიის გვიან, კერძოდ შუა საუკუნეების, პერიოდის ძეგლებს. ისტორიული სინამდვილის ამსახველი ამ ძეგლების ჩამოყალიბება ხდებოდა სხვა ერების უკვე არსებული და განვითარებული ისტორიოგრაფიული ტრადიციების ათვისების საშუალებით. ხშირ შემთხვევაში სწორედ ეს განაპირობებს სხვადასხვა ქვეყნის ისტორიოგრაფიის ისტორიულ-გენეტიკურ ნათესაობას⁶.

ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაზე“ დაკვირვება საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ მასში სინთეზირებულია ზემოთ აღნიშნული ორივე გზა ისტორიული თხზულების აღმოცენებისა. კ. კეკელიძემ სპეციალურად შეისწავლა ლეონტი მროველის ისტორიის ლიტერატურული წყაროები და აღნიშნა, რომ XI საუკუნის ისტორიკოსი უხვად იყენებს სომხურ, ბერძნულ და სპარსულ წყაროებს⁷. მაშასადამე, ლეონტი მროველს შესაძლებლობების

⁶ Ю. М. Лотман, Структура художественного текста, М., 1970, с. 260.

⁷ Н. И. Никулин, К типологии взаимосвязей средневековой исторической прозы, сб. «Типология и взаимосвязи средневековых литератур Востока и Запада», М., 1974, с. 119.

⁸ კ. კეკელიძე, ეტიუდები, XII, თბ., 1973, გვ. 10—31.

მიხედვით გამოუყენებია ის ისტორიოგრაფიული ძეგლები, რომლებიც არსებობდა XI საუკუნისათვის იმ ქვეყნებში, რომელთაზეც საქართველოს კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა ჰქონდა ამ ეპოქაში. ლეონტი მროველის თხზულებაში იძებნება ამ ქვეყანათა ისტორიულ თხზულებებთან ისტორიულ-გენეტიკური ნათესაობა. მეორე მხრივ, ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ისტორიოგრაფია დიდად არის დავალებული ზეპირგადმოცემებისა და ფოლკლორისაგან და მათ მიერ ჩაყრილ საძიარკველზეა აღმოცენებული. ლეონტი მროველის თხზულება არ არის მსოფლიო ისტორიოგრაფიის ერთადერთი ძეგლი, რომელშიც გვხვდება სადევგმრო თუ ზღაპრული თქმულებანი, მაგრამ ყველა ისტორიულ თხზულებაში ამდაგვარი სიუჟეტური გადახვევები ამა თუ იმ ხალხის ხალხური ზეპირი თქმულებებიდან მომდინარეობს. პრეისტორიული ფოლკლორული გმირი ლეონტი მროველის თხზულებაში თვისებრივად სახეცვლილია, იგი პირობითი რეალიზმის მოდელათა ტრანსფორმირებული, გმირის იდეური ორიენტაცია აგებულია სახალხო-სახელმწიფოებრივ იდეალებზე. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“, ისე როგორც შუა საუკუნეების თითქმის ყველა ისტორიოგრაფიული ძეგლის, მთავარი მოქმედი პირები მეფეები არიან. სწორედ მათ სახეშია ხორცშესხმული ახალი გმირის იდეალი. ნ. ნიკულის აზრით, „Черты сходства историко-

графических памятников определяются в конечном итоге существом феодального уклада, спецификой культуры феодального общества, свойственной ему религиозной системой мировоззрения; особенно важное значение здесь приобретает широко распространенное в средние века представление о сакральном характере власти монарха («помазанника божия», «сына Неба», дерараджи — «Бога-царя»), обычно выступающего в исторических сочинениях в качестве центральной фигуры. Все это оказывает конструирующее и определяющее влияние на формирование литературных канонов изображения, характерных для средневековья»⁹.

ლეონტი მროველის მიერ დახატულ მეფე-ჰაბუკის სახეში კონცენტრირებულია ისტორიული თხზულების მთავარი გმირის იდეალური თვისებები. სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე ესა თუ ის ლეგენდური თუ ისტორიული მეფე იდეალური გმირის სახეთა ხატვის ტიპურობის ნიშნის მატარებელია. საისტორიო თხზულების მეფე — სიმამაცითა და ჰაბუკობით გამორჩეული მეომარი საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ კლასიკური ხანის ქართული მწერლობის ახალი იდეალური გმირის — რაინდის სახის განვითარებას. (ძალგულოვნებითა და უშიშრობით გამორჩეული მეგრძოლი ჰაბუკის გენეტიკური ძირები ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშია საძიებელი. მხატვრულ ლიტერატურაში იგი პირველად ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ გვხვდება. შემდეგი ეტაპი ჰაბუკის სახის განვითარებისა არის მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“. საერო მხატვრული ლიტერატურის ამ მნიშვნელოვანი ძეგლის ავტორი შეძლებისდაგვარად ცდილობს ახალი თვისებებით გაამდიდროს ჰაბუკის სახე და ახერხებს კიდევ ამას. უნდა აღინიშნოს, რომ ლეონტი მროველის თხზულებაში შემავალი სადევგმრო, გოლიათ-ბუმბერაზთა შესახებ თქმულებანი მოგვაგონებს მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანს“¹⁰. კეკელიძის აზრით, „ლეონტის შრომაში ეს თქმულებები შევიდა არა ამირანდარეჯანიანიდან, არამედ იმავე წყაროდან, საიდანაც ისინი შეთვისებულია ამირანდარეჯანიანის ავტორის მიერ, სახელდობრ ხალხური ეპოსიდან, მათში ჩვენ ვვაქვს ხალხური ზეპირი თქმუ-

⁹ Н. И. Никулин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 118.

ლებანი“¹⁰. თუ ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ ხალხური ეპოსიდან მომდინარე სიუჟეტებს მეორეხარისხოვანი როლი აკისრიათ და ისინი ისტორიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოების შედარებით მცირე ნაწილს შეადგენენ, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, როგორც ეპიკური ჟანრის მხატვრული ნაწარმოები, მთლიანად აგებულია ჭაბუკთა და მოყმეთა გმირობასა და ურთიერთთავდადებაზე; ხალხური ეპოსიდან მომდინარე ფალავნობა აქ ნაწარმოების მთავარი ხაზია. ამდენად, ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“ განსაკუთრებულ როლს ასრულებს ეპიკური გმირის ახალ ლიტერატურულ გმირად ტრანსფორმირებაში. ისტორიულ თხზულებაში აღწერილ მეფეთა და ბუმბერაზთა ბრძოლა-შეტაკებებში შედარებით მკრთალი ფერებით, მაგრამ მაინც გამოკვეთილია ჭაბუკ-ფალავნის სახე, რომელიც განვითარების შემდგომ საფეხურს მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანსა“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ აღწევს. ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ შემავალ სადევგმირო თქმულებებს, მეფე-გოლიათთა და ბუმბერაზთა ორთაბრძოლის ეპიზოდებს.

თხზულების პირველივე გვერდებზე გვხვდება შესანიშნავი მხატვრული სახეებით მდიდარი აღწერა ნებროთისა და ჰაოსის ლაშქართა ორთაბრძოლისა. თარგამოსიანთა ბრძოლას ნებროთიანთა წინააღმდეგ სახელმწიფოებრივი იდეალების სამსახური უდევს საფუძვლად. ეს ეპიზოდი დიდად არის დავალებული მოსე ხორენაცის „სომხეთის ისტორიისაგან“. „მეფეთა ცხოვრებაში“ ამ ბრძოლის მიზეზი გაცხადებულია ჰაოსის შემდეგ სიტყვებში: „მოგუცა ღმერთმან მაღალმან ძალი და სიმრავლე ნათესავისა ჩუენისა. აწ შეწეენითა დამბადებლისათა ვიყვნეთ არა ვისა მონა, და არავის ვმსახუროთ თვნიერ ღმრთისა დამბადებლისა“ (გვ. 6)¹¹. მოსე ხორენაცი ბრძოლის მიზეზებზე საუბრისას აღნიშნავს: „ჰაიკს არ სურდა ყოფილიყო მისი (ნებროთის) ქვეშევრდომი“¹². ისტორიული დეტალები თითქმის აბსოლუტური სიზუსტით ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ლეონტი მროველის მხატვრული ფორმები, რომლითაც იგი გოლიათთა ორთაბრძოლას აგვიწერს, ენათესავება ქართული ხალხური ეპოსის მხატვრულ ენას. ჰაოსიანთა და ნებროთიანთა შერკინების ლეონტი მროველისეული აღწერა უმაღლეს მოგვაგონებს ხალხური ეპოსის საუკეთესო ნიმუშებს. მასში თავს იჩენს ეპიკური სტილისათვის დამახასიათებელი სახეთა პარალელიზმი. ლეონტი მროველი მდიდარ ეპიკურ ტრადიციებზე აღზრდილი ჭეშმარიტი შემოქმედოსათვის დამახასიათებელი მხატვრული სახეებით აგვიწერს ბრძოლას: „იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, რომელი ემსგავსა სასტიკებასა ჰაერისასა, რამეთუ მტუერი ფერკისა მათისა ვითარცა ღრუბელი სქელი, ელვა აბჯრისა მათისა ვითარცა ელვა ცისა, ხმა პირისა მათისა ვითარცა ხმა ქუხილისა, სიმრავლე ისართა და ტყორცა ქვისა მათისა ვითარცა სეტყუა ხშირი, და დათხევა სიახლისა მათისა ვითარცა ღუარი სეტყუათა“ (გვ. 6—7). მიხ. ჩიქოვანის აზრით, „ბრძოლის ასეთ კოსმიურ სამოსელში გახვევა ამირანის ეპოსიდან გამომდინარეობს და თავისებურად იმეორებს იმ სურათს, რომელიც ყამარის მოტაცების ეპიზოდს გადმოსცემს... თარგამოსიანთა და ნებროთიანთა მძაფრი ბრძოლის გადმოსაცემად მროველმა ბუნების მოვლენები გამოიყენა. ეს შედარებები

¹⁰ კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 130.

¹¹ ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართულთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1, თბ., 1955. ქვემოთ ყველგან ლეონტი მროველის ნაშრომს ვიმოწმებთ ამ გამოცემის მიხედვით.

¹² მოსე ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბ., 1984, გვ. 69.

ძველი ეპოსის მხატვრული მარაგიდან მომდინარეობენ¹³. ლ. ალსანიშნავეა, რომ მსგავსი შედარება არაერთხელ გვხვდება მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“, მაგრამ მასში იგი უკვე გარკვეული ლიტერატურული ეტიკეტის სახეს იღებს. ქართული ლიტერატურული ტრადიციების მიერ ჩამოყალიბებული შედარება ორთაბრძოლისა ელვა-ჭექასთან ახლავს მოსე ხონელის მიერ აღწერილ უძლიერეს ჭაბუკთა შერკინებას: „ძგერება მათი ჰგვანდა ორთა გორათა ძგერებასა და აბჯართა ცემა ჰგვანდა ჭეხასა“ (გვ. 79)¹⁴, „ხმალთა მათთა ჭეხა ჰგვანდა ცისა ჭეხასა“ (გვ. 15), „აბჯართა ზედა ცემა გვანდა ჭეხასა, რომე არა გაიგონებოდა“ (გვ. 113), „შეიქმნა ომი ეგზომ საკვირველი, რომელ აბჯართა ზედა ცემა ჭეხასა ჰგვანდა“ (გვ. 119), „დიდთა კლდეთა ჯახებასა ჰგვანდა მათი ჯახება და ხმალთა ცემა ჭეხასა ჰგვანდა“ (გვ. 125).¹⁵

სახელმწიფოებრივ იდეალებს ემსახურება მირვან მეფის ბრძოლაც ღურძუკთა წინააღმდეგ. ღურძუკეთი განუდგა მირვან მეფეს, მან კი შეკრიბა ქართლის ერისთავები, კავკასიელნი „თვნიერ ქართალელთა“, რომელნიც ღურძუკებს უჭერდნენ მხარს, და გაემართა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. ლეონტი მროველის მიერ აღწერილი ბრძოლის მთავარი მოქმედი პირია გმირი-ჭაბუკი მეფე მირვანი: „მაშინ მირვან გარდაცდა ცხენისაგან, მივიდა ქუეითთა თანა თვსთა. და წარუძღვა წინა ქუეითთა, ზურგით შეამოადგინნა მხედარნი, და მოვიდა კართა მათ შინა, ვითარცა ჯიქი სიდიცხითა, ვითარცა ვეფხი სიმცნითა, ვითარცა ლომი ზახილითა, იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი. ხოლო მირვანს ვერ ჰკუთებდა მახვილი ღურძუკთა, ვითარცა კლდესა სიბსა, და დგა უძრავად, ვითარცა კოშკი მტკიცე“ (გვ. 28). ბრძოლის ამგვარი აღწერა, ისევე როგორც თარგამოსიანთა და ნებროთიანთა ბრძოლის აღწერა, მხატვრული ხერხების და პოეტური საშუალებების გამოყენების გამო სცილდება ქრონიკის ფარგლებს. ჩვენ წინაშე თითქოს მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც ხალხური ეპიკური ტრადიციების ბუნებრივ გაგრძელებად წარმოგვიდგება. ზემოთ მოყვანილ ეპიზოდში გამოკვეთილია მეფე მირვანის სახე, რომლის მეფობის შესახებ თხრობას ლეონტი მროველი ამგვარად იწყებს: „ესე მირვან იყო ტანითა სრული, შუენიერი, ძლიერი, მხნე და ქუელი“ (გვ. 27). მის არაჩვეულებრივ ძლიერებასა და მხნეობას განსაკუთრებით უსვამს ხაზს ავტორი ბრძოლის აღწერისასაც. მეფე-ჭაბუკის პორტრეტის სრულყოფილი წარმოსახვისათვის ლეონტი მროველი თვალს გაადევნებს მის შემდგომ ცხოვრებას და აღნიშნავს: „და დაჯდა მირვან მცხეთას. მეფობდა ნებიერად და უშიშრად, იყო კაცი მიმნიჭებელი კეთილისა უხუად, და შეიყუარეს იგი ყოველთა მკვდრთა ქართლისათა“ (გვ. 28).

ეპიკური საგმირო თხზულებებისათვის დამახასიათებელი სტილური ხერხებით არის აღწერილი ფარნაჯოსა და სომეხ-ქართველთა ბრძოლა, ფარნაჯოს ძის მირვან მეფის ბრძოლა ტახტისათვის ბარტომის წინააღმდეგ. ამ ეპიზოდში შემოდის ეპოსის გმირი — ბუმბერაზი „მოვიდა მირვან და დადგა მდინარესა ბერდუჯისასა. და იწყეს ბრძოლად, და გამოჩნდეს ორთავე შორის მუნ ბუმბერაზნი. იყვნეს ყოველთა დღეთა ბუმბერაზთა ბრძოლანი თუესა ერთსა, ოდეს მათ სძლიან, და ოდესმე ამათ სძლიან. ხოლო ამის თუესა შინა მირვან თავის თავითა მოკლა ცამეტი ბუმბერაზი ქართველთა და სომეხთაგანი. და არავინ გამოჩნდა ქართველთაგანი და სომეხთაგანი მძლე მირვანისი, და ვერცაღა თვთ ბარტომ მეფე ებრძოდა მას, რამეთუ არა იყო ბარტომის თანა გოლიათობა“ (გვ. 31—32). ბუმბერაზი არაერთხელ გამოჩნდება. შემდგომშიც „მეფეთა ცხოვრებაში“ მეფე-ჭაბუკთა ღირსებასა და სიმამაცეზე მიუთითებს დამარცხებულ

¹³ მხ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბ., 1947, გვ. 201—202.

¹⁴ მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა ლ. ათანელიშვილმა, თბ., 1969; ქვემოთ „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტს ყველგან დავიმოწმებთ ამ გამოცემის მიხედვით.

ბუმბერაზთა რაოდენობა. თხზულებაში ხშირად არის აღნიშნული, რომ ამა თუ იმ მეფემ „მოკლა ცამეტი ბუმბერაზი ქართველთა და სომეხთაგანი“, „მოკლა მრავალი ბუმბერაზი“, „ათჩუდმეტი ბუმბერაზი“, „ოცდასამი ბუმბერაზი“ და ასე შემდეგ. საფიქრებელია, რომ ბუმბერაზები იყვნენ მეფის სპათა შორის ძალითა და სიმამაცით გამორჩეული მებრძოლები, სპეციალურად დაქირავებულ მეომართა კასტა. ბუმბერაზი ლეონტი მროველის თხზულებაში არის არა ეპოთეტი ძლიერებისა, არამედ გარკვეული სოციალური ფენის, კერძოდ სამეფოს სპის უძლიერეს მებრძოლთა აღმნიშვნელი სიტყვა. მეფის შესახებ, რაც არ უნდა განსაკუთრებული ფიზიკური ძალის პატრონი იყოს იგი, არასოდეს არის ნათქვამი, რომ ის ბუმბერაზია. ისტორიკოსი მეფე-ჰაბუკის პეროიკული პორტრეტის ხატვისას ხშირად აღნიშნავს მის გოლიათობას, უშიშრობას, სიქველეს, მაგრამ არა ბუმბერაზობას, რადგან მეფე არ შეიძლება ბუმბერაზი იყოს. ბუმბერაზი მეფის ქვეშევრდომი და მისი ინტერესების დამცველია.

ლეონტი მროველი აგრძელებს ქართველ მეფეთა ისტორიის აღწერას. მირვან მეფის შემდეგ გამეფდა მისი ძე არშაკი, რომელიც იყო „ძლიერი ძალითა, დიდი და გოლიათი“ (გვ. 33). ამავე დროს ტახტზე პრეტენზიას აცხადებს ქართამის ძე ადერკი, რომლის შესახებ ლეონტი მროველი შენიშნავს: „და იყო კაცი ასაკით შუენიერი, ტანით დიდი და გოლიათი, მრავალგზის გამოცდილი იყო ბრძოლასა სომეხთა და ასურთასა, და მას მოეკლა მრავალი ბუმბერაზი, და სახელოვან ქმნილი იყო იგი“ (გვ. 33). არშაკისა და ადერკის ბრძოლა ნათლად წარმოაჩენს ლეონტი მროველის სპეციფიკურ ეპიკურ სტილს. ისტორიკოსი ქეშმარიტი შემოქმედისათვის დამახასიათებელი მოხდენილი მხატვრული ენით გვიხატავს ორი ჰაბუკის შერკინებას. ეპიზოდის დინამიზმი მკითხველს ფეოდალური ხანის ტურნირის უშუალო მონაწილედ ხდის. არშაკისა და ადერკის ბრძოლის აღწერა არ არის გამონაკლისი. ლეონტი მროველი საგმირო რომანებისათვის დამახასიათებელი სტილით გადმოგვცემს მეფის სუმბატ ბივრიატიანის შერკინებას ბაზოკ ოვსთა მეფესთან და მის მიერ ამ უკანასკნელისა და მისი ძმის ანბაზუკის, რომლებიც იყვნენ „თავნი გოლიათობისა ყოველისანი“, მოკვლას. სუმბატისა და ქართველთა მეფის სპათა ბრძოლის აღწერისას ლეონტი მროველი იყენებს ერთგვარ რეფრენს, რომელიც ახლავს მის მიერ აღწერილ თითქმის ყოველ ბრძოლას „და მოსწყდა ორგანივე ურიცხვ“. გარდა ამისა, აქვეა ბრძოლის აღწერის ეპიკური სტილისათვის დამახასიათებელი მხატვრულა შედარებებიც. ბრძოლის დროს „აღცდა მტუერი, და დღე ბნელ იქმნა ვითარცა ღამე. და აღრეულ იყვნეს ერთგან და ვერღარა იცნობდეს ერთმანეთსა მტურსა მისგანს“ (გვ. 47). ლეონტი მროველის თხზულებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფარსმან ქველის ისტორიას. პავლე ინგოროყვას აზრით, ფარსმან ქველის ისტორია „ცალკე დამთავრებულ ეპიკურ მოთხრობას წარმოადგენს, დაწერილს საგმირო რომანის კოლორიტული სტილით“¹⁵.

ლეონტი მროველი აღგვიწერს, რომ საქართველოში მეფობს ორი მეფე. ერთი მათგანის სატახტო ქალაქია მცხეთა, ხოლო მეორესი კი არმაზი. ეს მეფენი „იყვნეს მოყურობასა ზედა“ მანამ, სანამ მცხეთაში გამეფდებოდა მირდატ, არმაზში კი ფარსმან ქველი. ისტორიის ავტორი, ვიდრე მათ დაპირისპირებას და ურთიერთბრძოლას მოგვითხრობდეს, ახასიათებს ორივე მათგანს და მკითხველს ფარსმან ქველისადმი თანაგრძნობითა და სიყვარულით განაწყობს. მეფე მირდატის შესახებ ლეონტი შენიშნავს: „ესე მირდატ იყო კაცი ურვილი და მოსისხლე“ (გვ. 51), ხოლო ფარსმან ქველს კი ამგვარად ახასიათებს: „ფარსმან ქველი იყო კაცი კეთილი და უხუად მომნიჭებელი და შემნდობი, ასაკითა

¹⁵ პავლე ინგოროყვა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978, გვ. 413.

შუენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მკნე მკედარი და შემმართებული ბრძოლისა, უშიში ვითარცა უკორცო და ყოვლითავე უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა“ (გვ. 51). მირდატი სპარსთა შთაგონებით ფარსმანის ღალატით მოკვლას გადაწყვეტს, მაგრამ ფარსმანს გააფრთხილებს ერთგული თანამოძმე და მოსალოდნელ საფრთხეს თავიდან ააცილებს. ქართველები მხარში ამოუდგნენ გმირ მეფეს და მირდატი სპარსეთში აოტეს. ფარსმან ქველმა გააერთიანა არმაზისა და მცხეთის სამეფოები და მცხეთაში გამგედ მასსავით გმირი რაინდო ძუძუმტე ფარნავაზი განაწესა. რომლის შესახებ ლეონტი მროველი წერს, რომ იგი იყო „ეგრეთვე ქუელი და გოლიათი, სარწმუნო, ერთგული და მისანდობელი“ (გვ. 51). ამას მოსდევს მირდატის მიერ სპარსეთიდან დიდძალი ლაშქრის გამოყვანა და ქართლზე თავდასხმა.

მირდატისა და ფარსმან ქველის, აგრეთვე მათ სპათა ბრძოლების აღწერებისას კვლავ იკვეთება ლეონტი მროველისათვის დამახასიათებელი ეპიკური სტილი. (ბუმბერაზთა შერკინების ერთი თვალის გადავლებაც კი დაგვანახებს ისტორიკოსის სიახლოვეს გმირთა შერკინების ქართული ეპოსისათვის დამახასიათებელ მასშტაბურობასთან, რომელიც შემდეგ ეტაპზე თავს იჩენს მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“. ქვემოთ მოვიყვანთ მირდატისა და ფარსმანის სპათა ბრძოლის ეპიზოდს, რომლის მსგავსია მოსე ხონელის თხზულებაში აღწერილი არაერთი შერკინება ჭაბუკებისა და ბუმბერაზების: „და იწყეს ბრძოლად ბუმბერაზთა დღეთა მრავალთა და უკეთუ გამოჩნდის ბუმბერაზი სპარსთა შორის, რომელსა ვერ ებრძოდიან ბუმბერაზნი ქართლისა და სომხითისანი, მას ზედა განვიდის თვთ მეფე ფარსმან, ანუ სპასპეტი მისი ფარნავაზ, და ესრეთ აჯობიან და სძლიან. და მას ბრძოლასა შინა მოკლა ფარსმან მეფემან ჩვდმეტი ბუმბერაზი სპარსთა, ხოლო სპასპეტმან მისმან ფარნავაზ მოკლა ოცდასამი. მაშინ იყო სპარსთა შორის კაცი ერთი გოლიათი, სახელით ჯუმბერ, რომელი ლომსა ხელითა შეიპყრობდა. და მან სთხოვა ბრძოლა თავის-თავ მეფესა ფარსმანს. ხოლო ფარსმან ქუელი სიხარულით აღიჭურვა და განვიდა და აღიზახნეს ორთავე ხმითა სასტიკითა და მიეტევენეს ურთიერთს, და იწყეს ბრძოლად კრმლითა. და კმა ბრძოლისა მათისა ემსგავსა კმასა ქუხილისა და ტეხისასა. აჯობა ფარსმან, ჩამოაგდო და მოკლა“)(გვ. 52), ამგვარი ეპიზოდები ტიპურია ლეონტი მროველის თხზულებისათვის და საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ისტორიკოსის მიერ შექმნილი გმირის ჭაბუკ-ფალავანის პორტრეტს.

ჭაბუკი გვევლინება ლეონტი მროველის თხზულების იდეალურ გმირად, რომლის ძირითადი მახასიათებელი განუზომლად დიდი ფიზიკური ძალა, ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცე და ძალგულოვნებაა. ლეონტი მროველი ჭაბუკ-ფალავანთა, როგორც იდეალურ გმირთა, პორტრეტის შესაქმნელად მიმართავს ტრაფარეტულ ეპითეტებსა და მეტაფორებს, ფიქსირებულ ფორმათა განმეორებებს. არ არის გამოვლენილი ჭაბუკთა პიროვნული თავისებურებანი, ნაწარმოებებში აშკარაა სახეთა არა ინდივიდუალური ხატვის, არამედ მათი ერთგვაროვანი, ტიპური სახის ჩამოყალიბებისაკენ სწრაფვის ტენდენცია. გმირის იდეალში ერთიანდება თხზულების თითქმის ყველა ჭაბუკ-ფალავანთა თვისება. ისინი არ განირჩევიან საკუთარი პიროვნული თავისებურებებითა და მთლიანობით. მათი, როგორც ჭეშმარიტი ფალავნების, საგმირო საქმეები შაბლონურობით ხასიათდება. (ჭაბუკის ფიზიკური თვისებები ყველა გმირის ბიოგრაფიაში ერთნაირად გამოვლინდება. ღირსებად ითვლება არა გამორჩეულობა, არამედ მსგავსება მოცემული ჭაბუკისა დანარჩენ ჭეშმარიტ ჭაბუკებთან. ამ თვალსაზრისით ლეონტი მროველის თხზულება ენათესავება მოსე ხონელის

„ამირანდარეჯანიანს“. „ამირანდარეჯანიანის“ ჭაბუკები მებრძოლის ერთნაირი თვისებებით ხასიათდებიან, ერთმანეთის მსგავსად მოიპოვებენ საცოლეებს და გმირი ფალავნის სახელს იხევენ. რაინდული ყოფის ნორმებისა და ეტიკეტის დაცვის თვალსაზრისით მათ თავგადასავლებში პიროვნული, ინდივიდუალური არაფერია. ერთნაირია „ამირანდარეჯანიანის“ ჭაბუკთა მორალურ-ეთიკური აგებულებაც, თუმცა თავად ჭაბუკთა მორალურ-ზნეობრივი სახის წარმოჩენა მოსე ხონელის თხზულებაში გმირის ხატვის თვისებრივი სიახლეა, რასაც ლეონტი მროველის თხზულებაში ვერ ვხვდებით. ამ თვალსაზრისით მოსე ხონელის იდეალური ჭაბუკი უფრო სრულყოფილი და საინტერესოა. წინასწარი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჭაბუკ-ფალავნის ლეონტი მროველისეული წარმოსახვა, მსგავსად მოსე ხონელისა, ეპიკური კლიშე-არტახების ტყვეობაშია და იგი სრულყოფილებას ქართული საერო მწერლობის განვითარების შემდგომ ეტაპზე აღწევს) შოთა რუსთაველის მიერ შექმნილი რაინდის სახე ნათლად გვიდასტურებს, რომ იდეალურ გმირთა ტიპურობისა და ერთგვაროვნების მიღმა გმირთა თავისთავადი სულიერი სამყარო, მათი მკვეთრად განსაზღვრული ინდივიდუალურობაა.

ლეონტი მროველი შეგნებულად უსვამს ხაზს მის მიერ დახატულ გმირთა ერთგვაროვნებას, თვისებრივ მსგავსებას. ფარსმან ქველის შთამომავლის ამაზასპის შესახებ თხზულებაში ნათქვამია: „ესე ამაზასპ იყო კაცი ძლიერი და დიდი გოლიათი, მსგავსი ფარსმან ქველისა“ (გვ. 55). მისი ასეთი დახასიათება უკვე წინაპირობაა ბრძოლაში გამოჩენილი ზებუნებრივი სიძლიერისა. ისტორიკოსის სიტყვით. ამაზასპმა თხუთმეტი რჩეული ბუმბერაზი და აურაცხელი ცხენი მოკლა. ამაზასპის ბრძოლას კეთილი მიზანი აქვს. იგი წინააღმდეგობას უწევს ოსებს, რომლებიც მცხეთის დასაპყრობად გამოემართნენ. ამაზასპი იცავს საკუთარ მიწას, სამშობლოს. ქვეყნის სამსახურის იდეალი უდევს საფუძვლად მის თავგანწირვას. ლეონტი მროველის თხზულების იდეური ორიენტაცია სახალხო-სახელმწიფოებრივ იდეალებზეა აგებული. ამიტომ გმირთა პეროიკა მტრისაგან სამშობლოსა და ხალხის დაცვაზეა დაფუძნებული. ამაზასპის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ჭაბუკ-ფალავანს ზოშიერება და ეთიკურ-ზნეობრივი ნორმების დაცვა უცილობლად მოეთხოვება. მტერთან ბრძოლამ გმირი „მესისხლედ“ და უდანაშაულოს მკვლელად არ უნდა აქციოს, თორემ იგი კარგავს ეპიკური გმირის იდეალურობას და განწირულია დამარცხებისათვის. ოსებთან გამარჯვების შემდეგ, ლეონტი მროველის სიტყვით, ამაზასპს „შექქნა სილალე და იწყო მესისხლეობად და მოსწყვდნა მრავალნი წარჩინებულნი. და ამისათვის მოიძულეს იგი ერმან ქართლისამან“ (გვ. 57). მესისხლე ამაზასპს წინ აღუდგა დიდი ლაშქარი, „მარტოდმბრძოლი“ ამაზასპი დამარცხდა და მოიკლა მოწინააღმდეგის მიერ. სადევგმრო ხასიათის შემდეგი ეპიზოდი გვხვდება ვახტანგ გორგასლის ცხოვრების აღწერაში, რომელიც ტრადიციების მიხედვით ჯუანშერს მიეწერება.

„მეფეთა ცხოვრების“ და „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისას“ წაკითხვისას თვალშისაცემია შესამჩნევი მსგავსება ამ ორი ძეგლისა, რაზეც უპირველეს ყოვლისა, მეტყველებს ორივე მათგანში აღწერილი მეფე-ბუმბერაზთა და გოლიათთა ბრძოლა-შეტაკებები, რომლებშიც გამოკვეთილია შეუდარებელი მეომრის, ჭაბუკ-ფალავნის სახე. ჩვენი აზრით, „მეფეთა ცხოვრებისა“ და „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისას“ ავტორი ერთი და იგივე პიროვნებაა, კერძოდ ლეონტი მროველი; ამიტომ ქვემოთ ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ავტორად ლეონტი მროველი იქნება მოხსენიებული. სადევგმრო ხასიათის ეპიზოდებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვახტანგ გორგასლის ისტორიაში. ვახტანგ გორგასლის ბრძოლებს წინაპირობად მტრის თავდასხმა უძღვის. მამის, მირდატის, გარდაცვალების შემდეგ ვახტანგი მცირეწლოვანი დარჩა. ამით

ისარგებლეს ოსებმა, ქართლი შოაოხრეს, კასპი შემუსრეს და ტყვედ წაიყვანეს ვახტანგის უმცროსი და მირანდუხტი. როდესაც ვახტანგი თხუთმეტი წლის გახდა მოიწვია წარჩინებულნი და ოსთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა. ჯუანშერ სპასპეტი დაეთანხმა მეფეს, მხოლოდ ურჩია, რომ ლაშქრის წინამძღვრად თვითონ არ დამდგარიყო, მაგრამ ვახტანგმა უპასუხა, რომ ბრძოლას თავს ვერ აარიდებდა: „სიკუდილი მირჩევნია თავისა ჩემისა, ვიდრელა სიცოცხლესა“¹⁶ (გვ. 156). ოსებს ჰყავდათ „კაცი ერთი გოლიათი“, სახელად თარჯან. მან მოითხოვა ვახტანგის მეომართა შორის უძლიერესთან შებმა. მის წინააღმდეგ საბრძოლველად გავიდა ფარსმან-ფარუხი, რომელსაც, მსგავსად ფარსმან ქველის მიერ დამარცხებული გოლიათი ჯუმბერისა, „მრავალი ლომი კელითა შეეპყრა“ (გვ. 152). მაგრამ ფარსმან-ფარუხი პირველივე შეტაკებაში დამარცხდა ოსთა ბუმბერაზთან. ამ შედარების სახით ჩვენ საქმე გვაქვს ერთი ავტორის მხატვრულ ხერხთან, რომელიც ფარსმან ქველისა და ვახტანგ გორგასლის ძალასთან არაფრად მიიჩნევს იმ გოლიათთა სიძლიერეს, რომელთაც ლომის ხელით შეპყრობა ძალუძდა. ფარსმან ქველი იოლად ამარცხებს ჯუმბერს, ხოლო ვახტანგ გორგასალი ამარცხებს თარჯანს, რომელმაც თავის მხრივ პირველივე ორთაბრძოლაში მოკლა ფარსმან-ფარუხი. ავტორი ლეონტი მროველისეული სტილით აღგვიწერს ვახტანგისა და ფარსმან-ფარუხის ორთაბრძოლას.

მეორე დღეს ვახტანგს შებრძოლებას სთხოვს ოსთა ბუმბერაზი ბაყათარი. „იგი იყო გოლიათი, და რაფთვან დაეწყო მკედრობად, ვერვის დაედგნეს მისთვის ბრძოლასა შინა. და მოესრა ყოველი მბრძოლი მისი. რამეთუ იყო სიგრძე მშვილდისა მისისა თორმეტი მტკაველი და ისარი მისი ექუსი მტკაველი“ (გვ. 154). ვახტანგი არ შეუშინდა ოსთა ბუმბერაზს. ავტორი ეპიკური სტილისათვის ჩვეული დინამიზმით გვიხატავს მათ ორთაბრძოლას, რომელშიც ვახტანგი იმარჯვებს. მეფის ამ გამარჯვებამ ბრძოლის ეინი მოჰგვარა მის სპას. ქართველთა ლაშქარი და მათთან ვახტანგიც შეეხვედნენ ოსებს „და იქმნა ბრძოლა ძლიერი მათ შორის. ხოლო ვახტანგ უკეთუ მარჯუენით-კერძო იბრძოდის, მარცხენით-კერძო ძრწოდინ, და უკეთუ მარცხენით-კერძო იბრძოდის, მარჯუენით-კერძო ძრწოდინ. და ეგოდენსა სიმრავლესა სპათასა იცნობებოდა ხჳა ვახტანგისი. ვითარცა ხმა ლომისა“ (გვ. 156). ქართველებმა აოტეს ოსთა მებრძოლები. შემდეგ კი ოსეთი შემუსრეს და უამრავი ტყვე წამოიყვანეს.

„ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ მთლიანად გამსჭვალულია ზღაპრული, საღვევმირო სულით. ოცდაორი წლის ვახტანგ გორგასალს ასე გვიხასიათებს ავტორი: „და იყო იგი უმაღლეს კაცთა მის ჟამისათა, და უშუენიერეს სახითა და ძლიერი ძალითა. რომელ ჭურვილი ჭუეითი ირემსა მიეწიოს, უპყრის რქა და დაიჭიროს, და ცხენი ჭურვილი აღიღის მხართა ზედა და მცხეთით აღვიდის ციხესა არმაზისასა“ (გვ. 159). მეფე-ბუმბერაზის ამგვარი ჰიპერბოლიზებული დახასიათება ტიპურია ხალხური ეპიკური თხზულებისათვის. არ შეიძლება ქ არ გაგვახსენდეს ამირანი, რომელსაც „სადილად ბულა კამეჩი“, ხოლო „ვახშმად არც სამი ეყოფა“ და ჰგავს „შავსა ღრუბელსა საავდროდ გამზადებულსა“. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ „ქრისტე ღმერთმან ამირანს დაანათლა: გაქანებული ხის სიჩქარე და სიმარდე გაქანებულის ზვავისა და თორმეტუღელთა ხარ-კამეჩის ღონე და მგლის მუხლი, ბაღლობით სისაწყლე და სიბეჩავე, ვაჟ-კაცობაში ომი და ჭირსახდელი“¹⁷. გმირთა ძალისა და შესაძლებლობათა ჰიპერბოლიზაციის ხერხს, როგორც ზემოთ არაერთხელ დავინახეთ, ხშირად მი-

¹⁶ ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955. ქვემოთ ტექსტს ყველგან ვიმოწმებთ ამ გამოცემის მიხედვით.

¹⁷ მიხ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრ., გვ. 313.

მართავს „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი. ეს მხატვრული საშუალება გამოიყენება ჭაბუკთა დახასიათებისას მომდევნო ხანის საერო მხატვრულ ლიტერატურაში. მოსე ხონელის ჭაბუკები გაფრენილ ქორს ხელით იჭერენ, კატასავით ხოცავენ ლომებს მათრახით. გმირთა დახასიათებისას ჰიპერბოლას მიმართავს შოთა რუსთაველიც.

შემდეგი ორთაბრძოლა, რომელსაც ვახტანგი გადაიხდის, არის ვახტანგ გორგასლისა და ბერძენთა სპასპეტის პალეკარპოსის ომი. ამ ორთაბრძოლის წინ ვახტანგი ევედრება ღმერთს მისცეს ძალა დავითისა, რომელმაც გოლიათი დაამარცხა, რადგან პალეკარპოს სპასპეტი „მაყუედრებელად და შეურაცხებით მოუცდა ჯუარსა შენსა, რაჟამს იხილა ჯუარი აღმართებულად ძალად ჩუენდა, არა ივლტოდა მისგან, არამედ სასოებითა ძალისა მისისათა განვიდეს ბრძოლად“ (გვ. 175).

გაემზადნენ საბრძოლველად მოწინააღმდეგენი და შეიბნენ. მათი ბრძოლის აღწერისას ისტორიკოსი ჩვეულ ტიპურ შედარებას იყენებს, რომელიც არაერთხელ შეგვხვდა „მეფეთა ცხოვრებაში“ — „და იყო ხმა იგი ვითარცა ხჳა ქუხილისა“ (გვ. 175). ვახტანგმა ორად გაუპო თავი ურჩ მოწინააღმდეგეს. აქვე უეჭველად უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას ავტორი შემთხვევით არ ახსენებს ბიბლიურ დავითს. ჩვენ ზემოთ აღვნიშნავდით, რომ ვახტანგ მეფის სახის ჰიპერბოლური ხატვა ახალი მხატვრული ხერხი არ არის და იგი გვხვდება როგორც ძველ ეპიკურ ძეგლებში. ასევე კლასიკური ხანის საერო მხატვრულ ლიტერატურაშიც. აქვე უნდა გავიხსენოთ ძველი აღთქმისეული დახასიათება დავითის ძალისა. ყრმა დავითი, რომლის ძლიერებაშიც ყველას ეჭვი ეპარება, ასე უპასუხებს საულს: „მწყემსავდა შენი მორჩილი თავისი მამის ფარას და, როცა დაეცემოდა ლომი ან დათვი და გაიტაცებდა ფარიდან ცხვარს, გავეკიდებოდი, ვკლავდი და პირიდან გამოვგლეჯდი ხოლმე, თუ დამეცემოდა, ყბაში ჩავავლებდი ხელს და ვკლავდი“ (I მეფეთა 17, 34—35). ფილისტიმელ გოლიათთან შერკინების წინ დავითი ამბობს. რომ იგი უფლის ძალით ებრძვის გოლიათს. ისრაელის მხედრობის ღმერთის სახელით გადის საბრძოლველად, რომელიც გოლიათმა შეურაცხყო. ასევე ამბობს ვახტანგიც პალეკარპოსთან ბრძოლის წინ, რომ „არა ძალითა განძლიერდების კაცი, არამედ ღმერთმან მოსცის ძალი“ (გვ. 174). და მართლაც, როგორც დავითი გოლიათს, ასევე ვახტანგიც ამარცხებს მოწინააღმდეგეს. მხოლოდ დავითის გამარჯვების შემდეგ ეკვეთნენ ისრაელის მებრძოლნი ფილისტიმელებს. ასევე ვახტანგის გამარჯვებამ მისცა ძალა მის სპას, რომლებმაც განდევნეს ბერძენთა ლაშქარი. არ შეიძლება აგრეთვე არ გავიხსენოთ დავითისა და გოლიათის შერკინების ერთი დეტალი, რომელიც მოგვაგონებს ვახტანგისა და თარჯან გოლიათის ორთაბრძოლის ლეონტი მროველისეულ აღწერას.

გოლიათთან შებრძოლებისას დავითი ყრმა იყო, როდესაც საულმა შეიტყო, რომ იგი ფილისტიმელთან შებმას აპირებდა, გაუყვირდა და უთხრა: ვერ შეძლებ, რადგან ყრმა ხარ და ის კი გამოცდილი მეომარიაო. ხოლო როდესაც გოლიათმა დაინახა დავითი, „საცინად აიგდო, რადგან ყმაწვილი იყო“ (გვ. 17—42). გავიხსენოთ, როგორ შეხვდნენ წარჩინებულნი ვახტანგის გადაწყვეტილებას, როდესაც მან თარჯან გოლიათთან შებრძოლების სურვილი გამოთქვა: „მაშინ განკვრდეს წარჩინებულნი იგი, აყენებდეს ვახტანგს და მრავალ-ლონელ ზრახვიდეს, რათამცა დააყენეს ბრძოლისაგან, რამეთუ ყრმა იყო ვახტანგ, და არა იცოდეს გამოცდილება მისი“ (გვ. 152). ვახტანგის დანახვისას კი ოსთა გოლიათმა განაცხადა — „მე გოლიათთა და გმირთა გამოცდილთა მბრძოლ ვარ, არა ყმაწურილთა, გარნა შენ ზედაცა დავიმდაბლო თავი ჩემი“ (გვ. 153). ვახტანგ გორგასლის ცხოვრებასთან ამ ბიბლიური ეპიზოდის თანხვედრა, რა

თქმა უნდა, შემთხვევითი არ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ავტორი თავადვე ასახელებს დავითისა და გოლიათის ორთაბრძოლას. ლეონტი მროველი, მრავალი მკვლევრის აზრით, სასულიერო პირი იყო და არ არის გასაკვირი, რომ იგი შესანიშნავად იცნობს ძველ აღთქმას.

ისტორიკოსი აგრძელებს ვახტანგ გორგასლის გმირობის აღწერას. იგი ეხმარება სპარსთა მეფეს. ინდოეთში მან მოკლა თხუთმეტი ბუმბერაზი, რომელთაც არაერთი სპარსელი გოლიათი ჰყავდათ დამარცხებული. სინდეთს კი ვახტანგ მეფის ოთხმა წარჩინებულმა და ლეონ ბრძენმა მრავალი უძლეველი ბუმბერაზი მოკლეს. შემდეგ საბრძოლველად გამოვიდა თავად სინდთა მეფე, რომელიც იყო „მკნე გოლიათი და შემმართებელი“ (გვ. 189). დიდხანს იბრძოდნენ ბუმბერაზნი. ხან ერთი მხარე იმარჯვებდა, ხან მეორე. მაშინ სინდთა მეფემ ხერხი იხმარა, ერთი ბუმბერაზი გაგზავნა ვახტანგის ომში საწვევად, ათი კი ველზე გათხრილ სამალავში დამალა. ვახტანგ მეფის ეჭიბმა, საურმაგმა ბუმბერაზს განუცხადა, რომ იგი არ იყო ღირსი მეფესთან ბრძოლისა, თავად შეებრძოლა მას და დაამარცხა, მაგრამ ჩასაფრებულმა მხედრებმა მუხანათურად მოკლეს იგი. დამწუხრდა მეფე და თავად შეება სინდთა მეფეს. მათ ორთაბრძოლას ჩვეული დინამიზმით და ეპიკური თხრობისათვის დამახასიათებელი მხატვრული სახეებით აღგვიწერს ისტორიკოსი. ვახტანგმა დაამარცხა სინდთა მეფე, მაგრამ არ მოკლა იგი, პირიქით, სპარსთა მეფეს სთხოვა — შეეწყალე ბინა და ეპატიებია ურჩობა. სპარსთა მეფე დაეთანხმა მას, რის შემდეგაც სინდთა მეფე დაემოყვრა ვახტანგს. (აღსანიშნავია, რომ სინდთა მეფე არის ერთადერთი გმირი საისტორიო თხზულებისა, რომელიც ორთაბრძოლაში მარცხდება, მაგრამ მას მოწინააღმდეგე შეიწყალებს და არ მოკლავს. ჩვენი აზრით, აქ კვლავ თავს იჩენს ვახტანგ მეფის მსგავსება ბიბლიურ დავითთან. ვახტანგ მეფე კლავს მის მიერ დამარცხებულ ბუმბერაზებს: თარჯანს, ფარსმან-ფარუხს, ბერძენთა სპასპეტს პალეკარპოსს, მაგრამ ინდობს სინდთა მეფეს — საფიქრებელია, რომ მისი მეფობის გამო. მეფე ღვთის სწორი არსებაა და მასზე ხელის აღმართვა და მოკლა ცოდვად ითვლება ქართულ საერო მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ ჭაბუკებისათვის სამეფო პიროვნება ხელშეუხებელია, — მეფე, მტერიც რომ იყოს, მას მოსაკლავად მაინც არ გაიმეტებენ. ამბრი არაბი ინდობს ხანთა მეფეს, ამირანი — სინდთა მეფის ძეს, დელამთა მეფის ძეს, ზოსრო ხაზართა მეფეს. ამ უკანასკნელს იგი მიმართავს: „თუმცა ხელმწიფე არ ყოფილ იყავ, მო-მცა-მკედარ იყავ ხელითა ჩემითა“ (გვ. 69). ასევეა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“. ტარიელმა ხელმწიფობის გამო დაინდო როსტევეან მეფე, რომლის მონები მტირალი რაინდის შეპყრობას ლამობდნენ:

„მოვიხედენ, მომეწია რა პატრონი შენი, ვნახე,
ხელმწიფობით შემებრალნეს, ამაღ ხელი არ შევახე,
თვალთა წინა გამოვექეც, მეტი არა შევუზრახე“ (291, 1—2—3).

მეფისადმი, როგორც უფლის ცხებულისადმი, განსაკუთრებულია ბიბლიური დავითის დამოკიდებულება. მეფე საული არავითარ ხერხს არ ერიდებოდა დავითის მოსაკლავად, მაგრამ დავითმა არაერთხელ დაინდო მეფე; თავის მეომრებს, რომლებიც გამოქცეულში შემოსული საულის მოკვლას ურჩევდნენ, ასე უპასუხა: „ღმერთმა დამიფაროს, რომ ასეთი საქმე ვუყო ჩემს ბატონს, უფლის ცხებულს: ხელს როგორ აღვმართავ მასზე, რადგან უფლის ცხებულია იგი“ (I მეფეთა, თ. 24, 7). ასევე, როდესაც ისმაელიტელი ყმაწვილი დავითს მის მიერ საულ მეფის მოკვლის ამბავს მოუთხრობს, დავითი მისი დასაჩუქრების ნაცვლად ბრძანებს ღვთის მიერ ცხებული კაცის მოკვლისათვის ყმაწვი-

ლის სიკვდილით დასჯას. სიკვდილით დასაჯა დავითმა ისინიც, ვინც მალულად მოკლა საულ მეფის ძე იშბოშეთი. მეფე, როგორც თავისი სამკვიდროს მთავრად უფლის მიერ ცხებული, ხელშეუხებელია დავითისათვის. ამრიგად, სამეფო პიროვნებისადმი კრძალვა და მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება სათავეს იღებს ბიბლიაში, შემდეგ კი გვხვდება საერო მხატვრულ ლიტერატურაშიც. ჭაბუკთა ორთაბრძოლების დროსაც კი არ არის დავიწყებული მოწინააღმდეგეს სამეფო წარმომავლობა. მეტიც, იდეალური ჭაბუკის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი თვისება სწორედ მეფისადმი სამსახური და ღვთის სწორი არსების ხელშეუხებლობაა. საფიქრებელია, რომ სინდთა მეფის შეწყალება ვახტანგ მეფის მიერ მისი სამეფო წარმომავლობით აიხსნება.

როგორც აღვნიშნავდით, (ისტორიკოსი გვეუბნება, რომ სინდთა მეფე დაუმოყვრდა ვახტანგ გორგასალს. ამ ეპიზოდს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს საისტორიო თხზულებაში. მასში თავს იჩენს ზეპირსიტყვიერი ეპიკისათვის დამახასიათებელი მოწინააღმდეგესთან ბრძოლის შემდეგ დაძმობილების მოტივი. მომდევნო ხანის საერო ლიტერატურაში, კერძოდ, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“ მოწინააღმდეგეთა დაძმობილება ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ ძეგლში გამარჯვებული ფალავანი დამარცხებულ. მაგრამ ღირსეულ თანამოძმეს ჩვეულებრივ იწყნარებს და ძმობის ფიცს აძლევს. ამგვარად დაძმობილდნენ ამირანი და საბურ რაბაგის ძე, სეფედავლე თარისპანისძე და ამირანი, ამბრი არაბი და ინდო ჭაბუკი) ჩვენ განვიხილეთ „მეფეთა ცხოვრებისა“ და „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ის ეპიზოდები, რომლებშიც აღწერილია მეფეთა და ბუმბერაზთა ორთაბრძოლები. უნდა აღვნიშნოს, რომ წარმოუდგენლად ორი ფიზიკური ძალა და უაღრავ ბუმბერაზთან ბრძოლაში გამარჯვება საისტორიო თხზულებით მეფის პრეროგატივაა. ლეონტი მროველისეული იდეალური მამარი ჭაბუკი-ფალავნის თვისებათა მატარებელნი არიან მეფეები ან მეფეთა ბუმბერაზები. (საფიქრებელია, რომ სწორედ ისტორიოგრაფიაში აისახა პირველად ის უდავო ფორმულა, რომ რაინდის სრულყოფილებაში, როგორც მისი ერთ-ერთი ელემენტი, მაღალი სოციალური მდგომარეობაც იკულისხმება. მეფეები და დიდებულები არიან მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ ჭაბუკები და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ რაინდები.)

საისტორიო მწერლობაში დახატული მეფეთა და ბუმბერაზთა ბრძოლა-შეტაკებები სტილურად ენათესავება საერო მხატვრულ ლიტერატურაში გადმოცემულ სამხედრო-სარაინდო ეპიზოდებს. თვითონ ისტორიკოსი სხვადასხვა ბრძოლების აღწერისას იყენებს ტიპურ გამომსახველობით საშუალებებს. თხზულებაში უხვად გვხვდება პერსონაჟთა დახასიათებისას სტერეოტიპულობა. აგრეთვე ორთაბრძოლის აღწერის ეპიკური ფორმულები, გმირთა მოქმედების ერთგვაროვანი დინამიკა და აღწერა. ორთაბრძოლების აღწერის ერთფეროვნებაში გამოკვეთილია ბრძოლის განსაზღვრული წესები, რომელსაც იცავენ საისტორიო თხზულების ჭაბუკები. ცნობილია, რომ შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ლიტერატურული გმირისათვის — რაინდისათვის სახელი ბრძოლაში გამარჯვებას მოჰქონდა. მაგრამ ამ ბრძოლას ჰქონდა თავისი კანონები, რომელთა დაცვა მკაცრად მოეთხოვებოდა რაინდს. სწორედ ამ კანონებისადმი ერთგულებით განისაზღვრებოდა ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების ღირებულება. (ბრძოლის წესების არსებობა იკვეთება ლეონტი მროველის თხზულებაში, რომ არაფერი ვთქვათ მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანზე“, სადაც ყველა ბრძოლა ტარდება გამომუშავებული ნორმების, კანონების მიხედვით, ეტიკეტის შესაბამისად.)

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი გმირთა ერთგვაროვნების შესახებ. საქმე იმაშია, რომ ჭაბუკი იქცევა არა ინდივიდუალური ხასიათის მიხედვით, არამედ

იმის მიხედვით, ლიტერატურული გმირის რომელ კატეგორიას მიეკუთვნება იგი. ჩვენს შემთხვევაში ის არის მეომარი ჯაბუკი, ფალავანი, რომელსაც ბრძოლაში თავდადება და სიმამაცე მოეთხოვება. ერთგვაროვანია არა მარტო მეფე-ჯაბუკთა სახეები ისტორიკოსის თხზულებაში, არამედ მათი ბრძოლების აღწერაც. გარდა იმისა, რომ ბრძოლა განსაკუთრებულ წესებს ემორჩილება, თხზულებაში აშკარად შეინიშნება ავტორის მიერ ლიტერატურული ეტიკეტის დაცვა. ლეონტი მროველის მდგრადი ეტიკეტური ნორმები გარკვეული მინიშნების, იეროგლიფის თუ ფორმულის სახეს იღებს. ხშირ შემთხვევაში ამგვარი ფორმულები ცვლის მოქმედების ვრცელ აღწერებს, რეფრენის ფორმით გვევლინება და ისტორიკოსის თხრობას ზომიერი ლაკონიზმის ელფერს ანიჭებს. მაგალითად, უნდა აღინიშნოს, რომ „მეფეთა ცხოვრებასა“ თუ „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისაში“ აღწერილ მრავალ ბრძოლაში გამოყენებულია ერთი და იგივე გამოთქმები: „იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი“, „და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ“, „აღიზახნეს ორთავე და მიეტევნეს ურთიერთას“, „რომელსამე დღესა (ოღესმე) მათ სძლიან და რომელსამე მათ“, გმირი „აღჯდა ტაიქსა“, „სცნა ჰოროლნი“; მოწინააღმდეგის მოკვლისას ნათქვამია: „განავლო ზურგით წყრთა ერთი და ჩამოავდო ცხენიდან“. ლიტერატურული ეტიკეტი უფრო მრავალფეროვანია მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“. ჯაბუკთა ორთაბრძოლებისა თუ მრავალრიცხოვანი ლაშქრის ომების დროს მოსე ხონელიც ლეონტი მროველის მსგავსად ხშირად ხმარობს რეფრენს: „გაჯდა ტაიქსა და წავიდა“. მსგავსება შეინიშნება ბრძოლის წესებს შორისაც. როგორც „მეფეთა ცხოვრებაში“, ისე „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისაში“ ბრძოლის დაწყების წინ მოწინააღმდეგენი ბრძოლაში გამოსვლის წინადადებას აძლევენ ერთმანეთს: „სთხოვა ბრძოლა თავისთავ არშაკ ადერკის, ხოლო ადერკი სიხარულით აღიჭურვა“ (გვ. 34), ასევე სთხოვს შებრძოლებას ბაზუკი სუმბატ ბივრიტიანს, ჟუანშერმა „სთხოვა ბრძოლა თავისთავ მეფესა ფარსმანს“ (გვ. 52). ვახტანგ გორგასალს საბრძოლველად გამოსვლას სთხოვენ ბაყათარ და სინდთა მეფე. ომი და ასპარეზობა მოწინააღმდეგე მხარეთა წინასწარ შეთანხმების საფუძველზე ხდება მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანშიც“. ლეონტი მროველი საკმაო ცნობებს გვაწვდის მებრძოლის სამოსსა და მის იარაღზე. ისტორიული თხზულების გმირები ხშირად ცხენზე ამხედრებულნი იბრძვიან. მებრძოლ ჯაბუკს ამკობს ჯავშანი, ჩაბალახი, სარტყელი, შეიარაღებულია მისი ცხენიც. იარაღთაგან გვხვდება მშვილდ-ისარი, ჰოროლი, ჩუგლუგი, ხმალი, ლახუარი. დიდ ყურადღებას უთმობს ჯაბუკის ტაიქს მოსე ხონელი. იგი აგრეთვე ყოველი ორთაბრძოლის დროს აღნიშნავს, თუ რომელი იარაღით იბრძვის ჯაბუკი. „ამირანდარეჯანიანის“ ჯაბუკები ჩვეულებრივ ხმარობენ ხმალს, ლახტს, შუბს, მთრახს. კომბალს, მშვილდ-ისარს, კინენს. ჯაბუკს მოწინააღმდეგესთან შერკინებისას უეჭველად უნდა ცმოდა აბჯარი. გარდა აბჯრისა, მას უნდა ჰქონდეს ჩაბალახი — რკინის თავსაბურავი. ლეონტი მროველის მეომარი ჯაბუკები საბრძოლველად გასვლის წინ იცავენ ბრძოლის შემდეგ წესს: ისინი „აღიზახნენ კმითა საშინელითა“. ასე იქცევიან ადერკი და არშაკი, სუმბატი და ბაზუკი, ჟუანშერი და ფარსმან ქველი, ხუანხუა და ამაზასპი, თარხანი და ფარსმან-ფარუხი, პალეკარპოს ბერძენთა სპასპეტი და ვახტანგი. ასეთივე ბრძოლის წესი აქვთ მოსე ხონელის ჯაბუკებს. ბრძოლის ველზე ისინი იკეცხნიან თავიანთ სიძლიერეს, რითაც მოწინააღმდეგის შეშინებას ცდილობენ. საისტორიო თხზულებაში აღწერილ ურთიერთშერკინებათა დაწყების წინ მებრძოლი ჯაბუკები გარს შემოურბენენ ერთმანეთს, ასე იქცევიან არშაკი და ადერკი, ვახტანგი და სინდთა მეფე. ბრძოლის ეს წესი ასახულია მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანშიც“. ასფან მეფის ბუმბერაზისა და სინდთა მეფის ძის ორთაბრძოლის

აღწერისას ავტორი აღნიშნავს, რომ მოწინააღმდეგეებმა „შემოუვლეს ნავარდი ერთმანერთსა და შეიბნეს“ (გვ. 64).

საყურადღებოა „მეფეთა ცხოვრებისა“ და „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისაში“ ასახული დამოკიდებულება ორთაბრძოლაში გამარჯვებულისადმი. ჩვეულებრივ, გამარჯვებულ ჭაბუკს მადლობას სწირავენ და ქებას შეასხამენ ადერკის მიერ არშაკის დამარცხებისთანავე „გარდახდეს ყოველნი ქართველნი, და ცუივეს პირსა ზედა თვსსა და თაყვანის სცეს ადერკის“ (გვ. 35). აგრეთვე, როდესაც ვახტანგ მეფემ სინდთა მეფე დაამარცხა, „მაშინ ყოველმან სპამან კმითა მალლითა შეასხეს ქება ვახტანგს“ (გვ. 194). (გამარჯვებულის ქება და მისთვის მადლობის მოხსენება ორთაბრძოლის აუცილებელი ატრიბუტია მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“¹⁸ როდესაც ალი დილაშმა დიდი ლაშქარი დახოცა და გააქცია, დაბრუნებულ ყმას „მადლი უბრძანა ნოსარ“ (გვ. 25). მადლობას უხდის შაოსან ჭაბუკს ბადრი იამანისძეც: „მადლი მიბრძანა და წავედით“) (გვ. 16). ამირანსა და მის მსგავს ჭაბუკებს ყველგან „თაყვანი-სციან და ქება შეასხიან“ (გვ. 85, 88). სინდთა მეფის ძის გამარჯვების შემდეგ ნათქვამია — „ჩვენ გავვეხარნეს დიდად და შევესხით ქება სიმან სინდთა მეფისა ძესა“ (გვ. 64). გამარჯვებული ჭაბუკის ხოტბა ბრძოლის მაყურებლის მოვალეობაა. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, უხარია თუ არა მას ჭაბუკის გამარჯვება. ამირან დარეჯანისძე სეფედავლე დარისპანისძესთან შესარკინებლად მიდის, ებრძვის მას და მისსავე ქვეყანაში ამარცხებს. ამ ამბის გახსენებისას სავარსამისძე გოცებას ვერ მალავს: „მეფეთ-მეფეო, ნახე მოწვრთილობა დიდებულთა მისთა. თავმან მეფობისა თქვენისამან, ოდესცა დარეჯანისძემან აჯობის, გულსა შიგან განაღამცა უმძიმდათ, და ზეპირ სიხარული უგვანდის“ (გვ. 124). აქედან ჩანს, რომ დიდებულებმა იციან, რომ, მიუხედავად იმისა, უხარიათ თუ არა ჭაბუკის გამარჯვება, ვალდებული არიან სიხარულით მიესალმონ მას¹⁸. როგორც დავა ნახეთ, „მეფეთა ცხოვრებასა“ და „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისაში“ აღწერილი ბრძოლის წესები ანალოგიურია. აშკარა მსგავსება შეინიშნება ორივე ძეგლის სადევგმირო ეპიზოდებს შორის, რაც იმ მკვლევართა აზრს ადასტურებს, რომელთაც ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ისტორია „მეფეთა ცხოვრების“ შემადგენელ ნაწილად, ლეონტი მროველის თხზულებად მიაჩნიათ. საქართველოს ისტორიის მომდევნო ხანის, კერძოდ ბაგრატიონთა დამკვიდრების შემდეგდროინდელი ეპოქის, აღწერისას აღარ გვხვდება მეფეთა და ბუმბერაზთა ბრძოლა-შეტაკებები და ამდენად ეს კიდევ ერთი საფუძველია ლეონტი მროველის თხზულების საზღვრის დადგენისა.

(რაც შეეხება საისტორიო თხზულებაში ასახულ ბრძოლის წესებს, ისინა ემთხვევა მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“ აღწერილ ბრძოლის წესებს. საფიქრებელია, რომ ეს წესები დაკანონებული იყო ფეოდალური ეპოქის საქართველოში და ბუნებრივად აისახა კლასიკური ხანის როგორც საისტორიო, ისე მხატვრულ თხზულებაში.)

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ კლასიკური ხანის ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლების ის ეპიზოდები, რომლებიც ამჟღავნებენ ნათესაობას, ერთი მხრივ, უძველეს ეპიკურ შემოქმედებასთან, ხოლო, მეორე მხრივ, კლასიკური ხანისვე საერო მხატვრულ ლიტერატურასთან. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ აღწერილი მეფეთა და ბუმბერაზთა ბრძოლა-შეტაკებანი, ომის დროს ჭაბუკთა მიერ გამოჩენილი სიმამაცე ეპიკური სტილის ჭეშმარიტ შემოქმედს წარმოაჩენს. (საგმირო-საფალავნო ეპიზოდების საფუძველია ისტორი-

¹⁸ ო. გოლიაძე, „ამირანდარეჯანიანის“ ლიტერატურული ეტიკეტისათვის, „კრიტიკა“, თბ., 1988, № 1, გვ. 206.

ულ სინამდვილესთან შერწყმული არქაული ქართული ლეგენდა და ამავე დროს მასში თავს იჩენს რაინდული ყოფის ამსახველი მოტივები.) მოგვიანო ხანის სარაინდო რომანმა პეროიკული ეპოსისაგან ისესხა პეროიზმისა და რაინდული იმპერატივის მოტივი. ასევე არქაული ეპოსისაგან, რომელიც ზღაპრულ-მითოლოგიური თემებით არის გარემოცული, არის დავალებული ლეონტი მროველის საისტორიო თხზულებაც. საგულისხმოა, რომ გმირთა პეროიკისათვის და, საერთოდ, ჭაბუკ-ფალავანთა სახის თუნდაც ტიპურობისათვის დამახასიათებელი ჰიპერბოლიზაცია, ორთაბრძოლის ხატვის მასშტაბები ვერ ეტევა საისტორიო თხზულების ჩარჩოებში. ლეონტი მროველის ნაწარმოებში ასახული ზღაპრული თუ სადევგმირო ეპიზოდები ისტორიულ თხზულებას მხატვრულობის ელფერს ანიჭებს და ზრდის მის ლიტერატურულ ღირებულებას. (რაც შეეხება ისტორიკოსის მიერ სინამდვილის ასახვის აუცილებლობას, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ლეონტი მროველის თხზულებაში გაცხადებული პეროიკული პათოსი, თხზულების შინაგანი სტრუქტურა და სამყარო იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობის კულტურულ-ისტორიული თვისებების, გარკვეული სოციალური წახნაგების გამომხატველია. მით უმეტეს, რომ ამ თვალსაზრისით ისტორიული ძეგლი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ამავე ეპოქის საერო მხატვრულ ლიტერატურასთან, კერძოდ, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანთან“.) ამავე დროს ლეონტი მროველის თხზულებაში ასახული სახალხო წარმოდგენა საგმირო მრწამსზე, ჭაბუკობაზე ხალხური ეპოსის ელემენტებთან ღრმად თვისებრივ, ორგანულ კავშირს ავლენს. ჩვენ ხშირად ვახსენებთ ჭაბუკ-ფალავანს, როგორც ისტორიული თხზულების მთავარ გმირს. ლეონტი მროველის თხზულება მეფეთა ცხოვრებას ასახავს და ბუნებრივია, რომ მისი მთავარი მოქმედი გმირები უმაღლესი სამეფო წოდების პირნი არიან. თხზულებაში ხშირია მათი ბრძოლა-შეტაკებები, ავტორი ხაზს უსვამს მათ განუზომელ ფიზიკურ ძალას. ამგვარ ეპიზოდებში შედარებით მკრთალი ფერებით, მაგრამ მაინც გამოკვეთილია ჭაბუკ-ფალავნის სახე, რომლის ძირითადი მახასიათებელი საისტორიო თხზულებაში ბრძოლის ველზე გამოჩენილი სიმამაცე და ძალგულოვნებაა. ლეონტი მროველის ჭაბუკი არის პირველსახე რაინდისა. რომელიც კლასიკური ხანის ქართული მწერლობის მიერ შექმნილი იდეალური ადამიანის ახალი მოდელია. საფიქრებელია, რომ სწორედ ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებამ“ ჩაუყარა საფუძველი იმ ტენდენციას, რომ იდეალური რაინდის სრულყოფაში უეჭველად მისი სამეფო წარმომავლობაც იგულისხმება. როგორც აღვნიშნავდით, საისტორიო თხზულების გმირი მეფე-ჭაბუკი ორგანულად უკავშირდება უძველესი ხანის ეპიკურ გმირს, მასთან მრავალმხრივი ნათესაობით ხასიათდება.

ლეონტი მროველის თხზულება არის პირველი ძეგლი კლასიკური ხანისა, რომლის მთავარი მოქმედი გმირი იდეალური ფიზიკური თვისებებით შემკული ჭაბუკია. ჭაბუკ ფალავნის სახის მხატვრული სრულყოფისა და განვითარების შედეგია კლასიკური ხანის ქართული საერო ლიტერატურის ახალი გმირის — რაინდის სახე. ეპიკური გმირის ჭაბუკ-ფალავნის ახალ იდეალურ ლიტერატურულ გმირად — რაინდად ტრანსფორმირების თვალსაზრისით კლასიკური ხანის ისტორიოგრაფია, კონკრეტულად კი ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართულთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ჩათვლით, შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ გარდამავალ საფეხურად ქართულ ხალხურ ეპოსსა და საერო მხატვრულ ლიტერატურას შორის.

ОБРАЗ ЧАБУКА-ПАЛАВАНИ В ГРУЗИНСКОЙ
ИСТОРИОГРАФИИ КЛАССИЧЕСКОГО ПЕРИОДА

Резюме

Сочинение Леонтия Мровели «Жизнь царей» является одним из первых оригинальных памятников грузинской исторической прозы. Оно богато описаниями поединков между великанами и царями. В этих эпизодах в сравнительно блеклых тонах, но все же достаточно ярко вырисовывается образ «чабука-палавани», характеризующегося неимоверной физической силой и редкой храбростью на поле брани. Этот персонаж дает нам возможность проследить за развитием и становлением нового образа героя-рыцаря в грузинской письменности классического периода. В светской литературе этот образ появляется впервые именно в «Жизни царей» Леонтия Мровели. С точки зрения трансформации эпического героя «чабука-палавани» в образ нового идеального литературного героя-рыцаря, историографию классического периода, а именно «Жизнь царей» Леонтия Мровели следует признать переходной ступенью между грузинским народным эпосом и светской художественной литературой.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა
ს. ცაიშვილმა

მხატვრული სიმართლე ვასილ გარნოვის ისტორიულ რომანში „შურისგება“

მხატვრული ფანტაზიის ჩასახვისა და განვითარების საწყისები კაცობრიობის ისტორიის შორეულ წიაღშია საძიებელი. პირველი, ვინც მეცნიერული სიღრმით განიხილა მხატვრული შემოქმედების უზოგადესი კანონზომიერება, იყო ლიტერატურის თეორიის მამამთავარი არისტოტელე. კერძოდ, მან თავის „პოეტიკაში“ მკვეთრად გამოიჩინა საზღვრები, ერთი მხრივ, რეალურ სინამდვილესა და, მეორე მხრივ, მხატვრულ შემოქმედებას შორის: „ისტორიკოსი და პოეტა ურთიერთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ პირველი ლაპარაკობს იმის შესახებ, რაც მოხდა, მეორე კი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა შეიძლება მომხდარიყო. ამის გამო პოეზია უფრო ფილოსოფიურია და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ისტორია“¹.

ანტიკური კულტურის ცნობილმა წარმომადგენელმა კვანტუს ჰორაციუსმა ფლავუსმა ტრაქტატში „პოეტური ხელოვნება“ ნებისმიერი შემოქმედის ფანტაზიას სრული თავისუფლება მიანიჭა, ოღონდ ქმნილება უნდა ყოფილიყო მთლიანი, მარტივი და არ უნდა მოწყვეტილიყო რეალურ ძირებს: „მართალია, მხატვრებსაც და პოეტებსაც იმთავითვე თანაბრად აქვთ მინიჭებული უფლება, გაბედონ რაც ნებავთ, — ეს მე კარგად ვუწყი და ამ წყალობას თავადაც მოვითხოვ და სხვასაც ვერ ავუკრძალავ, ოღონდ ეს უფლება იმად როდი გვეძლევა, მშვიდი მძვინვარეს შევუერთოდ, გველი — ნიბლია ჩიტს, ვეფხვი კი ბატყანს!.. საქმე ისაა, რასაც ქმნი, იყოს მარტივი და მთლიანი!“².

ჩვენთვის საინტერესო საკითხი მთელი სერიოზულობით განიხილა დიდმა გერმანელმა მოაზროვნემ გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგმა. მან დაამტკიცა, რომ პოეზიას ხელოვნების სხვა დარგთან შედარებით, მხატვრული გამოსახვის უნივერსალური უნარი გააჩნია და მიუთითა, რომ: „მხოლოდ პოეტს შეუძლია მოგვცეს კაზმული ნაწარმოებები, რომელშიაც უარყოფითი შტრიხები იქნება და მათი შეერთებით, დადებითი და უარყოფითი სახეების შერწყმით ორი მოვლენა ერთში აისახება“³.

საერთოდ, როდესაც აღნიშნულ საკითხზე ვმსჯელობთ, უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ ის თავისებურება, რომ მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობა, მისი პოზიცია, ცხოვრების მოვლენებში ხედვის სიღრმე განაპირობებს კონკრეტულ ნაწარმოებთა სახეობრივ ქსოვილში გამოვლენილი მხატვრული სიმართლის დონეს, საკუთრივ, მხატვრულ სახეთა შემოქმედების სიძლიერეს. „მწერლის მთავარი ამოცანაა — აღმოაჩინოს თავის თავში მსოფლიოსადმი თავისი დამოკიდებულება და უნარი — დაინახოს მსოფლიო, იპოვოს თავისი მეთოდი, რომ ამის შესახებ, ყველას მოუთხროს. მართალია, როდესაც ამბობენ, მწერალს უპირველეს ყოვლისა სჭირდება თავისი თვალი და ხმა“⁴, — მიუთითებს ბ. ბურსოვი.

¹ არისტოტელე, პოეტიკა, თბ., 1979, გვ. 222.

² ჰორაციუსი, პოეტური ხელოვნება, თბ., 1981, გვ. 15.

³ ლესინგი, ლაოკონი, თბ., 1986, გვ. 84.

⁴ ბ. ბურსოვი, მხატვრულ სიმართლისაკენ, „ზევზდა“, ლენინგრადი, 1967, № 1, გვ. 205 (რუსულ ენაზე).

მხატვრული სიმართლის ერთ-ერთი უძირითადესი ნიშანია უნარი მწერლის მიერ იმ იდეის რეალიზაციისა, რომელზეც აგებს იგი თავის ქმნილებას. ხოლო დამოკიდებულება ამა თუ იმ ფაქტის მიმართ, რომელსაც მწერალი უკავშირებს თავის იდეურ-ესთეტიკურ კონცეფციას, თავისთავად სუბიექტურია და მხოლოდ შემდგომ „ნაწარმოებებში იძენს ობიექტური სიმართლის გამოხატულებას“⁵, — როგორც მიუთითებს ვ. ნოვიკოვი.

შეიძლება ითქვას, რომ იდეის გამოხატვის მხატვრულ დონეს ერთი მხრივ განაპირობებს მწერლის ინდივიდუალობა, მისი ტალანტი, მეორე მხრივ კი, თავად ის უნარი, რომელშიც ხდება ესთეტიკური იდეის მხატვრული ხორცშესხმა: „მხატვრულობა თავისთავად აჩვენებს იდეურობისა და ესთეტიკურობის განუყოფელობის ხარისხს, მასში აისახება სახის მახასიათებელი, როგორც რთული მთელისა“⁶, — აღნიშნავს ნ. გეი.

მწერლის იდეურ-ესთეტიკური კონცეფციის გამოსახვის ფუნქცია ძირითადად მხატვრულ სახეებსა და ტიპური ხასიათების თავისებურებას უკავშირდება. სიტყვიერი ხელოვნების სხვა კანონზომიერებებიდან ამ სფეროში მოქმედებს ფორმისა და შინაარსის ერთიანობის ფაქტორი, მხატვრულობაში აუცილებლად ვლინდება დეტალის, გარემოს, პერსონაჟთა აზრების სიმართლის შეგრძნება, მაგრამ, როგორც აღენიშნეთ, ძირითადად მხატვრული სახეებისა და ხასიათების მეშვეობით ხდება მაინც მწერლისეული იდეურ-ესთეტიკური კონცეფციის გამოხატვა, რომელსაც მწერლისეული ინდივიდუალობის ბეჭედი აზის. როდესაც ნ. გეი ეხება ლ. ტოლსტოის რომანს „ომსა და მშვიდობას“, ხაზგასმით მიუთითებს — „როგორი ობიექტური და ტიპურიც უნდა იყვნენ ტოლსტოის გმირები, ისინი მხოლოდ არსებობენ როგორც ტოლსტოისეული გმირები, მისი აზროვნების მიერ შექმნილნი“⁷. ყოველივე აღნიშნულის რეალიზაცია კი თავისთავად ხდება სიუჟეტის, კომპოზიციისა და სტილის მეშვეობით.

თავად ვასილ ბარნოვი, რომლის ერთ-ერთ ისტორიულ რომანში მხატვრული სიმართლის ჩვენებას ეხება ჩვენი სტატია, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მხატვრული თხზვის ოსტატობას. მისი აზრით, მართალია, მწერლის შემოქმედება რეალური სამყაროდან უნდა ამოდიოდეს, მაგრამ უმთავრესი ამ რეალობაში დანახული იდეისათვის საჭირო მასალის აღმოჩენა და მისი შემდგომი დახვეწაა. ვ. ბარნოვი პოეტს შემოქმედის ცნებასთან აიგივებს, რითიც მკაფიოდ გამოხატავს მის ძირეულ არსს: „აქ პოეტი შემოქმედია, იგი თვით მსოფლიოს მქნელი ძლიერებაა, მის ნაწარმოებს ფესვები დედამიწაზე უდგას. ცხოვრების სინამდვილეში, ქოჩორს და ტოტებს კი ლაყვარლ ცაში შლის დასამშვენებლად თავის ადგილისა, თავის მხარესი, თავის სამშობლოსი. მთელი ქვეყნისი“⁸. მოცემული მოსაზრების არსი მთელი სისრულით მიესადაგა თავად ვ. ბარნოვის შემოქმედებას. მან ხომ უდიდესი კვალი დატოვა ქართულ მწერლობაში, როგორც შემოქმედმა და როგორც პიროვნებამ. პიროვნებამ, რომელიც სიცოცხლეშივე „ფრესკად“, „ბიბლიურ მოხუცად“ მონათლეს. ხოლო მის მწერლურ სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული ისტორიულ რომანის, როგორც ჟანრული სახეობის კლასიკური ფორმის ჩამოყალიბება.

⁵ ვ. ნოვიკოვი, მხატვრულ სიმართლეზე, წიგნში: მხატვრული სიმართლის პრობლემა, მოსკოვი, 1971, გვ. 14 (რუსულ ენაზე).

⁶ ნ. გეი, სახე და მხატვრული სიმართლე, წიგნში: ლიტერატურის თეორია, მოსკოვი, 1962, გვ. 122 (რუსულ ენაზე).

⁷ ნ. გეი, ლიტერატურის მხატვრულობის შესახებ, წიგნში: სიტყვის ხელოვნება, მოსკოვი, 1967, გვ. 238 (რუსულ ენაზე).

⁸ ვ. ბარნოვი, თხზულებანი ათ ტომად, თბ., ტ. 10, 1964, გვ. 46.

როგორც ცნობილია, ვ. ბარნოვი უაღრესად ორიგინალური და თავისებურა შემოქმედია. მისი შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია მხატვრული სახეებისა და ხასიათების, ნაწარმოებების მთელი კომპოზიციური სტრუქტურის უმჭიდროესი კავშირი საკუთარ იდეურ-ესთეტიკურ კონცეფციასთან.

ისტორიული რომანის „შურისგების“ კომპოზიციურ სტრუქტურას და სახეობრივ ქსოვილს განსაზღვრავს მისადმი წამძღვარებული ეპიგრაფი: „არა დასცხრეს გულისწყრომა ჩემი წინააღმდეგთა ზედან ჩემთა და მივაგო მათ მისაგებელი!“⁹ აღნიშნული სიტყვები მომდინარეობს ესაია წინასწარმეტყველის თხზულებიდან. კერძოდ, პირველი თავის 24-ე მუხლში ვკითხულობთ: „ამისთვის ამათ იტყვის მეფე, უფალი საბაოთ ძლიერი ისრაჲლისა: ვაჲ ძლიერთა ისრაჲლისათა, რამეთუ არა დასცხრეს გულისწყრომაჲ ჩემი წინააღმდეგთა შორის, და მშჯავრი მტერთა ჩემთაგან ვყო“¹⁰. რომანის მხატვრულ ქსოვილში ზღება აღნიშნული ეპიგრაფის გაშლა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება სიუჟეტის უდიდეს ადამიანურ გრძნობას, ნაწარმოების სათაურითურთ მთვარის მთავარი ღვთაების თეთრი მხედრის სახეს, ხატის დიდ დეკანოზ აბდიშუს, და მიემართება ფინალისაკენ, რომელშიც შეყვარებულ წყვილთა უჩვეულო აღსასრულია აღწერილი.

რომანის იდეურ-ესთეტიკური საფუძვლის მეშვეობით ზღება შეჯახება რელიგიური ნორმებისა და სიუჟეტის ადამიანური გრძნობისა. ვერავითარი ძალა ვერ აჩერებს ღვაყაგს — ხატის კარიდან მოიტაცოს სამსხვერპლოდ ხელდასხმული სატრფო: „სხვა ვინ გაჰბედავდა შემართებას ძლიერ ხატისა, თუ არ მიჯნური!“¹¹, — აღნიშნავს მწერალი და რომანის მთავარ გმირს ორი სათაყვანები არსების — სამშობლოსა და სატრფოსთან ურთიერთობაში ხატავს. ეს ორი სახე ღვაყაგის არსებაში ერთდება როგორც განუყოფელი კომპონენტი, რომელთაგან ვერც ერთს ვერ მიანიჭებს უპირატესობას:

„მამულს, სატრფოს შეეწიროს სიცოცხლე შენი!

— ორივეს ერთად!

— გასწირე ერთი!

— არ ეგების ჭაბუკისაგან!

— შეებრძოლე ორთავიან დევს, იხსენ ორივე!...

— ვერ იტვირთებ, უშველო ორსავე, დაიღუპები.

— დავიღუპო მათ საშველად შემართებაში!...“¹².

ღვაყაგი მუდამ ამ ორი საფიცარის საკეთილდღეოდაა შემართული და კიდევ ეწირება მათ. რითიც ზღება ფაქტობრივად ისტორიული მასალისა და იდეური არსის გაერთიანება. კერძოდ, მას შემდეგ, რაც ღვაყაგი ხატის კარიდან იტაცებს სატრფოს, თეთრი მხედარი მას აღარ სწყალობს. აზოს ჯართან ბრძოლისას ღვაყაგი ვერ ხედავს, ვერ გრძნობს მის შემწეობას. ამდენად, მწერალი ერთგვარად ამზადებს ნიადაგს ფინალისათვის. აქ არ ჩანს — იმარჯვებს თუ მარცხდება ქართველთა ჯარი. მთელი ყურადღება გადატანილია შურისგებაზე, რომელშიც გარკვეული ფანტასტიკურობითაა აღწერილი მეუღლეთა აღსასრული, რომლითაც მწერლისეული გამონაგონი, ფანტაზია ზენიტს აღწევს. მკითხველის წინაშე ჩნდება კითხვა — თეთრი მხედარი თუ მთავარი დეკანოზი აბდიშუ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მეუღლეები იღუპებიან ისე, როგორც თეთრი მხედრის სამსხვერპლოზე შეწირვის წესია: „ხალხი ირეოდა სასახლეში. ყურადღებას არავენ აქცევდა. თვალყური იყო მიპყრობილი ბრძოლის ველისაკენ დიადი ომი დაწყებულიყო.

⁹ ვ. ბარნოვი, თხზულებანი 10 ტომად, თბ., ტ. 8, 1963, გვ. 346.

¹⁰ წინასწარმეტყველება ესაიასი, წიგნში: მცხეთური ხელნაწერი, თბ., 1985, I, 24, გვ. 73.

¹¹ ვ. ბარნოვი, იქვე, ტ. 8, გვ. 398.

¹² იქვე, გვ. 390.

სასახლიდან ხმა განწირული. გაეშურნენ. საშინელება: ქალი შუქზე გან-
გმირული თავის გალიაკში. დაჰსობოდა ლახვარი გვერდსა, გული გაეპო¹³...

„შეიჭრა ღვაჟაგ მტრის ლაშქარში. მიაპობდა, წინ მიდიოდა, მტრის ლაშ-
ქარი შეეცადა ზურგიტ კერძო შეეკრა რკალი. ვერ მოიმწყვდია...

— წინ მიიწევედა ღვაჟაგ თავის ჯარით...

— კიდევ ცოტა და ეს ბრძოლაც...

— დასჭრეს ღვაჟაგი!

— ჩამოაგდეს, მოჰკლეს ღვაჟაგი!

— დაჰსობია გვერდს ლახვარი, გულს გასწონია!“¹⁴.

გ. ბარნოვის ისტორიულ რომანებში, ბუნებრივად, სათანადო ადგილს ქარ-
თველი ხალხის ცხოვრებიდან აღებული ისტორიული მოვლენები იჭერს. ამას-
თან, მწერლის, როგორც შემოქმედის, სიძლიერე იმაშია, რომ მხატვრული
ფანტაზია, გამონაგონი ასახული ობიექტური რეალობის ტოლფარდ ადგილს
იკავებს მხატვრულ სახეთა შინაარსში.

„ქართლის ცხოვრებაში“ გადმოცემულია ალექსანდრე მაკედონელის მიერ
ქართლის დაპყრობის ცნობა: „ხოლო ოდეს გამოჩნდა ალექსანდრე ბერძენი
მაკედონელი და დაიპყრა დასავლეთი, შემდგომად დაიპყრა ეგვიპტე და შემო-
ვიდა აღმოსავლეთს, სძლო სპარსთა და მეფესა მათსა. მერე მოვიდა ქართლს...
და იხილა ნათესავი ესე უბოროტეს ყოველთა წარმართთა. ხოლო ამან ალექ-
სანდრემ მოსწყვდნა ყოველნი ნათესავნი შერეულნი. თვნიერ ქართლოსიანთა
და ურიათა, და დაიპყრა საქართველოს და დაუტევნა ლაშქარნი რჩ (ასი ათას-
ნი) და მათ ზედა მთავარი აზონ ძე იარედისა მაკედონელ“¹⁵.

ცნობილია, რომ აღნიშნული ფაქტის რეალობაში მკვლევრებს ეჭვი ეპარე-
ბათ. კერძოდ, გ. მელიქიშვილი მიუთითებს — „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრო-
ნიკაში ნათქვამია, რომ ალექსანდრე მაკედონელმა, საქართველოს დაპყრობის
შემდეგ (ცნობა ლეგენდარულია, ალექსანდრე მაკედონელს ქართლი არ დაუ-
ლაშქრავს) მცხეთაში მმართველად დატოვა არიან-ქართლის ძე აზო“¹⁶. ჩვენ,
რა თქმა უნდა, არ შევუდგებით აღნიშნული საკითხის სისწორის დადგენას; ეს
არც ჩვენს კომპეტენციაში შედის და ამდენად არც გვაინტერესებს, ჩვენს ყუ-
რადღებას უფრო მეტად თავად მოვლენის ისტორიულ წყაროებში არსებობა
იპყრობს, რაზეც მწერალი აგებს ისტორიულ რომანს — „შურისგებას“, რომ-
ლის მთავარ გმირს მცხეთის მამასახლისის სამარას ვაჟი ღვაჟაგი წარმოადგენს.
ისტორიული წყაროები მცხეთის მამასახლისისა და მისი ოჯახის შესახებ მეტად
ძუნწ ცნობებს იძლევა. მათში მხოლოდ აღნიშნულია, რომ ის იყო მომავალი
მეფის ფარნაოზის ბიძა, ხოლო ჰყავდა თუ არა მას ვაჟიშვილი — ეს არ ჩანს:
„უამთა ამათ შინა იყო ჭაბუკი სახელით ფარნაოზ ნათესავით ქართლოსიანი
და ბიძა ფარნავაზისა სახელით სამარა მოსლვასა შინა ალექსანდრე მაკედონე-
ლისასა მცხეთას მამასახლისობდა. ხოლო მოიკლა სამარა და მამა ფარნაოზისა
და ძმა სამარისა ალექსანდრესაგან“¹⁷.

ცხადია, მწერლისათვის აღნიშნული ფაქტორი დაუძლეველ წინააღმდეგობას
არ წარმოადგენს. იგი ქმნის მთავარი გმირის ღვაჟაგის შთამბეჭდავ სახეს, შემ-

¹³ იქვე, გვ. 412.

¹⁴ იქვე.

¹⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. 4, თბ., 1973, გვ. 54.

¹⁶ გ. მელიქიშვილი, ქართლი (იბერია) ძვ. წ. VI—IV საუკუნეებში, საქართველოს
საეფოს წარმოქმნა, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, ტ. I, თბ.,
1970, გვ. 437.

¹⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. 4, თბ., გვ. 55.

კულს რაინდული თვისებებით, რაც თავდაპირველად გადმოცემულია პორტრეტის მეშვეობით: „ჭაბუკი ღვაჟაგ გაჩენილი მებრძოლ ვაჟკაცად. ლალი ტანი მწყობრად ნაგები. ამირანის თვალნი დიდრონნი. მხრებზე ფენილი ფაფარი სამსონ გმირისა“¹⁸. რომანის მსვლელობის განმავლობაში ყალიბდება ღვაჟაგის სრული სახე. ეს არის ძლიერი, თავისთავადი ხასიათის მქონე ვაჟკაცა, რომელსაც მთელი სიძლიერით უყვარს სატრფო და მამული.

რომანში ხდება ისტორიული რეალობისა და მხატვრული გამონაგონის შერწყმა. სავსებით ბუნებრივია, რომ მხატვრული წარმოსახვა, ძირითადად განაპირობებს ისტორიულ რომანებში გამოსახული გმირების სახეთა ესთეტიკურ მომხიბვლელობას. ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედის ნაწარმოებში განსახოვნების საგნად აღებული ისტორიული მასალა ორგანულად ერწყმის ესთეტიკური ტკობის მიზანდასახულობას და ეპოქის სრულ წარმოდგენასთან ერთად მკითხველს არსებული ისტორიული მოვლენების თანაზიარად აქცევს. რომანში აღწერილ პერსონაჟთა უმრავლესობა მხოლოდ და მხოლოდ მწერლისეული ფანტაზიის ნაყოფია. მათ ისტორიული პროტოტიპები არ გააჩნიათ, მაგრამ მხატვრული რეალობის უტყუარი ნიშნით არიან შემკულნი.

მწერლისეული წარმოსახვის მხატვრული ქმნილებაა თუშეთის მამასახლისის ქალი შუქფე, შემკული ყოველგვარი სიკეთით. ვ. ბარნოვი მისთვის ჩვეულის ოსტატობით აღწერს ქალისა და ღვაჟაგის ყოვლისშემძლე სიყვარულის ისტორიას. საოცარი მხატვრული სიცხადითაა დახატული ქალ-ვაჟის შეხვედრას პირველი აცენა, როგორც დასაწყისი კეთილშობილური გრძნობისა. ამასთან, ამ მხატვრულ სურათში განცხადებულია ქალის პორტრეტიც: „იდგა ქალწული ტაბლით ხელში ვაჟის წინაშე. დახრილნი თვალნი. გიშრის წამწამთ დაეჩრდილათ ფიფქვით სახე. მაისის ვარდნი გადაფურჩქენილნი ღაწვთა არეში. მთვარულ ხატებაა ბაღის ბაგე ფიქრით მოცული. თავსაფრიდან ყურფი ტევრი გადმოჰკრაგნოდა... სხივთა ტალღებით აღსავსე თვალი ჩანთქეს ღვაჟაგი. განკფდა ჭაბუკი ქალის სახეს შეეწებნენ მისი თვალები“¹⁹.

რომანში საოცარი სიძლიერითაა წარმოდგენილი დიდი დეკანოზის აბდიშუს სახე. რომელიც მწერლისეული შემოქმედებითი ფანტაზიის ბრწყინვალე ნიმუშია. ამ პერსონაჟთან გარკვეულწილად თავა იყრის თხზულების სიუჟეტური წინააღმდეგობანი. აბდიშუს პორტრეტს ვ. ბარნოვი ლაკონიური მრავლისმეტყველებით გადმოსცემს, — „ხნიერი კაცი თმა-წვერ თოვლილი. ღრმად ესხდნენ თვალი“²⁰. დიდი დეკანოზი ძლიერი. გავლენიანი პიროვნებაა. მის „წინ ვერვინ წარუდგებოდა მებრძოლ ხატის სურვილთა მეტყველს, მისის ნების უკლებლივად არულების დარაჯს“²¹. მისი სახით მწერალი ხატავს უარყოფით ტიპს, რომელიც არაფრად აგდებს სხვათა კეთილშობილურ გრძნობებს. მეტიც, პატივმოყვარეობა განაგებს მის მოქმედებას, რომლის დასაკმაყოფილებლად იყენებს საკუთარ მდგომარეობას, მოქმედებს ხატის სახელით: „პირისპირ ბრძოლა წაგებულად ჩათვალა. საჭირო იყო მიემართა რაიმ ხერხისთვის. შეთამაშდა შავი გველი მის ღრმა თვალებში: მიაგნო ბნელ ხერხს“²². აბდიშუს დასახატად ვ. ბარნოვი ხშირად იყენებს მუქ ფერებს, რითიც კიდევ უფრო სახიერად წარმოჩნდება მისი უარყოფითი ბუნება და ქმედება: „დაადგა თვის გზა. აითრია თვისი არგანი. კვერთხის ბოლო მიჰხაზდა მიწას. გველის ნაცურად

¹⁸ ვ. ბარნოვი, იქვე, ტ. 8, გვ. 352.

¹⁹ იქვე, გვ. 376.

²⁰ იქვე, გვ. 381.

²¹ იქვე,

²² იქვე, გვ. 382.

ემჩნეოდა მიწას მისი ნაკვალი“²³, — მიუთითებს მწერალი იმ მომენტში. როდესაც დეკანოზი ხატის მონად გამოაცხადებს შუქფეს.

რომანში მოქმედება წარმართობისდროინდელ იბერიაში მიმდინარეობს. ამ პერიოდში უზენაეს ღვთაებად ითვლებოდა მთვარე. მწერალი ქმნის ყოველგვ ამის ამსახველ რეალურ-მხატვრულ სურათებს, რომლებიც ამავე დროს ისტორიულ წყაროებთან შეჯერებისას სიზუსტით გამოირჩევა და იკვეთება აგრეთვე შემოქმედის მხატვრული ფანტაზიის ინდივიდუალობაც.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი თავის გამოკვლევაში „ქართული წარმართობა“ ერთმანეთს უდარებს იბერიის საზღვრებთან ახლოს მდებარე, სტრაბონის მიერ აღწერილ ალბანეთის ტერიტორიაზე არსებულ მთვარის ღვთაების ტაძარში აღწერილ რიტუალს და კახეთის თეთრი გიორგის სახელზე აგებულ ტაძარში გიორგობის დღესასწაულის ამსახველ დეტალებს და მათ შორის მსგავსებას ხედავს. მეცნიერის მიერ გადმოცემული ფაქტები რამდენადმე ემთხვევა აგრეთვე რომანში აღწერილ სარიტუალო სცენებს. კერძოდ, როდესაც ხატის ხუცეაი აბდიშუ ეერ მიაღწევს, რომ მშვენიერი შუქფე მისი რძალი გახდეს, ქალს ხატის მონად აცხადებს: „და ყელს შეაბა თეთრი მხედრის სახე ნაჭედი, გაბრუნდა დიდი დეკანოზი. ხმა არღვის გასცა...“²⁴. ეს კი ნიშნავდა ქალს ხატის კარს უნდა ემსახურა დროებით, შეიძლება მუდმივადაც, შეიძლება მსხვერპლადც მოეთხოვა ძლიერ ხატს. უარის თქმა კი არ შეიძლებოდა. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „თავის გეოგრაფიაში სტრაბონი ამბობს: „ალბანელნი ღმერთებსაც თაყვანსა სცემენ მზესა, ზევსსა და მთვარეს. მეტადრე მთვარეს. მთვარის ტაძარი იბერიის მახლობლად მდებარეობს. მეფის შემდგომ ყველაზე უფრო პატივცემულ კაცად ის ითვლება, ვინც ტაძარს ემსახურება, იგი დიდსა და მჭიდროდ დასახლებულს ხატის მამულს განაგებს და ხატის ყმების უფროსად ითვლება, რომელთა შორის ბევრი ქადაგად დაეცემა და წინასწარმეტყველებს ხოლმე, იმას, ვინც მეტად აღტაცებული ტყეებში მარტოკა დახეტილობს, ქურუმები დაიჭერენ, კისერზე ჩაქვს დაადებენ და ერთი წლის განმავლობაში ზვარაკად კარგად ასუქებენ ხოლმე, მერე მას მირონცხებულს სხვა საღმრთოებთან ერთად ღმერთს მსხვერპლად შესწირავენ ხოლმე. მსხვერპლად შეწირა ამაირად იციან: ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ჩვეულებრივ ლახვარის შუალებით იციან ხოლმე. ერთი კაცი, რომელსაც ამგვარი ლახვარი აბარია, ხალხიდან გამოვა და ხერხიანად ლახვარს გვერდით შიგ გულში ჰკრავს ხოლმე“²⁵. რომანში ასეთივე უფლებებით სარგებლობს აბდიშუ, რომელიც განაგებს ხატის მონებს. ვისაც უნდა იმას გამოაცხადებს ხატისაგან ხელდასმულად აგრეთვე მსხვერპლშეწირვის რიტუალის მხატვრულ სურათში „შეკარად იგრძნობა მწერლის მიერ ეპოქის ღრმა ცოდნა.

რომანში ფიგურირებს თეთრი მხედრის სახე. როგორც მთვარის ღვთაებრიობის ძლევაშემოსილი სიმბოლო. იგი მეგრძოლი ხატია და ბრძოლის დროს ეხმარება იბერიის ჯარს: „ზეშთა ძალებში პირველია თეთრი მხედარი. თვით ბადრი არის ბნელ-ბოროტთან მედგრად მეგრძოლი. ხორცს შეისხამს ხანდახან განგი. იბერიელთ სასიკეთოდ მძლეთა მძლედ იბრძოლებს თეთრ რაშზედ მჯდარი, თეთრად მოსილი. თვით თუთი არის ვერცხლებლივი შუქით ბრწყინვალე.

— ხან წითლადაც...

— როს ამოვა ბნელ-ბოროტის სისხლით ლტობილი“²⁶.

²³ იქვე, გვ. 383.

²⁴ იქვე.

²⁵ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1979, გვ. 90.

²⁶ ე. ბარნოვი, იქვე, ტ. 8, გვ. 384.

ამდენად, რომანში ხაზგასმულია თეთრი მხედრის მამაკაცური საწყისი, რაც საბრძოლო თვისებებში გამოიხატება. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს: „სწორედ ამ ისტორიულმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ქართველების საწარმართო სარწმუნოების მთავარ ღვთაებად მთვარე, ღმერთი მამაკაცი ითვლებოდა“²⁷. რომანში წამყვანი ფუნქცია სწორედ თეთრ მხედარს ენიჭება, მას უკავშირდება ნაწარმოების სათაურიც და წამძღვარებული ეპიგრაფიც. თავის მხრივ, მასთანაა აგრეთვე დაკავშირებული დიდი დეკანოზის აბდიშუს სახეც და ეს ყოველივე ერთ მხატვრულ სიბრტყეში განიხილება, ერთ ხაზად მიემართება რომანში. მეორე ღვაწაგ-შუქტეს რომანული ხაზია. მათი შეჯახებით კი ხდება ისტორიული რეალობის და მხატვრული გამონაგონის შერწყმა.

ყოველ კონკრეტულ გმირსა თუ ხასიათს ნაწარმოებში მოქმედება უხდება გარკვეულ ეპოქასა და გარემოში, რაც მჭიდროდ უკავშირდება დეტალების მეშვეობით აზრის მკაფიოდ გამოხატვის მწერლისეულ ტალანტს. როდესაც ვ. ბარნოვის რომანებში მხატვრული სიმართლის გამოხატვის ოსტატობაზე ვსაუბრობთ, უსათუოდ გათვალისწინებული უნდა იქნეს აღნიშნული ფაქტორი. მწერალი პერსონაჟთა გამოხატვისას უდიდეს ყურადღებას აქცევს მათ სამოსს, რაც ემსახურება გმირის შინაგანი მხარის მხატვრულ ჩვენებას. მწერალი ღროის, ეპოქის, სოციალური მდგომარეობის და სიტუაციის მიხედვით გამოხატავს გმირთა აღკაზმულობას.

ვ. ბარნოვი გარემოს ამსახველი სურათების მეშვეობით სრული სიძლიერით ფლობს სიტუაციის გამოხატვის მხატვრულ შესაძლებლობებს. იგი ზუსტად იყენებს ისტორიული ეპოქის გამოსახატავად საკულტო-სამეურნეო ნივთებს, მათ სახელწოდებებს, ჩაცმულობას თუ საომარ აღკაზმულობას, რის მეშვეობითაც ხელშესახები და მისაწვდომი ხდება ამა თუ იმ რომანში ასახული ეპოქის სული.

ისტორიულ რომანში „შურისგება“ რეალური სიცხადითაა ასახული წარმართობისდროინდელი იბერიისათვის დამახასიათებელი სურათ-ხატები. მთვარის ღვთაების ღღესასწაულის ამსახველი დეტალები, მსხვერპლშეწირვის რიტუალი, თეთრი მხედრის მებრძოლი სახე-ხატი, პერსონაჟთა აღკაზმულობა, გარემოს აღწერა და თვით უმცირესი დეტალიც კი ემსახურება ეპოქის მხატვრულ წარმოჩინებას და მის რეალურ აღქმას:

„მზე ჩაესვენა. ცა მოწმედილი. მოჰბერავდა ნაზი ნიავე. უამრავი ხალხი მლოცავად. მოზრდილი ვაკე ხელუხლებელ ტყით მოზღუდვილი. ზედ შუაზედ იდგა ნიში თეთრი მხედრისა. ძველი მუხა ტოტებგანრთხმული. ხატის სამსხვერპლო. ყვავილებით თუ რტოებით უხვად მორთული. სამსხვერპლო ზედ დაღაგებით კვარის სიმრავლე.“

შემოღამდა. აჩირადდნდა მრავალ ადგილს წმინდა სანთელი. დაჰკრა სამგზის ხუცესმა სარეკს. წამოიშალნენ. პირი ქმნა ხალხმა აღმოსავლეთისაკენ. ამოცურდა სავსე მთვარე, შედგა მთის ფხაზედ. მთელი ხალხი დაეცა მუხლზედ. ძნობა, გალობა, ღაღადისი ხუცესთ სიმრავლის... ბადრი მთოვარე დიდებულად მიცურავდა ვარსკვლავთ შორის. დაფიქრებული დაჰმზერდა თვის მოსავ იბერს. არ ილიმებოდა. მძიმედ თრთოდნენ მის სახეზედ ვერცხლის სხივები“²⁸.

ასევე მაღალმხატვრულადაა აღწერილი რომანში მსხვერპლშეწირვის რიტუალი, რომლის მხატვრულ სურათში მოვლენის არსთან ერთად სრული სიცხადით აღიქმება ეპოქის სიღრმისეული წვდომა: „მიუძლოდა დეკანოზი ყავარჯნით ხელში. მოსდევდნენ მას თეთრად მოსილნი. აღგზნებული სანთლები ხელში... ჭახკახებდა წმინდა ადგილი. სავსე მთვარე მიცურავდა ცის კაბადონ-

²⁷ ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 100.

²⁸ ვ. ბარნოვი, იქვე, ტ. 8, გვ. 394.

ზედ. მსხვერპლი ნიშის წინ. დასდეს ქედზედ რკინის უღელი. მუხლისთავით გარეშემო შემოატარეს. აჰხადეს ტვირთი. გაემართნენ სამსხვერპლოსაკენ. დაუაზლოვდა ბადრი განგი აღნიშნულ ადგილს.

— ცოტაცა და მიაღწევს ის, სად უნდა იდგეს შეწირვის წამსა.

— გარს ერტყმიან ხატის მსახურნი.

— წარსტყვამს ეხლა დეკანოზი მცირე რამ ლოცვას და...

— გვერდს დაესობა ტარიგად თქმულს წმინდა ლახვარი²⁹.

„შურისგებაში“, საკულტო-რელიგიური სურათების ამსახველი დეტალების გარდა, მოცემულია საყოფაცხოვრებო ზნე-ჩვეულებების ამსახველი მხატვრული სურათები. რითიც აგრეთვე დამაჯერებლადაა მიღწეული ისტორიული ეპოქის მხატვრულ ქსოვილში გამოხატვა. ამის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს შუქტეს ეგრისის სასახლიდან მცხეთაში მოყვანის მხატვრული სცენა:

„უთვალავი ხალხი მისჯროდა. დიდებულნი შეჰყვნენ დარბაზში. აქ უნდა დასრულებულიყო ქორწილის წესი: კერიის მფარველ ხატისათვის უნდა წარედგინათ ქალი, დაელოცნათ, ჩაებარებინათ ოჯახი. ართეზანის მეუღლე ასრულებდა ამ წესს. მიიყვანეს კერიასთან შუქტე. სასახლის ხუცესმა წარსტყა ლოცვა, დაამწყალობა. კერა დარბაზში. დედაბოძის წინ. შეაყდრა კერის მფარველ ხატს. შემოატარა კერის გარშემო. დაამღერეს დარბაზში მყოფთ საგალობელი. მარჯვნივ კედელში თახჩა იყო დატანიბოლი. ახადო თარდა. გადმოიღო გამხმარი რტო წმიდა მუხისა. ზედ ეხვია ნაწნავები განსვენებულ დიასახლისის. სიწმინდის წინ მოიხარა კრებულმა თაჲი. შუქტემ მუხლი მოიდრიკა ნეშტის წინაშე. მოუთხრა რძალმა:

— ამ დიდ ოჯახს დიდებული დიასახლისი ჰყვანდა. დაიცვა მან კერა სიწმიდით, სამაგალითოდ. ცოტა სიცოცხლე ჰქონებოდა მინიჭებული. გარდაიცვალა. დარჩა თვალი თავის ოჯახზედ. მას უხილავად სდარაჯობს ეხლაჲ. მისი აქ ყოფნის ნიშანია ეს მისი თმანი. შეჰხედავო. იტყოდო გულში: ვემსგავსო იმას! მასაგითვე ქმედი იყავ, სიკეთით სავსე. იბერიის დიასახლისთ მაგალითად შენ ჰყევხართ ეხლა!

მიიყვანა შუქტე ღვაჯაგთან. ქალის ხელი ჩაუდვა ხელში³⁰.

როგორც აღვნიშნეთ, ვ. ბარნოვი რომანში ეპოქის აღსაქმელად საგანთა შესატყვის სახელწოდებებს და გამოთქმებს იყენებს. ამასთან საჭიროდ მიგვაჩნია, სტილთან დაკავშირებით, გავიხსენოთ არისტოტელეს აზრი. რომელიც შესანიშნავად აქვს განმარტებული ცნობილ ქართველ მეკლევარს გრ. კიკნაძეს: „არისტოტელე საგანგებოდ განიხილავს მეტყველების სტილის რაგვარობის საკითხს იმის მიხედვით, თუ რა საგანზეა ლაპარაკი. ის სწერს, სტილი მაღალი ან დაბალი კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა შეეფარდებოდეს მეტყველების საგანს... არისტოტელე მიუთითებს, რომ სტილის შერჩევა მოითხოვს საგანგებო დაკვირვებას. წინასწარ არის მოსაფიქრებელი, თუ ისეთნაირადვე რა მოუხდება მოხუცს, როგორც ჰაბუქს უხდება მეწამული ფერის წამოსასხამი. ვინაიდან ერთსა და მეორეს ერთი და იგივე არ შეეფერება. საერთოდ, არისტოტელე არა ერთხელ იმეორებს იმ აზრს, რომ სტილი უნდა შეეფარდებოდეს საგნის ბუნებას, ვინაიდან მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, რომ მან ნამდვილად ასაჯოს, გამოხატოს საგანთა ხასიათი³¹. რაც შეეხება ამ მხრივ ვ. ბარნოვს, მისი სტილი ბრწყინვალეა, ხასიათდება თავისთავადობით, საკუთარი სპეციფიკურობით. მისი პერსონაჟები მეტყველებენ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ-

²⁹ იქვე, გვ. 394—395.

³⁰ იქვე, გვ. 403—404.

³¹ გ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957, გვ. 4—5.

ლი ენით. ყოველ საგანს ეპოქის დამახასიათებელი, მისთვის შესატყვისი სახელწოდება გააჩნია. პერსონაჟთა სამოსი, თუ გარემოს ამსახველი დეტალები მაღალმხატვრული შესატყვისობითაა გადმოცემული. ყოველთვის ეს კი ერთიანდება ერთ საერთო სტილში, რომელიც ქმნის ვ. ბარნოვის რიტმულ პროზას.

ჩვენ მიერ ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ვ. ბარნოვის ისტორიულ რომანში „შურისგება“ იდეურ-ესთეტიკური შემოქმედებითი საფუძველი განაპირობებს რომანის სახეობრივ ქსოვილს.

ვ. ბარნოვის რომანებზე დაკვირვება ნათელყოფს, თუ რაოდენ ღრმად იცნობს მწერალი საქართველოს ისტორიას. საერთოდ, როგორ უკვირდება იგი ასახვის საგნად აღებულ ისტორიულ პერიოდს. სწორედ ეს ქმნის არსებით საფუძველს. რომლის მეშვეობითაც მისი ნაწარმოებების ყოველ კომპონენტში მწერლისეული გამოხატონი, მხატვრული ფანტაზია და ისტორიული სინამდვილე ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს.

М. Г. ПЕРАДЗЕ

ХУДОЖЕСТВЕННАЯ ПРАВДА В ИСТОРИЧЕСКОМ РОМАНЕ ВАСИЛИЯ БАРНОВА «ШУРИСГЕБА» («ОТМЩЕНИЕ»)

Резюме

Композиционную структуру и образную ткань исторического романа «Шурисгеба» («Отмщение») определяет предосланый автором эпиграф, вытекающий из сочинения пророка Исаии.

В романе ведущая роль принадлежит образу Белого всадника, с ним связана и суть заголовка произведения, и предосланного ему эпиграфа. В свою очередь связан и с образом великого жреца Абдишу, и все это рассматривается в одной художественной плоскости и проходит одной линией в романе. Другая органическая линия — Гвашад-Шукфа. В столкновении этих двух линий происходит слияние исторической правды и художественного вымысла.

Внимательное прослеживание романов Барнова обнаруживает, как глубоко знаком писатель с историей Грузии, как пристально вглядывается он в отображаемый период истории. Именно это создает существенную основу для присутствия в каждом компоненте произведения писательского домысла, то есть художественная фантазия и историческая действительность в нем естественно сливаются.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიის განყოფილება
წარმოადგინა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

„სული უღალთა ანათ და უვალთა გზათა სლვად“

(„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ მიხედვით)

ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, არსებობს იმ ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება, სადაც მყარადაა დაცული პაგიოგრაფიულ ტრადიციათა ქარგა — სამონასტრო ცხოვრება და მისი მკაცრი წესები, საეკლესიო მშენებლობა, წმინდანთა ცხოვრება და მათი ურთიერთობანი, ავტორის დამოკიდებულება სასულიერო წოდებაში, საეკლესიო და საერო პირთა ურთიერთობანი, სასწაულთქმედებანი, ლოცვანი, წინასწარმეტყველებანი, გამოცხადებანი და სხვა. რაღა თქმა უნდა, ყოველივე ეს ნაწარმოებში ათეალისწინებულია, მაგრამ, განსხვავებით იმ პაგიოგრაფიული ძეგლებიდან, სადაც მეუდაბნოე მამათა ცხოვრებებია აღწერილი, ამ ნაწარმოებში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია არა თვით მშენებლობის პროცესზე, არამედ ნაჩვენებია „სვლა“, „გზა“ — საკმაოდ მძინარე რთული, რომელიც ამ დიდ მოძღვრებაში, სამონასტრო მოძრაობისთვისაა უამახასიათებელი. მაგალითი თუ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ წარმოიჩენილია სასულიერო პირთა ცხოვრება და მათი ურთიერთობანი ეკლესიათა მშენებლობის პროცესში, ჩვენს მკაცრად დაკანონებული საეკლესიო რეჟიმს და მთლიანად ნაწარმოები გაშლილია საეკლესიო მშენებლობის ფონზე. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ წინაა წამოწეული მზადება საეკლესიო მშენებლობისათვის, უფრო სწორად, მზადება პიროვნებისა ამ გზაზე, სანამ ეკლესიის მშენებლობა დაიწყება. მხოლოდ შემდეგაა ნაჩვენები მშენებლობის პროცესი, ეს გზა არის ხიდი სასულიერო პირის პირველდაწყებული ნაბიჯებიდან — დიდ მოძღვრამდე. გზა იერარქიულია, და იმისათვის, რომ მაღალი ბოლო საფეხურს, უნდა დაძლიო ყოველნაირი წინააღმდეგობა, ამ გზის პროცესში ნაჩვენებია ის რთული გზა, რასაც წმინდანის გზა ჰქვია, ეს არის გზა თმენისა, მორჩილებისა, აიმაბლისა, ამ გზამ უნდა გამოსცადოს მოწაფე და გახადოს ჭეშმარიტი მოძღვარი.

„ნეტარ არიან უბიწონი გზასა მავალნი შჯულსა უფლისასა“¹ ეს არის „იწრო და საჭირველი გზაჲ, მიმყვანებელი ზეცისა ქალაქად, რომელი ხუროთმოძღვარ და შემოქმედ ღმერთი არა“ (320).

იმისათვის, რომ განვლო ეს იწრო გზაჲ, ამისათვის ბასილ საჭიროდ მიიჩნევს:

1. გაავდეს ღირსეული მამა და მოძღვარი:

„ყოლად განთქმულმან და დაუთა ნიშთა მოქმედმან მიქაელ აღზარდნა და სრულებად სათნოებისა აღიყვანნა ივანი, ვინცა ხედვიდეს საღმრთოსა მას მოქალაქობასა მისსა“ (322).

2. იყო ღირსეული მოწაფე და ემსგავსო შენს მოძღვარს, რომ შემდეგ შენი მოღვაწეობით ემსგავსო ქრისტეს:

„ყოვლითურთ მობაძავ მისსა იქმნების“; ან „ვითარცა ხარ მონაჲ ღმრთისა სიტყვსაჲ, მიემსგავსე ქრისტესა მეუფესა“ (346).

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V—X სს.), ილია აბულაძის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 319 (ქვემოთ მიუთითებთ მხოლოდ გვერდებს).

3. თვით გახდეს მოძღვარი და აღზარდო მოწაფეები, რომლებიც სხვებს დაიმოწაფებენ:

„მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ სცემდით სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა“ (320).

4. შენმა მოწაფეებმა გალიარონ და მოგბაძონ შენ:

„ხოლო ჯერ-არს ჩუენდა, ძმანო, რაჟთა ჩუენცა ძალისაებრი ვაჩინოთ ბაძვაჲ დიდისა მის მოძღუარისა და მწყემსისაჲ“ (321).

ეს გზა განვლეს დიდმა მამებმა, რომელთაც ბასილი პირველ მამებს უწოდებს. ესენი არიან: პავლე თებელი, დიდი ანტონი, მაკარი, ეფთჳმი, საბა, გერასიმე დიდთა უდაბნოთა მაშენებელნი — „მაშენებელნი იგი, პირველად — სული იგი და მადლი საღმრთოჲ, და მერმე — მის მიერ აღძრულნი წმიდანი იგი მამანი, რამეთუ აღაშენა რაჲ წმიდაჲ და დიდი უდაბნოჲ ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი. ხოლო ამისა შემდგომად მოვიდა მუნიით და აღაშენა უწყებითა საღმრთოჲთა მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათაჲ, ადგილსა კლდოვანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდიან... რამეთუ მიქაელ იყო აღმშენებელი, რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოხის საკვირველთ-მოქმედისაჲ“ (322). ბასილი ამ პირველ მამებს სწორედ იმიტომ ახსენებს, რომ, როგორც ვთქვით, საჭიროა ყველა, ამ რთული საქმის წამომწყები ემსგავსოს მათ და ამ მსგავსებით მიუახლოვდეს ქრისტეს. „იესუ ქრისტე..., რომელმან ან ცათ აღმოაბრწყინა ვითარცა რაჲ ელვა-ცისკროვანებაჲ ახალთა ამათ მნათობთაჲ... რაჟთა ვითარცა მთიები ბრწყინვიდენ პირსა ყოვლისა სოფლისასა და ბაძვად საღმრთოთ მოქალაქეობისა“ (320). ასევე სერაპიონი ემსგავსა თავის მოძღვარს — მიქელ პარეხელს — „ყოვლითურთ მობაძავ მისსა იქმნეს“ (322). ამის შემდეგ სერაპიონს უფლება აქვს დაადგეს ამ რთულ და დიდ გზას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბასილს, მიქაელი შიოს მოწაფედა ჰყავს მოხსენიებული, რამაც საეჭვო გახადა ნაწარმოების ქრონოლოგიის საკითხი. ამ პრობლემას მრავალი მეცნიერი ეხება. მათ აზრებს ჩვენ აღარ გავიმეორებთ, რადგან ყველა მოსაზრება კარგადაა ერთად თავმოყრილი ნათელა ვაჩნაძის მონოგრაფიაში — „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო“; აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მეცნიერთა ერთ ნაწილს მიქაელის მოღვაწეობა შიო მღვიმელის პერიოდში VI ს-ში გადააქვს და თვლის, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული მიქაელი და სერაპიონის მოძღვარი მიქაელი სხვადასხვა პიროვნებები არიან; ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ X ს-ის ნაწარმოებია და გადამწერის დანაშაულად მიიჩნევს იმას, რომ დაქარაგმებული სახელი მან სწორედ ვერ ამოიკითხა და ნამდვილი სახელის ნაცვლად „შიო“ ჩაწერა. ნაწარმოების ქრონოლოგიის საკითხის გარკვევა ცალკე კვლევის საგანია და ჩვენ ამის განხილვას არ ვაპირებთ, მხოლოდ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ ცნობაზე, რომელიც ბასილს მოჰყავს ნაწარმოების დასაწყისში, როდესაც პირველ მამებზე ლაპარაკობს — „უამთა ამათ ჩუენთა არლარავის კელ-ეწითების მსგავსებაჲ პირველთა მამათაჲ, რამეთუ განგებითა რაჟთმე და საღმრთოჲთა მიფარულ არს“ (320).

ეს პირველი მამები ცნობილი მეუდაბნოები იყვნენ და, როგორც ბასილი აღნიშნავს, აღარავინ გამოჩენილა მათი მსგავსი, ე. ი. მეუდაბნოე, და აი, გასულადრო და გამოჩნდა მიქაელი, რომელიც მონასტრებს კი არ აშენებს, არამედ მარტოდმყოფი მეუდაბნოეა, რომელიც პარეხს ეხიზნება; ე. ი. მიქაელი მეუდაბნოე მარტოდმყოფი ბერების ტრადიციის გამგრძელებელია და არა ახლად წამოწყებული სამონასტრო მოძრაობისა. როგორც ცნობილია, ქართული სამონაზვნო მოძრაობა ორი საფეხურისაგან შედგება: პირველი — წმინდა მამათა

ცხოვრებანი, მეუდაბნეობითი ხასიათისა; ესაა ქვაბოვანი ცხოვრების ეპოქა, რომელიც წარმოიშვა V—VI ს-ში და გრძელდება VIII ს-ის ჩათვლით. მისი დამწერგავნი არიან მეუდაბნოე მარტოდმყოფნი „ათცამეტი ასურელი მამა“ — იოანე ზედაზნელი და მისი მოწაფეები; მეორე საფეხურია — სამონასტრო ცხოვრება, მეუდაბნეობითი ეპოქის დასასრულის წმინდა მამათა ცხოვრებანი, რომელიც მეუდაბნოეების წიაღში ჩაისახა და განვითარდა VIII—IX ს-თა მიჯნაზე. ესაა სამონასტრო მოძრაობის, აღმშენებლობისა და სამონასტრო ცხოვრების დამკვიდრების ეპოქა. მისი მოთავენი არიან კლარჯეთის მეუდაბნოენი, გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფეები, რომლებმაც კლარჯეთში, აფხაზეთში და სამცხეში ააშენეს, განავრცეს და დასაბამი მისცეს სამონასტრო მშენებლობას საქართველოში. სერაპიონ ზარზმელი ამ დიდ სამონასტრო გზაზე, ტაძრის შენებისა და მონასტრის დაარსებისთანავე სათავეში უდგება ქვაბლიანის ხეობის სამონაზვნო მოღვაწეობას. განსხვავება გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობასა და სერაპიონ ზარზმელის მოღვაწეობას შორის ისაა, რომ გრიგოლი ტაო-კლარჯეთის გავრანებულ, მტრისაგან გადაბუგულ ადგილებში იწყებს მონასტრების მშენებლობას, ხოლო სერაპიონი მიდის იმ ადგილებში, სადაც უკვე არსებული მონასტრები (მათ შესახებ შემდეგ ვილაპარაკებთ) და თავისი მოღვაწეობით უფრო აძლიერებს მათ როლსა და მნიშვნელობას. ე. ი. თუ გრიგოლ ხანძთელი სამონასტრო ცხოვრების სულისჩამდგმელია, სერაპიონ ზარზმელი ამ მოძრაობის გამგრძელებელი და განმამტკიცებელია. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ აღწერილი ამბები ეხება დიდ სამონასტრო მოძრაობას, რომელსაც საქართველოში ადგილი ჰქონდა VIII—IX ს-დან. ამ დროის ყველა მოღვაწე აარსებს მონასტრებს და სამონასტრო კომპლექსებს, რაც ნაწარმოებიდანაც ჩანს — „მცირედ იგლოვეს მამათა ლავრისათა ჯერისაებრ“ (342). ნახსენებია — „ლავრა“, რომელიც იყო სამონაზვნო ცენტრი, მის გარემოცვაში კი იმყოფებოდა სამონასტრო კომპლექსი. მიქაელ პარეხელი ამ დროს არის მეუდაბნოე ბერი, ისეთივე როგორიც იყვნენ ასურელი მამები, კერძოდ შიოც. ე. ი. მიქაელი დიდი დროის შემდეგ (როგორც ბასილი აღნიშნავს) შიოს საქმის გამგრძელებელია, მისი მოწაფეა. მოწაფე კი არ ნიშნავს უშუალოდ იმ პირს, რომელიც აღზარდა მასწავლებელმა. მოწაფე შეიძლება იყოს ის პიროვნებაც, რომელმაც შეისისხლხორცა, შეითვისა, შეიყვარა ამა თუ იმ მოღვაწის აზრები და მიაი ცხოვრების წყაროდ ეს იდეები აქცია. ასევე, მასწავლებელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი პერიოდის მოღვაწე იმ პიროვნებისათვის, რომელმაც გაიზიარა მისი იდეები, აზრი, შეხედულება, მსოფლმხედველობა. აქედან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია, მიქაელი, რომელიც სამონასტრო ცხოვრების პერიოდში მეუდაბნოე ბერია, შიოს მოწაფედ ყოფილიყო მიჩნეული, როგორც მისი საქმის გამგრძელებელია.

მიქაელ პარეხელი იმ დროის ცნობილი და დიდი მოღვაწეა, რაც საკმაოდ კარგად ჩანს ნაწარმოებიდან, როდესაც გიორგი ჩორჩანელის მიერ წარგზავნილ ხალხს სერაპიონი და მისი მოწაფეები უხსენებენ მიქაელის სახელს — „მოწაფენი ვართ დიდისა მის და განთქმულისა მიქაელ პარებელისანიო“, „თაყუანისსცეს ხატსა მას ცხოველსა“, რამეთუ „სახელი დიდისა მის მოძღვრისაჲ ესმა“ (326) და ასევე თვით გიორგი ჩორჩანელიც: „ესმა რაჲ, ვითარმედ მოწაფენი მიქაელისნი არიან, ირწმუნა ჳეშმარიტებაჲ სიტყუათა მათთაჲ და განახარა და წარვიდა ხილვასა მათსა“ (326). გიორგი ჩორჩანელი იყო მფლობელი „მრავალთა ტაძართა“ (324). ამ მონასტრებიდან ყველას თუ არა, უმეტესს ეყოლებოდა თავისი წინამძღვრები. გარდა ამისა ჩორჩანელთან ერთად არიან ბერებიც — „თანა წარიყვანნა ხუსესნიცა საცეცხლურ-საკუმეველებითა“ (326), ე. ი. გიორგი ჩორჩანელისათვის სასულიერო პირებთან კავშირი და ურთიერ-

თობა ჩვეულებრივი და არაფრით გასაკვირი არ იქნებოდა. მაგრამ იგი განსაკუთრებული აღფრთოვანებით ხვდება სერაპიონსა და მის ძმებს, რადგან მათი დაწყებული საქმე დიდ მიქაელ პარეხელთანაა დაკავშირებული.

ასე რომ, სერაპიონს ჰყავდა ისეთი ღირსეული მასწავლებელი და მოძღვარი, რომლის წყალობითაც თვით აღიზარდა და გახდა ღირსეული მოწაფე მისი: „ამას რაჲ ყოველსა ხედვდეს წმიდანი იგი. ვითარცა მაგალითთა კეთილითა კეთილთა შთახედვიდეს მსგავსად კელოვანთა მხატვართა და მისმიერთა ძაღლთა მოღებთა აშენებდეს საფუძველსა ზედა სწავლათა მისთასა არა თივასა ლერწამსა. არამედ ოქროსა. ვერცხლსა და თუალთა ანთრაკთა. ხოლო მის მიერ შეყვარებულ იყვნეს ვითარცა კეთილად მიმღებელნი სწავლათა მისთანი. ამოივსევითარითა საქმიითა აღასრულეს ჟამი მრავალი წინაშე მისსა და ყოვლითურთ მობაძვე მისსა იქმნნეს“ (322).

იმის შემდეგ, რაც სერაპიონი ემსგავსა თავის მოძღვარს, მიქაელ პარეხელს, ააჭირო გახდა მისი გამოცდა იმ დიდ გზაზე, რომელსაც წმინდანის გზა ჰქვია. სერაპიონის ამ დიდ გზაზე დაყენება იყო სურვილი არა მხოლოდ მოძღვრისა, არამედ უფლისა. რომელიც მოველინა ღამის ლოცვისა ჟამს მღვდმარე მიქაელს — „განკვრეებაჲ რაჲმე დაეცა და აღიტაცა ზეცად და იხილა ვინმე, ვითარცა მღვდელ-შუენიერად შემოსილი. და ეტყოდა მას. რაჲთა მის მიერ განსწავლულნი იგი მოწაფენი მყის წარავლინნეს ქუეყანად სამცხისა. რომელ არიან სერაპიონ და იოვანე“ (322). მიქაელი მოძღვრავს სერაპიონს და უხსნის

გზის სირთულეს. უხსნის, რომ იგი უფლისგან რჩეულია. რომლის წინაშე „შეუძლებელ არს ბრძანებასა საღმრთოსა მცირედცა წინა-განწყობაჲ“ (323), რომ ის არის გზა „ჯუარისა ოდენ მარტოდ ტვრთვისა“ (323). ამ გზაზე „ცხოვრილი ხატე განკაცებისა მისისაჲ : ტვრთით და ეგრეთ განხვდეთ, რაჲთა აღ-რაჲ-აშენოთ წმიდაჲ ეკლესიაჲ. მას შინა აღმართოთ იგი თაყუანის-საცემელად და სენთა და უძღურთა განმდევნელად და სულთა მრავალთა მოსაქსენებლად“ (323). და ბოლოს მოუწოდებს: „არა დააკლდე საღმრთოსა გვრგვნსა მორჩილთასა.... და მზა-ყავ თავი შენი სლვად გზათა და თანამოგზაურ შენდა

ძმად შინი იოვანე და ოთხნი ძმათა ამათგანნი“ (323). ამის შემდეგ სერაპიონი მიქაელს აღარ ეწინააღმდეგება — „შეიტკბეს ურთიერთას წმიდათა მათ, ეგრეთვე მსგავსად ყოველნი ძმანი და ლოცვაჲ წმიდისაჲ საგზალ თვისსა ყვეს“ (323).

როგორ გზებზე უხდებათ სიარული წმინდა მამებს?

„უდაბნო შეცეულ ტყეთა და კევთა“. „მოიწინეს მთასა მას, ვითარცა სიმაღლისა ცისა აღძრულნი. ...რომელსა ბერასჯუარ ეწოდების“. „შთამოვიდეს და-ასრულესა მას კევისასა, რომელ არს უტყვსა“. „მოვიდეს ადგილსა რასმე ძინძედ სახელ-დებულსა, რამეთუ უდაბნო იყო“. „წიად მოვლეს რაჲ მდინარე იგი

მოვიდეს დასავალით მისსა, ვითარ ორ მილიონ, ადგილთა ყოლად ტყეთა და უვალთა კაცთა მიერ“. „მიმო-რაჲ-ვიდოდეს კირით და შრომით ადგილთა მათ იწროთა“. „არა იპოვა ადგილი ველოანი და ფართოებით შემწყნარებელი მათი“ (323—324).

მიუხედავად ამისა, მამები ბედნიერნი არიან, რომ ასეთ რთულ ადგილებში უხდებათ სიარული. ეს „გზა“ ორი მნიშვნელობის მქონეა. ერთი, რომ გეოგრაფიულად მართლაც ძნელი და დაუძლეველია და, მეორე, წმინდანობისათვის გამოსაცდელი. ეს ლაბირინთები უნდა გაიკვლიონ და გავიდნენ ნათელში. ამიტომაც განიხარეს ფრიად და ასეთ მიუვალ ადგილას გადაწყვიტეს შენება: „განიხარეს დიდითა სიხარულითა და გულსავსებით მეცნიერ იქმნეს, ვითარმედ არა ცუდ და ამო არს გზაჲ იგი საჭიროებით სლვისა მათისა“ (324). გარდა ამ სირთულეებისა, მათ გზაზე ხვდებათ კაცნი „ყოვლითურთ მკეცებრივ და უწი-

რავ და ბორც“ (324). ამიტომაც ძნელი გასაგები გიორგი ჩორჩანელისათვის მათ მიერ ეკლესიის ასაშენებლად არჩეული ადგილი. „...ყოვლითურთ უქმ და უღუაწ არს ადგილი ესე, და ყოლად უღონოდ გხედავ თქუენ მსგავსად მოცაქულთა... აწ უკუე არს ადგილი, რომელი მარჯუე არს და მომზავებელ ამათ საქმეთა... რაჟთა მუნ აღვაშენოთ მონასტერი, რამეთუ აქა შეუძლებელ არს ყოლად რაჟსაცა ეგვევითარისა საქმედ“ (327). მიუხედავად გიორგი ჩორჩანელი დიდი თხოვნისა, სერაპიონს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ამ უკაცრიელ. უდაბურ და კაცთაგან მიუვალ უდაბნოში დაიწყოს ეკლესიის მშენებლობა „მარგალიტნი და თუალნი პატიოსანნი მიმოგაბნეულ რაჟ იყვნენ თანა-აღრვით მიწისა, არა ესრეთ ბრწყინავენ წინაშე თუალებსა ხილვის — მოყუარებასა, ვითარ-იგი რა ჟამს გამოიჭურვნენ და განწმდენ და ოქროთხულებიო შეიწყვნენ კეთილთა მიერ მკედელთა, მაშინდა გამოჩნდეს ბრწყინვალებაჲ მათი და იქოს მუშაკი და შუენიერებაჲ მათი. ეგრეთვე ადგილი ესე რაჟამს კელ-ყონ კელოვანთა მუშაკთა (327), მაშინ იხილოს თუალმან მხილველთამან შუენიერებაჲ ადგილსა ამის“.

თითქოს ყველაფერი ნათელია, სვლა დასრულებულია და მონასტრის მშენებლობაც უნდა დაიწყოს, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ბოლომდე წარმოჩენილიყო სერაპიონის ძლიერება და, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიისათვის ადგილი ნანახიცაა და შერჩეულიც, იწყება ხელახალი ავლა. „...გა-პყევ და ხვალე განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე რაოდენი შემოწერ თუ მოვლონ, მიმიცემიეს მათდა“ (328) და „აღდგა წმიდაჲ იგი და ძმაჲ მთავარიოვანს და ერთი ძმათა მათგანი და წარემართნეს“... და იწყეს სვლად პირაჲ

მდინარისასა... და ვითარ ვლეს, მიიწინეს შესაქრებელთა ორთა მათ წყალთა რომელსა საძმო ეწოდებოდა“ (328). გადავიდნენ კევს ყოვლად „ღრმ და უღალს, რომელსაც გოდერძისა ეწოდების“, გადიან კვლავ უდაბურ და ბნელთ მოცულ ადგილებს, სადაც „არღარა ვახილეთ ცაჲ ანუ მზისა შარავანჯლი“; ბოლოს მიაღგებიან მცირე დაბას, სადაც დაუხვდებათ კაცი „ვინმე კეთლი და მკცოვანი“ — ია (329). რომელიც გაოცებისაგან იკითხავს „...რა გვხას უგზოთა და უვალთა ადგილთა სლვა“ (329). ეს კეთილი კაცი თანამოგზაურად გაუხდებათ და წარემართებიან აღმოსავლეთით, გადიან მაღალ და ტყიან ქედებს და აღიან უმაღლეს მწვერვალზე, რომელიც ყოფილა „შეაყრბელი ხაღირთა ველისაჲ და ბაკთა ეწოდების“ (329). საიდანაც მოჩანდა ტ „აღრეული ლილითა... რომელსა სათაყუე ეწოდების, და არს შინა სიპრავლთაჲთა და სხუათა ნადირთაჲ და დოდთაჲ შფოთთა და ბრძოლათაჲ“ (329).

ადგილას თავს იყრიდნენ ნადირთა მდევარნი, მონადირენი, „რომელნი კლვად-ცა მზა რიან თვთოეულისა“ (329—330). მონადირეებმა წმინდა მამები ტბა სიბალოვს არ გააყარეს და მათ „გარე-უკუ-მოუქცინეს“ და მიაღგნენ ქედის ჩასავალს, „რომელ არა იყო ყოლად კუალი მგზავრობისაჲ და არცა ვჩაჲ (330). წმინდა მამები ამ გასაჭირის ჟამს, იას საშუალებით, უკავშირდებიან „კაცსა სახელოვანსა და კეთილსა“ (330) — გარბანელს. მისი დანმარებით გაიარეს „გზაჲ რაჟმე იწროჲ და ძნიად საჭირველი“ (331). ჰაგიოგრაფი, გარდა ბუნების საოცრად დრამატული აღწერისა, ყურადღებას ამახვილებს წმინდა მამების ფიზიკურ მდგომარეობაზეც. ფიზიკურად დაუძლურებულთ და ღონემიხდილთ გარბანელი შესთხოვს — შეწყვიტონ სვლა და დროებით მასთან მოისვენონ: „შეუძლებელ არს უღალთა ამათ და უვალთა გზათა სლვად“ „და ვხედავ წყლულებს ფერკთა თქუენთასა და გვედრები, რაჟთა მცირედ განისუენოთ მაშურალობისაგან მგზავრობისა თქუენისა... რამეთუ არღარ არს ჟამი სლვისაჲ“ (331). ანდა — „ჭირით და შრომით დაყოვნებულნი ვითარცა სიზრქით აღმურისაჲთ ანუ სიღრმით უყისაჲთ აღმოშობილნი“ (331). მიუხედავად ასეთი ფიზიკური მდგომარეობისა, მამები გზას

აგრძელებენ და წარმოუდგენელი ტანჯვა-წვალების შემდეგ უბრუნდებიან პირ-
ვანდელ ადგილს — „ხოლო გვხილენეს რაჲ ძმათა მუნ მყოფთა, ცრემლოდეს
ჩუენთა ზედა, რამეთუ სამოსელი ჩუენი არღარა იყო, და ფერკნი ჩუენნი და-
ჩეკილ და დაბძარულ იყვნეს“ (331—332).

ძირითადი გზა დაძლეულია. ამ სიძნელეებმა გამოსცადა სერაპიონის რო-
გორც ფიზიკური, ისე სულიერი სიძლიერე. მან უშიშრად გაკვალა ეკლიანი
გზა, რომელიც ღმერთისგან იყო ნაბრძანები და რომელსაც მხოლოდ ჭეშმა-
რიტი წმინდანი და მოწამე დაძლეუდა. ამით სერაპიონმა კიდევ უფრო აღიმაღ-
ლა სული და დაამტკიცა, რომ იგი ღირსეული მოწაფე იყო თავისი დიდი მო-
ძღვრისა და მასწავლებლის, რომ ეს ჭეშმარიტი სვლა მას ქრისტემდე აღამაღ-
ლებდა. სერაპიონი თავის განვლილ გზას თვითონვე აფასებს: „ღმერთმან
რომელმან უბრძანა მოსეს კუერთხითაჲ განჰებაჲ ზღვსაჲ და კუალად უდაბ-
ნოს კლდისაგან უდაღისა აღმოცენებად წყალი, და მოლებასა საზრდელისასა
უწვიმა მანანაჲ ერსა, ვინაჲ იგივე არს აქაცა“ (327). წმ. მამებიც აღტაცებით
მიმართავენ სერაპიონს: „აჲ ესერა ვხედავ, რამეთუ სიტყუანი შენნი საქმე
არიან“ (332).

სერაპიონის მოღვაწეობას თანა სდევს ღმერთის მფარველობა. ყოველი
წინააღმდეგობა, რომელიც სერაპიონს გზაზე „უკეთურ კაცთაგან“ ხვდებოდა,
პაგიოგრაფიის მიერ ისეა გააზრებული, რომ „იხილოთ მისაგებელი კაცთა ამათ
შფოთის-მოყუარეთა“ (332), რაც ნაწარმოებში განხორციელებას პოულობს და
რითაც წარმოიჩინდება სერაპიონის ზეამაღლებული სახე, მისი ღვთიური სული
და ძალა — „განიჲო კლდე იგი, რომელი იყო დასავლეთით ტბისა მის, და
წარვიდეს წყალნი იგი მრღვენი... ვითარცა დასცხრა მდინარისა მის დიდროჲჲ,
ვცანთ ჭეშმარიტი, ვითარმედ ადგილი იგი ტბისაჲ იხილვების ველად ლოდი-
ნად, ხოლო... წისქვილ-სახლთაჲ კუალად წარლუნილ და უჩინო“ (332). „ტბაჲ
ესე მიზეზი შფოთთა და კაცის-კლვათაჲ განჰმა წმიდათა ამათ მიერ“ (333).
ამიერიდან ამ ადგილს ეწოდა ზარზმა — „სახელი შემსგავსებული... რომელა
ზარითა და შიშითა მოუთხრობელითა შეპყრობილ იყვნეს“ (333—334). ასეთი
სასწაულებრივი ეპიზოდები ნაწარმოებში მრავლადაა და მათ შესახებ ჭკემათ
გვექნება მსჯელობა.

ამის შემდეგ იწყება ბოლო ეტაპი — ეკლესიის მშენებლობა. ამ პროცესს
პაგიოგრაფი ძალიან მოკლედ გადმოგვცემს, თუმცა ამ პატარა ეპიზოდში დანა-
ხულია მთელი სიმძაფრით შენებასთან დაკავშირებული სირთულეები — მდი-
ნარიდან ქვების ამოზიდვა „ჭირითა და შრომით“ (334), შემდეგ „უმწადს“
ჩაქცეული ეკლესიიდან ქვების მოზიდვა და სხვა. ამ წვალებამ სამ წელიწადს
გასტანა და ბოლოს აღმართეს ეკლესია ძმათა სენაკებით. გაიზარდა საკრებუ-
ლო „რამეთუ მადლი სულისაჲ და სახელგანთქმულობაჲ კაცისა მის ღმრთისაჲ
მოიზიდავდა ყოველთა“ (335). ეკლესიის შენების დასრულების შემდეგ ერთ-
მანეთს ხვდებიან მიქაელი და სერაპიონი, უკვე არა როგორც მასწავლებელი
და მოწაფე, არამედ ორი დიდი მოძღვარი. მათი შეხვედრა, რა თქმა უნდა,
უდიდესი სიხარულის გამოხატულება იყო: „იხარებდა სულითა“, მაგრამ სი-
ტყვა „იხარებდა“ ბასილმა არ ჩათვალა ამომწურავი იმ გრძნობის გადმოსაცე-
მად და ასეთი ფრაზა მოგვაწოდა — „დასხდეს სერობად, და იწდიეს ღვნო,
და სულიერი და ხორციელი სიხარული განზავეს“ (336). სმა და სერობა წმინ-
დანისათვის ხორციელ ტკბობას წარმოადგენდა, რაც მათთვის ყოველად მიუღე-
ბელი იყო, მაგრამ იმდენად უსაზღვრო იყო მათი სიხარული, რომ ხორციელ
სიამოვნებასაც არ მორიდებიან.

სერაპიონის დაარსებულ მონასტერს „დღითი-ღღე შეეძინებოდა წარმატე-

ბაჲ“ (340); მისი ხელით იკურთხებოდნენ მრავალნი და სწავლობდნენ საეკლესიო ცხოვრების წესებს. მონაზვნები მთელი ღამე ხელაპყრობილნი ლოცულობდნენ. მათთან ერთად იყო მგალობელთა დასი, ხოლო ცისკრის მოახლების ჟამს „მყუდროებითა და ცრემლით შესწირვიდიან ვედრებათა, რაჲთა ამითცა ემსგავსნენ თვსსა მეუფესა“ (340).

გავიდა დრო და დადგა „აღსასრული ნეტარისა ამის ცხოვრებისაჲ“ (341). წმინდა სერაპიონი წარდგება მთელი მრევლის წინაშე და აცხადებს: „სრბაჲ აღსრულებულ არს!... ამიერიტგან მიმელის მე სიძმართლისა იგი გვრგვნი, არა მე, არამედ ყოველთა, რომელთა შეიყუარეს გამოჩინებაჲ მისი“ (341).

სერაპიონმა თავისი მოღვაწეობით უჩვენა მაგალითი ყველას, თუ რა გზა უნდა განელონ და როგორ ემსახურონ უფალსა და თავის მრევლს, რათა საბოლოოდ დაიდგას წმინდანობის გვირგვინი. ესაა სერაპიონის ბოლო მონოლოგი წარმოთქმული მთელი საეკლესიო საკრებულო წინაშე. მან თავისი დამოუკიდებელი მოღვაწეობა დაიწყო იმ გზით, რომელიც „არს გზაჲ იგი საჭიროებისა სლვისა“ (323). დასრულდა ეს ძნელად გასაკვლევ გზა, რომელიც „არა ცუდ და აძო არს“ (324) და ახლა ნეტარი მამა აცხადებს — „სრბაჲ აღსრულებულ არს“ (341). თავისი ბოლო სიტყვით სერაპიონი შეფასებას უკეთებს თავის ნაშრომ-ნაღვაწს და კიდევ ერთხელ შეახსენებს ყველას როგორი უნდა იყოს ქეშმარიტი მსახური უფლისა:

„ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვდ ვარ და მდაბალ გულითა“.

„შეიყუარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოველთა სულითა და გონებითა“.

„მოწაფენი ჩემნი ხართ, უკუეთუ იყუარებდეთ ურთიერთას“.

„მარადის ილოცვიდეთ, რაჲთა არა შეხვდეთ განსაცდელსა, რამეთუ ლოცვაჲ მიმაახლოებელი არს ღმრთისაჲ და ბჭე სასუფეველისაჲ, შემაერთებელი ანგელოზთაჲ და დამცემელი ეშმაკთაჲ“.

„მამათა ლოცვაჲ თქუეს საჭურველად, მარხვაჲ ზღუდედ და წმიდანი ცრემლნი საბანელად, ხოლო მორჩილებაჲ წამებად, რომელი-ესე ღუაწლით შემოსილთა მოწამეთა თანა დაუთხეველად სისხლთა გვრგვნოსან ჰყოფს კაცსა“ (341).

სერაპიონმა ღირსეული მოწაფეები აღზარდა, რომლებიც ჩინებულად წარუძღვნენ საეკლესიო საქმეს. ესენი იყვნენ გიორგი — „კაცი კეთილითა სათნოებითა ბრწყინვალე და ტკბილი სიტყვთა და საქმითა“ (341), რომელიც სერაპიონმა თავის სიცოცხლეშივე აკურთხა წინამძღვრად. შემდეგ მიქაელი, შემდეგ პავლე, ბოლოს ბასილი, რომელმაც აღწერა წმინდა მამის სერაპიონის ცხოვრება.

ისევე როგორც სხვა წმინდა მამათა ცხოვრებებში, ამ ნაწარმოებშიც სერაპიონის პიროვნების უფრო ძლიერად წარმოსაჩენად უხვადაა ჩართული ირეალური მომენტები: სასწაულთქმედებანი, მკურნალობანი, გამოცხადებანი, წინასწარმეტყველებანი. ეს დეტალები ხელს უწყობენ მთავარი პერსონაჟის ღვთიური ძალის გამოკვეთას, და ხაზგასმულია, რომ იგი ჩვეულებრივი მიწიერი ადამიანი არ არის და რომ მათზე ამაღლებულია ღვთაებრიობით. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ სერაპიონი სასწაულთქმედებას და მკურნალობას განაგრძობს გარდაცვალების შემდეგაც. სერაპიონის ნათელი სული და საფლავი მრავალ გაჭირვებულთა და ავადმყოფთა განმკურნებელია — „მრავალნი ჟამსა მას საფლავისა მისისა მრავალფერთა სენთაგან განიკურნნეს“ (342). სერაპიონის სასწაულებრივი ძალა და სიკეთე მისი გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო ძლიერად იჩენს თავს. ამის შესახებ ავტორი მრავალგზის იმეორებს — „ხოლო შემდგომად საფლავისა მისისა და მიწად მიფარვისა ვიდრე

დღენდელად დღემდე მიუწოდომელ არიან ნიშნი და ძალნი მის მიერ აღსრულებულნი თვითოეულთა ზედა სნეულთა“ (342) — და აქვე დასძენს, რომ შეუძლებელია აღწერა ყველა იმ სასწაულისა, რაც სერაპიონის ხელის თუ მისი გარდაცვლილი სულის წყალობით დავრდომილთ სასიკეთოდ ხმარდებოდა. ესაა მეორე გზა. რომელიც უსასრულობაში გადადის — სერაპიონის უკვდავი სულის მარადიული სიკეთის გზა. პირველი გზის დასასრული — „სრბაჲ აღსრულებულ არს“ — გადადის სულის მოძრაობის დაუსრულებელ გზაზე. რომელიც არ წყდება. პირველი გზა — ესაა სულიერის და ზორციელის ერთად თანაარსებობისა. რადგან, როგორც დავინახეთ, ამ გზაზე სულიერად ამაღლებულ პიროვნებას ძლიერი ფიზიკური ძალაც მოეთხოვება. ამ გზას ფიზიკური და სულიერი ძალების ჰარმონიული შერწყმა ჰქირდება, ხოლო როდესაც იგი კარგავს თიზიკურს. ანუ კვდება ზორციელი, გზა გრძელდება მხოლოდ სულიერის ხარჯზე. რომელიც უკვდავი და მარადიულია. ამიტომ, ნაწარმოებში ირეალური მომენტები მხოლოდ პერსონაჟის ღვთიური ძალის წარმოჩინებისათვის კი არაა ჩართული არამედ ესაა მეორე გზის დასაწყისი. ნაწარმოებში გვხვდება ერთი სიმბოლური ეპიზოდი „ქვის ლარნაკის“ თაობაზე, რომელიც „ბრძანებითა უთალთაჲსაჲ“ (345) შეუშზადებია ბასილს და მასში გადაუსვენებია წმინდა სერაპიონის ძეგლები — „მრავალნი უძღურნი შე-რაჲ-ეხსნესს წმიდათა მათ ძუალთა მისთა. მრავალნი სენნი დაიქსნნეს და გამხიარულებულნი მიიქცეოდეს და აღიდებდეს ღმერთსა საკვრეელებათასა“ (345). ამ ლარნაკზე აღუმართავთ „ჯუარი ზედა წინამორბედისა“ (345), ე. ი. იოანე ნათლისმცემლის სახელზე. ესეც არაა შემთხვევითი, რადგან იოანე ნათლისმცემელი თვით იყო პირველი ჯადიდი მიუდაბნოე და რადგან ეკლესია უდაბნოში ააგეს და თვით სერაპიონიც მიუდაბნოე იყო, როგორც ჩანს. ამ ჯვრის აღმართვით ბასილმა პატივი მიაგო სერაპიონის ნათელ სულს. ეს „ქვის ლარნაკი“ იქცა წმინდა ლარნაკად, რომელიც სერაპიონის სულს იფარავდა. ე. ი. „ქვის ლარნაკი“ იყო სიმბოლო სერაპიონის სულის მარადისობისა.

ნაწარმოებში მოცემულია აგრეთვე საინტერესო ეპიზოდი სერაპიონის წინასწარმეტყველებისა და შემდგომ მისი გამოჩხადების. სერაპიონმა უწინასწარმეტყველა თავის ძმა იოვანეს „ბორცუსა ამას ზედა აღეშენოს ეკლესიაჲ ფრიად შუენიერი“ (334). რისი განხორციელებაც სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ მოხდა: სერაპიონს დაემოწაფა „კაცი ვინმე ყოლად უცნაური“. სოფელ ძარლუადან. რომელიც შესთხოვდა სერაპიონს მონაზვნად კურთხევას და შესაწირავად „მცირე ევლოგიასაც“ სთავაზობდა — „მიიღე მცირე ევლოგიაჲ და წარაგე საშენებელად მონასტრისა“ (343). ხოლო სერაპიონმა არ მიიღო ევლოგია. რადგან — „თვთ მოვალს ჟამი. რაჲთა იქმნეს მონაზონ და ევლოგიაჲ... ფრიად რაჲმე ეკმაროს“ (344). სერაპიონის სიტყვები წინასწარმეტყველორი აღმოჩნდა. ეს კაცი წმინდა მამებმა მონაზვნად აკურთხეს. ხოლო მისი ევლოგიის წყალობით საფუძველი ჩაეყარა ახალი მონასტრის შენებას, რომლის წინამძღვარი გახდა სერაპიონის მოწაფე მიქაელი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ პავლე, რომელმაც „სრულ ყო ეკლესიაჲ და შეამკო ყოვლითა სამკაულითა“ (345). ამ მცირე ევლოგიის შესახებ არავინ იცოდა. ეკლესიის შენება დიდ სახსრებთან იყო დაკავშირებული. რისი საშუალებაც წმინდა მამებს არ გააჩნდათ. ამ გაჭირვების დროს წინამძღვარ გიორგის მოევლინა „ჩვენება“ თავისი მოძღვრის, წმინდა სერაპიონის სულის სახით და ამცნო — „იწყეთ შენებაჲ ეკლესიისა... და ნურარას ზრუნავ წარსაგებელთათჳს, რამეთუ ჩუენებით მიუწყა წმიდისა მიერ, ვითარმედ ევლოგიაჲ იგი, რომელ მოიღო კაცმან მან, მარხულ არს ქუეშე კერძოსა ჟუარისა“ (344).

ეს ეპიზოდი მარტო იმით კი არ არის საინტერესო, რომ წინასწარმეტყვე-

ლებასთან და სულის გამოცხადებასთანაა დაკავშირებული, არამედ იმით, რომ ახალი ეკლესიის შენება მოხდა გარდაცვლილი სერაპიონის ძალით, რომ მისი სული მარტო სასწაულომოქმედებას და მკურნალობას კი არ განაგრძობს, არამედ აგრძელებს იმ საქმეს, რასაც სერაპიონი მთელი ცხოვრების მანძილზე ემსახურა — ეკლესიათა შენებას. ავტორი ამით ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ არა წმინდა სერაპიონის ნათელი სულის გამოცხადება, ეს ახალი ეკლესია არ აშენდებოდა.

ნაწარმოებში დასმული ყველა საკითხი ერთ ძირითად პრობლემას ემსახურება, წარმოჩნდეს წმინდანის ამაღლებული და მაღალზნეობრივი სახე. ბასილ ზარზმელი, ისევე როგორც ყველა ჰაგიოგრაფი, თავს იმდაბლებს ყველა მოღვაწე ბერ-მონაზვნის წინაშე და არ თვლის თავს იმის ღირსად, რომ ხელი მოჰკიდა ისეთი დიდი პიროვნების ცხოვრების აღწერას, როგორიც იყო სერაპიონ ზარზმელი. ამ თავმდაბლობით იწყებს ნაწარმოებს და ამ სიტყვებითვე ამთავრებს — „ჩუენ, გლახაკთა და უსწავლელთა, შენდავე მივაქციოთ სიტყუად ჩუენი, ზ მამაო მამათაო, დიდო მოძღვარო ყოველთაო... ანცა ჩუენ უძლურთა და უღირსთა შვილად შენდა სახელ-დებულთა ნუ ოდეს დამივიწყებ და ნუცა გარე-უკუნ-აქცევ მეოხებად და ლუწად პირსა შენსა სიმრავლისათჳს ცოდვათა ჩუენთაჲსა“ (346).

ბასილ ზარზმელის ბოლო მონოლოგი წარმოქმნილი სერაპიონის მიმართ გვირგვინად ედგმება სერაპიონის მთელ შემოქმედებით სვლას. ავტორი ბრწყინვალე მხატვრული სტილით, განუმეორებელი ეპითეტებითა და შედარებებით ამკობს სერაპიონის ნათელ სულს. პერსონაჟის გაიდეალებით ბასილი წარმოგვიდგენს სერაპიონის უძლიერეს, მონუმენტურ, ქრისტემდე ამაღლებულ სახეს, რომელშიც მთელი სიცხადით აისახება ჰეშმარიტი წმინდანის გზა: „ანგელოზთა თანამზრახველო, სამებისა წმიდისა სარწმუნოო მონაო, რომელმან აქ წილად ააღორძინე ტალანტი რწმუნებული შენდა. უძლურთა მკურნალო. ჳირვეულთა შემწეო, ღელვა-გუემულთა ნავთ-საყუდელო. გლახაკთა სიმდიდრეო, უცხოთა და მოგზაურთა ნუგეშინის-მცემელო. მოღუაწეთა სამკაულო. მონაზონთა რჩეულებაო. მამათა სიქადულო, წინამძღუართა დიდო მნათობო. და ყოველთა შენთა მოღვთოვანთა ნავთ-საყუდელო უღელვოო. მორჩილთა საღმრთოჲსა შურისა მასწავლელო. მამათა დიდებაო... ყოვლისა სახელითა და საქმისა კეთილისა ღირსო... ვითარცა ხარ მონაჲ ღმრთისა სიტყვისაჲ. მიემსგავსე ქრისტესა მეუფესა“ (346).

К. Г. ГАПРИНДАШВИЛИ

ПУТЬ ТЕРПЕНИЯ, ПОКОРНОСТИ И МИЛОСЕРДИЯ (ПО «ЖИТИЮ СЕРАПИОНА ЗАРЗМЕЛИ»)

Резюме

Произведение Басилия Зарзмели «Житие Серапиона Зарзмели» по существу принадлежит к числу тех произведений, в которых автор твердо следует каноническим традициям агнографической литературы, где находит отражение монастырская жизнь и взаимоотношения между светскими людьми, а также автора с представителями духовенства, чудеса, молитвы, предсказания, видения и т. д. Все это предусмотрено в произведении, однако основное внимание здесь уделено не самому процессу строительства церквей, а показан путь, достаточно тернистый и сложный, характерный для этого большого дела — строительство монастырей. Это путь терпения, покорности и милосердия.

Этот путь должен испытать ученика и превратить его в истинного наставника. А для такого превращения необходимо: 1. иметь достойного учителя, 2. самому быть достойным учеником своего наставника, 3. стать наставником и воспитывать учеников, 4. ученики должны признать своего наставника и подражать ему.

Все поставленные в произведении вопросы служат одной основной проблеме — показать возвышенный и высоконравственный дух святого человека. Идеализируя Серапиона, Василий показывает его сильнейшую, монументальную, возвышенную до Христа натуру, в которой явственно проявляется истинный путь святого.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა

წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ალ. გეახარიამ

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების
კვლევა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში

ჰუმანიტარულ მეცნიერებაში მომუშავე ნებისმიერი მკვლევრისათვის უდა-
ვოა, რომ მეცნიერული დასკვნების გაკეთება მხოლოდ კრიტიკულად გამოცე-
მულ წყაროზე დაყრდნობითაა შესაძლებელი. კრიტიკული ტექსტი ის საფუ-
ძველია, რომლის გარეშე დღეისათვის წარმოდგენილია მეცნიერული კვლევა.
XIX საუკუნის ცნობილი გამომცემლის, მინის „Patrologia Graeca“ და „Pa-
trologia Latina“ ახლაც განუსაზღვრელ სამსახურს უწევს ბიზანტინისტებს,
მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ გამოცემაში შესული ბიზანტიელი ავტორების —
ბასილძე დიდის, მაქსიმე აღმსარებლის, იოანე ოქროპირისა და სხვათა ნაშრომე-
ბი ცალკე შესწავლასა და ხელახალ პუბლიკაციას საჭიროებენ. ამ მიმართუ-
ლებით ბიზანტინისტიკაში უკვე ბევრი რამაა გაკეთებული. თავისი ხანგრძლივი
და მეტად თავისებური ისტორია კაპადოკიელი მამის, გრიგოლ ნაზიანზელის
(ღვთისმეტყველის) შრომათა შესწავლასა და გამოცემასაც აქვს.

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა სრული კორპუსის, „Opera omnia“-ს
გამოცემისათვის ზრუნვა ჯერ კიდევ XVII საუკუნის ბოლოს დაიწყო წმ. მავ-
რის საძმოს ბენედიქტელმა მამებმა. მათ მიერ მომზადებული გრიგოლის თხზუ-
ლებათა სრული კორპუსი ჯერ 1778 წ., ხოლო შემდგომ 1840 წ. დაიბეჭდა
პარიზში. მინის „Patrologia Graeca“-ში (t. t. 35—38) ეს პუბლიკაცია უცვლე-
ლადაა შეტანილი. ბენედიქტელთა, შესაბამისად მინის გამოცემაც ძირითადად
ერთ ბერძნულ ხელნაწერს ეფუძნება, ამდენად არ არის კრიტიკული.

ბიზანტინისტების წინაშე XX საუკუნის დასაწყისიდანვე სერიოზულად
დაისვა გრიგოლის თხზულებათა კრიტიკული გამოცემის (editio maior critica)
საკითხი. საქმე წამოიწყო კრაკოვის მეცნიერებათა აკადემიამ. სამუშაო ჯგუფმა,
პროფ. შტერნბახის ხელმძღვანელობით, ჩაატარა უდიდესი მოსამზადებელი სა-
მუშაო. ჯგუფის წევრებმა, თ. სინკომ და ი. საიდაკმა სერიით „Meletemata
Patristica“ გამოსცეს რამდენიმე ნაშრომი, სადაც წარმოდგენილია მათი წინას-
წარი დასკვნები გრიგოლის თხზულებათა შემცველ ბერძნულ ხელნაწერთა
აგებულების, ნუსხათა ურთიერთმიმართების, აგრეთვე ამ ნუსხებში დაცული
გრიგოლის თხზულებების ტექსტთა რედაქციული თავისებურებების შესახებ.
გრიგოლის თხზულებათა ტექსტობრივი კვლევის საქმეში ეს ნაშრომები დღე-
საც ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას. სამწუხაროდ, ამ დიდ წამოწყებას
პირველმა მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი. 40-იან წლებში კრაკოვის მეცნიე-
რებათა აკადემია კვლავ შეეცადა საქმის გაგრძელებას, მაგრამ ამჯერად მეორე
მსოფლიო ომმა არ მისცა მას ამის საშუალება.

გრიგოლ ნაზიანზელის Opera omnia-ს გამოცემაზე მუშაობა მხოლოდ
70-იან წლებში განახლდა. ამჯერად საქმე ითავა ლუვენის კათოლიკური უნი-
ვერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტმა. სამუშაოს ინიციატორი იყო
ცნობილი ბიზანტინისტი ჟერარ გარიტი. სწორედ ჟ. გარიტის, აღმოსავლეთის
ქრისტიანული კულტურის უდიდესი მცოდნისა და მოამაგის, დამსახურებულ
უნდა ჩაითვალოს ის, რომ ლუვენის სამუშაო ჯგუფმა გრიგოლ ნაზიანზელის
თხზულებების ბერძნული ვერსიის გამოცემასთან ერთად მიზნად დაისახა გრი-
გოლის თხზულებათა აღმოსავლური თარგმანების (სირიული, არაბული, კოპ-
ტური, ეთიოპური, ქართული, სომხური, სლავური) პუბლიკაციაც. უნდა აღ-

ნიშნოს, რომ ბიბლიის შემდეგ გრიგოლ ნაზიანზელი პირველი ბიზანტიელი ავტორია, რომლის შემოქმედებაც ამგვარი კომპლექსური, მრავალმხრივი კვლევის საგანი გახდა ბიზანტინისტიკაში:

1976 წლის 27 სექტემბერს კობლენცში გამართულ გრიგოლ ნაზიანზელის I სიმპოზიუმზე ლუვენის სამუშაო ჯგუფს მიეცა გრიგოლის editio maior critica-ს პროგრამის შედგენის უფლება. ჯგუფს გამოუჩნდა თავისი დამფინანსებელიც — საკმაოდ პრესტიჟული გერმანული ფონდი „Görres Gesellschaft“-ი. 1979 წლის სექტემბერში ოქსფორდში, პატრისტიკისადმი მიძღვნილ VIII საერთაშორისო კონგრესზე, საზოგადოების წინაშე გაკეთდა ოფიციალური განაცხადი ამ ჯგუფის მუშაობის შესახებ¹. ხოლო 1980 წლის 28 ოქტომბრიდან ლუვენის უნივერსიტეტის ბიზანტინისტთა და ორიენტალისტთა ჯგუფი პროფ. მოსეის ხელმძღვანელობით შეუდგა პროგრამის განხორციელებას. ლუვენის ჯგუფის წევრები არიან: პროფ. ა. ჰალო, პროფ. ე. გრანდ-ჰენრი, პროფ. დ. დონე და დოქტ. ბ. კული. მათთან თანამშრომლობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბიზანტინისტები და ორიენტალისტები: პროფ. ფ. ტომსონი ანტვერპენის უნივერსიტეტიდან (სლავური ვერსია), პროფ. ს. ბროკი ოქსფორდის უნივერსიტეტიდან (კომენტართა სირიული ვერსია), დოქტ. ჯ. ნიმო-სმიტი ედინბურგის უნივერსიტეტიდან (ბერძნულენოვანი კომენტარები), პროფ. ნ. კოლოპულოსი ათენის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან (ბერძნულ ხელნაწერთა აღწერილობა) და სხვა. ლუვენის ჯგუფთან ერთად გრიგოლის editio maior critica-ზე მუშაობს აგრეთვე მიუნხენის ვესტფალიის უნივერსიტეტის ბიზანტინისტთა ჯგუფი პროფ. ზიხერლის ხელმძღვანელობით. მიუნხენის ჯგუფი გამოსაცემად ამზადებს გრიგოლის პოეზიას („Carmina“).

ამ პროგრამით მომუშავე მკვლევართათვის ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო 1981 წელს ლუვენ-ლა-ნევეში გამართული გრიგოლ ნაზიანზელის II სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრების 1600 წლისთავს. სიმპოზიუმს ესწრებოდა 50-მდე სპეციალისტი ევროპისა და ამერიკის 12 ქვეყნიდან². ლუვენისა და მიუნხენის ჯგუფებისათვის ასევე მეტად მნიშვნელოვანი იყო 1987 წელი, როდესაც ევროპის საბჭომ მათ სამუშაოს საერთაშორისო სტატუსი მიანიჭა და ჩართო ევროპაში მიმდინარე სამეცნიერო კვლევათა ინტერნაციონალურ პროგრამაში³.

ევროპის საკმაოდ პრესტიჟული სერიები — „Studien zur Geschichte und Kultur des Altertums“ და „Corpus Nazianzenum“ სექციებით „Forschungen zu Gregor von Nazianz“ და „Corpus Nazianzenum“ აქვეყნებენ სამუშაო ჯგუფების კვლევის შედეგებს. დღეისათვის პირველი სერიის ხუთი ტომია გამოსული, მეორისა — ჯერჯერობით ერთი. სტატიები ნაზიანზელის ხელნაწერებზე, მათ შედგენილობაზე, აგრეთვე აღმოსავლურ ვერსიებზე სისტემატურად იბეჭდება ჟურნალ „Le Muséon“-ში (Revue internationale d'études orientales).

გრიგოლ ნაზიანზელის შემსწავლელ საერთაშორისო პროგრამაში 1980 წლიდან ჩართულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველი მკვლევრები მონაწილეობენ ასეთი მასშტაბის საერთაშორისო სამუშაოში. ჯგუფს,

¹ Revue d'Histoire Eclésiastique, 74, 1979, გვ. 626—640.

² სიმპოზიუმის აქტები გამოქვეყნებულია: II Symposium Nazianzenum, Studien zur Geschichte und Kultur des Altertums, Neue Folge, 2. Reihe; Forschungen zu Gregor von Nazianz, 2 Band; Actes éditées par I. Mossay, Paderborn-München-Wien-Zürich, 1983.

³ Pact News, Conseil de l'Europe Assemblée parlementaire, 1987, გვ. 29 — 37, 85 — 87.

რომლის მიზანია გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული ვერსიის შესწავლა და გამოსაცემად მომზადება, ხელმძღვანელობს აკად. ელ. მეტრეველი. ჯგუფის წევრები არიან: ქ. ბეზარაშვილი, თ. ბრეგაძე, მ. მაჭავარიანი, ნ. მელიქიშვილი, თ. ოთხმეზური, მ. რაფაეა, ც. ქურციკიძე, მ. შანიძე.

გრიგოლ ნაზიანზელის შემოქმედებით, მისი ნააზრევით დაინტერესება საქართველოში ძველი დროიდანვე იჩენს თავს. გრიგოლის ჰომილიათა ადრეული თარგმანები უძველეს ქართულ მრავალთავეებშია დაცული. X ს-ში გრიგოლის რამდენიმე ჰომილია თარგმნეს გრიგოლ ოშკელმა და დავით ტბელმა. ნაზიანზელის თეოლოგიური და ფილოსოფიური მემკვიდრეობის სრულ ათვისებასა და ქართულად გადმოტანას ექვთიმე ათონელმა ჩაუყარა საფუძველი ათონზე. საბოლოოდ ეს პროცესი დასრულდა შავ მთაზე, სადაც ეფრემ მცირემ შექმნა ნაზიანზელის ჰომილიათა თარგმანების სრული კორპუსი. ქართულად თარგმნილია აგრეთვე გრიგოლის პოეზიისა და ეპისტოლეების დიდი ნაწილი. საკმაოდ სრულადაა წარმოდგენილი ქართულად გრიგოლის ჰომილიებსა და ლექსებზე შექმნილი კომენტარებიც. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანები 200-მდე ქართულ ხელნაწერშია დაცული.

ბოლო დრომდე ქართული პატრისტიკის ეს მეტად მნიშვნელოვანი სფერო თითქმის არ იყო შესწავლილი. წინასწარმა სამუშაოებმა ცხადყო, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს გრიგოლ ნაზიანზელის ქართული თარგმანების შესწავლასა და პუბლიკაციას როგორც ბიზანტიისტიკისათვის, ასევე ქართული კულტურის ისტორიისათვის. არ არის გამორიცხული, რომ ეფრემ მცირის მიერ თავისი მთარგმნელობითი პრინციპით — სიტყვასიტყვით ნათარგმნ ტექსტში გამოვლინდეს ისეთი ვარიანტული წაკითხვა, რომელიც საინტერესო აღმოჩნდება ბერძნული ტექსტის დადგენისათვის. საყურადღებოდ უნდა ჩანდეს ბერძნული ვერსიის მკვლევართათვის ძველ ქართულ მრავალთავეებში დაცული საკითხავები, რომელთა რედაქციული თავისებურება წამოჭრის ბერძნულ მენოლოგიუმებსა და ჰომილარიებში დაცული გრიგოლის ტექსტების ახლებურად კვლევის საჭიროებას.

გრიგოლ ნაზიანზელის წარმოჩენას ქართულ პატრისტიკაში არანაკლები მნიშვნელობა აქვს ქართული ქრისტიანული კულტურის, ქართული ფილოსოფიური და თეოლოგიური აზროვნების ისტორიისთვის. ქართული ფილოსოფიისათვის. ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს კერებში, ათონსა და შავ მთაზე შექმნილი თარგმანების შესწავლა ცხადია გამოავლენს ამ კერათა ლიტერატურული მუშაობის ახალ-ახალ ასპექტებს. სხვადასხვა დროს განსხვავებული მოთხოვნილებებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი თარგმანების კვლევამ საინტერესო კუთხით შეიძლება წარმოაჩინოს ამ ეპოქათა სულისკვეთება და მიზანსწრაფვა. გრიგოლ ნაზიანზელის ლიტერატურული მემკვიდრეობის საფუძვლიანი შესწავლა შესაძლებელს გახდის აგრეთვე ამ დიდი ქრისტიანი ავტორის გავლენის კვლევასაც ორიგინალურ ქართულ თეოლოგიურ და ფილოსოფიურ აზროვნებაში.

გრიგოლ ნაზიანზელის ქართული ვერსიის კვლევის საქმეში უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული. სამუშაო ჯგუფი კვლევის დაწყების პირველივე წლიდან შეუდგა გრიგოლ ნაზიანზელის ლიტურგიკული სიტყვების ქართული თარგმანების ხელნაწერებიდან გადაწერასა და კრიტიკული ტექსტის დადგენაზე მუშაობას. 1983 წელს გამოქვეყნდა ელ. მეტრეველისა და გ. ლოფონტენის ერთობლივი სტატია, სადაც მიმოხილულია გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული ვერსია, ის მთარგმნელობითი სკოლები, სადაც ეს თარგმანებია შექმნილი, აგრეთვე გრიგოლის თხზულებათა შემცველი ქართული

კრებულები⁴. 1988 წელს თ. ბრეგაძემ გამოსცა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული ხელნაწერების აღწერილობა, რომლის შემოკლებული ფრანგული ვარიანტი იმავე წელს დაიბეჭდა Corpus Christianorum-ში⁵. 1939 წელს გამოქვეყნდა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ერთ-ერთი ადრეული კომენტარის, ფსევდონონეს მითოლოგიური სქოლიოს ქართული ვერსია⁶.

„მაცნეში“ (ენისა და ლიტერატურის სერია), ხელნაწერთა ინსტიტუტის პერიოდულ კრებულ „მრავალთავეში“ (ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი), აგრეთვე „Le Muséon“-ში სისტემატურად იბეჭდება გრიგოლ ნაზიანზელის შემსწავლელი ქართული ჯგუფის წევრთა სტატიები, სადაც განხილულია: ნაზიანზელის თხზულებათა ქართული კრებულების შედგენილობა⁷, ნაზიანზელის ქართულად თარგმნის ისტორია⁸, ქართული თარგმანების ბერძნულთან მიმართების, ნაზიანზელის ქართველი მთარგმნელების სტილისა და მეთოდის საკითხები⁹, აგრეთვე ნაზიანზელის თხზულებებზე დართულ კომენტართა ქართული

⁴ G. Lafontaine. H. Metreveli. Les versions coptes, arméniennes et géorgiennes de Saint Grégoire de Théologien, Etat des recherches, II, Symposium Nazianzenum, 1983.

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ხელნაწერები აღწერა, შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ, თბ., 1978. T. B r e g a d z é, Répertoire des manuscrits de la version géorgienne des Discours de Grégoire de Nazianze—Corpus Christianorum, Series Graeca 20, Corpus Nazianzenum 1. Versiones orientales, repertorium Ibericum et studia ad editiones curandas, Brepols—Turnhout, 1988.

⁶ ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს აღ. გამყრელიძემ და თ. ოთხმეზურმა, გამოველეთ, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო თამარ ოთხმეზურმა, თბ., 1989.

⁷ ქ. ბეზარაშვილი, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ბიზანტიური რიტმული პოეზიის ადრეული ნიმუში (გრიგოლ ნაზიანზელის „სიტყუა ქალწულისა მიმართ“), „გულანი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი (ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა კრებული, მიძღვნილი ინსტიტუტის დაარსების 30 წლისთავისადმი), თბ., 1989, გვ. 72—115; მისივე, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის კომენტარების ქართული ვერსიებიდან — „გულანი“, გვ. 116—159. მ. რაფაეა, გრიგოლ ნაზიანზელის პომილიათა ეფრემ მცირისეული კრებულების შედგენილობისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1990, № 2, გვ. 66—84.

⁸ M. R a p h a v a, Pour l'histoire de la traduction des homelies de Grégoire de Nazianze—Le Muséon (იბეჭდება).

⁹ ნ. მელიქიშვილი, რამდენიმე დაკვირვება ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მთარგმნელობით მეთოდზე, „მაცნე“, ელს, 1987, № 4, გვ. 119—123; მისივე, ფსალმუნის ციტირება ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ გრიგოლ ღვთისმეტყველის რამდენიმე პომილეტიკურ თხზულებაში, „მაცნე“, ელს, 1989, № 2, გვ. 89—96; მისივე,

Λόγος|λόγος ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 პომილეტიკურ თხზულებაში, მრავალთავე, 16 (1991); მისივე, გრიგოლ ნაზიანზელის შობის პომილიის ქართული თარგმანები, „მაცნე“, ელს, 1991, № 2; M. P a p a v a. Некоторые моменты ранневизантийского мышления в грузинских переводах гомилий Григория Назианзина, თბ., ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1989, 292, გვ. 168—171; მისივე, ავტორისა და მთარგმნელის უფლებების გაგებისათვის (გრიგოლ ნაზიანზელის ლიტურგიკულ პომილიათა ეფთვიმე მთაწმინდელისა და ეფრემ მცირის თარგმანების მიხედვით) (იბეჭდება); მისივე, „თარგმანთაგანისა“ და „ზედადართულის“ გაგებისათვის გრიგოლ ნაზიანზელის პომილიათა ეფთვიმე მთაწმინდელის თარგმანის მიხედვით (იბეჭდება); ც. ქუ რ ც ი კ ი ძ ე, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულების „სიტყუაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილისტეს“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი და მისი თავისებურებები (იბეჭდება); მ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი. დავით ტბელის ორი ქართული თარგმანი (გრიგოლ ნაზიანზელის 24-ე პომილიისა და სკმონ მეტაფრასტის „ათთა კრიტელ მოწამეთა წამებაჲს“ ბერძნულთან შედარების შედეგები (იბეჭდება); მისივე, გრიგოლ ნაზიანზელის II პომილიის სამი ქართული თარგმანი (იბეჭდება).

ვერსია¹⁰. საფუძვლიანად შესწავლილი და გამოსაცემად მომზადებულია ნაზიანზელის პოეზიის ქართული თარგმანები¹¹.

ამჟამად ნაზიანზელის შემსწავლელი ქართული ჯგუფი მუშაობს გრიგოლ ნაზიანზელის 16-სიტყვიანი ლიტურგიკული კრებულის, აგრეთვე ამ კრებულზე დართული კომენტარების ქართული ვერსიის გამოცემაზე. ქართული ტექსტები გამოკვლევითურთ მალე დაიბეჭდნა ბელგიაში სერით „Corpus Christianorum“. ღღვისათვის უკვე მზადაა ამ დიდი ნაშრომის პირველი ტომი. ქართული ჯგუფის წევრებს უშუალოდაც უწევთ ბელგიელ კოლეგებთან მუშაობა — ისინი ეხმარებიან ბელგიელ მკვლევრებს რუსეთის წიგნთსაცავებში დაცული გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველი ბერძნული ხელნაწერების მოძიებასა და აღწერაში.

გრიგოლ ნაზიანზელის კვლევის ევროპულ ცენტრსა და ნაზიანზელის შემსწავლელ ქართულ ჯგუფს შორის სისტემატური კავშირია: პროგრამის ხელმძღვანელი, პროფ. მოსეი და დოქტ. კული უკვე რამდენჯერმე ესტუმრნენ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს. ისინი შეხვდნენ ნაზიანზელის კვლევის ქართული ჯგუფის წევრებს, შედგა რამდენიმე სემინარი, სადაც განიხილეს ნაზიანზელის შემოქმედების კვლევისა და გამოცემის საკითხები. ქართული ჯგუფის წევრებსაც მიეცათ ნაზიანზელის კვლევის ევროპული ცენტრის მონახულების საშუალება. 1990 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჯგუფის ორი წევრი ქ. ბეზარაშვილი და თ. ოთხმეზური იმყოფებოდნენ ლუვენ-ლანგის კათოლიკურ უნივერსიტეტში. სამომავლოდ დაგეგმილია ჯგუფის კიდევ ორი წევრის, ნ. მელიქიშვილისა და მ. რაფაეას გამგზავრება. ლუვენ-ლანგის ორიენტალისტიკის ინსტიტუტი სისტემატურად ამარაგებს ხელნაწერთა ინსტიტუტს სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელი უახლესი ლიტერატურით, ძველი გამოკვლევების ქსეროასლებით. გრიგოლის ბერძნულ ხელნაწერთა ფოტოასლებით. ასე რომ, ხელნაწერთა ინსტიტუტში ღღვისათვის შექმნილია ნაზიანზელის დონდი, სადაც თავმოყრილია კვლევისათვის საჭირო მასალა. ახლე ინსტიტუტი მიიღებს „Corpus Christianorum“-ის სერით გამოსულ გრიგოლ ნაზიანზელის პროზაულ ნაწარმოებთა კონკრეტულ (მიკროფიშული გამოცემა, გამოცემლები: პროფ. მოსეი, პროფ. ტომბერი), რომელიც მომზადდა ლუვენ-ლანგის უნივერსიტეტის Cetedoc-ის (ბოკუმენტთა ელექტრონული დამუშავების ცენტრი) დახმარებით. ეს გამოცემა იძლევა შესაძლებლობას რამდენიმე წამში მოიძებნოს ნაზიანზელის თხზულებებში დაცული ნებისმიერი ტერმინი თავისი ადგილის მითითებით. ამჟერად ლუვენ-ლანგის ჯგუფი კომპიუტერზე აპუშავენს გრიგოლის პოეზიის მიკროფიშულ გამოცემას. საკმაოდ დიდ და მძიმე მოსამზადებელ სამუშაოში, რასაც ამ ტიპის გამოცემები მოითხოვენ, ჩართულნი არიან როგორც ასაკოვანი პროფესორები, ისე ჯგუფის ახალგაზრდა წევრებიც. სამუშაო ატმოსფერო ლუვენ-ლანგში მეტად დემოკრატიულია. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ აქ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ახალგაზრდა მკვლევართა მონაწილეობას ნაზიანზელის კვლევის პროგრამაში და საკმაოდ დიდ დროს უთმობენ მათთან მუშაობას, რადგან კარგად აქვთ გაცნობიერებული, რომ მათ მიერ წამოწყებული საქმე კიდევ დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს, ამდენად სამუშაოს გაგრძელებისა და წარმატებით დამთავრებისათვის მომავალი თაობების მომზადებაა საჭირო. ასე მუშაობენ ახალგაზრდა

¹⁰ თ. ოთხმეზური, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარების ისტორიიდან, მრავალთავი, 1989, XV, გვ. 12—31; მისივე, Les signes marginaux des codex géorgiens contenant les oeuvres de St. Grégoire de Nazianze. Le Muséon (ბეჭდება).

¹¹ ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული ვერსია, თბ., 1989 (სადისერტაციო ნაშრომი).

სპეციალისტები — რომის უნივერსიტეტის სტიპენდიანტი ანა სირინიანი და ლუვენ-ლა-ნევის უნივერსიტეტის ასპირანტი კლოდ დ'ეტიენი გამოცდილი ორიენტალისტების, დოქტ. კულისა და პროფ. პალოსთან ერთად გრიგოლის სომხურ და სირიულ ვერსიათა ტექსტებზე. პროგრამის ხელმძღვანელის, პროფ. მოსეის კაბინეტის კარი მუდამ ღიაა ნაზიანზელის პრობლემატიკით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის. აქ ცეცხლგამძლე კარადებში ინახება გრიგოლ ნაზიანზელის ხელნაწერთა მიკროფილმების უნიკალური კოლექცია ათონის, სინის, საბერძნეთის, ამერიკის, იტალიის, ინგლისის, რუსეთის წიგნთსაცავებიდან. შეგროვებულია გრიგოლის შესახებ არსებული უმდიდრესი ლიტერატურა, დგას მიკროფილმებისა და მიკროფიშების საკითხავი აპარატი, პერსონალური კომპიუტერი. აქაურობას მალე შეემატება ე. გარიტის პირადი ბიბლიოთეკა.

ორიენტალისტიკის ინსტიტუტის ერთ-ერთ საკმაოდ მოზრდილ დარბაზში, სადაც თავმოყრილია დიდძალი ლიტერატურა ბიზანტინისტიკასა და ორიენტალისტიკაში, მნიშვნელოვანი ადგილი ქართულ წიგნებსაც ეთმობა. აქ ნახავთ „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა დროის გამოცემებს, სულხან-საბას ლექსიკონს, აგრეთვე ბიზანტიელ ავტორთა თხზულებების ქართული თარგმანების არაერთ პუბლიკაციას. ქართულ კუთხეს ამშვენებს ი. რეიზნერის წიგნი „La Géorgie, Histoire. Art. Culture“ (1990), რომელიც ფრანგულად თარგმნილი და რედაქტირებულია ნაზიანზელის ჯგუფის წევრის, ჟურნალ „Le Muséon“-ის ახლანდელი რედაქტორის, დოქტ. კულის მიერ. ორიენტალისტიკის ინსტიტუტში მუშაობს აგრეთვე ძველი ქართული ენის შემსწავლელი პატარა სემინარიც, რომელსაც ბოლანდისტი მამა, უგო ძანეტი ხელმძღვანელობს.

იმედია, ქართველოლოგიური კვლევის ტრადიციას, რომლის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი ევროპაში სწორედ ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი ბიზანტინისტი და ორიენტალისტი, პროფ. ე. გარიტია, ღირსეულად გააგრძელებს ლუვენ-ლა-ნევის ორიენტალისტიკის ინსტიტუტში, პროფ. ე. გარიტის მოწაფეები და მისი ძანამოაზრენი.

Т. З. ОТХМЕЗУРИ

ИЗУЧЕНИЕ ГРУЗИНСКИХ ПЕРЕВОДОВ СОЧИНЕНИЙ ГРИГОРИЯ НАЗИАНЗИНА В ИНСТИТУТЕ РУКОПИСЕЙ

Резюме

Изучение творческого наследия известного византийского автора IV века Григория Назианзина является одним из наиболее значительных проблем в современной византистике. Первый этап этой работы — осуществление критического издания сочинений Григория Назианзина, чем занимается ориенталистический институт Лувенского католического университета в сотрудничестве с разными византистическими центрами мира.

В международную программу издания сочинений Григория Назианзина включен Институт рукописей Академии наук Грузии, где готовятся к изданию в Бельгии грузинские переводы Слов Григория Назианзина. Исследование грузинской версии сочинений Григория Назианзина дает неисчерпаемый материал для изучения этого византийского автора в целом.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილება
წარმომადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა
ელ. მეტრეველმა

დერივაციულ სახელთა ოკაზიური წარმოების ზოგი
საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“

„სიტყვის სილამაზე, — წერს არისტოტელე, — განისაზღვრება მისი ჟღერადობითა და მნიშვნელობით... იმისათვის, რომ მეტყველებას მიენიჭოს მხატვრული ღირებულება, საჭიროა უჩვეულო, არამიწიერი, ან უკვე ხმარებიდან გამოსული და მათგან ხელმეორედ ნაწარმოები სიტყვების გამოყენება“¹. ი. ტინიანოვი კი აღნიშნავს: „სიტყვას არა აქვს ერთი განსაზღვრული მნიშვნელობა. ის ქამელეონია, რომელიც საჭიროებისამებრ იცვლის ფერს... სიტყვის აბსტრაქციას უნარი აქვს ყოველთვის ახლებურად შეივსოს“².

რუსთველი ამ მხრივ დიდოსტატია. იგი შესანიშნავად ფლობს „სულთა ენას“ და თავის სათქმელს ადეკვატურ გამოსახულებას ზუსტად უძებნის. მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ უხვად ვხვდებით მანამდე უხმარ ფორმათა ორიგინალური სემანტიკით დატვირთულ ვარიანტებსა და სრულიად ახალ, მოულოდნელ, რუსთველის მიერ შექმნილ უჩვეულო სიტყვებს, ისანი მაინც არ აღიქმება ხელოვნურად, რადგან ყოველი ახალი ოკაზიური ფორმა ზუსტად შეესატყვისება თავის შინაარსს და ნათლად წარმოაჩენს იმ აზრს, რომლის გამოხატვასაც ემსახურება.

„ვეფხისტყაოსანში“ დერივაციულ სახელთა ერთი დიდი ნაწილი ოკაზიონალიზმებია. ამ ტიპის ფორმები საინტერესოა როგორც წარმოების თავისებურებით, ისე სემანტიკური ნაირფეროვნებით.

პოემაში დადასტურებული დერივაციული ოკაზიური ფორმები ძირითადად ორი სახისაა: 1. დერივაციული სახელები, რომლებიც მიღებული არიან საწარმოებელ ფორმანტთა მოდიფიკაციის გზით და 2. დერივაციული სახელები, რომლებიც მიიღებიან საწარმოებელ ფორმანტთა აქტივიზაციის შედეგად.

1. საწარმოებელ ფორმანტთა მოდიფიკაციის გზით მიღებული დერივაციული ოკაზიური სახელები. „ვეფხისტყაოსანში“ ამგვარი ფორმები ორი სახისაა. ერთ შემთხვევაში საწარმოებელ აფიქსთა ფუნქცია იმგვარადაა მოდიფიცირებული, რომ წარმოქმნილ სახელს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ძირითად სიტყვას. ხოლო მეორე შემთხვევაში გარკვეული შინაარსის მქონე ფორმანტს სულ სხვა მნიშვნელობის გამოხატვა ეკისრება.

პოემაში მოდიფიცირებულ დერივაციულ ფორმანტთა პირველი სახეობა (წარმოქმნილი უდრის ძირითადს) განპირობებულია ლექსის რითმული სტრუქტურით. მაგალითად, კონტექსტი „ნუ ჰყივი აგრე ხმიანი“ იგივეა, რაც „ნუ ჰყივი ასეთი ხმიანობით“, „ნუ ჰყივი აგრე ხმით“. აღსანიშნავია, რომ წინა სტრიქონთა სარიტმოდ ერთეულებია „ადამიანი“, „იანი“, „პირ-ბაკმიანი“. ამიტომ არსებითი სახელი ხმა-იან სუფიქსიანი მქონებლობის ფორმითაა წარმოდგენილი:

ეტყოდა: „სულე! რამე გიყავ? კაცი ვარ, ადამიანი,
უფერო-ქმნილნი მინახეან ვარდნი და ისი იანი,
მისი რა მითხარ, ვინ არის ტან-სარო, პირ-ბაკმიანი?
და სხვად არას გიზამ, ნუ გეშის, ნუ ჰყივი აგრე ხმიანი“ (234)³.

¹ Античные теории языка и стиля, М.—Л., 1936, с. 157.

² Ю. Н. Тынянов, Проблема стихотворного языка, М., 1965, с. 77.

³ შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, I, თბ., 1966.

-იან სუფიქსი ლექსის რითმული სტრუქტურის გამოა მოხმობილი „ვეფხისტყაოსნის“ 842-ე სტროფის პირველ სტრიქონშიც. აქაც მქონებლობის მაწარმოებელი -იან ფორმანტი ფუნქციური აუცილებლობით არ მოტივირდება. გადამწყვეტი მნიშვნელობა კვლავ ლექსის ფორმას ენიჭება. „ტანად ალვისა ხიანი“ გამოხატავს შინაარსს — „ტანად ალვისა ხე“. მაშასადამე, წარმოქმნილ სახელს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ძირეულს. არსებითი სახელი „ხე“ -იან სუფიქსიანი ფორმით წარმოგვიდგება, რადგან „ხიანი“ ვარიანტი ზუსტად ესადაგება მომდევნო სტრიქონთა სარითმო ერთეულებს („კლდიანი“, „გულ-მარიხიანი“, „იანი“):

მარტო მოსტყმიდის, ტიროდის ტანად ალვისა ხიანი,
მინდორს თხა მოკლის, სადაცა ადგილი დაჰხედის კლდიანი,
შეწვის, ჭამის და წაეიდის პირ-მზე, გულ-მარიხიანი,
და იტყვის: „დავყარენ გარდნი და, აჰა მე, ვაგლახ, იანი“ (842).

აბსტრაქტულობის -ობა სუფიქსის მოდიფიცირებულ გამოყენებასთან გვაქვს საქმე „ვეფხისტყაოსნის“ 1121-ე სტროფში. „არცა ვინ წაეა გზობასა“-ო, ამბობს რუსთველი და „გზობასა“ ფორმას ზუსტად უსადაგებს სახელს — „ნაეროზობასა“. მოცემულ კონტექსტში „გზობასა“ იგივეა, რაც გზაზე (არცა ვინ წაეა გზად. გზაზე). -ობა სუფიქსიანი წარმოება ლექსის რითმული სტრუქტურის გამოა მოხმობილი:

ამა ქალაქსა წესია: დღესა მას ნაეროზობასა
არცა ვინ ვაჟრობს ვაჟარი, არცა ვინ წაეა გზობასა (1121, ბ).

ფუნქციური საკიროებით არ არის მოტივირებული „ალობა“ აბსტრაქტული სახელი შემდეგ კონტექსტში: „მითხრა: დღე ეგე სირცხვილად მედების, გულსა ალობა“. ამ შემთხვევაში „ალობა“ შინაარსის მიხედვით იგივეა, რაც „ალი“ (მაშასადამე, წარმოქმნილი სახელი მნიშვნელობით კვლავ ძირეულს უტოლდება), მაგრამ აღნიშნული წარმოება სარითმო ერთეულს ქმნის „მომავალობა“, „მალობა“, „წყალობა“ ფორმებთან. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „მომავალობა“ და „მალობა“ აბსტრაქტული სახელებიც მოდიფიცირებულად არიან წარმოდგენილი, რადგან მოცემულ კონტექსტში ისინი აბსტრაქტულობის შინაარსს არ გამოხატავენ. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია „წყალობა“ წარმოება, რომლის მიხედვითაც იქმნება მოდიფიცირებული ვარიანტები — „ალობა“, „მომავალობა“, „მალობა“.

მითხრა: „დღე ეგე სირცხვილად მედების, გულსა ალობა:
გგონია ჩემგან წინაშე მაგისტვის მომავალობა,
მაგრა აწ მიდებს იმედსა შენგან ცდის არღა მალობა.
და ამას თუ ღირს ვარ, ვერ ვიტყვი, მაკლია ღმრთისა წყალობა“ (377).

ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში წარმოქმნილი სახელი ფუნქციურად ძირეულს უტოლდებოდა.

გასათვალისწინებელია საწარმოებელ აფიქსთა მოდიფიკაციის მეორე სახეობაც, რომელიც პოემაში შედარებით იშვიათად დასტურდება. ამ შემთხვევაში ერთი სახის საწარმოებელი ფორმანტი წარმოდგენილია სულ სხვაგვარი შინაარსით (ხდება მაწარმოებელი ფორმანტის ფუნქციური მოდიფიკაცია). მაგალითად, აბსტრაქტული სახელი „გზობასა“ პოემის 423-ე სტროფში გამოხატავს მქონებლობის შინაარსს, ე. ი. -ობა ფორმანტი წარმოგვიდგება -იან სუ-

ფიქსის მნიშვნელობით. „უგზოსა ვლიდეს ლაშქარნი, არ გაივლიდეს გზობა-
სა“-ო, — ამბობს რუსთველი. „უგზოსა“ უქონლობის სახელს უკავშირდება
„გზიანი“ წარმოება („გზიანი“, ე. ი. „სადაც გზა არის“), მაგრამ ამ უკანასკნე-
ლის ნაცვლად პოემაში დასტურდება აბსტრაქტული სახელი — „გზობა“,
რომლის მოხმობაც მოტივირებულია ლექსის რითმული სტრუქტურით. იკა
ზუსტად ერთმება წინა სტრიქონის ბოლოკიდურ სახელს — „ბრდლობასა“:

ლომმან მივპმართე ხატაეთს, ვერვინ მიზრახავს ბრდლობასა,
და უგზოსა ვლიდეს ლაშქარნი, არ გაივლიდეს გზობასა (423, დ).

პოემის 530-ე სტროფში ვკითხულობთ: „ეგრეც მე მაქვს პატრონობა,
უგზოს ვლიდენ, თუნდა გზეთსა!“ აღსანიშნავია, რომ უქონლობის „უგზოს“
ფორმას უკავშირდება ახლა უკვე გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლით (-ეო
სუფიქსით) გაფორმებული დერივაციული სახელი — „გზეთი“. აქაც მოსა-
ლოდნელი იყო მქონებლობის შინაარსის გამომხატველი „გზიანი“ ვარიანტი.
მაგრამ „გზეთსა“ ფორმა სარიტმო ერთეულს ქმნის წინა სტრიქონის სახელ-
თან — „ინდოეთსა“. მაშასადამე, ჩვენთვის საინტერესო სტროფში -ეთ ფორ-
მანტი მოდიფიცირდება და მქონებლობის -იან სუფიქსის ფუნქციით წარმო-
გვიდგება:

ამას ვბრძანებ: „ვინცა გინდა ეპატრონოს ინდოეთსა,
ეგრეც მე მაქვს პატრონობა, უგზოს ვლიდენ, თუნდა გზეთსა“ (530, ბ).

**2. საწარმოებელ ფორმანტთა აქტივიზაციის გზით მიღებული დერივაციუ-
ლი ოკაზიური სახელები.** „ვეფხისტყაოსანში“ დერივაციულ ოკაზიურ ფორ-
მათა ერთი დიდი ნაწილი მიღებულია საწარმოებელ ფორმანტთა აქტივიზაციის
გზით, რაც შემდეგში მდგომარეობს: მაწარმოებელი ფორმანტები ერთვის ის
ფუძეებს, რომელთათვისაც უცხოა ამგვარი აფიქსები.

პოემაში მქონებლობის -იან სუფიქსი დასტურდება ისეთ ფუძეებთან. რომ-
ლებიც ნაკლებად ყოფილა მანამდე გამოყენებული ამგვარ წარმოებაში
(„აუგი“, „ღალატი“, „სირცხვილი“). საწარმოებელი ფუძისა და აფიქსების
ამგვარი შეხამება გარკვეულ ემოციურ ელფერს მატებს ახლად მიღებულ დე-
რივაციულ სახელს. აღსანიშნავია, რომ ლექსის რითმული სტრუქტურა არც ამ
შემთხვევაშია გამორიცხული. „ღალატიანი“ წარმოება სარიტმო ერთეულს
ქმნის წინა სტრიქონის ბოლოკიდურ სახელთან — „ზიანი“.

არ დაეიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა;
ვკვებო კაცსა აუგვიანსა, ცრუსა და ღალატიანსა (800, ბ).

„სირცხვილ“-ფუძისა და -იან ფორმანტის შეხამებით „ვეფხისტყაოსანში“
დასტურდება „სირცხვილიანი“ წარმოება, რომელიც სარიტმო ერთეულს ქმნის
წინა სტრიქონის სახელთან — „ყმიანი“:

მეფემან ბრძანა: „იკითხეთ, მარტოა ანუ ყმიანად?“
მოვიდა მონა შერმადინ მოშიშრად, სირცხვილიანად (829, გ).

იშვიათი პოეტური ქლერადობისაა დერივაციული სახელი — „პერანგოსა-
ნი“. საწარმოებელი ფუძისა და -ოსან მქონებლობის ფორმანტის შეხამებით
წარმოგვიდგება მანამდე გამოუყენებელი დერივაციული ფორმა („პერანგოსა-
ნი“), რომელიც სარიტმო ერთეულს ქმნის წინა სტრიქონთა ბოლოკიდურ სა-
ხელებთან („არ-ბარგოსანი“, „ჭარმაგოსანი“, „მგოსანი“):

ქეაბისა კარსა ასმათი მარტო ზის, არ-ბარგოსანი.
შეჰხედნა, იცნა ტარიელ, თანა ყმა ჰარმაგოსანი, —
ორნივე ტურფად იმღერდეს, ვით იაღონი მგოსანი, —
და მაშინვე იცნა, ავარდა მოშლილი, პერანგოსანი (1355).

აქტივიზირებულ ოკაზიურ ფორმებად წარმოგვიდგება აგრეთვე უქონლობის უ-...-ო აფიქსებიანი დერივაციული სახელები, რომელთა საწარმოებელი ფუძეები ნაკლებად ან სრულიად არ ყოფილა მანამდე გამოყენებული ამგვარ წარმოებაში. ესენია „ულამოსა“ და „უთამამოსა“ ფორმები, რომლებიც სარიტმოდ ერთეულებს წარმოადგენენ:

თინათინს ჰყადრა შერმადინ, ნათელსა მას ულამოსა:
„ავთანდილ მოვა წინაშე, გყადრებს ამბავსა ამოსა“.
იგი მით აკრთობს ელვასა, მზისაჲ უთამამოსა,
და მას საბოძვარი უბოძა, მისი ყველაი დამოსა (684).

უ-...-ო უქონლობის აფიქსთა აქტიურობა გაზრდილია ისეთ ფუძეებთან გამოყენებისას, როგორიცაა „შმაგი“, „ნათელი“:

მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამჩიენოს (30, ა);
თელთა მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა (10, ა).

დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც უ-...-ო აფიქსებიან ოკაზიურ ფორმათა საწარმოებელი ფუძე წარმოქმნილია:

და მზე ჩაგვისეენდა, ბნელსა ვსკვრეტთ, ღამესა უმთენაროსა (96, დ);
და უმიხეამისოდ ცუდნია ჩემგან მი და მო რბენანი (1474, დ);
და უმიხეამისოდ სოფელსა და საწუთროსა მისთვის ფლიდობს (756, დ).

„ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც „სმენა“, „მოსმენა“ მასდარის ფორმათა ნაცვლად „მოსმენის“ შინაარსის გადმოსაცემად წარმოდგენილია „სმინ“ (II სერიის) ფუძისაგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი — „სმინება“, რომელიც ზუსტად ერითმება მომღევენო სტრიქონის ბოლოკიდურ ერთეულს — „დინება“:

კაცი მოვიდა მეფისა: „სწადსო ამბეისა სმინება“.
მოყვანა ვუთხარ; ებრძანა: „ქმნაა სისხლისა დინება“ (369, ა).

ოკაზიურ ფორმებს ქმნის „ბნელ-“, „ნაზ-“, „გრძელ-“, „წყლულ-“ ფუძე-თაგან ნაწარმოები ობა- ფორმანტიანი აბსტრაქტული სახელები. ქვემოთ წარმოდგენილ ყველა შემთხვევაში დერივაციული სახელი სარიტმოდ ერთეულს წარმოადგენს. ამდენად, დასახელებულ მაგალითებში -ობა ფორმანტიან სახელთა აქტივიზაცია ლექსის რითმული სტრუქტურითაა მოტივირებული:

არ დაიჯერო, მაშინ სცნა ჩემთა საქმეთა ბნელობა;
ჩემთვის ყველაი სწორია, გაქრა და გაუქრელობა (941, ა);

რა გიაგზო ქება მისი, რა სიტურფე, რა ნაზობა!
ვფიცავ, რომე იგი მზეა, არა ჰმართებს მზესა მზობა (1136, ა);

შენ რაცა გითქვამს, მაგას ვიქმ, მრჯის რაზომ გინა ხელობა,
და უშენოდ მომხედეს, რალა ვქმნა, არ ღია ღღეთა გრძელობა (941, გ);

სული დაიღო მან ქალმან, დათმო გულისა წყლულობა,
ქვებს შეიყვანა ტაიჭი, მოჰხადა აკაზმულობა (225, ა).

იშვიათი ოსტატობით არის მიღებული დერივაციული სახელი — „საგაზრდილო“ (მნიშვნელობით „სამშობლო“, „სამკვიდრო“), რომელიც სარიტმული ერთეულს ქმნის წინა სტრიქონის სახელთან — „უადგილო“:

უთხრა, თუ: „ძმანო ვარ ვინმე ღარიბი უადგილოსა,
მე იმა ყმისა საძებრად მოვქშორდი საგაზრდილოსა“ (213, ბ).

სა-...-არ /→ სა-...-ალ/ დანიშნულების აფიქსთა და ზედსართავი სახელის ფუძის („ტურფა“) გამოყენებით პოემაში დასტურდება დერივაციული ოკაზიური სახელი — „სატურფალი“, რომელიც სარიტმული ერთეულს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებულ ორივე შემთხვევაში, ამიტომ ლექსის რითმული სტრუქტურა აქაც განმსაზღვრელია:

ნუთუ ღმერთმან არ გაგეყარნეს ცხენთა თქვენთა ნატერფალსა!
თქვენ გიკვრეტდეთ საკვრეტელსა შვენიერსა, სატურფალსა (655, გ);
ხვალისა მეფე არაბთა კელა პურობს, არ დათალია;
ტარიელს უთხრა: „შენი მზე საკვრეტლად სატურფალია“ (1559, ბ).

ორიგინალურ ფორმას ქმნის რუსთველი უფროობითი ხარისხის უ- . აფიქსთა დართვით „მოყვარე“ მიმღეობაზე:

ვართ უმოყვრესნი მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათასა (156, ა).

უ-...-ეს აფიქსთა აქტივიზაციასთან გვაქვს საქმე „უცხენმალეს“ წარმოებაშიც. ამ შემთხვევაში უ-...-ეს ხარისხის ფორმანტები ერთვის „ცხენმალ“ ფუძეს. აღსანიშნავია, რომ „უცხენმალეს“ ფორმა სარიტმული ერთეულს ქმნის წინა სტრიქონების ზმნებთან — „მოითვალეს“, „იფერმკრთალეს“, „ანაცვალეს“. ამიტომ ოკაზიური ფორმის („უცხენმალეს“) მოხმობა ლექსის რითმულ სტრუქტურით აიხსნება:

რა ლაშქართა ინადირეს და პატრონი მოითვალეს,
იგი პირ-მზე ველარ პოვეს, პირი მათი იფერმკრთალეს,
მათსა დიდსა სიხარულსა სიმძიმილი ანაცვალეს,
და ყოელგან რბოდეს საძებარად, ვინცა იყო უცხენმალეს (174).

დანიშნულების სახელთა საწარმოებელი ფორმანტების ნაირსახეობასთან გვაქვს საქმე სა- . . -ე ტიპის წარმოებაში. ქვემოთ წარმოდგენილ ყველა შემთხვევაში სა-...-ე ფორმანტები მოხმობილია როგორც ფუნქციური საჭიროების, ისე ლექსის რითმული სტრუქტურის გამო (ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს საწარმოებელ ფორმანტთა აქტივიზაციასთან):

ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევეუტაკე,
წინა მწოლთა დაიზახნეს, გლოვა მიჰხედა საარაკე (561, გ);

რამაზ მეფე მას წინაშე შეპყრობილი მოვიყვანე;
ტებილად ნახა ხელმწიფემან, ვითა შვილი სააკვანე (471, ბ);

რამაზ ვარქვი: „შემიგნია საქმე შენი სამუხთაღე,
აწ ეგრეთა შეპყრობილმან თავი გამოიმართაღე“ (459, ა);

გაგზავნა მონა თორმეტი მისი წინაშე მდგომარე,
უბრძანა: „ხელთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარე“ (92, გ);

მოგშორდი, ედემს ნაზარდო ტანო ლერწამო და ხეო,
შენთა მკერეტელთა ნიშატო, ვერ მკერეტთა ხავაგლახეო (727, გ).

პოემაში დასტურდება „სავაგლახია“ წარმოებაც, რომელიც „სავაგლა-
ხეა“-სგან მიღებული ჩანს: სავაგლახეა → სავაგლახია (შდრ. სამტრედეა → სამ-
ტრედია):

უბრძანა: „შეილო, რაზომცა მჭირს საქმე სავაგლახია,
შენი კერეტა და სიახლე ლხინადვე დამისახია (109, ა).

„ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება ოდენ პრეფიქსული დანიშნულების სახე-
ლიც („საეჭვი“), რომელიც ძველი ქართულის ნორმას წარმოადგენს:

იტყვის: „თუცა აქანამდის ჩემგან შორს ხარ დანამჭირად,
მიკვირს, მოგხედა წამის ყოფად საქმე შენგან საეჭვი რად“ (128, გ).

რუსთველისეულ ოკაზიონალიზმს წარმოადგენს უფროობითი ხარისხის
შინაარსის გადმოსაცემად მოხმობილი „უფრო დესი“ წარმოება, რომელიც სა-
რითმო ერთეულს ქმნის წინა სტრიქონის ზმნასთან — „შთამოსთესი“. „უფრო
დესი“ წარმოება ლექსის რითმული სტრუქტურითაა მოტივირებული:

წელან საქმე მტერობისა გულსა ჩემსა შთამოსთესი,
და აწ მოყვარე გიპოვნეიარ, დისავანცა უფრო დესი (253, დ).

ყოველივე ზემოთქმულიდან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყა-
ოსანში“ დერივაციულ სახელთა ერთი დიდი ნაწილი ოკაზიონალიზმებია, რო-
მელთა გამოყენება ძირითადად ლექსის რითმული სტრუქტურითაა განპირობე-
ბული.

Т. В. ВАШАКИДЗЕ

О НЕКОТОРЫХ ВОПРОСАХ ОБРАЗОВАНИЯ ДЕРИВАЦИОННЫХ ОККАЗИОНАЛЬНЫХ ИМЕН В ПОЭМЕ «ВИТЯЗЬ В ТИГРОВОЙ ШКУРЕ»

Резюме

1. В поэме «Витязь в тигровой шкуре» представлены деривацион-
ные окказиональные формы в основном двух типов:

а) деривационные имена, которые образованы при помощи моди-
фикации афиксов (xṡianṡi «голос», xianṡi «дерево», gzeti «дорога»);

б) деривационные имена, которые образованы при помощи акти-
визации афиксов (zagazrdilo «отечество», perangosani «одетый в рубаш-
ку», bneloba «темнота»).

2. В поэме большая часть деривационных окказионализмов яв-
ляется рифмическими единицами, т. е. их использование вызвано
структурой стиха.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეც-
ნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება
წარმოადგინა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

სოფელ სილაურის ტოპონიმია¹

სილაური ჩემი მშობლიური სოფელია, განეკუთვნება ოზურგეთის რაიონს. მდებარეობს მისგან ჩრდილოეთით, 11 კმ-ის დაშორებით, მდინარე სუფსის მარჯვენა ნაპირას, მის ქალებსა და გურიის მთების სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებზე. დასავლეთით ესაზღვრება სოფელი ჭუმათი, ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით — მამათი (ლანჩხუთის რაიონი), აღმოსავლეთით — ნასაკირალი (შუაშია მამათისადმი გადაცემული სიმინდის საყანე ქალა — ხაშია), სამხრეთით — ბაილეთი.

სილაურს ეკუთვნის ჩაის პლანტაციები ნასაკირალის დასავლეთ ფერდობზე და საძოვრები ბახმაროსა (ჩოხატაურის რაიონი) და მუხაგაჭრილში (ლანჩხუთის რაიონი). ნასაკირალის აღნიშნულ ტერიტორიაზე ამ ორი ათეული წლის წინ ჩამოსახლდნენ ხულოს, შუახევის, ქედისა და ჩოხატაურის რაიონების მთა-სოფლების მცხოვრებნი, 35 კომლი, რომლებიც აგრეთვე სილაურის საბჭოში შემოდიან.

საკუთრივე სილაურის ფართობია 1100 ჰექტარი, მოსახლეობა — 230 კომლი, სულ მის განმგებლობაშია 1200 ჰექტარი, მოსახლეობა — 265 კომლი.

სილაური გურიის ერთ-ერთი ლამაზი სოფელია, მთა-გორებითა და ქალებით, ღელეებით, ტყეებით, ბალ-ვენახებით, მრავალნაირი ხეხილით, სუბტროპიკული კულტურებით დამშვენებული. მეურნეობის ძირითადი დარგებია მეჩაიეობა, მეციტრუსეობა და მესიმინდეობა.

ამ სოფლის ზოგიერთი ტოპონიმი, უმთავრესად მეგრულ-ლაზური წარმოშობისა, დასახელებული და ახსნილი აქვს იოსებ მეგრელიძეს². ასეთებია: თინათას ღელე (გვ. 75), ოროკი (79), ნაოჩვარი (83—84), ნაციხური (49, 93). აქვე ნახსენები ზოგიერთი ადგილი მეზობელ სოფლებში შედის: კვაჭანათი (გვ. 73), თაინათი (75), ობოღირა (77), ონჯარეთი (79), ეკუთვნის მამათს, ოთარო (87) — ჭუმათს, ხოლო ოჩორჩხა (88) — ძიმითს. ჭახათის ღელე (73) კი სილაურსა და მის ახლო-მახლო ადგილებში არ არის (ჭახათა ღელე ნატანებშია).

სილაურის ტოპონიმები დაწვრილებით აღრიცხული აქვს იური სიხარულიძეს³, თუმცა სრული და ზუსტი არც ეს აღწერილობა არის. მაგალითად, გამოორჩენილია: კაჭარა, კიბულა, საყორნიე, შუაღელა, ხანიაურა და სხვა. „ჩიჩიგურას“ მაგივრად წერია „ჩიქოქურა“, ხოლო გოგორკული, სვანისწყარო, სასახლე, რობა, ბოგნარი (შეცდომით დაბეჭდილია მოგნარი), რომელთაგან აქ პირველი სამი ბაილეთს (გვ. 104), ხოლო ბოლო ორი მამათის უბანს, კონჭკათს მიეწერება (გვ. 106), ნამდვილად სილაურში შემოდის (თუმცა ალბათ ისეთი

¹ თეზისები წარდგენილი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმოლოგიური კვლევის რესპუბლიკურ ცენტრში პირველი რესპუბლიკური ონომასტიკური სამეცნიერო კონფერენციისათვის, რომელიც გაიმართა 1980 წლის 27—28 თებერვალს (დაიბეჭდა კონფერენციის მოსაწყვეთი ბარათი „მუშაობის გეგმითურთ“).

² И. В. Мегрелидзе, Лазский и мегрельский слои в гурийском, Москва—Ленинград, 1938, с. 73—98.

³ ი. სიხარულიძე, მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმია), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1971, გვ. 104—105. გურიის ტოპონიმები ქვემოთ ყველგან ამ ნაშრომის მიხედვით გვაქვს მითითებული.

დროც იყო, როცა ეს ადგილები ადმინისტრაციულად დასახლებულ უბნება ეკუთვნოდა¹).

დღევანდელი სილაურის ტოპონიმია ასეთია (მივყევით სამხრეთ-დასავლეთიდან):

ღელეები, რომლებიც მდინარე სუფსას ერთვის:

ლუხმელა (ჯუმათის საზღვარზე)

ლოფართო

მამათის ღელე

რობა

თინათა || თინათას ღელე.

გურიაში დამდგარ, დაჭაობებულ წყალს ტომონი ეწოდება. სილაურშიც აყო ასეთი წყალი და მასაც ეს ზოგადი სახელი — ტომონი ერქვა (ახლა დამშრალია).

წყაროებიდან, აქ რომ საცივს უწოდებენ, სახელდებულია სვანისწყარო, ჩიჩიგურას // ჩიგურას საცივი.

მდინარე სუფსისპირა ჭალას აქაც მერე ჰქვია, როგორც ეს მიღებულია გურიაში. ამ მერეში გვაქვს ადგილები:

გოგორკული

ქვიანა

ხანიაურა

ნაისხარი

ნაოჩვარი

დამპალისპირი

სამგელთა

სიმინდის საყანე ადგილები

სათიბე (სათიბე)

ნაბაკევი (საძოვარი)

ოროკა (ოდნავ შემალლებული ადგილი — სათესი, საძოვარი, ჩაის პლანტაცია).

მერედან გურიის მთებისაკენ:

მალლა სილაური (სერი; დასახლებული ადგილი)

შეერისგვერდა (ფერდობი, ჩაის პლანტაცია)

საკირე

იანელა.

დღევანდელ ცენტრს ჰქვია თემი, მანამდე რქმევია ნასათიბარი.

გურიის ქედის სამხრეთი კალთები:

სასახლე (გურიელის ნასახლარი, ჩაის პლანტაცია)

ძეგორა (მოგრძო ქედი, დასახლებული უბანი)

კაჭარა (ტყიანი ფერდობი)

ზეგანი (ტყიანი გორა)

საყორნიე (მაღალი, ციცაბო კლდე)

ნაციხური, დიდი და პატარა ნაციხური (ტყიანი გორა)

ბოგნარი, დიდი და პატარა ბოგნარი (ტყიანი გორა)

ძეგორას ტერიტორიაზე არის:

ცინცაურა (ფერდობი)

¹ ამ სოფლის მკვიდრი კონსტანტინე გოგუაძე წერს, რომ „1919 წლამდე სოფელ სილაურის დასავლეთი ნაწილი ეკუთვნოდა ჯუმათის საზოგადოებას, აღმოსავლეთი ნაწილი კი — ძიმიტის საზოგადოებას, მაგრამ მისი დასახლებით და მდებარეობით კი წარმოადგენდა ერთ განცალკევებულ კუთხეს“ (კ. გოგუაძე, მოგონებანი სილაურის რევოლუციური წარსულიდან, გაზ. „ლენინის დროშა“, 5 იანვარი, 1971, გვ. 2).

ჩიგურა // ჩიჩიგურა (აქვეა ჩიგურას // ჩიჩიგურას საცვი)

ზენდგური

ქაშანი

ხერნალი

ბოლონწრილა

კიბულა (ბილიკი).

ზოგიერთი ნასახლარი:

ჯაყელისოული (ახლა — დიდი ჩაი)

ტუსკიეს ნასახლარი (ტუსკიას ნასახლარი)

კოტელას ადგილი (კოტე მექვაბიშვილის ადგილი)

ჯაბულიეს ტყე (ჯაბულო დარჩიას ნაქონი ტყე)

ელისოს ტყე (ელისე დარჩიას ნაქონი ტყე).

რას ნიშნავს ეს სახელები, უპირველესად, სილაური?

ამგვარი დაბოლოების გეოგრაფიული სახელები საქართველოში უამრავია⁵. ბევრია გურიაშიც, ახლო-მახლო სოფლებში:

აპელაური (გვ. 85)

ბოკუჩაური (140)

ბოხვაური (87)

ბულუხაური (150)

გეპალაური (89)

გოგვაური (107, 112, 140)

გოგინაური (78)

გოგოლაური (88)

გოგუაური (78)

გორდელაური (106)

გუგუნაური (83)

გუთანაური (150)

გოხაური (92)

დოლაური (87)

დოჩაური (153)

ზვალაური (89)

ზულაური (90)

თათალაური (100)

თოთიბაური (149)

იანაური (146)

კაციკაური (112)

კვაჭაური (150)

კვერელაური (80)

კვიჩილაური (90)

კუკულაური (145)

კუკუნაური (132)

მანიშაური (79)

მახაური (146)

მიქენაური (106)

ნიაბაური (84)

მშვიდობაური (91)

ნაბელლაური (96)

ონაური (143)

პატაური (82)

ქანაური (93)

სხალაური (85)

ფოცხელაური (86)

ქილაური (140)

ქინქლაური (109)

ქომიშაური (91)

ქოქოლაური (114)

ჩოხატაური (97)

ჭედელაური (75)

ჭოკლაური (104, 150)

ჭონაური (144)

ჭუმპაური (86)

ხატილაური (84)

ჯალაბაური (153)

ჯანაური (83).

საკმაოდ არის, მაგრამ არაფერს ვამბობთ -აურა-დაბოლოებიან სახელებზე.

სილაური, ერთი შეხედვით, სილა სიტყვიდან მომდინარეს შთაბეჭდილებას ტოვებს — ს ი ლ ი ა ნ ი ა დ გ ი ლ ი. ასე ესახებოდა ის ივანე ჯავახიშვილს.

⁵ ზოგი მათგანი ერთად არის აღრიცხული: შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია, ქართული ოიკონიმები, კრებ.: ტოპონიმიკა, II, თბ., 1980, გვ. 177—180; საქართველოს სსრ ტოპონიმიკა (მასალები), I, ზემოიქვემოთ, თბ., 1987, გვ. 432—434.

ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს და არ დავიწყებთ იმის გარჩევას, ქვემოთ დამოწმებულ ტოპონიმებში რომელი მაწარმოებელია — აურ-ი თუ ურ-ი.

მეცნიერი წერდა: „სილა-სთან დაკავშირებული ნიადაგის დამახასიათებელ ტერმინი იმერეთშია გავრცელებული, სადაც სილისაგან წარმომდგარ ნიადაგს სილა-მიწა ეწოდება... მაგრამ ეს სიტყვა საქართველოს სხვა კუთხეებშიაც არის გავრცელებული. მაგ. გურიაში ამ სიტყვისგან გეოგრაფიული სახელიც კია ნაწარმოები. იქ არსებობს ერთი ადგილი, რომელსაც სილაური ეწოდება“⁶.

ასევე ფიქრობენ სხვებიც⁷. ოზურგეთის (მაშინდელი მახარაძის) რაიონულ გაზეთ „ლენინის დროშაში“, ვ. მექვაბიშვილი აღნიშნავდა: „სუფსის მარჯვენა სანაპიროს წითელმიწა გორაკებს ალაგ-ალაგ სილიანი დაეკებაც გაჰყოლია. შესაძლოა ოდესღაც აქედან წარმოსდგა ამ სოფლის სახელწოდება — სილაური“ (13 აპრილი, 1971, გვ. 2).

მდინარე სუფსის პირას, აქა-იქ, სილიანი ადგილები მართლაც არის, მაგრამ სილაურის ტერიტორია ამ მხრივ არაფრით გამოირჩევა. ამ მდინარეს არანაპლები და ზოგჯერ კიდევ უფრო მეტი სილიანი ნაპირები მეზობელ სოფლებში — ნაგომარში, ძიმითში, ჯუმათში, სუფსაში — აქვს. მეორეც, არც ის არის მართალი, თითქოსდა სილაურში წითელმიწა გორაკები იყოს და ისინი სუფსისპირა ადგილებთან რაღაცნაირ კონტრასტს ქმნიდნენ. აქაური ნიადაგებიც ისეთივეა, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად, როგორიცაა ახლო-მახლო სოფლებში. ერთი სიტყვით, ეტიმოლოგიურად ამ სოფლის სახელის „სილასთან“ დაკავშირება ბუნებრივი, გეოგრაფიული მონაცემებით გამართლებული არ არის.

საკითხის ახლო გაცნობა გვიჩვენებს, რომ ამ გეოგრაფიული სახელის ფუძე არა სილა, არამედ სირ-ი. ამ სოფლისა და აგრეთვე მეზობელი სოფლების ხანდაზმული მცხოვრებლები სილაურს სიროული, სილოური⁸, იშვიათად სირაული ფორმით იხსენიებენ. უფრო ადრინდელ საბუთში კ, კერძოდ, გიორგი გურიელის მიერ ბაილეთის ეკლესიისადმი მიცემულ შეწირულობის განახლების წიგნში, რომელიც 1780 წლის ახლოს არის დაწერილი, მას სირეული ეწოდება. აქ ვკითხულობთ: „ქ. სხვა სირეულს და ბოგილს ამოღმა რაც ნადირი მოიკლვის, თავი საყდრის დეკანოზს უნდა მიართვას; და საყდარს უნდა შესწიროს ოროლი ფარის სანთელი მონადირემ“⁹.

აქ აღნიშნული „სირეული“ რომ ჩვენი სოფელია, ამას ადასტურებს აქვე ნახსენები ბაილეთი და ბოგილი, რომლებიც უშუალოდ მისი მოსაზღვრე ტერიტორიებია. წინ კი დასახელებულია ასევე გვერდით მდებარე ოთაროს ტყე და თვით სილაურის კუთვნილი ადგილები — რუხმელა (=ლუხმელა), ტომონი, გოგორიკული (=გოგორკული): „ქ. ამას გარეთ მიწა. ადგილი, ტყე და წყალი და საყანე ადგილი, ძირათ შეწირული ოთაროს ტყე, მის ზეით და ქვეით საყანით, რუხმელას წყლითგან, დელის თვალი რომ შეერთვის, იქამდის; და ქვემოთ კედაროს დელემდის მზღვარი უწევს. ქ. სხვა ადგილი საყანე, საპურე და სალომე მამულეიშვილის სა-

⁶ ი. ჯაეახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, V, თბ., 1986, გვ. 135.

⁷ ერთმა სილაურელმა ყმაწვილმა, რომელიც რუსეთში სამხედრო-სავალდებულო სამსახურში იმყოფებოდა, მეთაურის შეკითხვაზე, რას ნიშნავს შენი სოფლის სახელიო, ხუმრობით რუსულად ახსნა: „სალა ი ურა“-ო.

⁸ სილოური ჰქვია თურმე სახნავ ადგილს ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურში (საქართველოს სსრ ტოპონიმია, I, გვ. 190), ხოლო სილაურა — წყაროს, ყორნისის რაიონის სოფელ აენეშში (ალ. ლლონტი, ფრონეების ხეობების ტოპონიმია, თბ., 1988, გვ. 67).

⁹ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის საბუთი Qd 6713. მცირეოდენი უზუსტობით გამოქვეყნებულია: ქართული სამართლის ძეგლები, VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII—XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 727.

ზღვრიდან დაწყებული ტომონის დელემდის. ქ. კიდეც მერე გოგორიკული ოთხმოცი გოდრის მოსავალი...“ (იქვე, გვ. 727).

აქედან აშკარაა, ჩვენი სოფლის ადრინდელი სახელი ყოფილა სირ-ეულ-ი, რომლისგანაც მივიღეთ სირ-ოულ-ი (ფონეტიკური ვარიანტი — სილ-ოურ-ი) და ბოლოს — სილ-აურ-ი. როგორც ცნობილია, ნაწილობრივი ასიმილაციის საფუძველზე -ეულ / -ეურ სუფიქსების -ოულ / -ოურ-ად გადაკეთება დასავლეთ საქართველოს დიალექტებში, მათ შორის, გურულში, ჩვეულებრივი მოვლენაა. აქედანვე ვღებულობთ -აულ / -აურ სუფიქსებსაც.

გურიიში -ოულ / -ოურ დაბოლოებიანი გეოგრაფიული სახელებიც ბევრია. -ოულ-ი:

ბაბიტოული (გვ. 84)	ნაბაშოული (116)
ბარამოული (76)	ტორჩოული (151)
ბერეყოული (97)	ფარცაკოული (92)
ბერქოული (136)	ქაჯაკოული (118)
ბერშოული (104)	ქეროული (116)
ვაინცოული (132)	ქორთოული (137)
თეთროული (124)	ჩახოული (133)
კიროული (119)	ჩხაროული (132)
კიწმაროული (134)	ცარაკოული (125)
კონჭოროული (132)	ჭანაყოული (113)
კრიპოჭოული (128)	ჭიხაროული (129)
მახაროული (112)	ხუბოული (85)

-ოურ-დაბოლოებიანი გეოგრაფიული სახელები:

არჩილოური (100)	ნატბოური (135)
აფხოური (133)	ნიშოური (127)
აშატოური (122)	ოხიხოური (123)
ბადოური (118)	პალიოური (137)
გაგოური (127)	უკაშოური (101)
გამყოური (100)	ფეტოური (95, 99)
გობეჭოური (121)	ფილოყოური (96)
გოგოური (129, 133)	ქადაგოური (125)
გოლიათოური (85)	ქართელოური (116)
ღოური (125)	ქობილოური (134)
ედინოური (130)	ქოქილოური (124)
ზახტოური (122)	დელენჯოური (118)
თაილოური (125)	ყვითელოური (130)
თათხოური (131)	ჩახოური (123)
თალაყოური (129)	ჩიჩოური (122)
კილაჯოური (123)	ციციბოური (124)
მამინოური (124)	ცქილოური (131)
მეგრელოური (129, 133)	ჯამოური (136)
მესხოური (129)	ჯეჯოური (135)
მიგელოური (98)	ჯილოური (146)
მოსიოური (136)	ჯოგილოური (132)
მჭედლოური (113)	ჯანტოური (125).

რა თქმა უნდა, -ოულა და -ოურა დაბოლოებიანი ტომონიმებიც არის, მაგრამ მათზე აღარ შევჩერდებით.

დამოწმებული ნიმუშები კი იმ მხრივაც საინტერესოა, რომ „სილაურის“ აღნიშნული ფორმების (სიროული, სილოური) წარმოშობასა და გავრცელებაში, გარდა შინაგანი, ფონეტიკური პროცესებისა, მნიშვნელოვანი როლი ამ გარეგნულ მონაცემებს, დასახელებულ გეოგრაფიულ სახელებსაც, შეიძლება შეესრულებინა.

დოკუმენტურად მტკიცდება, რომ „სილაურის“ მსგავსი ცვლილებათა გზა ოზურგეთის რაიონის მეორე სოფლის, ლიხაურის, სახელსაც გაუვლია. დიახ, ლიხაური, ასე ჰქვია დღეს ამ სოფელს. ხანდაზმული ხალხი, როგორც ამ სოფელში, ისე სილაურსა და სხვა მეზობელ სოფლებშიაც, მას ლეხოურს ან იშვიათად (ო-ს ასიმილაციის შედეგად) ლოხოურს უწოდებს. ამ სოფლის მკვიდრი ექვთიმე თაყაიშვილი მას ლეხაურსაც ეძახის¹⁰ და ლეხოურსაც¹¹. ეს უკანასკნელი ფორმა უფრო ადრინდელ წერილობით წყაროებშიაც დასტურდება. შემოქმედის გულანის ქრონიკალურ მინაწერში აღნიშნულია: „ამ[ა]ს ქ[ორონი]-ქ[ონ]სა (ე. ი. 1764 წელს. — ბ. დ.) გურიას სერესკირის ლაშქ[ა]რი მოვიდა, ასკანა, ლეხოური და ბუკის ციხე ეიღეს“¹². 1818 წლის განჩინებაში წერია: ქაიხოსრო სეხნიეიშვილმა მაქსიმენა ბერიძეს უჩივლა: „მამაჩემმა ნაშოვარი მტყვეები მიაბარა ბაბუაშენს და გაუყა და მისი ფასი ორი ფრული შერჩა და მათხოვარი ვარ. ამას გარდა, ლეხოურს სიმინდი მქონდა და ჩემი ძმა გავაგზავნე მოსატანად და დახვდა მან, გზა შეუტრა სასიკვდილოთ და დასაჭირავად...“¹³.

მე-18 საუკუნის შუა წლების წყაროებში ეს სოფელი „ლეხეური“-ს სახელით იხსენიება. ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც 1742—1745 წლებშია დაწერილი, ვკითხულობთ: „ოზურგეთის სამკრით დის მდინარე ხინოსი, გამომდინარე აჭარა-გურიის მთისა. მოდის აღმოსავალ-სამხრეთს შუადამ, ჩრდილო-დასავლეთს შუა. ლეხეურის ციხემდე. მერმე დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, მიერთვის ზღუასა აღმოსავლიდამ. ამ მდინარისა და შემოქმედს შუა არს ციხე ლეხეურისა, მთის ძირს“¹⁴.

„ლეხეურის ციხე, გურიელის“ — ასეა აღნიშნული ტიმოთე გაბაშვილის რუკაზეც. რომელიც ვახუშტის ნაშრომზე რამდენიმე წლით ადრეა შესრულებული¹⁵.

ლიხაურის ეკლესიის სამრეკლოს კედელში ჩატანებულ ქვაზე ამოკვეთილ წარწერაში, რომელსაც დიმიტრი ბაქრაძე 1422 წლით ათარიღებს. ამ სოფელს რეხუელი ეწოდება: „ქ[ორონიკონი] რი (ე. ი. 110). ყ[ოვლა]დ წ[მიდა]ო ღ[ვ]თისმშობელო რეხუელისაო, შ[ეიწყალ]ე გ[იორ]გი გურ[იე]ლი და ღ[ვ]დოფალი ელ[ე]ნე! ამინ და [კირიელეი]ს[ონ]!“¹⁶.

ამ წარწერიდან გამომდინარე, დ. ბაქრაძე დაასკვნის: „ახლანდელ ლიხაურს

¹⁰ ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, ტფილისი, 1907, გვ. 26—27; მისივე, რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1968, გვ. 182.

¹¹ ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, I, გვ. 189 და შემდგომი.

¹² ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ყორდანიას მიერ, III, გამოსაცემად მოამზადეს გ. ყორდანიამ და შ. ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 607.

¹³ ქართული სამართლის ძეგლები, VI, გვ. 532.

¹⁴ ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 791.

¹⁵ შ. ბურჯანაძე, ლიხთ იმერეთის 1737 წლის რუკა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 194.

¹⁶ Археологическое путешествие по Гурнии и Адчаре Дм. Бакрадзе (С. Атласом), Санкт-Петербург, 1878, გვ. 108. ქართული თარგმანი: დ. ბაქრაძე, არქეოლო-

წარსულ საუკუნეებში რეხუელი ერქვა“ (რუსული გამოცემა, გვ. 111, ქართული — გვ. 101).

ამრიგად, ვლემულობთ: რეხუელი / ლეხეური → ლეხოური → ლიხაური.

სილაურთან კი გვაქვს: სირეული → სიროული / სილოური → სილაური.

აქედან აშკარაა, სახელში „სილაური“ ფუძისეული სილა მეორეულია, პირველადია — სირ-ი. ეს კი კარგად ცნობილი ძველქართული სიტყვაა, რომელიც, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონიდან“ დაწყებული, მრავალ ლექსიკონშია განმარტებული და ნიშნავს ჩიტს. იგი სხვა სიტყვებშიაც დასტურდება: სირაქლემა, სასირე ბადე, სირვაშლა (დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, ჩიტის ვაშლა, ქვატყემალა, ყვავის ტყემალა, მელის ყურძენი). სირკაქკაჭი. აქედანვე გვაქვს ადამიანთა სახელები და გვარები: სირა, სირო, სირუ¹⁷, სირაძე¹⁸, სირაეთ¹⁹. ეს სიტყვა საქართველოს უამრავ ტოპონიმში დასტურდება. აი, ზოგიერთი მათგანი, რომელიც აქარაში გვხვდება²⁰: სასირე (გვ. 128—129), სასირეთი (26), სასირია (52) და სხვა.

ამ გეოგრაფიული სახელებიდან ზოგჯერ ჭირს გამოცნობა იმისა, ის უშუალოდ მისი პირველადი მნიშვნელობიდან მოდის (სირი = ჩიტი). თუ მისგან მიღებული ადამიანთა გვარისა და სახელისაგან. იგივე ითქმის ჩვენი სოფლას შესახებაც.

ვინაიდან სირ-ეულ სიტყვაში მაწარმოებლად -ეულ სუფიქსი გამოდის, რომელიც ჩვეულებრივ კუთვნილებას, წარმომავლობას აღნიშნავს²¹, შეიძლება გვეფიქრა, ეს სოფელი ან მისი ის ნაწილი, რომლისაგანაც მთელმა სოფელმა მიიღო სახელი, ოდესღაც ვინმე სირა, სირია, სირაძეს ან მათი მსგავსი გვარ-სახელის მქონე პირს ეკუთვნოდა და აქედან წარმოიშვა ამ კუთხისა და შემდეგ მთელი სოფლის სახელწოდება.

ასეთი გზით, ე. ი. გვარ-სახელის ფუძეზე -ეულ სუფიქსის უშუალოდ დარ-

გიური მოგზაურობა გურიასა და აქარაში (ატლასითურთ), თარგმნა ტოტოჩაევამ, ბათუმი, 1987. გვ. 98.

ამ გამოცემებში ეს წარწერა მრგლოვანი ასოებით არის დაბეჭდილი. სადაც სიტყვაში „რეხუელისაო“ უ წარმოდგენილია არა ო და ვ ასოთა ერთიანობით ან ქვემოთ ფეხდახრბილი ო-თა, არამედ ფეხაწეული ო-თი, რომელიც ჩვეულებრივ ო ასოდ იკითხება (ამ თვალსაზრისით ო და უ არეულია აგრეთვე წინასიტყვებშიაც).

დ. ბაქრაძის სამიოდე წლით ადრე გამოქვეყნებულ წიგნში „Кавказ древних памятниках христианства“ (Тфл., 1875) მოცემულია ამ წარწერის რუსული თარგმანი და ჩვენთვის საინტერესო სახელი „რეხოელი“ ფორმითაა მოხსენიებული (გვ. 91). იგი აგრეთვე ამგვარივე სახითაა დამოწმებული და ლიხაურის თავდაპირველი სახელი „რეხოელ“-ად არის მიჩნეული ზოგიერთ თანამედროვე ნაშრომში (ი. მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1989, გვ. 14; გ. ქელიძე, „ლიხაურის“ თავგადასავალი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო-ლიტერატურული ბიულეტენი „ლეხოური“, № 2, 26 მაისი, 1990, გვ. 15). ჩვენ შევამოწმეთ ეს წარწერა დ. ერმაკოვისეულ ფოტო-სურათზე, რომელიც ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, და აღმოჩნდა, რომ იგი ფეხაწეული ო-თია დაწერილი (ალბომი № 42, სურათი № 2008). მაშასადამე, დედნისეული წაკითხვაა „რეხუელისაო“.

¹⁷ ალ. დლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1986, გვ. 188, 298.

¹⁸ ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1981, გვ. 148.

¹⁹ ტბეთის სულთა მათიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977, გვ. 108, № 3.

²⁰ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა (აქარის ასსრ), I, ბათუმი, 1958.

²¹ ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980, გვ. 129; ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 154.

თვით მიღებული ტომონიმები საქართველოში საკმაოდ ბევრია და მკვლევართათვის კარგად ცნობილი²².

თუ სოფელში ამჟამად მოსახლე გვარებისა და სიგელების (ზედმეტი, შერქმეული გვარების) მიხედვით ვიმსჯელებთ, ამისი კვალი არ ჩანს. აქაურთა ძირითადი გვარებია: გოგუაძე, დარჩია, კილაძე, ლეჟავა, ლომაძე, მეგრელი-შვილი. როყუა, რუსიძე, სარიშვილი, ქილიფთარი. რამდენიმე მოსახლეა დობორჯგინიძე, მექვაბიშვილი. თითო-ოროლა კომლია: გელაძე, ტულუში, უგრეხელიძე, ქუტიძე, ჩოლობარგია, ჩხარტიშვილი, ცინცაძე. ჩამოსახლდნენ, ცხოვრობდნენ, მაგრამ თვითონვე ან მათი შთამომავლები სოფლიდან წავიდნენ: ბრეგვაძე, დარსალია, ევგენიძე. კუნჭულია, ორმოცაძე. ჩხაიძე, სეხნიაშვილი. უკანასკნელ ხანს ჩამოსახლდნენ: აღფაიძე, ბლაგიძე, ბოგიევი, გარაყანიძე. გოგელია, გუჯაბიძე, ედაჭკორია, ვაწალოშიძე, სალარიძე, სიხარულიძე, სოსელია, ლლონტი. შიშმანაშვილი, ხელაძე, ხინიკაძე, ხურციძე. ჯანხოთელი, ჯაჭანიძე. ნასაკირალის ფართობში დასახლდნენ: ადაძე, ანთაძე, ართმელაძე. ბერიძე, გორგაძე, ირემაძე, მელაძე, მგელაძე, ქამადაძე, ჭელიძე, ხარაბაძე.

სილაურელთა გვარებში გავრცელებული ზოგიერთი სიგელი: გოგუაძეებში — გულდამწვარიები, დარჩიებში — კინტრია, ტიგურა, წუნიაშვილი. ჩაქველები, კილაძეებში — ოსიეშვილი, კოიძნები, მექვაბიშვილებში — ტურიე, ქილიფთარებში — გოჭუნე, დედალორა.

ცხადია, ეს არ ნიშნავს, ძველად აქ სხვა გვარ-სახელის მოსახლეთა ან მიწისმფლობელთა არსებობა გამორიცხებული იყოს. მაგალითად, ორი საუკუნის წინათ დაწერილ ზემოთ დამოწმებულ გიორგი გურიელის სიგელში დასახელებულია გვარები რუსიძე, ფილია, ბაბუშია, მამულეიშვილი, კანდელაკი, ხოხონაიშვილი: „ქ. კიდევე მებეგრე ძირი იმ საყდრის კაცის რუსიძისეული და იმაზე, ვინც დაესახლება იმ პარტახზე. ახლა სახლობს ფილია, მეგრელი ბაბუშია. და იმ პარტახზე მდგომ კაცს მართებს ამ საყდრის ბეგარა ორი ლოლარიკი სანთელი... ქ. სხვა ადგილი საყანე, საბურე და სალომე მამულეიშვილის საზღვრითგან დაწყებული ტომონის ღელემდის... ამას გარეთ კიდევე ერთი პატარა ზღვარი მამული დობირო კანდელაკის კარზედ არის. ერთი ბიჭი კიდევე შეწირული ხოხონაიშვილი იყო, თუ ცოცხალი არის“.

ამ გვარებიდან დღეს ამ არეზარეში ცხოვრობენ მხოლოდ რუსიძე, მამულეიშვილი (მამულაიშვილი — ბაილეთში) და კანდელაკი (ჯუმათში). ფილია და ბაბუშია აღარ შემორჩენილან. ხოხონაიშვილები (ხუხუნაიშვილები) მოშორებით, აკეთსა (ლანჩხუთის რაიონი) და მის ახლო-მახლო სოფლებში არიან.

ასე რომ, ვიმეორებთ, შესაძლებელია სილაური ← სირეული წარმომავლობით რომელიმე პიროვნების კუთვნილებას აღნიშნავდეს: სირასეული, სირიასეული, სირაძისეული და ა. შ. მაგრამ ჩვენ მაინც უფრო გვგონია, იგი უშუალოდ სირი (=ჩიტი) სახელისაგან მოდის.

გარკვევით ჩანს, მთელმა სოფელმა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, სახელი მიიღო ერთი მისი უბნისაგან, რომელსაც ახლა მაღლა სილაურს ეძახიან. ეს არის სოფლის შუაში მდებარე მომაღლო ადგილი, მოგრძო სერი (სიგრძით კილომეტრზე ნაკლები, სიგანით 200-დან 300 მეტრამდე), რომელიც უშუალოდ ებჯინება დღევანდელ სოფლის ცენტრს და საიდანაც მთელი სოფელი ხელისგულისგან მოჩანს. წინათ აქ, ამ სერის თავში, ეკლესია იყო (ახლა

²² ა. კინჭარაული. ეტიმოლოგიური ეტიუდები (ეული), კრებ.: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VI, თბ., 1984, გვ. 287. შდრ.: გვ. 289—290; ლ. გვენეტაძე, ტომონიმთა ოდენსუფიქსური წარმოება ოკრიზის ტომონიმის მიხედვით, კრებ.: ონომასტიკა, I, თბ., 1987, გვ. 57.

სასაფლაოა შემორჩენილი), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეს ადგილი ძველადაც ახლო-მახლო მოსახლეთა თავშეყრის ადგილს, ცენტრს წარმოადგენდა, რასაც მთელ სოფელზე მისი სახელის გატარებები უნდა განესაზღვრა. როგორც ვთქვით, ამ უბანს სოფლისაგან გასარჩევად დღეს მაღლა სილაურს ეძახიან, ძველები კი პირდაპირ სიროულს უწოდებენ. უამრავი საზრუნავისაგან თავმო-
ბეჭრებული ბებიაჩემისაგან არაერთხელ გამიგონია: მე მაშინ დამასვენებენ, სიროულზე რომ ამასვენებენო (სასაფლაო ჰქონდა მხედველობაში). ბერისაგან მსმენია წყევლა: სიროულზე მიწაში დაგვოხეო!

ადგილი წარმოსადგენია, სულ ძველად აქ ტყე იქნებოდა და, როგორც მო-
მაღლო ადგილი, ირგვლივ გაშლილი ვაკისა და ჭალებისაგან ის უთუოდ ჩიტე-
ბის სიმრავლითაც გამოირჩეოდა. ნიშანდობლივია, რომ აქედან ჩრდილოეთით, 5—6 კმ-ის დაშორებით არის მთაგორიანი ადგილები, რომლებსაც სასირე (ორაგვესთან) და ჩიტია (ძიმიტ-აცანა-აყეთის საზღვარზე) ჰქვია. დასავლე-
თით, ასევე ახლოს, იანეთში სასირე ეწოდება ფერდობს (გვ. 103). ბა-
ლეთსა (80) და ლაშეში (104) გორაკს. გურიის სხვა სოფლებში — ჭანჭათში (ყურიათი) სასირეა ტყე (112), სამებაში ერთი ტყეა ჩიტლა, მეო-
რე — მუხის სასირე (113). იქვე ჭვათორში ერთ ტყეს ეძახიან სას-
რეს, მეორეს საირაოს (114). სასირე ტყეა აგრეთვე ბახვი (91),
შუა განახლების უბნებში — დობიროსა (114) და ჭვიშნარში (115), გორაკებია
ხვარბეთში (78), ნიგოთში (139), დაბლაციხეში (119), წიფნარში (127), ჭყე-
მოხეთში (123), სირქედო — ნიგორჯღვაში (136). სასირე ყელი
(ე. ი. გადასასვლელი) არის გოგორეთში (78), თხილაგანში (130), სასირის
ყელი — ნასაკირალში (81).

ასეთსავე ადგილებშია ჩიტთან დაკავშირებული ტოპონიმები: ჩიტ-
ას ფეხი ფერდობია აცანაში (108), ჩიტილა გორაა ჩოლობარგში
(141), ჩიტლა ტყეა ზედა სამებაში (113), საირაო გორაკებია შუ-
ხუთში (142), ყელაში (149), სასკვინჩია ფერდობია ჭიხანჯირში (153),
ჩხიკვა გორაა ვაკიჯვარში (89). სამაგიეროდ საიხვია ვაკეა მერიაში
(76), ჭაობიანი ადგილი — ძიმიტში (107).

აი, ეს მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ სირეული / სიროული ეტიმოლო-
გიურად უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს ჩიტის ძველ ქართულ სახელს
სირი და ნიშნავდეს საჩიტე, ჩიტთან ადგილს.

რამდენადაც ჩვენ ენათმეცნიერულ ლიტერატურას ვიცნობთ, ქართულში
-ეულ სუფიქსი -იან-ის მნიშვნელობით გამოვლენილი არ არის, მაგრამ სამაგა-
ეროდ ამგვარი ფუნქციით გვხვდება მისი ფონეტიკური ტყუპისცალი -ეურ-ი.
ზემორე დამოწმებულ „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენ-
ტების ლექსიკონში“ მის შესახებ აღნიშნულია: „ძველ ქართულში გამოიყენე-
ბოდა პრეფიქსის გარეშე: მთ-ეურ-ი «მთიანი», «მთიანეთი»: «მთეურსა შიან
საფირისასა...». ახალ ქართულში თავს იჩენს რამდენიმე ფორმაში: ხელ-ეურ-ი,
ცოლ-ეურ-ი, ყველ-ეურ-ი...“ (გვ. 156).

სირ-ეურ-ისაგან სირ-ეულ / სირ-ოულ / სილ-ოურ ფორმების მიღება ქარ-
თული ენისათვის ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხე-
ში ვხვდებით ტოპონიმს ჩიტაური, რომელიც შინაარსითა და აგებულებით
სირაულს ეხმიანება. ეს გეოგრაფიული სახელი არის ოზურგეთის რაიონის
სოფელ ფამფალეთში (გვ. 89), სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჭიხაშში²³.

²³ ი. სიხარულიძე, ვაკე-იმერეთის ისტორიული გეოგრაფიის მასალებიდან (სამტრე-
დიის რაიონი), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, თბ., 1982, გვ. 116.

ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომში²⁴, საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთში²⁵, ჩიტაურა — ხარაგაულის რაიონის ხევის სასოფლო საბჭოში შემავალ ნაღბურში და გოლისში²⁶, ჩიტაურის წყარო — ამავე რაიონის სოფელ მოლითში, ჩიტაურები — კიათურის რაიონის სოფელ ითხვისში²⁷ და სხვა.

ვინაიდან გვაქვს ადამიანთა სახელები: ჩიტო, ჩიტუა, ჩიტუმა, ჩიტუნა, ჩიტურა, ჩიტია, ჩიტეკო, ჩიტოლია, ჩიტორია²⁸ და სხვა, გვარები — ჩიტავა, ჩიტაია, ჩიტაიშვილი, ჩიტეიშვილი, ჩიტალაძე, ჩიტაური, ჩიტაძე, ჩიტიანა, ჩიტოშვილი, ჩიტუკაშვილი²⁹ და სხვა, აქაც კირს გარკვევა იმისა, ზემორე აღნიშნული ტოპონიმებიდან რომელი მომდინარეობს უშუალოდ ჩიტი სიტყვიდან და რომელი ადამიანის სახელებისა და გვარებისაგან.

იგივე კითხვა ისმის -აურ-დაბოლოებიანი სხვა ტოპონიმების მიმართაც. თითოეული მათგანი საგანგებოდაა შესასწავლი და დასაზუსტებელი. მაგალითად, როცა ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანასა და მეზობელ სოფლებში, მამათსა და აკეთში, ცხოვრობენ ქინქლაძეები, ხოლო ჩიბათში კუკულაძეები, სარწმუნოა, რომ აცანაში ფერდობის სახელი ქინქლა-ურ-ი (გვ. 109) და ჩიბათში გორაკის სახელი კუკულა-ურ-ი (145) ამ გვარებს უკავშირდება.

მეორე მხრივ, გვაქვს ტოპონიმები ასკილაური სოფელ გომბორთან, ასკილაურა — სათესი ხულოს რაიონის სოფელ პაქსაძეებში³⁰. 1579 წლის გუჯარში კი ნახსენებია ასკილოვანი: „ეგრეთვე ჭერ ვიჩინეთ, შევსწირეთ და მოვახსენეთ უდაბნონი, მონასტერნი, ეკლესიანი. სოფელნი და აგარაკნი, აზნაურნი და გლეხნი. მოვახსენეთ [ხო]რაუგს საწინამძღვრო მონასტერი ყუაფისთავი. კილმატი და ასკილოვანი, კილმატის ციხე მთითა და ბარიტა. ვერცნა ციხითა...“³¹.

დღეს ასკილიანი სათეს ადგილს ჰქვია მცხეთის რაიონის სოფელ ზაქაროში. ამავე რაიონის სოფელ ჩარდახის სამხრეთ-დასავლეთით ასკილიანი ველია³² და სხვა.

ფიქრობთ, აღნიშნული ტოპონიმები ასკილაური. ასკილაურა მცენარის სახელსაგან წარმოდგება და ნიშნავს ასკილის, ასკილიან ადგილს.

ყოველივე ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ დავსვათ საკითხი: ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი, დღეს რომ -აურ / -აულ და -ოურ / -ოულ-ით ბოლოვდება. თავიდან ისინი -ეურ / -ეულ სუფიქსიანები ხომ არ ყოფილან?³³

ამრიგად, ჩვენი დასკვნით, უეჭველია, სოფელ სილაურის სახელწოდება წარმოდგება ჩიტის ძველქართული სახელისაგან სირ-ი: სირ-ეურ-ი / სირ-ეულ-ი → სირ-ოურ-ი / სილ-ოურ-ი → სირ-აულ-ი / სილ-აურ-ი. შესაძლოა, იგი

²⁴ არ ულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, გვ. 116.

²⁵ საქართველოს სსრ ტოპონიმია, I, გვ. 225.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე.

²⁸ ალ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, გვ. 225, 309.

²⁹ ი. შაიხურაძე, ქართული გვარსახელები, გვ. 200.

³⁰ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, გვ. 122.

³¹ საქართველოს სიძველენი, I, ტფ.- 1920, გვ. 8.

³² ალ. ლლონტი, მცხეთის ტოპონიმია, II, ტოპონიმური ძიებანი, თბ., 1975, გვ. 42.

³³ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზოგიერთ გვ-ზე დამთავრებულ გეოგრაფიულ სახელში (მარჯანევი, ბირტყევი, მაზარევი), რომლებიც აჭარაში, მაქაზლის ხეობაში, გვხვდება, „მე წარმოშობილია -ეულ სუფიქსისაგან შემდეგი სათესურების გავლით: ეულ→ევლ→ევ, ესე იგი: მარჯანეული→მარჯანეული→მარჯანევი“ და ა. შ. (ა. მსხალაძე, მაქაზლის ხეობის ტოპონიმისათვის, კრებ.: რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, I, ბათუმი, 1954, გვ. 25).

მოდიოდეს ამ სიტყვისაგან მიღებული ადამიანის სახელის ან გვარისაგან (სირასეული, სირიასეული, სირაძისეული). უფრო კი მოსალოდნელია, საფუძვლად ედოს უშუალოდ მისი პირველადი მნიშვნელობა და ნიშნავდეს: საჩიტე, ჩიტინი ადგილი³⁴.

ახლა სილაურის ცალკეული ადგილის სახელთა ეტიმოლოგიის შესახებ. მათგან ბევრია ისეთი, განმარტება რომ არ სჭირდება: ნაციხური (თუმცა ციხის ნაშთები არ შემორჩენია), სათიბე, საკირე, სამგელია, საყორნიე, სასახლე (გურიელია ნასასახლარი, შემორჩენილია სუროიანი და ხავსმოღებული ბოძები), ქვიანა, შკერისგვერდა („შკერი“ გურულად „შქერია“³⁵); მამათის ღელე სოფელ მამათიდან მოედინება.

ზეგანი ზოგადი გეოგრაფიული სახელია. იქვე, მახლობლად, ლაშეში იგა

³⁴ რაც შეეხება დილიჯაურის „სილაურისა“ და აენევის „სილაურას“. ისე როგორც სხვა ამგვარ სახელთა წარმომავლობას, ისინი ცალ-ცალკე, ადგილობრივი მონაცემების მიხედვით უნდა იქნან შესწავლილი.

რადგანაც სოფელ ლიხაურის სახელსაც შეეხებო, ბარემ მის ეტიმოლოგიაზე ოროდ სიტყვას აქვე ვიტყვი. თუ სილაურის მსგავსად დღევანდელი ფორმის მიხედვით ეიმსჯელებო, მოგვეჩვენება, რომ მასში იგივე ლიხ ფუძეა. რაც საქართველოში ფართოდ გავრცელებულ გეოგრაფიულ სახელებში გვაქვს: ლიხის ქედი, ლიხთ იმერეთი, ლიხეთი (სოფელი ამბროლაურის რაიონში), მიკროტოპონიმებიდან: ლიხი და ლიხის სერი ხარაგაულის რაიონის სოფელ ზუარეში, ლიხი და ლიხის წყარო ამავე რაიონის სოფელ ვახანში (საქართველოს სსრ ტოპონიმია, I, გვ. 118) და სხვა.

ამ უკანასკნელთა ასახსნელად ზურაბ ჭუმბურიძე იშველიებს სულხან-საბა ორბელიანის განმარტებას: „ლიხი — ფრიად მაღალი შამბი“ და წერს: „რა გასაკვირია, თუ ერთ ადგილს მაღალი შამბნარის გამო დაერქვა ლიხი“ (ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 465).

მაგრამ ზემოთ ვნახეთ. ადრე ამ სოფელს რქმევია არა ლიხაური, არამედ რეხუელი, ლეხეური, ლეხოური / ლოხოური, სადაც ფუძე უნდა იყოს რეხუი / რეხი. რაც გურულ დიალექტში და სხვაგანაც ქვაღორღს, ქვიან ადგილს. რაჭულში კი — მთის კლდოვან კალთებს ნიშნავს (შდრ.: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ლლონტი, თბ., 1984).

როგორც იოსებ მეგრელიძე იუწყება. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, „აქისწყალი რომ რეხს აყრის ნაპირებს. ამიტომ შეიძლებოდა ამ სოფელს რეხოული-ლეხაური დარქმეოდა“ (ი. მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, გვ. 14). იმავე თვალსაზრისს იმეორებს გიზო ქელიძე („ლეხოური“, 1990, № 2, გვ. 15).

რეხ-ფუძიანი გეოგრაფიული სახელები საქართველოში საკმაოა. რეხი / რეხა არის ქართლში. 1754 წლის განჩინებაში წერია: „თეიმურაზს რაც რეხზედ მამული უჭირავს, საერთო არის“ (ქართული სამართლის ძეგლები, IV, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დოლიძე მ. თბ., 1972, გვ. 436). 1768 წლის არხა: „როცა მოხისი აიყარა, ისიც (ბეჟან სააძბე. — ბ. დ.) ავყარეთ და რეხას დაეასახლეთ“ (იქვე, გვ. 554; იხ. აგრეთვე გვ. 116, 433, 470, 520, 522). ქართლშივე არის მდინარე რეხულა. 1731 წლის მორიგების წიგნში ეკითხულობთ: „დღეის იქით, ვინც ჩვენმა კაცმა ან ქსანზედ ან რეხულაზე ან მეჯღაზედ ან სხვა სამძღუარებში მამული იყიდოს, მამულიც თქვენი იყოს და ფასიც დაეყარგო“ (იქვე, გვ. 326). დღეს რეხა არის სოფლები გორისა და წალკის რაიონებში. გ. ელიაშვილს ცნობით, სამეგრელოში „რეხა ქვიანი და კაჯარი ადგილია“ ბანძაში. „რეხი — ქვიანი ადგილია“ ხუნწში, „მაღლობი, ჩირგვნარი სერია“ თამაკონში (გ. ელიაშვილი, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია, გვ. 86, 112, 165).

აქვე დავძენთ, ლიხაური ღელეს ჰქვია ჩოხატაურის რაიონის სოფელ კოხნარში (გვ. 127).

ამ მასალებიდან სარწმუნო ჩანს, ლიხაურის სახელი წარმოსდგება რეხუ-ფურ-ი სიტყვიდან. რაც ნიშნავს რეხიან, ქვაღორღიან ადგილს. და შემდეგ აქედან მივიღეო მისი ფონეტიკური სახეცვლილი ფორმები: რეხუელი, ლეხეური, ლეხოური და, ბოლოს ლიხაური.

³⁵ გურიაშია: შკერნალი (გვ. 119), შკერპატარა (93), შკერშაღის გორა (135). აჭარაში არია: შკერიქედი, შკერკაყუტა, შკერნალის ღელე (ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, II, გვ. 52, 54, 64).

ეწოდება სერს (გვ. 104). ბევრ ადგილს ჰქვია აჭარაში³⁶ და სხვაგანაც. სილაურის ზეგანი მომცრო მთიანი ადგილი არის და ამართლებს ამ სიტყვის შინაარსს.

ნაბაკევიც ზოგადი სახელია და ბევრ ადგილს ჰქვია საქართველოში. შორს რომ არ წავიდეთ, ვიტყვით, ამ სახელის სოფლებია სამტრედიისა და გალას რაიონებში. ნიშნავს ბაკის ნამყოფ ადგილს. ბაკი კი ამ შემთხვევაში ირგვლივ შემოზღუდული, საქონლის დასამწყვდევნი ღია ადგილია.

დამპალისპირი მდებარეობს სუფსის პირას, სადაც მას რობა ერთვის. აქვეა დაქაობებული სუფსის ძველი ნადინარი. ამ ტიპის სახელები საქართველოში ხშირია. დამპალისპირი სათესი ადგილია მეზობელ სოფელში, ჭურუყვეთში (გვ. 147). სხვა კუთხეებში არის: დამპალი³⁷, დამპალო³⁸, ჩამპალი³⁹, დამპალწყარო⁴⁰, დამპალღელე, დამპალყანები, დამპალჭალა⁴¹ და სხვა.

კიბულა ჩაკიბული ბილიკია, რომელიც სოფელ მამათში გადადის, და კიბე სიტყვიდან წარმოსდგება. გურიაში კიბულა ჰქვია ღელეებს (გვ. 75, 103, 111), გორებს (106, 153), წყაროს (131). სამეგრელოში გვაქვს: „კიბულური — კიბესავით ადგილია. საფეხურიანი, ხრიოკი და კადარი“; „კიბეში — კიბის მსგავსი ფერდობი, საფეხურიან-სართულებიანი“; „კიბუღა — გორაკია კიბეების მსგავსი, სართულიანი“⁴². აჭარაში არის: კიბე, კიბეთი, კიბითავი, ქვაკიბე⁴³. ამ სიტყვისაგან მიღებული ტოპონიმები უცხო არც აღმოსავლეთ საქართველოსათვისაა: კიბულა წყაროა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბაღდადში⁴⁴ და სხვა⁴⁵.

ბოლონწრილა ბოლოვიწროს ნიშნავს. ინწრუა სოფლის უბანია გურიაში, თხილაგანში (გვ. 130). აჭარაშია ყანაწრილა⁴⁶.

ქაშანი ზოგადი სახელია, სულხან-საბა ორბელიანის ახსნიც, იგი „შამბთა“⁴⁷ და თოვლზედ გაქელილ გზას“ ნიშნავს. შ. ნიჟარაძის ცნობით. ზემო აჭარაში „ქაშანი“ „მაღალტყიან ადგილას დაშვებული ბუნებრივი თხრილია, რაშიაც შეშას ან მძიმე საშენ მასალას თრევით დააცურებენ ხოლმე“⁴⁸. სილაურში აღნიშნულ ადგილას ამგვარი თხრილი არ არის. ჩანს, ამ ადგილმა ეს სახელი მისი პირველადი მნიშვნელობით, შამბის (ბალახის) გამო მიიღო, თუმცა ისიც შესაძლებელია, ამ გზით ძველად შეშა და ხე-ტყის მასალა გამოჰქონდათ.

ნაოჩვარიც ზოგადი სახელია. როგორც სილაურშია, გურიაში ის სათეს

³⁶ ი. სიხარულიძე, ნიგალი (ლივანა), საისტორიო გეოგრაფიული მასალები, ბათუმი, 1985, გვ. 65—66; მ. ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმის მასალები „დროება“ და „ივერიაში“, კრებ.: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1983, გვ. 36.

³⁷ ი. სიხარულიძე, ნიგალი, გვ. 40—41; მისივე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, გვ. 61.

³⁸ ალ. ლლონტი, მცხეთის ტოპონიმია, გვ. 47.

³⁹ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, გვ. 129, 134.

⁴⁰ იქვე, წიგნი II, გვ. 143, 148.

⁴¹ ალ. ლლონტი, ტოპონიმური ძიებანი, V, აწყურისა და ტაშისკარამდე, თბ., 1987, გვ. 62.

⁴² გ. ელიაეა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია, თბ., 1977, 151, 170, 112.

⁴³ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, გვ. 21, 39, 41, 47, 144.

⁴⁴ ალ. ლლონტი, ტოპონიმური ძიებანი, III, ლაგოდეხის ტოპონიმია, თბ., 1981, გვ. 53.

⁴⁵ ლ. გვენეტაძე, ოკრიბის ჰიდრონომია, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 245, ენათმეცნიერება, 8, თბ., 1984, გვ. 54.

⁴⁶ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, გვ. 109.

⁴⁷ შამბი კი, მისივე განმარტებით, „მაღალი და სხვილი ბალახია“.

⁴⁸ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.

ადგილს ჰქვია ჰაჭიეთში (გვ. 94), ტობათში (139), ხიდმაღალაში (154). გვხვდება აჭარის სოფლებში⁴⁹ და სხვაგანაც.

როგორც აღვნიშნეთ, ამ სიტყვას ეხება იოსებ მეგრელიძე და სწორად მიუთითებს, რომ ის წარმოდგება გეოგრაფიული სახელისაგან ოჩე (ნა-ოჩე-ე-არ-ი). ეს უკანასკნელი კი გურიაში სათეს ადგილს ჰქვია კოხნარში (127), ნიგოთში (141), ლესაში (146), კიდევ მეტ ადგილს სამეგრელოში⁵⁰; გვხვდება აჭარაში⁵¹ და სხვაგანაც.

ოჩე მეგრულ-ლაზური სიტყვაა, რომელსაც მკვლევრები სხვადასხვაგვარად განმარტავენ. იოსებ ყიფშიძე პარალელს ავლებს სიტყვასთან ყანა და ძირითად მნიშვნელობად ასახელებს „დიდ მინდორს“⁵². „დიდ ყანად“ თარგმნის გივი ელიავა, ხოლო, მისივე ცნობით, ადგილობრივ ინფორმატორთა ერთი ნაწილი მას უხვ მოსავლიან, ნაყოფიერ, დოვლათიან ადგილად განსაზღვრავს, სხვები კი — სიტყვასიტყვით თეთრი ვაზის შად ან ისეთ ადგილად მიიჩნევენ, სადაც ასეთი ჯიშის მაღლარი ვაზი უნდა ყოფილიყო გავრცელებული (ოჩე = საჩეო, სათეთრო ადგილი)⁵³. ყანის მნიშვნელობით ესმით იგი სხვებსაც⁵⁴. სარგის კაკაბაძის აზრით, არის „ტყეში გამოკაფული დასამუშავებელი მიწა (ახო)“⁵⁵. ამ მოსაზრებას ენათესავება იოსებ მეგრელიძის ახსნა: ო-ჩ-ე = საჩეხი (გვ. 84). საგანგებო გამოკვლევაში ზაზა ალექსიძე და გივი მაჭავარიანი ამ სიტყვას ამგვარადვე შლიან, ოღონდ ეყრდნობიან მეგრულ-ლაზურ სიტყვას „უჩაში“ (= უფროსი) და წარმომავლობით მას სოციალურ ტერმინად ვარაუდობენ, რაც ნიშნავს საუხუცესოს, საუფროსოს⁵⁶. მათი ძირითადი მსჯელობა და დასკვნა ასეთია: „ო-ჩ-ე არის «ის, რაც დიდისათვის, უფროსისათვის არის განკუთვნილი» ანო «საუფროსო, საუხუცესო». შემდეგში მნიშვნელობის დაკონკრეტების შედეგად, «ყანა, მინდორი, სახნავი, რომელიც უფროსის, უხუცესის (მეგრულად უჩაშ-ის) კუთვნილებაა» ... ოჩე ზუსტ ანალოგიას პოულობს ტერმინ ხდაბუნთან, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, არის «ბატონო დიდი ყანა». ხოდაბუნის ძველად საბატონო ყანის აღმნიშვნელიყო. საბატონო ყანა, ცხადია, ვრცელი და მაღალი ხარისხისა იქნებოდა გვიან, როცა მასში ბატონის ხელი აღარ მოჩანდა. უბრალოდ, «დიდი ყანის» გაგებადა შერჩა. ამრიგად, ოჩე „საუხუცესო მიწა» > «დიდი ყანა» = ხოდაბუნი, «საბატონო მიწა» > „«დიდი ყანა»“ (გვ. 383—384).

სილაურის ნაოჩვარი პატარა ტერიტორიაა სუფსის ვრცელ ქალაში და მას არც დიდი მინდვრის, დიდი ყანისა და არც საუფროსოს სახელი შეესაბამება. ეს არის ყოფილი ტომონის შემოგარენი და, უნდა წარ-

⁴⁹ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, გვ. 134 (აქცია ნაუჩეარი — გვ. 37, 51, 128, 132), წიგნი II, გვ. 12, 51.

⁵⁰ გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია, გვ. 14, 22, 27, 37, 46, 51, 81, 127, 132, 139, 155, 161; მისივე, სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1969, გვ. 23, 62, 72, 81, 87, 99.

⁵¹ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, გვ. 77 (აქცია ოჩია — გვ. 57, 117).

⁵² И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб, 1914, с. 295, 420.

⁵³ დასახელებული წიგნები.

⁵⁴ ზ. ჰუმბუროძე, დედანა ქართული, გვ. 486.

⁵⁵ ს. კაკაბაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალური და ეკონომიური ტერიტორიისათვის, საისტორიო კრებული, I, 1928, გვ. 12—14.

⁵⁶ ზ. ალექსიძე, გ. მაჭავარიანი, უძველესი ქართული სოციალური ტერმინი ოჩე (საუხუცესო || საუფროსო), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 127, ისტორიის მეცნიერებათა სერია, VII, თბ., 1968, გვ. 381—402.

მოვიდგინოთ, თავიდან დაუმუშავებელი, ახო, ყამირი, ამდენად, შემდგომ ერთ-ხანს უხვმოსავლიანი, ნაყოფიერი ნიადაგიანი (გურულად — უყი მიწა) ადგილი იქნებოდა და ამან განსაზღვრა მისი სახელი.

იოსებ მეგრელიძე ყურადღებას აქცევს ნა-ოჩ-ვ-არ-ში ვ ბგერას და ფიქრობს, ის ან სიტყვის ძირში ჩართული აფიქსია (ინფიქსი) ან ოჩ-ვ-ა ზმნის ნაშთი. ჩვენი აზრით, აღნიშნული სიტყვა ორმაგი, ევ და არ სუფიქსებთან ნაწარმოები სახელი უნდა იყოს და ვ ევ-ის ნაშთია: ნა-ოჩ-ევ-არ-ი. აკაკი შანიძე ამგვარ სიტყვაწარმოებაზე აღნიშნავს: „ზოგ შემთხვევაში ევ სუფიქსს არ-ი დართვია და ხმოვანის ამოღების გზით (ე)ვ-არ-ი გაკეთებულა: *ნა-ციხ-ევ-ი (შდრ. მეგრ. ნო-ჯიხ-ევ-ი, რომელიც სოფლის სახელია)... ნა-ციხ-ვ-არ-ი (ნა-ციხ-ევ-არ-ი), *ნა-დიკ-ევ-ი (დიკა პურია ერთგვარი), ნა-დიკ-ვ-არ-ი («ნა-დიკვარი» ადგილია თელავში); *ნა-სიძ-ევ-ი: ნა-სიძ-ვ-არ-ი“⁵⁷.

გურიაში არის: ნა-ციხ-ვ-არ-ი ნაგომარში (93), ნა-ციხ-ვ-არ-ა აკში (84), მთისპირში (90), ზომლეთში, ვანში (112), ზემო ტოლებში (137), აჭარაშია ნა-ოჩ-ევ-ი⁵⁸.

შამსადაძე, სილაურის ნაოჩვარი წარმოდგება მეგრულ-ლაზური სიტყვიდან ოჩ-ე და ნიშნავს ყოფილ უხვმოსავლიან, უწინდელ ნოყიერ, უყ ადგილს, ნაყამირალს. მასში ვ ბგერა -ევ სუფიქსის ნაშთია: ნა-ოჩ-ევ-არ-ი → ნა-ოჩ-ვ-არ-ი.

ოროკი / ოროკა უამრავ ადგილას გვხვდება გურიაში: ზედა და ქვედა ორმოთში (გვ. 76--77), მელექედურში (80), ბახეში (91), ბუკნარსა და ქვენობანში (94), კაპრუანში (106), ქვემო აკეთსა და გაგურში (110), ზომლეთში (111), ამაღლებაში (113), ჭუნჭუათში (144), ჩოჩხათში (153) და სხვაგანაც.

გ. შარაშიძის „გურულ ლექსიკონში“ „ოროკი“ განმარტებულია ასე: „ნარიყალი ნიადაგი, სახნავ-სათესი მიწა“⁵⁹. იგივე აზრი გამეორებულია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (ტ. VI): „ო რ ო კ-ი (ოროკისა) კუთხ. (გურ.) ნარიყალი. საყანე (შდრ. ო რ ო კ ო)“. ი. მეგრელიძის ახსნითაც, „ოროკი“ გურულად ნიშნავს მწირ, გამოფიტულ მიწას (გვ. 79).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში დამოწმებულია სიტყვა „ოროკო“ და განმარტებულია: „მიწა ბაქან-ბაქანად მოვაკებული“, რაც თანამედროვე ქართულ ენაზე ნიშნავს → ტ ე რ ა ს ს. ნიკო ოთინაშვილი, იმოწმებს რა სულხან-საბას ახსნას, წერს: „ამჟამად ეს სიტყვა („ოროკი“. — ბ. დ.) გურიაშია შემორჩენილი და მშრალ თიხნარს ეწოდება. სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში კი ასეთ მოწყობილ ბაქნებს ტერასებს უწოდებენ“⁶⁰.

მეგრელიძე ვარაუდობს, რომ ო რ ო კ ი, ისე როგორც ო რ ო კ ო, მიღებულია ო რ ო კ სიტყვაზე მეგრული „ო“ თავსართის დართვით, რაც ქართულ „სა“-ს შეესაბამება: ო-როკ-ი = საროკე. „როკი“ კი, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ თანახმად, არის „ხის ტოტის ძირი ან ნუჟრიანი კაპი“ (ტ. VI), გურულად კი, როგორც ი. მეგრელიძე წერს, „მუხის ან წაბლის კეტი“ (გვ. 79). ჩვენი მხრივ დავუმატებთ, ასევე, აკაციის ან კიდეც, საერთოდ, მაგარი ტოტი, კეტი, სარი⁶¹.

„როკ“ სიტყვა საქართველოს მრავალ ტოპონიმში გვხვდება. საყოველთაოდ

ა. შანიძე, თხზულებანი, III, გვ. 134.

⁵⁸ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, გვ. 37, 65.

⁵⁹ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.

⁶⁰ ნ. ოთინაშვილი, ცხვატის ტერასები, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 19 თებერვალი, 1921 გვ. 2.

⁶¹ იხ. აგრეთვე: ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა; ე. ნარაკიძე, ლაზური ლექსაკის ზოგიერთი საკითხი, კრებ.: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, გვ. 68.

ცნობილია როკის უღელტეხილი; როკითი სოფელია ბაღდათის რაიონში; როკა/როკები უბანია ჭიათურის რაიონის სოფელ შუქრუთში⁶². როკონა (ე. ი. როკიანი) რამდენიმე ადგილს ჰქვია სენაკის რაიონში⁶³ და სხვა.

როგორია სილაურის ოროკას ბუნებრივი მონაცემები? აღნიშნული განმარტებებიდან მას ყველაზე მეტად ესადაგება სულხან-საბასეული ახსნა. ესაა მდინარე სუფსის ჭალაში შემადღებული ადგილი, ერთსაფეხურიანი ვრცელი ტერასი, სადაც ერთ ნაწილზე ჩაის პლანტაციაა გაშენებული, დანარჩენი საძოვრად და სიმინდის სათესად არის გამოყენებული (მანამდე მოჰყავდათ ღომი). ოდესღაც ალბათ ეს ადგილი ტყიანიც იყო, მაგრამ ამ მხრივ იგი, მეტადრე მაგარმერქნიანი მცენარეებით, გამორჩეული რომ ყოფილიყო. ძალიან საეჭვოა. ამგვარ მცენარეთა გავრცელება უფრო მთავორებსა და ფერდობებზეა სავარაუდებელი, ვიდრე დაბლობებსა და ჭალებში.

ზოგიერთი ოროკი მართლაც ქვიანი და მწირნიადაგიანია. მაგრამ სილაურისა ამგვარი არ არის. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, როკის მცირემოსავლიან ადგილად წარმოდგენა უფრო თვით ამ სახელმა განაპირობა, ვიდრე ნიადაგმა. გურიაში ბევრს იგი ასე ესმის: ოროკიანი, ე. ი. ოროკა (ოყა) მოსავალს რომ იძლევა, ისეთი ადგილი (ოკა, ოყა = 1,36 კგ-ს⁶⁴).

ირკვევა, სხვა ოროკებიც მომადლო ადგილებია. ი. სიხარულიძის აღწერალობაში მხოლოდ ზედა ორმეთის ოროკზეა ნათქვამი — „შემადღებული ადგილი“ (გვ. 76). სხვაგან ჩვეულებრივ „სათესი“ ან „ფერდობია“ მითითებულია. სილაურის ოროკზე „სათესი“ წერია! (გვ. 105). ჩვენ კი ნამდვილად ვიცით. ქვედა აკეთში, ძიშითში, ბახვში ოროკი შემადღებული ადგილებია.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, სარწმუნოა სულხან-საბა ორბელიანის განმარტება, ძველად ოროკო/ოროკი/ოროკა ბაქან-ბაქანად მოვეყებულ, მომადლო, ტერასულ ადგილებს ეწოდებოდა და ჩემს სოფელშიაც ეს სახელწოდება ამის გამო გაჩნდა.

მსგავსად ოროკისა, ზოგადი გეოგრაფიული სახელი უნდა იყოს კაჭარაც. იგი ტყიანი ფერდობია ზეგანის გვერდით. ამ სახელის განმარტებისას. ბუნებრივია, უპირველესად გვაგონდება კახეთის სოფელი კაჭრეთი (გურჯაანის რაიონი). ნაკაჭი ადგილია ლაგოდეხის რაიონის სოფელ საქობოში⁶⁵. ცხადია, მხედველობის არეში გვაქვს კოლხური სახელები: კაჭა, კაჭაი, მეტსახელი კაჭალ⁶⁶, გვარები — კაჭარავა, კაჭაროზაშვილი და კაჭარავადან სამეგრელოში მიღებული ტოპონიმები კაჭარულ. კაჭარუი⁶⁷ და სხვა.

„კაჭარ“ ფუძიდან მიღებულ სიტყვებს ქართულში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. სულხან-საბა ორბელიანის ცნობით, რომელსაც დ. ჩუბინაშვილიც იმეორებს, „კაჭარი უწყლოს ალაგს რიყის მსგავსი ქვა“ არის. ეს სიტყვა დღესაც ცოცხალია. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით: „კაჭარი — მთის ქანის მონატეხი დიდი ქვა, რომელიც ჟამთა ვითარებაში მყინვარების მიერ ცოტაოდენად მომრგვალებული და გახეხილია“ (ტ. IV). გურიაში კაჭარა ზოგიერთმა ქვიან და უნაყოფო ადგილად აგვიხსნა, ზოგ-

⁶² საქართველოს სსრ ტოპონიმია, I, გვ. 166.

⁶³ გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, გვ. 60, 71, 88, 110.

⁶⁴ გ. ჭაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX—XIX სს.), თბ., 1973, გვ. 73—74.

⁶⁵ აღ. ლლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, III, გვ. 60.

⁶⁶ აღ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები.

⁶⁷ გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია, გვ. 39, 40.

მა — დიდ ქვად. ახლახან გამოქვეყნებულ ერთ ნარკვევში ვკითხულობთ: ჭიქის „კვალმა უზარმაზარ კაჭრამდე მიმიყვანა. შემოვუარე იმ კაჭრს და გავოგნდი — ჭიქი ამოფარებოდა კლდეს“⁶⁸.

მეორე მხრივ, სულხან-საბა ორბელიანის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების განმარტებით, კაჭრობა — გველის ყიყინი, გველის ხმიანობა“, „სისინია“.

ა. მაყაშვილის ახსნით, ზემო იმერეთში კაჭარა ეწოდება კოლრაბი, მხალს კომბოსტოს ოჯახიდან, რომელსაც გურიაში კეჭერას ეძახიან⁶⁹. ქეთევან ძოწენიძე მას კაჭარ ფხალის სახელით იმეწმებს⁷⁰. ამ ახსნას ეხმიანება სულხან-საბას განმარტება: „აკაჭრება — მხალთ შეხმობის დაწყება“.

აღარაფერს ვამბობთ სიტყვების კაჭა, კაჭვა, კარჭალისა და სხვათა შესახებ, რომლებსაც ქართულ დიალექტებში სხვადასხვა გავება აქვთ.

თუ გეოგრაფიული მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, სილაურის კაჭარას ყველაზე უფრო სულხან-საბას პირველი განმარტება შეესაბამება. ზედაპირზე არსებული რიყის ქვებით ან მთის ქანის მონატეხი დიდი ქვით იგი დღეს აღ გამოირჩევა, მაგრამ უწყლო და ქვიანი ადგილი ნამდვილად არის. ბარს მიწას ვერ დააკარებ, ისეა ქვებით გატენილიო — მითხრა ერთმა იქაურმა გლეხკაცმა (შლრ.: ბ. ფოჩხუა, თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, I, თბ., 1987, გვ. 109).

ამრიგად, ჩანს, სილაურის კაჭარამ უწყლო ქვიანობის გამო მიიღო ეს სახელწოდება.

ნათელია რობა დელის სახელი. აშკარაა, შინაარსობრივად იგი ისაა, რაც მეგრული რობა, რობუ და ლაზური რუბა, ნიშნავს ხევს, მდინარეს. გივი ელიავას აღწერილობის მიხედვით⁷¹, რობა „ხრამი, ხევი“, „ღრმა უფსკრული ადგილია“ აბაშის მახლობლად (გვ. 39, 40), რობუ „ხრამია“ კურზუში (147), კიწიაში (153), გურძემში (158), თამაკონში (161), „როზანი (ხრამიანი) ჩაქცეული ადგილია“ სერგიეთში (97), რობაღელე ევაქეს აჭარაში⁷² და სხვა.

აღსანიშნავია, რომ სილაურის რობაც, სანამ სუფსის ჭალაში დაივაკებდეს, საკმაოდ ღრმა ხევს ქმნის.

ისიც ცხადია, ლუხმელა ხმელ, მშრალ რუხ ანუ, როგორც ი. ხარულიძე შენიშნავს, ხმელ დელეს ნიშნავს. ზემოთ უკვე ვნახეთ, გიორგი გურიელის შეწირულობის განახლების წიგნში იგი სწორედ რუხმელას სახელითაა მოხსენიებული. თანაც, ეს ლელე იმდენად პატარა და წყალმცირეა, ცხელ ზაფხულში თითქმის დაშრობამდე მიდის.

ამგვარი ტოპონიმები სხვაგანაც გვხვდება. ლუხმელა სათესი ადგილია დიდ ჭიხაიშში⁷³, ხოლო აჭარაში ერთგან რუხმელა ნაკადულის სახელია, მეორეგან — ტყის, მესამე შემთხვევაში რუხმელი დელე ტყეა⁷⁴.

შინაარსობრივად ამგვარივე ტოპონიმებია: ტაბახმელა, ხმელა-

⁶⁸ ა. ირემაშვილი, შეხვედრა მთაში ანუ საით მიდის ჭიქის ნაკვალევი, გაზ. „შანსი“, მარტი, 1991, გვ. 7.

⁶⁹ ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, მცენარეთა სახელწოდებანი, თბ., 1961, გვ. 40.

⁷⁰ ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.

⁷¹ გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია.

⁷² ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, II, გვ. 144.

⁷³ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, გვ. 116.

⁷⁴ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, გვ. 54, 109.

დელე (სათესი)⁷⁵, ხმელტბა, ხმელი ტბა⁷⁶, ხევხმელა⁷⁷, ხმელი ხევი⁷⁸, მშრალი დელე/მშრალ დელე⁷⁹ და სხვა.

იაიც სათქმელია, რომ ძველსა და ახალ ქართულშიაც ჩვეულებრივ „რუ“ სარწყავად გამოყვანილ პატარა არხსა და მასში მიმდინარე წყალს ეწოდება, გურულ დიალექტში კი პატარა დედეებისა და ნაკადულების წყალსაც ჰქვია. ამიტომ არის ამ კუთხეში რუ შავა ზედა ბახვში (გვ. 91), რუ დიდი ნაბელლავეში (101), ნარუები ბუქნარში (94).

სილაურის დანარჩენ ტოპონიმებზე გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. გამოვთქვამთ მხოლოდ ზოგიერთ ვარაუდს.

ვფიქრობთ, ლოფართო დელის სახელი რობ + ფართო ან რო + ფართო⁸⁰ სიტყვებიდან მოდის, რაც შეიძლება ნიშნავდეს: ფართო რობა, ფართო ხევი, ფართო მდინარე ან ფართო რუ. შეიძლება ითქვას, ეს დელე ისე ვიწრო და ღრმა ხევს არსად ქმნის, როგორც რობა და ლუხმელა შუა წელამდე იძლევა.

დაბეჭიბებით რაიმეს თქმა ასევე ძნელია თინათას, თინათას დელეს სახელის შესახებაც. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მამათის დელემ ეს სახელი სოფელ მამათიდან მომდინარეობის გამო მიიღო. ჩვენი აზრით, შესაძლებელია, თინათას სახელიც ამგვარადვე წარმოდგებოდეს. იმ ადგილის ზემოთ, საიდანაც ეს დელე გამოდის, ორიოდ კილომეტრის დაშორებით, არის უბანი თაინათი, რომელიც მთაგორიანია და სოფელ მამათს ეკუთვნის. როგორც ი. სიხარულიძე ვარაუდობს, იგი უნდა წარმოსდგებოდეს მთაინათი სიტყვიდან (გვ. 106) და ნიშნავდეს მთა ნათელს, განათებულ მთას⁸¹. ამ მხრივ საყურადღებოა აჭარაში, ზედაკვირიკეში, გორის სახელწოდება თინათის ქედი⁸², იქვე, ჩაისუბანში, სათესი ნათელატრი (გვ. 49), სოფელ ხალაში ტყე ნათელქედი (52). მეორე მხრივ, გვაქვს უმზეური⁸³.

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, ძველად თაინათი უფრო ვრცელ ტერიტორიას ერქვა, კერძოდ, თინათა დელის სათავემდე ვრცელდებოდა და მისი სახელიც აქედან წარმოდგა: თაინათის → თინათის დელე.

იაიც დასაშვებია, რადგან სუფთა და კრიალა წყაროს წყალია, მისგან არეკლილი შუქის ციალის (თინათინის) გამო მიეღო სახელი. და ბოლოს, არც ის არის გამორიცხული, იგი ადამიანის სახელს უკავშირდებოდეს.

ბოგნარი, ნაციხურის მსგავსად, ტყიანი გორაა. როგორც ნაციხურში, აქაც გვაქვს დიდი და პატარა ბოგნარი. ეს გეოგრაფიული სახელი ნარ-ით ნაწარ-

სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, გვ. 133.

⁷⁶ იქვე, გვ. 126, 172.

⁷⁷ საქართველოს სიძველენი, II, თბ., 1909, გვ. 190; ჯ. გეასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 51.

⁷⁸ ალ. ლლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, V, აწყურის ტაშისკარამდე, გვ. 93.

⁷⁹ ალ. ლლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, III, გვ. 60; მისივე, ტოპონიმიკური ძიებანი, V, გვ. 75.

⁸⁰ ზღრ. ტოპონიმი: ცხენთარო ← ცხენთა რუ (ი. ქავთარაძე, რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“, „ცისკარი“, 1968, № 11, გვ. 116; ზ. ქუმბურიძე, დედაენა ქართული, გვ. 525—526).

⁸¹ იმის საჩვენებლად, რომ ერთი და იგივე ადგილის სახელი ზოგჯერ სხვადასხვაგვარად გამოითქმის, დავიმოწმებთ: თამთის წყარო/თავთის წყარო/თანთის წყარო (მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, [X—XVIII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით], გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964, გვ. 100).

⁸² ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, გვ. 54.

⁸³ ალ. ლლონტი, მცხეთის ტოპონიმია, გვ. 67.

მოები **ბოგა** სიტყვა უნდა იყოს: **ბოგ-ნარ-ი**, ისე როგორც **ნაძვ-ნარ-ი**, **ქვიშ-ნარ-ი** და სხვა.

ბოგა და **ბოგირ** / **ბოგილ** ფუძის შემცველი ტოპონიმები საქართველოში უამრავია. გურიაში არის: **ბოგა** — ბუჩქნარი პატარა ოფეთში (გვ. 132), **ბოგილი** — უბანი სილაურთან ახლოს, ჟუმათში (103), **ბოგილა** — ღელე თხინვალში, გოგორეთსა (მერია) და ჭანჭათში (გვ. 78, 111), ტყე — გაღმა ნიაბაურში (84), ფერდობი — ასკანაში (92), **ბოგილის ღელე** — ზედა ორმეთში (76), **ბოგილის ეწერი** ვაკეა ლაითურში (82), **დაბოგვილა** ტყეა ბეოლიეთის უბან ქეციმერაში (99), **ჩაბოგვილა** საძოვარი და ტყეა ლანჩხუთის ახლოს აგარაკში (143), **ნაბოგვარა** ღელის მიდამოებს ჰქვია სილაურის მეზობლად ახალსოფელში (79), **ნასაბოგვარი** — ტყეს ვაკიჭვრის ეწერში (89), **მიწაბოგირა** — ბუჩქნარს გორმალაში (134), **ბოგანეთი** — ვაკეს ნახაყირალში (81). **ბოგა** სოფელია ახალციხის რაიონში. ზემო იმერეთში არის **ბოგირი** და **ბოგირები** ბუჩქნარი, მინდორი, საძოვარი, სახნავი, ფერდობი, **ბოგირტყე** — ტყე. **ბოგირმწა** — სახნავი, **ბოგიროვანი** — ტყე⁸⁴, **ბოგირები** მინდორი, საძოვარია ერწო-თიანეთში⁸⁵ და სხვა.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, „**ბოგა** მცირე ხაღია“, „**ბოგირი** — ბოგას უდიდესი, მცირე ხიდი“. ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ახსნით, „**ბოგა** მცირე ხილია, მიწადაყრილი, **ბოგირი** — მოდიდო ხიდი ან საგუბარი“. გურულ და იმერულ დიალექტებში **ბოგა** ხიდიცაა და პირუტყვისათვის გაკეთებული ხის იატაკი, საერთოდ, ამგვარი იატაკიანი ბოსელიც. ზემო აჭარულში კი სახელდახელოდ, უბრალოდ გაკეთებულ თაროსაც ეწოდება⁸⁶.

როგორც ნაციხურში არ მოღწეულა ციხის რაიმე ნაშთი, არც ბოგნარში შეიმჩნევა **ბოგის** რომელიმე სახეობა, თუმცა ღელე რობა სამტრიალად გამოდის, ორი — მის ზემოთ და მასზე გაივლის, ერთი კი გვერდით ჩაუდის.

ა. მაყაშვილის ცნობით, არსებობს ბალახის სახეობა **ჩაქვის ბალახ** რომელსაც იმერულად **ბოგვი** ეწოდება, ხოლო მეორეს, ბერსელას — ბელესი და **ბოგბალახა** (გვ. 82, 17). ი. მაისურაძე იუწყება, რომ **ბოგვი** სოფელია თეთრიწყაროს რაიონში, ხოლო **ბოგველი** სახელადქცეული სადაურობის სიტყვაა, საიდანაც მივიღეთ გვარი **ბოგველიშვილი**⁸⁷ ისმის კითხვა: ჩვენი **ბოგნარი** ხომ არ წარმოდგება დასახელებული ბალახის სახელწოდებისაგან? ჩვენი აზრით, ამგვარი ვარაუდი ნაკლებ მისაღებია. ჯერ ერთი, გვაქვს **ბოგნარი** და არა **ბოგვნარი**. მეორეც, ა. მაყაშვილი იქვე მიუთითებს, რომ **ჩაქვის ბალახს** გურიაში ეძახიან არა **ბოგვს**, არამედ სხვა სახელებს: **პურ-პურა**, **ბარბაცა**, **ბამბუკის ბალახი**, აჭარაში — **ბამბუკა**, სამეგრელოში — **ჩაიში მათატი**.

ერთი სიტყვით, უფრო სავარაუდოა, სილაურის ბოგნარი **ბოგა** სიტყვიდან წარმოდგებოდეს. აქ ძველად შეიძლება ყოფილიყო როგორც რობას ბოგები, ხიდები, ისე საქონლის სადგომი ბოგები, ბოსლები.

ცინცაურა ფერდობია ძეგორას ტერიტორიაზე. თუ საიდან მიიღო მან ეს სახელი, არ ჩანს. გურიაში არის ტოპონიმი **ცინცაბურაჟ** / **ცინცაბა-**

⁸⁴ საქართველოს სსრ ტოპონიმია, I, გვ. 37—38.

⁸⁵ გ. ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980, გვ. 81.

⁸⁶ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.

⁸⁷ ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, გვ. 36. აღარაფერს ვამბობთ ბოგვერაძეთა გვარის შესახებ.

ღ უ რ ა (გვ. 109), ხოლო არც ისე შორს, ქობულეთის რაიონის სოფელ კვირ-
კეში სათეს ადგილს ჰქვია ც ი ნ ც ა უ რ ი⁸⁸.

ადვილი შესაძლებელია და უფრო ესაა მოსალოდნელი, სილაურის ცი-
ცაურა ც ი ნ ც ა ძ ე გვარისაგან მოდიოდეს. მართალია, ეს გვარი ამ სოფელში
გავრცელებული არ არის და ვიცით, რომ ამჟამად იქ მცხოვრები იმ ერთი კომ-
ლი ცინცაძის წინაპარი ძიმიტიდან არის ჩამოსახლებული და ამ ადგილთან
არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ ეს აღნიშნულ ვარაუდს ხელს არ უშლის.
ამ გვარის ხალხი მეზობელ სოფლებში საკმაოდ ცხოვრობს, ჩოხატაურის რაი-
ონში კი მათი ბუდეა და თავისუფლად დასაშვებია, როგორც მათ წარმომად-
გენელს ძველად ეს ადგილი ჰკუთვნებოდა. გვარის, ისე როგორც სახელის,
ფუძე -ურ მაწარმოებლის დართვით მიღებული ტოპონიმები საქართველოში
უამრავია⁸⁹. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთებია აცანაში ქ ი ნ ქ ლ ა უ რ ი,
ჩიბათში — კ უ კ უ ლ ა უ რ ი. ზემოთვე აღრიცხულ გურიის ტოპონიმებში
ხშირად ჟღერს გურიაში გავრცელებული გვარები: გოგვაური (გოგუა, გოგუა-
ძე), კვაჭაური (კვაჭაძე), კვერღელაური (კვერღელაძე), კოროშინაული (კორო-
შინაძე) და ა. შ.

ვფიქრობთ, მსგავსი წარმოშობისა უნდა იყოს სილაურის მეორე ტოპონი-
მი — გოგორკული. ასე ჰქვია დღეს სოფლის განაპირა, სათეს ადგილს სუფსის
ჭალაში. ზემოთ დამოწმებულ გიორგი გურიელის მიერ ბაილეთის ეკლესიისაუ-
ში შეწირულობის განახლების წიგნში იგი მოხსენიებულია გოგორიკული
სახელით⁹⁰, რაც პირვანდელი ვითარების ამსახველი უნდა იყოს. გურიაში, ლი-
ხაურში (შეიძლება სხვაგანაც) არის გვარი გოგორიკიძე⁹¹. გვაქვს საკუ-
თარი სახელი გოგორა⁹², მეტსახელი გოგორი⁹³. რაკი გვარია გო-
გორიკიძე, სავარაუდოა, იყო გოგორიკა სახელიც. ამ მონაცემების
მიხედვით, დასაშვებად მიგვაჩნია, სილაურის აღნიშნული ადგილი ოდესღაც
ჰკუთვნებოდა ვინმე გოგორიკას ან გოგორიკიძეს და აქედან
მიგვეღო საძიებელი სახელი გოგორკული: გოგორიკა / გოგორიკიძე + ურ-ი →
→ გოგორიკა-ულ-ი → გოგორიკ-ულ-ი → გოგორკული.

იქნებ ამ გზით აიხსნას იანელა-ც. იანელა პატარა ადგილია, სადაც ახლა
ჩაია გაშენებული, და რაიმე გეოგრაფიული თავისებურებით არ გამოირჩევა.
სახელი თავისი ჟღერადობით მოგვაგონებს გურიაში გავრცელებულ სიტყვას
მიწანელა, რაც ეწოდება ერთგვარ შავ მიწას, დამპალ, სუნიან ტალახს,
რომელსაც ძველად ჩვენში საღებავად იყენებდნენ. დღეს ამ მიწას საქართვე-
ლოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული სახელები ჰქვია. რაჭაში კი გურულის
მსგავსი ძველქართული ფორმა — მიწალეზი — შემორჩენილა⁹⁴. იგი
სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც არის შეტანილი. ამ ლექსიკონიდან
და ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, ვიქტორ ნოზაძის ნაშრომებიდან
ჩანს, რომ მიწალეზი ძველი ფორმაა და მიწანელა-ში ნელ / ნილ
დაბოლოება „ლები“ სიტყვის სახესხვაობა არის⁹⁵.

⁸⁸ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, II, გვ. 54.

⁸⁹ ამ სახის ტოპონიმებს ეხებიან: გ. ხორნაული, მთები და სახელები (მთიულეთ-
გუდამაყრის ტოპონიმური მასალები და ძიებანი), თბ., 1983, გვ. 38—44; ფ. შაკალათია,
ფშავეის ტოპონიმია, გვ. 46—47 და სხვები.

⁹⁰ ქართული სამართლის ძეგლების VI წიგნში შეცდომით დაბეჭდილია გოგორიკული.

⁹¹ სამგლოვიარო განცხადება, გაზ. „თბილისი“, 3 აპრილი, 1991.

⁹² ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, გვ. 48.

⁹³ აღ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები.

⁹⁴ ლ. მოლოდინი, ლეზის ხალხური წესები გურიაში, კრებ.: მასალები გურიის ეთ-
ნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1980, გვ. 118—124.

⁹⁵ იქვე, გვ. 119.

თუ იანელა-ში ფუძედ იან-ს მივიღებთ, მაშინ საქართველოში მის მსგავს ტოპონიმს მრავალს დავასახელებთ. სილაურთან ახლოს არის ი ა ნ ე თ ი, რომელიც ჟუმათის სასოფლო საბჭოში შედის. ამავე სახელის სოფელია სამტრედიის რაიონში. ი ა ნ ე უ ლ ი სოფელია ჩოხატაურის რაიონში. რამდენიმე ადგილს ჰქვია აჭარაში⁹⁶, ი ა ნ ა უ რ ი გორაა ზემო ჭინათში (გვ. 146).

სამტრედიის „იანეთისა“ და ჩოხატაურის „იანეულის“ შესახებ იური სიხარულიძე წერს: „ი ა ნ ე თ ი ივანეთის სახეცვლილი ფორმაა... ასეთივე წარმოშობისაა იანეულიც (ივანეული)“⁹⁷.

არსებითად ამგვარსავე განმარტებას იძლევა ზურაბ ჭუმბურიძე: „ი ე ნ ა შ ი სოფელია სევანეთში. ამ სოფელში დგას წმინდა იონას სახელობის ეკლესია. აქედან მომდინარეობს მისი სახელი (იონასი)“⁹⁸.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ვიფიქროთ, იანელა მოდის ი ვ ა ნ ე ლ ა სიტყვიდან. ჯერ იყო: ი ვ ა ნ ე ლ ა ს ა დ გ ი ლ ი, ი ვ ა ნ ე ლ ა ს ნ ა ს ა ხ ლ ა რ ი, ბოლოს: ივანელა → იანელა. -ელა სუფიქსით ნაწარმოები კნინობითი სახელები კი გურიაში ძლიერ გავრცელებულია. გვაქვს: გოგიელა, მარიკელა, ზურიკელა და მრავალი სხვა⁹⁹.

თუ იმ ფონეტიკური კანონზომიერებიდან ამოვალთ (რაც დღეს აქარულ დიალექტშია გავრცელებული), რომ -ეულ სუფიქსი -ევლ-ად იცვლება¹⁰⁰, მაშინ მოსალოდნელია იანელა ივან-ეულ-ა-საგან წარმოსდგებოდეს: ივან-ეულ-ა → იან-ევლ-ა → იანელა.

ნაიხხარი სუფსის კალაში სათესი ადგილია გოგორკულსა და სათიბეს შორის. თითქოს ის ნა — არ სუფიქსებით ნაწარმოები სახელი უნდა იყოს. მაგრამ, თუ რას ნიშნავს ისხ ფუძე, ჩვენთვის უცნობია. ა. მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონიდან“ ვგებულობთ, რომ აჭარაში ერთგვარ ბალახს, თავშავას, ისხანი რქმევია. აჭარა გურიისაგან შორს არ არის და იბადება კითხვა: ამ ბალახის სახელისაგან ხომ არ წარმოსდგება ჩვენთვის საინტერესო სიტყვა ნა-ისხან-არ-ი → ნა-ისხნ-არ-ი → ნაიხხარი? ვფიქრობთ, გამორიცხული არ არის.

მეორე მხრივ, გვაქვს ძველქართული სიტყვა ისხარი, რომელიც ისეთ წვიმას ჰქვია, უცებ, მოულოდნელად რომ მოვა და მალე ვადაიღებს. სულხან-საბა ორბელიანის სიტყვით: „ისხარი — ჩქარი წვიმა, ადრე მომდარებელი“. აკაკი შანიძის დაკვირვებით, ამ სიტყვისგან არის მიღებული „ქარიშხალი“: ქარ + ისხარი → ქარიშხალი (შდრ.: ქარ + ბუქი. დღეს „ბუქი“ სევანურად «ქარს» ნიშნავს¹⁰¹).

ენობრივი თვალსაზრისით ნაიხხარის მიღება „ისხარი“-დან შეუძლებელი

⁹⁶ ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, გვ. 35, 57.

⁹⁷ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, გვ. 114.

⁹⁸ ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, გვ. 452.

⁹⁹ ზოგჯერ აღმოსავლეთ საქართველოს მეტყველებაში -ის და -ეთ დაბოლოებიან სახელებს -ელ სუფიქსი პირდაპირ ფუძეზე დაერთვის: თბილისი — თბილელი, მანგლისი — მანგლელი, დუშეთი — დუშელი, კახეთი — კახელი (ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, III, გვ. 127. ვრცლად: ლ. ლეჟავეა, -ეთ და -ის აფიქსებიან ტოპონიმთაგან სადაურობის სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, კრებ.: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, II, თბ., 1979, გვ. 175—202). ამ გაგებით იანელა იქნებოდა ი ა ნ ე თ ე ლ ი, მაგრამ დასავლეთ საქართველოს ენისათვის ეს დამახასიათებელი არ არის და ამგვარი გააზრებაც მოსალოდნელი არაა.

იანელა კნინობითი -ელა-ს დართვით შეიძლებოდა მიგვეღო სხვა სახელებისაგანაც, როგორცაა, მაგალითად, ი ა ნ ი, ი ა ნ ო (ალ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, გვ. 133. 277).

¹⁰⁰ შ. ნიქარაძე, ქართული ენის ზემოაქარული დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, ბათუმი, 1961, გვ. 107—108.

¹⁰¹ ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, III, გვ. 157—158.

არ უნდა იყოს. არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა ნა- სუფიქსი სახელებს დამოუკიდებელივ აწარმოებს: ნა-ქარ-ი, ნა-ბუქ-ი, ნა-გულ-ი (ქიზიყურად — საჩეჩლის კბილებში დარჩენილი უვარგისი მატყლი ან ხენის დროს კვალსა და კვალს შუა დარჩენილი მოუხნავი მიწა, ხარვეზი¹⁰²), ნა-გულ-ა (ნაქუჩი), ნა-ძირ-ი (აბრეშუმის ჭიის ცურცლი და ფურცლის ნაკორტნი ღეროები, ლას- ტებზე დარჩენილი¹⁰³) და სხვა¹⁰⁴. მაგრამ ერთია ენობრივ-გრამატიკული შესა- ძლებლობა და მეორე — შინაარსობრივ-გეოგრაფიული შესაბამისობა. ამ პატარა ტერიტორიაზე რატომ უნდა სცოდნოდა განსხვავებული წვიმა, ისხა- რი?! ან, გაუგებარია, ვთქვათ, მსგავსად ნ ა ღ ვ ა რ ე ვ ი ს (სოფელია დუშე- თისა და შუახევის რაიონებში), ნ ა წ რ ე ტ ი ს ა (სოფელია გორის რაიონში), ამ ადგილას წვიმას რა თავისებური კვალი შეიძლებოდა დაეტოვებინა?!

ერთი სიტყვით, ნაისხარი ტოპონიმის უცილობელი ახსნა ჩვენ არ მოგვე- პოვება და იგი შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

იგივე უნდა ვთქვათ ხანიაურა-ს შესახებაც. ხანიაურა მერეში, სუფსის ქალაში, ნაისხარის გვერდით არის. მისი სახელი ერთმა სილაურელმა გლეხ- კაცმა ასე აგვიხსნა: ეს ადგილი ნაისხართან შედარებით უფრო ჭონჭყოანია (სველია), ხ ა ნ კარგ მოსავალს იძლევა, ხ ა ნ ცუდს და, ალბათ, ამის გამო თუ შეერქვა ეს სახელიო.

ხ ა ნ ი არის სოფელი ბაღდათის რაიონში. იქვეა ხ ა ნ ი ს წ ყ ა ლ ი. გოქცეს საკუთარი სახელი ხ ა ნ ა ნ ა, გვარები — ხ ა ნ ა ნ ა შ ე ი ლ ი, ხ ა ნ ი ა შ ე ი ლ ი, მაგრამ ხელჩასაჭიდი არაფერი გაგვაჩნია, ჩვენს ტოპონიმთან რომელმე მათგანის ორგანული კავშირი რომ ვიწამოთ.

ჩიჩიგურა ან ჩიგურა ფერდობია ძეგორას ტერიტორიაზე. ალბათ ეს ალკო- ლი იგულისხმება ი. სიხარულიძის აღწერილობაში, როცა ის ჩ ი ქ ო ქ უ რ ა ს წერს. ჩიგურა, შეიძლება გვეფიქრა, არის ჩი[რ]გ[ვ]ურა, მაგრამ, აშკარა, ის შემოკლებული სახეა ჩ ი ჩ ი გ უ რ ა ს ი. ამ უკანასკნელის ახსნისათვის კი რაიმე მყარი მონაცემი არ გაგვაჩნია.

ზენდგური და ხერნალი-ც ძეგორას ტერიტორიაზეა. ზენდგური მომალ ადგილია და ზემდგომს უნდა ნიშნავდეს, თუმცა ის ძეგორის სხვა ადგილზე საგან სიმალლით არ გამოირჩევა¹⁰⁵ (შდრ.: ზ ე ნ დ ი დ ი — გორაა საცავაში გვ. 106). ხერნალი კი კრებითობის გამომხატველი ნარ / ნალ სუფიქსით ნაწ მოები სიტყვა უნდა იყოს, როგორიცაა ნაძვ-ნარ-ი, ჯაგ-ნარ-ი, ბარდ-ნალ-ი სხვა.

უფრო რომ დავაზუსტოთ, ყურადღებას იპყრობს შემდეგი მონაცემები: ვუკოლ ბერიძე თავის ლექსიკონში „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“ (პეტერბურგი, 1912) გამოყოფს სიტყვას ხ ე ლ ა რ ი და განმარტავს: „შხო- ლარი, ხის სწორი და გრძელი შტოები“. შ ხ ო ლ ი ქართლურ დიალექტში არის: „შოლტი, ჯოხი, სახრე“¹⁰⁶, „გრძელი წყებლა“¹⁰⁷. შ ხ ო ლ ი, ჩანა, იგივე გურულ-აჭარულ-იმერული ჩ ქ ო ლ ა ა, რაც ნიშნავს: „ნორჩი მცენარე,

¹⁰² ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, თბ., 1958.

¹⁰³ იქვე.

¹⁰⁴ ფ. მაკალათია, ფშავის ტოპონიმია, კრებ.: ტოპონიმია, I, თბ., 1976, გვ. 31.

¹⁰⁵ სილაურში ძველმა ხალხმა კარგ ღვინოზე იცოდა თქმა: ზ ე ნ დ გ უ რ ი ღვინოაო. რახ ნიშნავდა ეს გამოთქმა? უ მა ლ ლ ე ს ი ხარისხის ღვინოაო თუ ზენდგურში გაშენებულმა ვაჭმა კარგი ღვინო იცოდა, ან კიდევ ზ ე ნ დ გ უ რ ი ვაჭის ჭიში იყო და საძიებელმა ადგილმა ეს სახელი აქედან მიიღო? ვფიქრობთ, უფრო პირველია.

¹⁰⁶ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.

¹⁰⁷ ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები: თ. ბ ე რ ო ზ ა შ ე ი ლ ა, მ. მ ე ს ხ ი შ ე ი ლ ი, ლ. ნ ო ზ ა ძ ე, თბ., 1981.

ახლად აზრდილი მურყანი“, ხოლო „ჩქოლარი“ — ახალგაზრდა ნორჩი მურყანის ჭალა, გადასარგავი ნორჩი მცენარე, ნერგი...“¹⁰⁸. საერთოდ, ახალგაზრდა, მოზარდი¹⁰⁹.

თუ ხელარი და ხერნალი ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია, ვლებულობთ: სილაურის ხერნალი ახალგაზრდა, ტანაყრილ ტყეს, კერძოდ, მურყანის, ანუ, როგორც გურიაში ეძახიან, თხმელის, თხემლის ნორჩ ხეებიან ადგილს ნიშნავს.

დასასრულს, თვით ძეგორა-ს შესახებ. იგი სილაურის დასახლებული უბანი, გურიის მთების ერთი ნაკადი, მოგრძო ქედია, ტყიანი და ციტრუსოვანი ადგილი. ეს სახელი იხსენიება XVI—XVII საუკუნეებში ნუსხურით გადაწერილ კურთხევანში, საიდანაც ირკვევა, რომ ძეგორას იმ დროს წმინდა გიორგის ეკლესია ჰქონია. ვედრებაში, რომელსაც დაზიანების გამო ბოლო ნაწილი აკლია, ჩამოთვლილია: „წ[მ]იდა]ო გ[იორგ]ი ჩხარისაო, წ-ო გ-ი სადგრისაო, წ-ო [გ-ი] ილორისაო, წ-ო გ-ი სუჯუნისაო, წ-ო გ-ი ნიგოზდიდისაო, წ-ო გ-ი ლანჩხუთისაო, წ-ო გ-ი ჰინათისაო, წ-ო გ-ი გორისაო, წ-ო გ-ი მთავარ მოწამისაო, წ-ო გ-ი ძეგორისაო, წ-ო გ-ი გულიანისაო“ და ა. შ. გურიის სხვა სოფლებიდან კიდევ დასახლებულია: წითელმთა, გამოჩინებული, ბაილეთი, კახური, გოგორეთი, კონკვათი, ამაღლება, ჭიხანჭური, შუშანეთი...“¹¹⁰.

ამ ტოპონიმზე საუბრისას ადგილობრივმა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ასეთი მოსაზრება გამოთქვა: ძეგორა ძირგორა-ა უნდა ნიშნავდესო.

ძირგორა იმდენად ჩვეულებრივი და ნაცნობი სიტყვაა, ძნელი დასაჯერებელია, უცნობი შინაარსის ძეგორად გადაკეთებულიყო. თანაც, ზემორე დამოწმებული კურთხევანი გვიჩვენებს, ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი ამ სამი საუკუნის წინათაც არსებულა.

ძეგორა-ში თითქოს გამოიყოფა სიტყვა გორა, ფაქტობრივად როგორცაა იგი, უფრო მეტიც, რადგან გრძელი გორაა, საფიქრებელია, ხომ არ მომდინარეობს ის გძელგორა სიტყვიდან?¹¹¹ ქართულში თავკიდური გბგერა ძაფრიკატის წინ შეიძლება დაიკარგოს.

გარდა ამისა, თუ ამ ტოპონიმის შემადგენელი ნაწილი გორა სიტყვაა და მას მოსაზღვრე სოფლების სახელებთან კავშირში განვიხილავთ, ეს სახელი ერთგვარად შინაარსიანი ხდება.

როგორც ვთქვით, სილაურს დასავლეთით და ჩრდილოეთით ეკვრის სოფლები ჭუმათი და მამათი. ეს სამი სოფელი ერთმანეთს უკავშირდება სწორედ იმ ადგილას, სადაც ძეგორა მდებარეობს. ჭუმათი, მამათი და ძეგორა ერთმანეთის უშუალო შესაყარი ადგილია.

ჭუმათის ეტიმოლოგიაზე სხვადასხვანაირი მოსაზრებაა გამოთქმული. მოსე ჯანაშვილისა და ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით, შესაძლებელია, იგი უკავშირდებოდეს წარმართული ღვთაების, მნათობ ჰერმესის ანუ მერკურის ქართველურ ჭუმა / ჭიმა სახელს, რომლისთვისაც საქართველოში განკუთვნი-

¹⁰⁸ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.

¹⁰⁹ იმერულში ჩქოლა ითქმის როგორც ადამიანზე (ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. VII, 458), ისე მოზარდი საქონლის ხორცზე (პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976).

¹¹⁰ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ნუსხა: H 3077, გვ. 41v—42r. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), VI, გვ. 344.

¹¹¹ შლრ.: შ. ნიქარაძე, აპარული დიალექტი, ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა, ბათუმი, 1975, გვ. 106.

ლი იყო ოთხშაბათი, მეგრულად ჯუმაშხა, ლაზურად ჯუმაჩხა, სვანურად ჯუმაშ-ი.

მ. ჯანაშვილი წერს: „ჯუმა — ს[ვანური] ჯიმა. მის[ი] სწორი არის ერმა, პერმესი (მერკვირი), მოციქული ცისა, ღრუბელთა (წვიმის) მფარველი, საბალახოებისა და მწყემსების მფარველი, თავიდგან მოხერხებულად ამცილებელი უბედურებისა, მწე იმათი, ვისაც შეუძლიან მოხერხებულად ილაპარაკოს, მართალი დამალოს, მიეფეროს, გულჩათხრობილი იყოს. იგი იყო აგრეთვე მფარველი ვაჭრობის, რიტორობის, მოციქულობის. — ეს ჯუმა-ჯიმა უნდა იყოს ის მნათობი, რომელიც დილით ყველაზე ადრე იწყებს ციმციმს, ჭიმჭიმს, ჭვირვას (საბათი: «ჭიმჭიმელი — არიას ცა მეხუთე»)“¹¹².

ამ საგარაუდო ჯუმა/ჯიმა ანუ პერმესი/მერკური მნათობის კულტის კავშირი ტოპონიმ ჯუმათთან ასე აქვს ახსნილი: „ღმერთებს, როგორც ღღეს ფშავ-ხევსურეთში ხატებს, უნდა ჰქონოდათ თავ-თავიანთი მამულები, სახატო მიწები. მათგან, ჩვენის ფიქრით, დაენათლა სახელები გაჩიანს (გაცი=გაჩი=გაჩიანი), ზედაზენს, არმაზთას, ცაიშს, ჯუმათს, თხოთს, უფლის-ციხეს და სხვ.“ (გვ. 89).

ადრე მ. ჯანაშვილი გაკვრით, მაგრამ საგანგებოდ შენიშნავდა: „სახელები ჯუმათი, ჯუმი-ს-წყალი (სამეგრ.), ჯიმი-თი ერთი და იმავე სიტყვის ძირისა გვგონია და აგრეთვე სიტყვები ჯუმაშხა (მეგრ. ოთხშაბათი) — ჯიმაშ (სვან. ოთხშაბათი). რადგან ძველს ქართულს ენასა და ღღესა ც მეგრულსა და სვანურში კვირის ღღეების სახელებს დაუცავთ სახელები ძველქართულ ღმერთებისა (კვირა — მზისა, ორშაბათი — მთვარისა და სხვ.), ამიტომ ჯუმა=ჯიმა-ც უნდა ღმერთის სახელი იყოს, ხოლო ჯუმა-თი ის ადგილი, სადაც იყო ტაძარი ჯუმასი (შეადარე: ფერსა-თი, მამა-თა, ქუთა-თი, მუხა-თი და სხვ.)“¹¹³.

ივ. ჯავახიშვილი კი აღნიშნავს: „რ. ერისთავის სიტყვით ხევსურები თავიანთსა სცემდნენ ერთ ღვთაებას, ანუ «ხატს», რომელსაც «ჯიმალის ჯუარი» ეწოდება. რა ღვთაება უნდა იყოს «ჯიმალი», ამაზე არაფერს ამბობს განსვენებული პოეტი.

შესაძლებელია «ჯიმალი» ეთანასწორობოდეს იმ ღვთაების სახელს, რომლისთვისაც საქართველოში განკუთვნილი ყოფილა ოთხშაბათი: ოთხშაბათს მეგრულად «ჯუმაშხა», ჭანურად «ჯუმაჩხა», ხოლო სვანურად «ჯუმაშ»-ი ჰქვია. ს. ორბელიანის მოწმობის თანახმად კი ოთხშაბათი ქართულად «ერმის» ღღედ ითვლება, ესე იგი პერმესისა, ანუ მერკურის ღვთაებისათვის ყოფილა დაწესებული. საყურადღებოა, რომ ელამიტურში «შუმედუ» (იქნებ «ჯუმედუ» ანუ «ქუმედუ»), ხოლო ვანურ ლურსმული წარწერების ენაში «შიმიშიგ» (იქნებ «ჯიმილიშ») სწორედ მერკურსა ჰნიშნავს. ვანური «შიმილიშ», ან იქნებ «ჯიმილი», ძალიან უახლოვდება ხევსურულ «ჯიმალი»-ს და სვანურ «ჯუმაშ»-ს, აგრეთვე მეგრულ-ჭანურს «ჯუმა»-საც. ამიტომ «ჯიმალის» ღვთაება და «ჯუმა», ვგონებ, უნდა პერმეს-მერკურის ღვთაებად აღვიაროთ“¹¹⁴.

ამ თვალსაზრისს იმეორებს ენვერი გოგუაძე¹¹⁵.

¹¹² მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, I, უძველესი დროიდან 985 წლ. ქრ. ტფილისი, 1906, გვ. 87—88.

¹¹³ ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, რედაქცია მ. გ. ჯანაშვილისა, ტფ., 1904, გვ. 319—320.

¹¹⁴ ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, I, თბ., 1979, გვ. 120.

¹¹⁵ ე. გოგუაძე, ისევ სახელწოდება «ჯუმათის» წარმოშობის გარშემო, გაზ. „ლენინის დროშა“, 1 მარტი, 1983, გვ. 4.

მეორე მოსაზრებით, ჭუმათი დაკავშირებულია ლაზურ ჯუმა (მეგრულად ჯიმა, ქართულად ძმა) სიტყვასთან და ახსნილია როგორც ძმათი, ძმეთი. ასეთივე წარმომავლობისად არის მიჩნეული მეორე მეზობელი სოფლის სახელი — ძიმიითი¹¹⁶.

იმოწმებს რა ამ შეხედულებებს, ზურაბ ჭუმბურიძე დასძენს: „გასათვალისწინებელია კიდევ სხვაგვარი შესაძლებლობაც: ჯუმა არაბულად ნიშნავს პარასკევს, რომელიც მუსულმანებისათვის ისეთივე საღმრესაწაულოდღე იყო, როგორც ებრაელებისათვის შაბათი და ქრისტიანებისათვის კვირა. ამ დღეს იმართებოდა ბაზრობა. შესაძლოა, ჭუმათი, ჭუმითი ან უბრალოდ ჭუმი დარქმეოდა ბაზრობით განთქმულ ადგილს“¹¹⁷.

„რომელი ვარაუდია ამათგან სწორი — კითხვას სვამს ავტორი და თავად უპასუხებს — ძნელი სათქმელია. რასაკვირველია, უფრო ბუნებრივი და სარწმუნო იქნებოდა, რომ ქართული ტოპონიმების ახსნა ქართულ ნიადაგშივე გვეპოვა და ხალხური წარმართული ღვთაების სახელთან ან «ძმის» აღმნიშვნელ სიტყვასთან დაგვეკავშირებინა, მაგრამ მსგავსი ჟღერადობის ტოპონიმი — ჯიმიითი ჩვენ სოფლის სახელად გვხვდება კახეთშიც, გურჯაანის რაიონში, სადაც კოლხურის რაიმე გავლენა გამორიცხულია. მაშასადამე, ეს ან სულ სხვა წარმოშობის ტოპონიმია, ვიდრე ჭუმითი და ჭუმათი, ან ყველა ისინი არაბულ ჯუმა-ს უკავშირდება. ჩვენ ეს უკანასკნელი შესაძლებლობა უფრო დასაშვებად მიგვაჩნია“ (იქვე, გვ. 541).

თუ მეტ ანგარიშს გავუწევთ იმ გარემოებას, რომ ჭუმათის უშუალოდ მოსაზღვრე სოფელია ძამათი, სადაც ძამა სიტყვა პირდაპირ იკვეთება, ჭანეთში კი არის ადგილები ძამაკივთი, პაპათი, პაპილათი¹¹⁸ (ლაზურად პაპული, პაპუ ბაბუას ნიშნავს, მეგრულად პაპუ — დიდ პაპას, ბაბუის მამას), მაშინ თვალსაზრისი ჯუმათის ლაზურ ჯუმა (=ძმა) სიტყვისაგან მომდინარეობის შესახებ შეიძლებოდა უფრო მყარ დებულებად მიგვეჩნია. ხოლო, თუ ამ უკანასკნელს ასეთად მივიჩნევთ, ვღებულობთ: ერთმანეთის გვერდიგვერდ თავმოყრილია მოსაზღვრე შინაარსის ტოპონიმები — ძამათი, ჯუმათი, ძეგორა. ვინაიდან ჭუმათისა და ძამათის ეს ადგილები ბევრად უფრო მაღალი მთებისაგან შედგება, უნებურად დგება საკითხი: იქნებ ეს გეოგრაფიული და სიტყვიერი კავშირი შემთხვევითი არ იყოს და ამ ტოპონიმებში იკითხებოდეს ძამა, ძმა და ძე. ძამათი — ძამა მთა ან ძამის / ძამების ადგილი, ჯუმათი — ჯუმა ანუ ძმა მთა ან ძმის / ძმების ადგილი, ძეგორა კი — ძე, შვილი, პატარა მთა ან ძის, შვილის გორა?

ამ მოსაზრებებს, ერთსა და მეორესაც, ეწინააღმდეგება შემდეგი ფაქტი: ძეგორა ტოპონიმი არის აგრეთვე ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგოთში და მას სულ სხვაგვარი გეოგრაფიული სახე აქვს. ი. სიხარულიძე მის შესახებ გვაუწყებს: „ძეგორა (გორა, ღელე)“ — გვ. 141. სინამდვილეში ნიგოთის ძეგორა ვაკე ადგილია მდინარე ფიჩორის პირას. ნაწილი საძოვარია, ნაწილი — პატარა ტყე და ბუჩქნარი. თუმცა აქაურები ამბობენ, ძეგორაზე მივდივარ, ძეგორაზე ბეოლიზა (თუთისთვის) ვიყავიო და ა. შ., მაგრამ, ვიმეორებთ, მიმდებარე ტერიტორიისაგან იგი სიმალლით არ გამოირჩევა. თუ

¹¹⁶ И. В. Мегрелидзе, Лазский и мегрельский слои в гурийском, с. 68—70.

¹¹⁷ ზ. ჭუმბურიძე, ღედაენა ქართული, გვ. 540—541.

¹¹⁸ Н. Я. Марр, Из поездки в Турецкий Лазистан (Впечатления и наблюдения). Известия Императорской Академии Наук, VI серия, 1 мая, С.-Петербург, 1910, № 8, გვ. 610; ი. სიხარულიძე, ჭანეთი (ლაზეთი), საისტორიო გეოგრაფიის მასალები, 1, ბათუმი, 1977, გვ. 44, 76, 77; წიგნი II, ბათუმი, 1979, გვ. 5, 7—8, 11.

ამ ძეგორის სახელი სილაურის ძეგორისაგან არ მომდინარეობს (ამის დამადასტურებლად „ძეგორაზე“ ფორმის ხმარება საკმარისი ვერ იქნება, სხვა, ანგარიშგასაწევი კვალი კი არ ჩანს), მაშინ იმ ვარაუდს, რომ მისი შემადგენელი ნაწილი შეიძლება გორა სიტყვა იყოს „გორას“, „ბორცვის“ მნიშვნელობით, საფუძველი ეცლება.

ამის შემდეგ ჩვენს წინაშე დგება საკითხი: საძიებელი ტოპონიმი ხომ არ უკავშირდება ძეგვ სიტყვას¹¹⁹ (ვთქვათ: ძეგვ-ორ-ი → ძეგვ-ორ-ა → ძეგორა. მდრ.: ტბა — ტბ-ორ-ი). როგორც მიხეილ ალავეძე აღნიშნავს¹²⁰ და ჩვენში მიღებულია, ძეგვი ლეჩხუმურად გაუვალ, ეკლიან, ძეძვს ჰქვია¹²¹. კორნელი დანელიას დასკვნით, ჯაგი (ჯაგვი) — „ეს ფუძე კოლხური შესატყვისი უნდა იყოს ქართ[ული] ძეგვ-ისა“¹²².

მეორე მხრივ, გ. ელიაშვილის ცნობით, სენაკის რაიონის სოფელ ფოცხოში გვაქვს ადგილი ჯეგოლა — „მაღალი გორაკი ჩირგვენარით და დაბალი ბუჩქებით დაფარული“¹²³. მისივე ცნობით, აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში ორ ადგილას არის ჯეგორე¹²⁴. სპეციალურ ლიტერატურაში კი აღნიშნულია, რომ ქართულ ძბგერას მეგრულში ჯ შეესაბამება: ძმა — ჯიმა, ძელი — ჯა¹²⁵ და სხვა¹²⁶.

ამ მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ვითქვით, რომ ჩვენი ორივე ძეგორა და მეგრული ჯეგოლა / ჯეგორე¹²⁷ ფონეტიკურად და შინაარსობრივად მსგავსი სიტყვებია.

თუ ეს მოსაზრება სწორია, გამოდის, ძეგორა ეკლიან ბუჩქნარ, ჩირგვენარ, ძეძვიან ადგილს ნიშნავს.

Б. Ш. ДАРЧИНА

ТОПОНИМИЯ СЕЛА СИЛАУРИ

В работе описаны и изучены топонимы села Силаури Озургетского района. Установлено, что название «Силаури» происходит не от слова «сила» (песок), как принято было считать, а от древнегрузинского слова «сири» (птичка): Сиреули→Сироули/Силоури→Силаури.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთაველოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

¹¹⁹ მცხეთის რაიონში მდებარე ძეგვი ძველ წერილობით წყაროებში მოხსენიებულია ფორმებით: ძეგვი, ძეგუ, ძეგუი (მასალები საქართველოს გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, გვ. 256).

¹²⁰ მ. ალავეძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, თბ., 1936.

¹²¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII; ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა.

¹²² კ. დანელია. მეგრულ-ქანური ლექსიკა ს. ს. ორბელიანის ლექსიკონში. თბილისი უნივერსიტეტის შრომები, ტ. 245, ენათმეცნიერება, 8, გვ. 86.

¹²³ სენაკის რაიონის ტოპონიმია, გვ. 117.

¹²⁴ აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია, გვ. 53. სამწუხაროდ, ავტორი ამ ადგილის გეოგრაფიულ მონაცემებზე არაფერს გვეუბნება.

¹²⁵ ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, II, თბ., 1981, გვ. 490.

¹²⁶ ავ. ჯავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, XII—XVIII სს., I, გვ. 237; ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990, გვ. 17, 427—447.

¹²⁷ უურადლებას იპყრობს ისიც, რომ, იოსებ ყიფშიძის განმარტებით, მეგრული ჯეგე ნიშნავს: წმინდა გიორგი, საერთოდ, წმინდა, ხატი, ეკლესია (დასახელებული წიგნი, გვ. 412. ვრცლად ამ საკითხზე იხ.: ა. შანიძე, სვანური კულტის ტერმინი ჯგერაჲ, „მაცნე“, ელს, № 2, 1973, გვ. 108—118). როგორც აღვნიშნეთ, ძველად ძეგორაზე წმინდა გიორგის სალოცავი ყოფილა. უნებლიეთ გვებადება კითხვა: ამ ჯეგე სიტყვიდან ხომ არ იღებს სათავეს ჩვენი ძეგორა?

‘თორემ’ კავშირის შესახებ

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ‘თორემ’ კავშირის შემდეგი ასპექტების განხილვას: 1. ‘თორემ’ კავშირის მნიშვნელობა; 2. მისი კვალიფიკაციის საკითხი; 3. ‘თორემ’ კავშირიანი რთული წინადადების ზოგიერთი თავისებურება.

§ 1. ‘თორემ’ კავშირის მნიშვნელობა. ‘თორემ’ კავშირის მნიშვნელობა არ ყოფილა სპეციალური კვლევის საკითხი. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ვკითხულობთ ‘თორემ’ კავშირის შესახებ: „მიუთითებს შედეგზე, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს რაიმე პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, — წინააღმდეგ შემთხვევაში“ [ტ. IV, გვ. 471]. მაგრამ ამ განმარტებაში უფრო სემანტიკური ფუნქციაა მითითებული, ხოლო მისი სინონიმური შესიტყვება ‘წინააღმდეგ შემთხვევაში’ ფაქტობრივად თვითონ მოითხოვს განმარტებას.

კავშირის ლექსიკური მნიშვნელობა ჩვენ წარმოგვიდგება როგორც განმარტება, სადაც განსხვავდება პრაგმატული და შინაარსობრივი ნაწილები. „პრაგმატული ნაწილი გამოხატავს მოლაპარაკის, ადრესატის ან სუბიექტის დამოკიდებულებას რეალურსადმი (ფაქტისადმი, მოსაზრებისადმი და ა. შ.), ან მათ მიერ რეალურს შეფასებას, ალტერნატივას. ხოლო შინაარსობრივი ნაწილი წარმოადგენს რთული წინადადების იმპლიციტურ სემანტიკურ კომპონენტს...“ [1].

ჩვენი მასალის მიხედვით ‘თორემ’ კავშირის სამი ძირითადი მნიშვნელობა გამოიკვეთა. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

1.0 თორემ.

1. ‘ერთი ბარტყი გადმომიგდე, თორემ შავ დღეს დაგაყენებ’ (ხალხ.).

2. ‘— ხელი არ მახლო, თორემ გაგარტყამ! — მტკიცედ უყვირა ბიჭმა ჭუკიას’ (ზ. რატიანი, 89).

3. ‘— ნუ ტრაბახობ, ჭუკა, თორემ რაც მაშინ დაგაკლო, თუ შეგხვდა, ახლა შეგისრულებს, — ხან ერთი ეტყოდა, ხან მეორე’ (ზ. რატიანი, 98).

4. ‘...— გერასიმე ღვამიჩავა ჩამლეთს მიუბრუნდა, — ნულარ აყოვნებთ, ახალშობილი, დედასთან ერთად, პატრონს მიჰგვარეთ და თანაც მკაცრად გააფრთხილეთ: დღეის ამას იქით ქალაქში სახეირნოდ ნულარ გამოუშვებ, თორემ დაიჭერს ვიღაცა არაკაცი და მწვადად შეაშიშხინებს...’ (ალ. სამსონია, 10).

ყველა მოყვანილ მაგალითში რთული წინადადების პირველი ნაწილი (S_1) ბრძანებითშია, მეორე (S_2) — ან თხრობით კილოშია (№ 1, 3, 4), ან ძახილის წინადადება (№ 2). S_1 -ის მოდალური ჩარჩო¹ შეიძლება წარმოვიდგინოთ ასე: მოლაპარაკეს სურს, რომ ადრესატმა აუცილებლად შეასრულოს X მოქმედება, არ დაიწყოს X მოქმედება (№ 2), ან შეწყვიტოს X მოქმედება (№ 3, 4).

(როგორც მე-4 მაგალითიდან ჩანს, ადრესატი შეიძლება არ იყოს მოსაუბრე. მოლაპარაკესა და ადრესატს შორის ჩნდება შუამავალი, რომელიც გადასცემს ადრესატს მოლაპარაკის მოთხოვნას).

‘თორემ’ კავშირის მნიშვნელობა ამ მაგალითების მიხედვით შეიძლება განიმარტოს ასე: ‘მოლაპარაკე დარწმუნებულია, რომ ადრესატი შეასრულებს იმას, რაც მას უნდა, თუ არ შეასრულებს, მოლაპარაკე (ან სხვა) გააკეთებს იმას, რაც არ იქნება სასურველი ადრესატისათვის’. ამ განმარტებაში ‘თუ არ შეასრულებს’ შინაარსობრივი ნაწილია, დანარჩენი — პრაგმატული.

5. '— ენა რომ ექავება, თორემ არაფერიც არ მოხდებოდა. ახლა, შეიძლება სამსახურიდანაც გამოაგდონ და ჩემი სარჩენი გახდეს' (რ. მიშველაძე, 8).

6. '...ლევან გოთუა ამგვარად გადმოგვცემს ჯაბუშანურთან შეხვედრისა და გაცნობის ეპიზოდს არხოტში: '...გამაცნეს, თორემ სხვა ხევისურებში ვერაფერი გავარჩევდიო' (ა. არაბული, 10).

7. 'ოთახში შემოსვლისას იგი რატომღაც ჩემს წინ აღმოჩნდა, და მე მივხვდი, არა ვიგრძენი, არ უნდა შემეხედა თვალებში, თორემ რაღაც სასწაულს ვეტყოდი...' (ლ. ლონდაძე, 20).

პირველი ჯგუფის მაგალითებისაგან განსხვავებით ამ წინადადებების (№ 5—7) S_1 -ში მოყვანილია რაღაც ფაქტი (№ 5-ში S_1 ელიფსურია, მთავარი წინადადება 'იმიტომ თქვა' მთლიანად გამოტოვებულია). 'თორემ' კავშირი S_2 -ში ქმნის აუცილებელ სემანტიკურ რგოლს, რომელიც გულისხმობს S_1 -ის საპირისპირო შინაარსს როგორც S_2 -ის პირობას და ამ პირობის შედეგს: *რომ არ ეთქვა, მაშინ... [5], *რომ არ გაეცნოთ, მაშინ... [6], *რომ შემეხედა, მაშინ... [7]. ამასთან აშკარაა, რომ მისი სემანტიკის აუცილებელი ნაწილია პრაგმატული — მოლაპარაკის დამოკიდებულება, მისი რწმენა. ამდენად, 'თორემ' კავშირის მნიშვნელობა ექსპლიციტურად შეიძლება განიმარტოს ასე: 'მოლაპარაკე დარწმუნებულია, რომ არ ყოფილიყო X (S_1), არ იქნებოდა Y (S_2)'.

გარდა ამისა 'თორემ' S_2 -ში ქმნის რეალური ფაქტის ამსახველ პრესუპოზიციას (P); რაღაც მოხდა (№ 5), მე ის გავარჩიე სხვა ხევისურებში (№ 6), მე არაფერი არ ვუთხარი (№ 7).

ამგვარად, 'თორემ' კავშირის მნიშვნელობა ორივე ჯგუფის წინადადებებში უკავშირდება რწმენა / ექვის მოძალლობას. ექსპლიციტურად ის შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ:

(1) მოლაპარაკე არ არის დარწმუნებული, რომ ადრესატი შეასრულებს იმას, რასაც მოლაპარაკე მოითხოვს. თუ არ შეასრულებს, მოლაპარაკე (სხვა) გააკეთებს იმას, რაც არ იქნება სასურველი ადრესატისათვის; ან (2) მოლაპარაკე დარწმუნებულია, რომ არ ყოფილიყო X (S_1), არ იქნებოდა Y (S_2).

ორივე ჯგუფის მაგალითები იმას მოწმობს, რომ 'თორემ' კავშირში შერწყმულია პირობისა და შედეგის მნიშვნელობები. 'თორემ' -ის სემანტიკა გულისხმობს როგორც აუცილებელ კომპონენტს შედეგის შინაარსის მქონე მომდევნო წინადადებას (სიტყვის ან წინადადების ასეთ სემანტიკურ-სინტაქსურ კანონზომიერებას შეიძლება ვუწოდოთ ვალენტობა² ფართო გაგებით).

1.1 თორემ₂.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში S_1 და S_2 შორის დაპირისპირების მიმართებაა. აქ გამოიყო ორი ქვეჯგუფი.

1.1.1 დაპირისპირებულია წინადადება-კომპონენტების (S_1 და S_2) ექსპლიციტური წევრები.

1. 'ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ჩვენ, მსმენელ-მაყურებელნი, არ ვიცნობთ იმ ადამიანებს, ერთმანეთს რომ ელაპარაკებიან პიესაში, თორემ ისინი თავის თავსაც იცნობენ და ერთმანეთსაც' (ნ. ურუშაძე, 56).

'თორემ' კავშირიანი რთული წინადადება ამ ზერთულ წინადადებაში ქვეწყობილის დამოკიდებული კომპონენტია. აქტუალური დანაწევრების თვალსაზრისით S_1 და S_2 -ში დაპირისპირებულია როგორც თემატური ნაწილები ('ეს ჩვენ, მსმენელ-მაყურებელნი' (S_1) და 'ისინი' (S_2), ისე რემატული ('...არ ვიცნობთ იმ ადამიანებს, ერთმანეთს რომ ელაპარაკებიან პიესაში' (S_1) და 'თავის თავსაც იცნობენ და ერთმანეთსაც' (S_2)). ეს ნაწილები შეიცავენ ლოგიკურად გამოყოფილ წევრებს. S_1 -ში თემაში გამოყოფილია ქვემდებარე, S_2 -ში — დამატება³.

2. 'ბოლოში შეიძლება მარტოოდენ მრავლობითის ნიშანი ჰქონდეს მასაც, თორემ პირის ნიშანი ობიექტურ პირს ყველას წინ მოუდის: პირველსაც, მეორესაც, მესამესაც (რამდენადაც უკანასკნელს იგი მოეპოვება)' (ა. შანიძე, 180).

S_1 -ში შეპირისპირებული წევრი გამოყოფილია ზმნიზებით 'მარტოოდენ'.

3. 'უხმოდ წავიდნენ ბიჭები. უფრო სწორად, უსიტყვოდ წავიდნენ, თორემ ხმა გამუდმებით ისმოდა გარაუში, — ხან ერთს აუტყდებოდა ხველა, ხან მეორეს' (ზ. რატიანი, 97).

არც სინტაქსურად და არც სემანტიკურად S_1 არ არის სრული წინადადება. ტექსტში მას აქვს დამაზუსტებელი, დამხმარე ფუნქცია. იგი აზუსტებს წინა წინადადებას და ეს ლექსიკურადაც არის გამოხატული. S_1 -ის წინა წინადადება ავტოსემანტურია და სინტაქსურად სრული. მასში პირველ ადგილზეა ზმნიზედა, რომელიც აქცენტირებულია ამ წინადადებაში. S_1 აზუსტებს მას, S_2 -ის პირველი წევრი უპირისპირდება სწორედ ამ ზმნიზებას: 'უხმოდ წავიდნენ' და 'ხმა ისმოდა' (S_2). ე. ი. ადგილი აქვს არა კონტაქტურად, არამედ დისტანციურად გაწვდილი წინადადებების წევრების დაპირისპირებას. მაშასადამე, 'თორემ' კავშირის მოქმედების არც სცილდება რთული წინადადების ფარგლებს. ხოლო რთული წინადადების ფარგლებში S_1 და S_2 შორის მიერთებითი დამოკიდებულებაა. 'თორემ' კავშირი მიუთითებს იმაზე, რომ S_2 სინსემანტურია და აღნიშნულ დახასიათებაზე ადრეც იყო ლაპარაკი. ამ შემთხვევაში 'თორემ' კავშირის ფუნქცია ემთხვევა განსაზღვრული არტიკლის ფუნქციას. ხოლო S_2 , როგორც S_1 , აზუსტებს S_1 -ის წინა წინადადებას.

4. 'პირველმა ოთხმა წუთმა წყნარად ჩაიარა, წყნარად ხალიჩაზე, თორემ დარბაზი დანგრევეს ღამოზღა' (ზ. რატიანი, 80).

S_1 ისევე, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითი, ელიფსურია, აკლია როგორც ქვემდებარე, ისე შემასმენელი, წარმოდგენილია გარემოებებით — ვითარებისა და ადგილის. S_1 -ს აქვს წინა წინადადების დაკონკრეტების ფუნქცია. ამავე დროს S_1 -ში გამოყოფილია ადგილის გარემოება. ტავტოლოგიური ვითარების გარემოება და აქცენტირებული ადგილის გარემოება ქმნიან ვალენტობას 'თორემ' კავშირიან მომდევნო წინადადებაზე. სწორედ აქცენტირებული წევრი ქმნის $P(S_1)$: სხვაგან სიწყნარე არ იყო. S_2 აკონკრეტებს $P(S_1)$ -ს. დაპირისპირების მიმართებაშია არა ცალკეული წევრები, არამედ მთლიანად S_1 და S_2 .

ანალოგიური ვითარებაა შემდეგ წინადადებაშიც:

5. 'ირგვლივ სულიერი არ ჰაჰანებდა. სულიერი, თორემ უსულონი ბევრნი იყვნენ' (ზ. რატიანი, 70).

S_1 არასრული წინადადებაა, წარმოდგენილია მხოლოდ ქვემდებარით. ტავტოლოგიური წინადადება — ქვემდებარე გამოყოფილია ლოგიკურად და აქვს ვალენტობა 'თორემ' კავშირიან მომდევნო წინადადებაზე. S_2 ფაქტობრივად უპირისპირდება S_1 -ის წინა წინადადებას.

ზემოთ განხილული მაგალითების მიხედვით 'თორემ' კავშირის მნიშვნელობა შეიძლება განვსაზღვროთ ასე: (3) მოლაპარაკე ადარებს ერთმანეთს ორ სუბიექტს (სუბიექტთა ჯგუფებს) ან ობიექტებს მათი საპირისპირო ან მოლაპარაკის მიერ დაპირისპირებული ნიშნების მიხედვით. ლოგიკურად გამოყოფს პირველს (№ 1, 2, 5), ან (№ 4) მოლაპარაკე აღნიშნავს ერთ სიტუაციაში ორ ფაქტს. მოლაპარაკე ადარებს მათ საპირისპირო ნიშნების მიხედვით, ლოგიკურად გამოყოფს პირველს (№ 3, 4).

1. 1. 2 დაპირისპირების მიმართებას ქმნიან S_1 და S_2 შორის იმპლიციტური სემანტიკური რგოლები.

ამ ნაწილში გავაერთიანეთ ორი სახის წინადადებები. ერთნი შეიცავენ აუ-

ტორის (მოლაპარაკის) მიერ დაპირისპირებული ფაქტების საპირისპირო შეფასებას, მეორენი — სავარაუდო ფაქტს და მოსალოდნელ ანტიფაქტს.

6. 'საქმეც ეგ არის, რაც წიგნებში არა სწერია, კაცმა ის იცოდეს, თორემ წიგნებს ე ბაღლიც კი წაიკითხავს, რო გაიზრდება! — აჩიკოსკენ ხელს იშვერს საჩინო და შემკრთალი ჩუმდება' (ზ. რატიანი, 31).

S_1 ქვეწყობილია, მთავარი წინადადება-კომპონენტის დანიშნულებაა დამოკიდებულის გამოყოფა, აქცენტირება, რაც ლექსიკურად არის გამოხატული. დამოკიდებული მოდალურია, ზმნა 'უნდა'-ს გაგებას შეიცავს. აქცენტირებულია ზმნის წინა წევრი — მესამე პირის ნაცვალსახელი, რომელიც ანაფორულ კავშირშია წინა წინადადებასთან. ასეთ S_1 -ს აქვს ვალენტობა 'თორემ' კავშირთან S_2 -ზე.

S_2 -შიც არის გამოყოფილი წევრი. S_2 -დან გამომდინარეობს იმპლიკაცია (იმპლ.). ბაღლიც ეცოდინება ის, რაც წერია წიგნებში. ეს იმპლ. უპირისპირდება S_1 -ის დამოკიდებულს. ავტორის აზრით, S_1 უფრო მნიშვნელოვანია. ამ რთული წინადადების მოდალური ჩარჩო შეიცავს ორ საპირისპირო აზრს. მოლაპარაკე გამოთქვამს თავის მოსაზრებას. ერთი მხრივ, X -ის შესრულება ძნელია, X უფრო მნიშვნელოვანია, მეორე მხრივ, X -ის შესრულება ადვილია.

7. 'მე ბინათმშენებლობებზე ვამბობ ამას, თორემ ზოგ სხვა შენობას დიხაც ისე აშენებენ, თვალს ვერ მოწყვეტ და მაღლიერებით იტყვი: მკლავდალოცვილის ნახელავიაო' (ა. გეწაძე, 3).

S_1 სინტაქსურად სრული წინადადებაა, მაგრამ აზრობრივად არაა სრული. მისი ტექსტობრივი ფუნქციაა წინა წინადადების აზრის დაზუსტება. S_1 და S_2 შორის არ არის მკაფიოდ გამოხატული შეპირისპირების მიმართება, მაგრამ 'თორემ' კავშირი მიუთითებს, რომ ეს დაპირისპირება, იმპლიციტურად მაინც, არსებობს. S_1 -ის კონკრეტული შინაარსის დადგენა შეუძლებელია წინა კონტექსტის გარეშე. მაგრამ მის შინაარსს მკითხველი შეიძლება მიხვდეს S_2 -ის მიხედვითაც. S_1 არ ქმნის დამოუკიდებლად P -ს. იგი მას გადმოაქვს ან წინა წინადადიდან, ან ქმნის S_2 -ის შინაარსის გათვალისწინებით. $P(S_1)$: 'ბინებს ცუდად აშენებენ'. S_2 -ში რემა აქცენტირებულია. იგივე P არის S_2 -ში, ხოლო იმპლ. (S_2): 'ზოგ სხვა შენობას ძალიან კარგად აშენებენ. ე. ი. S_1 -ში და S_2 -ში არის დაპირისპირებული სემანტიკური რგოლები $P(S_1)$ და იმპლ. (S_2).

8. 'შენ დაწყება თქვი, თორემ მერე წავა თავისთავადა' (თ. ჩხეიძე, 8).

S_1 სემანტიკურად უსრულია, სინსემანტურია, იმპლ. (S_1): რაღაც საქმის დაწყება ძნელია. იმპლ. (S_2): რაღაც საქმის შესრულება ადვილია.

9. 'არა და, ცხოველები საოცრად მიყვარს და ვინანე კიდევ ასეთი სიფიცხე. სიტყვამ რაკი მოიტანა, თორემ ამ ამბის გახსენებაც კი გულს მტკენს...' (გ. მარდალავიშვილი, 4).

S_1 ქვეწყობილია, წარმოდგენილია დამოკიდებულებით, მთავარი ნაწილი გამოტოვებულია. მთავარი ეკუთვნის მიმართვის სემანტიკურ ქვეტიპს.

S_1 -ში დამოკიდებული ფრაზეოლოგიზმია. S_1 ინფორმაციულად რაღაც დამატებით ცნობას შეიცავს. შინაარსობრივად იგი ჩართულ წინადადებას უახლოვდება, S_2 ავტოსემანტურია, პირველი წევრი გამოყოფილია '-ც კი' ნაწილაკებით. 'თორემ' ქმნის იმპლიციტურ სემანტიკურ რგოლს 'არ ვიტყოდი', ე. ი. ამ რთულ წინადადებაში ერთმანეთს უპირისპირდება ორი იმპლიციტური რგოლი: ერთი, ელიფსური მთავარი წინადადება 'იმიტომ ვთქვი' (S_1), მეორე, 'თორემ' კავშირით შექმნილი იმპლიციტური სემანტიკური რგოლი 'არ ვიტყოდი' მაშასადამე, რთული წინადადების სემანტიკურ სტრუქტურაში არის დაპირისპირებული რგოლები, ხოლო სინტაქსურ დონეზე S_1 და S_2 შორის მიერთებითი დამოკიდებულებაა.

10. 'ჭკვიანი როა, იმიტომ გადაგვყავს კლასიდან კლასში, თორემ მაგის საქმე სახრეაო' (რ. ინანიშვილი, 120).

S_1 ქვეწყობილია, დამოკიდებული მახასიათებლური ქვეტიპისაა, მთავარი სიტუაციურია. ამ კომპონენტთა რიგია: დამოკიდებული, მთავარი. საინტერესოა, რომ დამოკიდებულში შერწყმულია კავშირი და დამხმარე ზმნა, რაც იწვევს კავშირის ინვერსიას და მიზეზის აქცენტუაციას. ეს, თავის მხრივ, იწვევს მთავარი წინადადების გამოყოფას. ხოლო აქცენტირებული მთავარი სინსემანტურია და აქვს ვალენტობა 'თორემ' კავშირიან წინადადებაზე. S_2 მეტაფორულია. ისიც მახასიათებლური ქვეტიპისაა იმპლ. (S_2): X კარგად ვერ სწავლობს. 'თორემ' კავშირი ქმნის სემანტიკურ რგოლს 'არ გადავიყვანდით კლასიდან კლასში, ვინაიდან...'

'თორემ' კავშირის მნიშვნელობა ამ ჯგუფის მაგალითების მიხედვით შეიძლება განიმარტოს ასე:

(5) მოლაპარაკე ერთ რომელიმე ფაქტში გამოყოფს ორ საპირისპირო ასპექტს ან ქვეფაქტს — X' (S_1) და $\bar{X}'$ (S_2). X' -ისა და $\bar{X}'$ -ის მისეული შეფასება ან საპირისპიროა, ან შეფარდებითია — X' მოლაპარაკის თვალსაზრისით რალაციით უფრო მეტია, ვიდრე $\bar{X}'$. მოლაპარაკე გამოყოფს X' (№ 6—8); ან (6) მოლაპარაკე გვაუწყებს X ფაქტს. მოლაპარაკე, ერთი მხრივ, გვიხსნის X ფაქტის არსებობას, მეორე მხრივ, გვაუწყებს ანტიფაქტის შესაძლებლობის მიზეზს. მოლაპარაკე გამოყოფს ან X-ს, ან მიზეზს (№ 9, 10).

1.3 თორემ.

1. 'იგი უთუოდ თბილისის „შემოქმედებით ქურაში“ (როგორც ვაჟა იტყოდა) გადამუშავებულ ჰანგებსა და სიმღერებს გულისხმობდა, თორემ „შუაბაზრის კილო“ იქნებ აკაკის არანაკლებ აღიზიანებდა, ვიდრე თვითონ ვახტანგ ორბელიანს' (გ. ბარნოვი, 54).

S_1 და S_2 ორივე მსჯელობითი ქვეტიპისაა, მათ შორის რაიმე სემანტიკური კავშირი, თითქოს არ ჩანს, ორივე სინტაქსურად და ინფორმატიულად სრული, დამოუკიდებელი წინადადებაა. მხოლოდ 'თორემ' კავშირი მიუთითებს იმაზე, რომ რალაც სემანტიკური კავშირი ამ წინადადებაებს შორის არის. 'თორემ' კავშირი S_2 -ში იმაზე მიუთითებს, რომ S_2 -ის თემაზე ადრეც იყო ლაპარაკი და ჩვენ აქ განვაგრძობთ მასზე მსჯელობას. 'თორემ'-ის სინონიმურია ამ შემთხვევაში გამოთქმა 'რაც შეეხება'.

2. '— საქმე აქვს, ბატონო!

— საქმე, თორემ... ინგლისის პარლამენტში აქვს სიტყვა სათქმელი!...' (რ. დვალიშვილი, 4).

ჩვენთვის საინტერესო წინადადება დიალოგის ნაწილია. S_1 სიტყვა — წინადადებაა, წინა ნათქვამის გაშეგრძელებაა ირონიული აქცენტუაციის მიზნით. S_1 სინსემანტურია, აქვს ვალენტობა 'თორემ' კავშირიან წინადადებაზე. 'თორემ' ამ კონტექსტში ქმნის სემანტიკურ რგოლს, რომელიც ფაქტობრივად S_1 -ის უარყოფას ნიშნავს: 'X-ს არაფერი საქმე არა აქვს' ხოლო 'თორემ' კავშირის შემოაქვს ჰიპერბოლური შედარება, რაც იმპლიციტურად შეუძლებლობის მოძალობას ნიშნავს.

3. '— შენ რას მიედ-მოედებით! უნდოდა ეთქვა ბიქტორს, მაგრამ გაჩუმება არჩია და თავისი ძველი, წყნარი სამსახური ინატრა, რომლის კარს ვინმე სპეციალისტი თუ შეადებდა ხოლმე, თორემ სხვას მასთან არა ეკითხებოდა რა...' (რ. დვალიშვილი, 4).

S_1 განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებაა, S_2 მსჯელობითია. $P(S_1)$: სხვა მის კარს არ შეადებდა, იმპლ. (S_2): სხვას მასთან საქმე არ ჰქონდა. S_2 -ის იმპლიკაცია უფრო კონკრეტულია. $P(S_1)$ და იმპლ. (S_2) შორის შედეგი —

მიზეზის მიმართებაა. S_2 ინფორმაციული თვალსაზრისით რაღაც დამატებით ცნობას შეიცავს. S_2 ადვილად შეიძლება 'თორემ' კავშირის გარეშე დამოუკიდებელ წინადადებად ვაქციოთ. 'თორემ' ამ შემთხვევაში მიერთებითი კავშირია.

'თუ'-ს წინადადებაში შემოაქვს შესაძლებლობის მოდალობა. ამავე დროს 'თუ + V' S_1 -ს მატებს ვალენტობას მომდევნო 'თორემ' კავშირთან წინადადებაზე: X-ის კარს ვინმე სპეციალისტი თუ შეაღებდა ხოლმე, თორემ... მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ S_1 დამოუკიდებელი წინადადებაა. დამოკიდებულ წინადადების პოზიციაში S_1 კარგავს ამ ვალენტობას.

4. 'ის კი არ იფიქროთ — ამხაც ხანდახან თუ გავივლელი გონებაში, თორემ რა სალაპარაკოა — ჩემს ტოლებს სულ ცოტა ხნის წინ მამის გამონაცვალ ფეხსაცმლის ნაგლეჯები ენატრებოდათ...' (ლ. ლონდაძე, 15).

'თორემ' კავშირიანი რთული წინადადება ჩართულია, S_1 -ს აქვს ვალენტობა 'თორემ' კავშირიან წინადადებაზე. S_2 ძახილისაა, S_1 და S_2 შორის მიერთებითი დამოკიდებულებაა. 'თორემ' კავშირის ელიმინაციის შემთხვევაში S_1 და S_2 შორის საერთოდ წყდება აზრობრივი კავშირი.

'თორემ'-ის მნიშვნელობა ამ მაგალითების მიხედვით შემდეგია: მოლაპარაკე გვაუწყებს:

(7) ერთი მხრივ, მისი აზრი X ფაქტის შესახებ სარწმუნოა, მეორე მხრივ, მოლაპარაკის აზრი X-თან დაკავშირებულ Y-ის შესახებ მთლად სარწმუნო არ არის (№ 1); ან

(8) ერთი მხრივ, X (ფაქტი, ცნობა) არ არის სარწმუნო. მოლაპარაკე გამოყოფს X-ს, მეორე მხრივ, თავის უარყოფით ან უარყოფითთან მიახლოებულ დამოკიდებულებას X-თან დაკავშირებულ ვიღაც მესამესადმი, არა ადრესატისადმი (№ 2); ან

(9) ერთი მხრივ, უკვე ცნობილი, ადრესატისათვის, X ფაქტის შესახებ რაღაც დამატებით X' ფაქტს, მეორე მხრივ, მოლაპარაკე ხსნის X'-ს რაღაცით (№ 3); ან

(10) ერთი მხრივ, რაღაც X ფაქტს, მეორე მხრივ, მისი აზრით შეუძლებელია X (№ 4).

დასკვნა. ამრიგად გამოიკვეთა 'თორემ' კავშირის მნიშვნელობის სხვადასხვა განმარტება.

თორემ₁ — უკავშირდება მოლაპარაკის რწმენის მოდალობას. მოლაპარაკე დარწმუნებულია / არ არის დარწმუნებული რაღაცაში.

თორემ₂ — მოლაპარაკე ადარებს ერთმანეთს ან სუბიექტ / ობიექტებს. ან ორ ფაქტს საპირისპირო ნიშნების მიხედვით. ლოგიკურად გამოყოფს პირველს; ან მოლაპარაკის შეფასება რომელიმე ფაქტში აღნიშნული ასპექტებისა ან გამოყოფილი ქვეფაქტებისა ან საპირისპიროა, ან შეფარდებითია. მოლაპარაკე გამოყოფს X'; ან მოლაპარაკე მსჯელობს რაღაც ფაქტზე და გვაუწყებს ამ ფაქტის ანტიფაქტის შესაძლებლობის მიზეზს. ამასთან გამოყოფს ერთ-ერთ მათგანს.

თორემ₃ — მოლაპარაკის მიერ რაღაც ნიშნით დაკავშირებული ფაქტება სარწმუნოა / არ არის სარწმუნო, ან დაპირისპირებული ფაქტები შესაძლებელია / შეუძლებელია ან არამთავარია.

ყველა ამ 'თორემ'-ს აერთიანებს მოლაპარაკის აქტიური პოზიცია, იქნება ეს აქცენტუაციის სახით, ვარაუდის ან სხვა მოსაზრების. ამიტომ ეს განმარტებები შეიძლება მივიღოთ ერთი კავშირის მნიშვნელობის ვარიანტებად. ყველა განმარტებაში ჭარბობს პრაგმატული ნაწილი.

§ 2. 'თორემ' კავშირის კვალიფიკაციის შესახებ ორი აზრი არსებობს.

ა. შანიძე 'თორემ' კავშირს მიიჩნევს მაპირისპირებელ კავშირად [7, 606]. ქართულ მეცნიერთა უმეტესობა იზიარებს ამ თვალსაზრისს [3; 5]. შ. ძიძიგურის კლასიფიკაციით 'თორემ' მაქვემდებარებელი პირობით-შედგომითი კავშირია [8, 122]. ლ. კვაჭაძის „ქართული ენის სინტაქსში“ 'თორემ' კავშირიანი წინადადებები განხილულია პირობით დამოკიდებულ წინადადებებთან ერთად [4, 408—409]. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ [6, 1192] თავს იკავებს დასკვნისაგან.

მაერთებელ-მაქვემდებარებელი კავშირების გამიჯვნის საკითხი და მასთან ერთად თანწყობა-ქვეწყობის პრობლემა არაერთხელ ყოფილა მეცნიერთა ყურადღების ცენტრში [12; 13; 14; 15; 16; 18; 19; 20; 21; 22; 25; 26; 29]. იყო ძიება მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირების დიფერენციაციის ხერხების დადგენისა ([12; 21; 29] და სხვ.). ჭერჭერობით — ყველაზე ოპტიმალურად მიგვაჩნია ე. შირიაევის შემდეგი ტესტი: „ყურადღებას იქცევს ე. წ. ზერთული წინადადებები (მრავალპრედიკატიანი) დამოკიდებულ წინადადებათა ერთგვარი თანადაქვემდებარებით, სადაც ერთმანეთს ხვდებიან მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები, რაც ქმნის მათი დიფერენციაციის სინტაგმატურ საფუძველს... ამ წინადადების სქემა შეიძლება ასე დავწეროთ: $A[(YB) X(YC)]$. ამასთან აღმოჩნდა, რომ X და Y კავშირთა პოზიციები ამ სქემაში დაპირისპირებულია იმ შემთხვევაში, თუ ყველა კავშირი, რომელიც გვხვდება X პოზიციაში, არ შეიძლება იყოს Y პოზიციაში, და პირიქით“ [26, 50]. X და Y პოზიციებს ე. შირიაევი უწოდებს მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირების განმასხვავებელ პოზიციებს.

ამ თვალსაზრისით გავარჩიოთ ზოგიერთი ჩვენი მაგალითი.

თორემ₁. 4. '...პატრონს მიჰგვარეთ და თანაც მკაცრად გააფრთხილეთ: დღეის ამას იქით ქალაქში სასეირნოდ ნულარ გამოუშვებ, თორემ დაიჭერს ვიღაცა არაკაცი და მწვადად შეაშიშხინებს...'. 'თორემ' კავშირიანი რთული წინადადება (პირდაპირი გამონათქვამი) მოვათავსოთ დამოკიდებული წინადადების პოზიციაში: პატრონს მიჰგვარეთ და თანაც მკაცრად გააფრთხილეთ. რომ დღეის ამას იქით ქალაქში სასეირნოდ ნულარ გამოუშვებ, თორემ დაიჭერს ვიღაცა არაკაცი და მწვადად შეაშიშხინებს... დამოკიდებულის პოზიციაში S_1 -ის ბრძანებითი კილო შეცვლილია თხრობითით.

'თორემ' კავშირიანი რთული წინადადება დამოკიდებულია შემდეგ მაგალითებში:

თორემ₂. 1. 'ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ჩვენ, მსმენელ-მაყურებელნი, არ ვიცნობთ იმ ადამიანებს, ერთმანეთს რომ ელაპარაკებიან პიესაში, თორემ ისინი თავის თავსაც იცნობენ და ერთმანეთსაც'.

თორემ₃. 3. '...უნდოდა ეთქვა ბიქტორს, მაგრამ გაჩუმება არჩია და თავისი ძველი, წყნარი სამსახური ინატრა, რომლის კარს ვინმე სპეციალისტი თუ შეაღებდა ხოლმე, თორემ სხვას მასთან არა ეკითხებოდა რა...'

ყველა ზემოთ მოყვანილი მაგალითი იმას მოწმობს, რომ 'თორემ' კავშირიანი წინადადება ისე იკავებს დამოკიდებულის პოზიციას, როგორც ნებისმიერა სხვა მაერთებელკავშირიანი წინადადება.

(ზემოთ მოყვანილ მაგალითებში 'თორემ' კავშირიანი რთული წინადადება ან იცვლის პოზიციას რთული წინადადების იერარქიულ სტრუქტურაში. ან უკავია დამოკიდებულის ადგილი. მაგრამ რიგ შემთხვევაში 'თორემ' კავშირიანი რთული წინადადების დონის შეცვლა არ ხერხდება: '— საქმე, თორემ... ინგლისის პარლამენტში აქვს სიტყვა სათქმელი...'; 'სულიერი, თორემ უსულონი ბევრნი არიან' და ა. შ. მაგრამ ეს შემთხვევები აიხსნება S_1 -ის ფუნქციით ტექსტში, რომელსაც აქვს წინა ნათქვამის გამოყოფის, აქცენტუაციის ფუნქცია და

არა 'თორემ' კავშირიანი წინადადებების თავისებურებით. ამასთან ერთად ჩნდება საკითხი, თუ რა ტიპის წინადადებები შეიძლება ტრანსფორმირებულ იქნეს დამოკიდებულ წინადადებად).

როგორც ე. შირიაევი აღნიშნავს, მეორე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ეხება თანწყობის გარკვევის საკითხს, არის 'და' კავშირის ფუნქციის არსებობა ნებისმიერ მაერთებელ კავშირში. შევამოწმოთ ამ თვალსაზრისით ჩვენი მაგალითები.

თორემ₁. 1. 'ერთი ბარტყი გადმომიგდე, თორემ შავ ღღეს დაგაყენებ' $\Rightarrow$ ერთი ბარტყი გადმომიგდე და თუ არ გადმომიგდებ, მაშინ შავ ღღეს დაგაყენებ.

5. '— ენა რომ ექავება, თორემ არაფერიც არ მოხდებოდა' $\Rightarrow$ ენა რომ ექავება, იმიტომ თქვა და რომ არ ეთქვა, არაფერიც არ მოხდებოდა.

თორემ₂. 5. 'სულიერი, თორემ უსულონი ბევრნი იყვნენ' $\Rightarrow$ სულიერი არ იყო და უსულონი ბევრნი იყვნენ.

თორემ₃. 3. '...რომლის კარს ვინმე სპეციალისტი თუ შეაღებდა ხოლმე, თორემ სხვას მასთან არა ეკითხებოდა რა...' $\Rightarrow$... რომლის კარს ვინმე სპეციალისტი თუ შეაღებდა ხოლმე და სხვას მასთან არა ეკითხებოდა რა...

როგორც ვხედავთ, 'თორემ' კავშირი შეიცავს 'და' კავშირის ფუნქციასაც. ამრიგად, ორივე ტრანსფორმაციის მიხედვით 'თორემ' მაერთებელი კავშირია.

ა. შანიძე 'თორემ' კავშირს მაპირისპირებელ კავშირად თვლის. მართლაც, დაპირისპირების მიმართება S_1 და S_2 კომპონენტებს შორის, როგორც ზემოთ დავინახეთ, რეალობაა.

'თორემ' რთულ წინადადებაში ქმნის სემანტიკურ რგოლს, რომელიც პირობას გულისხმობს. ეს პირობა თავისი შინაარსით უპირისპირდება S_1 -ს. ხოლო S_2 -ში ექსპლიციტურად წარმოდგენილია შედეგი. ე. ი. 'თორემ'₁ ითავსებს ერთდროულად როგორც პირობის, ისე შედეგის მნიშვნელობას. სწორედ ასეთი მაგალითების საფუძველზე შ. ძიძიგური უწოდებს მათ პირობით-შედეგობითებს⁷.

მაგრამ ეს მიმართება არ არსებობს S_1 და S_2 შორის. მათ შორის 'და'-ს მიმართებაა. დაპირისპირების მიმართება ამ სტრუქტურების აუცილებელი სემანტიკური კომპონენტია. ამ შემთხვევაში 'თორემ'₁ მაპირისპირებელი კავშირია.

'თორემ'₂ კავშირიან წინადადებებში S_1 და S_2 -ში შეიძლება იყოს დაპირისპირებული წევრები, შეიძლება ამ დაპირისპირებას ქმნიდეს 'თორემ' კავშირი. შეიძლება დაპირისპირება იყოს არა S_1 და S_2 შორის, არამედ S_1 -ის წინა წინადადებასა და S_2 შორის (№ 3, 4, 5). შეიძლება დაპირისპირება იყოს იმპლიციტური. ყველა შემთხვევაში 'თორემ'₂ მიერთებითია. მას შეიძლება ეწოდოს მაპირისპირებელ-მიერთებითი⁸.

'თორემ'₃ მიერთებითია ამგვარად, 'თორემ' შერეული ტიპის კავშირია: მაპირისპირებელი, მაპირისპირებელ-მიერთებითი და მიერთებითი.

§ 3. აქ ჩვენ მხოლოდ ჩამოვთვლით 'თორემ' კავშირის ზოგიერთ თავისებურებას.

1. 'თორემ' კავშირი არ აერთებს ერთგვარ წევრებს. ის აერთებს მხოლოდ წინადადება-კომპონენტებს.

2. შეუძლებელია 'თორემ'_{1, 2} კავშირის ელიმინაცია.

3. 'თორემ'₂-ის ფუნქცია უახლოვდება განსაზღვრული არტიკულის ფუნქციას, იგი გულისხმობს, რომ S_2 -ის თემა ზელმეორედ შემოდის ტექსტში (საუბარში), ის არ არის ახალი მკითხველისათვის.

4. 'თორემ'₂ ქმნის „დისტანციური“ დაპირისპირების მიმართებას (№ 3, 4).

5. 'თორემ, ვ' კავშირიანი წინადადებები არ არიან მთავარი ინფორმაციის მატარებელი ტექსტში. ასეთი წინადადებები დამაზუსტებელ, მაკონკრეტებელ ფუნქციას ასრულებენ.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი

1. იდეა, რომ ნებისმიერ წინადადებაში ექსპლიციტურად წარმოდგენილია ან იმპლიციტურად იგულისხმება მოდალური ჩარჩო, ახალი არ არის [11; 16; 28]. ახალია ის, რომ მოდალური ჩარჩო წარმოდგენს ლექსემის მნიშვნელობის განმარტების ნაწილს [9; 30].

2. მ. სტეპანოვა ასე განსაზღვრავს ვალენტობას: „თანამედროვე ენათმეცნიერებაში ვალენტობის ქვეშ იგულისხმება ენობრივ ერთეულთა შეხამების ძირითადი კანონები“ [23, 12].

(როგორც ცნობილია, თავდაპირველად ვალენტობის ცნება ლ. ტენიერმა დაუკავშირა ზმნას. თანამედროვე ენათმეცნიერებაში კი ვალენტობა გაცილებით ფართოდ ესმით [23; 24].

იხილავს რა ვალენტობის პრობლემებს, მ. სტეპანოვა იმ დასკვნამდე მიდის, რომ შესაძლებელია ვალენტობის ცნება გამოყენებულ იქნეს არა მარტო დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვების ანალიზისას. იგი თვლის, რომ შესაძლებელია: „ვალენტობის თეორიის გამოყენების არის შემდგომი გაფართოება არა მარტო დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვების მიმართ, არამედ (სემანტიკის თვალსაზრისით) წინდებულებისა და კავშირების მიმართაც, აგრეთვე ელემენტარული წინადადებების მიმართ რთული წინადადებების შემადგენლობაში“ [23, 20].

3. რთული წინადადების აქცენტუაცია სპეციალურ შესწავლას მოითხოვს. მოყვანილ მაგალითში თუ S₂-ში იქნებოდა '-ც' ნაწილაკით გამოყოფილი ქვემდებარე ('ისინიც'), 'თორემ' კავშირი შეუძლებელი გახდებოდა. უკანასკნელ შემთხვევაში 'თორემ' კავშირის ნაცვლად გაჩნდებოდა 'განა' ნაწილაკი, რომელიც კავშირის ფუნქციას ასრულებს: ეს ჩვენ არ ვიცნობთ X-ებს, განა ისინიც არ იცნობენ.

4. თუ დავაკვირდებით ყველა ზემოთ მოყვანილ მაგალითს, შევნიშნავთ, რომ 'თორემ' კავშირი შეუძლებელია, თუ ზმნას S₁-ში ან S₂-ში გააჩნია ერთ-ერთი ამ კატეგორიათაგანი: კავშირებითი კილო, მრავალგზისობა და უნახავი აქტი. მოყვანილ მაგალითში ზმნა 'ჰქონდეს' (S₁-ში) აწმყო კავშირებითშია. მაგრამ მოცემულ კონტექსტში შესიტყვება 'შეიძლება... ჰქონდეს' კარგავს მოდალობის მნიშვნელობას, ვინაიდან ორივე აქტანტის პოზიცია დაკავებულია ობიექტით. შესიტყვება 'შეიძლება... ჰქონდეს' იძენს კვანტორული სიტყვის მნიშვნელობას: 'არა ყველა X-ს აქვს Y', ხოლო S₁-ის შინაარსი მოყვანილ მაგალითში შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: არა ყველა ფორმას აქვს მრავლობითის ნიშანი.

5. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ წინადადებათა სემანტიკური ტიპების არსებობა რეალობა [10]. ნაშრომში სემანტიკური ქვეტიპები მოგვყავს ჩვენი კლასიფიკაციის მიხედვით [2].

6. 'თორემ' კავშირი ამ კონტექსტში თითქოს იმეორებს 'მაგრამ' კავშირის მნიშვნელობას, რომელიც ქმნის ანალოგიურ, S₁-ის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სემანტიკურ რგოლს [1]. მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ 'მაგრამ' კავშირთან ეს სემანტიკური რგოლი ასახავს რეალურ სიტუაციას, 'თორემ' კავშირთან კი — ირეალურს.

7. 'თუ არა'-ს საფუძველზე საშუალო ქართულში მიღებულია განსაკუთრებული კატეგორიის კავშირი, რომელიც ერთსა და იმავე დროს პირობასაც გამოხატავს და შედეგობითობასაც. ამგვარ კავშირს ვუწოდებთ პირობით-შედეგობით კავშირს [8, 122].

8. მიერთებით მიმართებას წინადადებებს შორის განსაზღვრავენ, მაგალითად, ასე: „წინადადების მიერთებით მიმართებას ახასიათებს შემდეგი: 1. ამ მიმართების დროს მეორე პრედიკატული ნაწილი თითქოს მეტყველების პროცესში ჩნდება, როგორც პირველის დამატება; 2. მეორე წინადადების დამატებით ხასიათს განაპირობებს მიერთებითი კონსტრუქციის ინტონაციური თავისებურება; კავშირის წინ ხმა დაბლდება და ადგილი აქვს პაუზას... [17, 30]. მიერთებითის ფუნქციას ასრულებენ იგივე მაერთებელი კავშირები [13, 30; 27, 80].

ლიტერატურა

1. გრიჭუროვა-გრიგორაშვილი, დ., 'მაგრამ' კავშირის მნიშვნელობის ანალიზისათვის (რთული თანწყობილი წინადადებების მიხედვით), კრ. „ტიპოლოგიური ძიებანი“ (იბეჭდება).
2. გრიჭუროვა დ., თანწყობილ წინადადებაში შემაჯავლი კომპონენტების სემანტიკური აღწერა, თბ., 1983.
3. კეკელია შ., დავითიანი აკ., ქართული ენა, თბ., 1981.
4. კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966.
5. კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1969.

6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბ., 1955.
7. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი 12 ტომად, ტ. III, თბ., 1980.
8. ძიძიგური შ., კავშირები ქართული ენაში, თბ., 1973.
9. Апресян Ю. Д., Лексическая семантика, Синонимические средства языка, М., 1974.
10. Арутюнова Н. Д., Типы языковых значений, М., 1988.
11. Балли Ш., Общая лингвистика и вопросы французского языка, М., 1955.
12. Белошапкова В. А., Современный русский язык, Синтаксис, М., 1977.
13. Бунина М. С., К вопросу о сложном предложении, «Вопросы синтаксиса и лексики современного русского языка», Сб. трудов, М., 1973, с. 57—63.
14. Гулыга Е. В., Место сложноподчиненного предложения в системе синтаксиса, Научные доклады высшей школы, Филологические науки, 1961, № 3, с. 16—25.
15. Карцевский С. О., Бессоюзие и подчинение в русском языке, «Вопросы языкознания», 1961, № 2, с. 125—131.
16. Колосова Т. А., О диктуме и модусе в сложном предложении, Научные доклады высшей школы, Филологические науки, 1979, № 2.
17. Крюков С. Е., Максимов Л. Ю., Современный русский язык, Синтаксис сложного предложения, М., 1977.
18. Левицкий Ю. А., Сочинение в синтаксической системе языка, АДД, М., 1984.
19. Ляпон М. В., Смысловая структура сложного предложения и текст, К типологии внутритекстовых отношений, М., 1986.
20. Оганесова Р. Д., О значении и функции союза, Спорные вопросы синтаксиса (Сборник статей), М., 1974.
21. Пешковский А. М., Существует ли в русском языке сочинение и подчинение предложений: А. Пешковский, Избранные труды, М., 1959, с. 131—146.
22. Покусаенко В. К., К вопросу о границах сложносочиненных предложений, «Синтаксис предложения» (Сб. научных трудов), Калинин, 1983, с. 42—47.
23. Степанова М. Д., Проблемы теории валентности в современной лингвистике, «Иностранные языки в школе», 1973, № 6, с. 12—22.
24. Степанова М. Д., Хельбиг Г., Части речи и проблема валентности в современном немецком языке, М., 1978.
25. Черемисина М. И., Колосова Т. Н., Очерки по теории сложного предложения, Новосибирск, 1987.
26. Ширяев Е. Н., Дифференциация сочинительных и подчинительных союзов на синтаксической основе, Научные доклады высшей школы, Филологические науки, 1980, № 2, с. 49—53.
27. Щерба Л. В., О частях речи в русском языке, Избранные работы по русскому языку, М., 1957, с. 63—84.
28. Sechehaye A., Structure logique de la phrase, Paris. 1926.
29. Dik Simon C., Coordination, Its implications for the theory general linguistics, North-Holland, 1968.
30. Wierzbicka A., Lingua Mentalis, Sydney etc. 1980.

Д. А. ГРИГОРАШВИЛИ

О СОЮЗЕ TOREM

Резюме

В работе рассматривается значение союза torem, вопрос его квалификации и некоторые особенности сложных предложений с союзом torem.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ფონეტიკისა და აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ინტონაცია და წინადადებათა ტიპები


წინადადება არის სეგმენტურ და სუპერსეგმენტულ მიმდევრობათა ერთიანობა, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს.

წინადადების სეგმენტურ მიმდევრობას ეფინება სუპერსეგმენტული მიმდევრობა, რომელსაც ვუწოდებთ **ინტონემას**. ინტონემა არის ინტონაციის ერთეული, რომელსაც აქვს შინაარსის გადმოცემის უნარი. ინტონემა იშლება შინაარსის მქონე უფრო მცირე ერთეულებად, რომლებსაც **მოტივებს** ვუწოდებთ. ინტონემის შინაარსი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა სახის მოტივები შედის მასში¹.


წინადადება შეიძლება განხილული იყოს მოდალობის (რაგვარობის) აგებულების მიხედვით.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მოდალობის მიხედვით გამოიყოფა თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი და ემოციური წინადადებები².

1. **თხრობითი წინადადება** „გადმოგვცემს რაიმე ცნობას ამა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის შესახებ, ადასტურებს რასმე ან უარყოფს“³. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია აზრი, რომ თხრობითი წინადადება მთავრდება დამავალი ტონით,⁴ ჩვენი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, თხრობით წინადადებაში სეგმენტურ მიმდევრობას ეფინება მხოლოდ დასრულებულობის ინტონემა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ინტონემა დასრულებულობისაა, თუ იგი შედგება მხოლოდ დამავალი მოტივებისაგან ანდა აღმავალი და დამავალი მოტივების კომბინაციისაგან, სადაც ბოლოში უთუოდ წარმოდგენილი უნდა იყოს დამავალი მოტივი. მაგალითად:



თანამედროვე სალიტერატურო ქართულში თხრობითი წინადადების სეგმენტურ მიმდევრობას შეიძლება დაუსრულებლობის ინტონემაც დაეფინოს. მაგალითად:



¹ დაწვრილებით ინტონემისა და მოტივის შესახებ იხ. ნ. კიჭირია, სალიტერატურო ქართულის ინტონაციის საკითხები, თბ., 1987, გვ. 8—9.

² ზოგჯერ ცალ-ცალკე გამოყოფენ ხოლმე ძახილისა და კითხვით-ძახილის წინადადებებს. ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია მათი გაერთიანება ემოციური წინადადებების სახელწოდებით.

³ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977, გვ. 31.

⁴ გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 139—140; ლ. კვაჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

ასეთი სუპერსეგმენტული მიმდევრობით ფაქტის კონსტატაციასთან ერთად გადმოიცემა მოლოდინის შინაარსიც: მოლაპარაკე ელის, რომ ფაქტის აღნიშვნას რაღაც გაგრძელება უნდა მოჰყვეს.

თხრობით წინადადებას შეიძლება დაეფინოს თხოვნითი ინტონემაც. მაგალითად:

ჩაი შინდა.

აქ გამოხატულია არა მარტო სურვილი, რომ „ჩაი უნდათ“, არამედ თხოვნაც, რომ მოუტანონ ჩაი.

2. კითხვითი წინადადება შეკითხვის შინაარსს შეიცავს. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კითხვითი წინადადების სეგმენტურ რიგს შეიძლება დაეფინოს კითხვითი, დასრულებულობის, დაუსრულებლობის ან თხოვნითი ინტონემები.

ა) კითხვითი ინტონემა ორგვარია: კითხვითი I და კითხვითი II. მაგალითები:

მხატვარმა დახატა სურათი? (კითხვითი I)

~~მხატვარმა დახატა სურათი?~~

მხატვარმა დახატა სურათი? (კითხვითი II).

ინტონემაში შემავალი კითხვითი მოტივი დაეფინება უსათუოდ შემასმენელს.

ბ) კითხვითი წინადადების სეგმენტურ მიმდევრობას შეიძლება დაეფინოს დასრულებულობის ინტონემა. ეს მაშინ ხდება, როცა სეგმენტურ მიმდევრობაში წარმოდგენილია კითხვითი სიტყვა ან კითხვითი ნაწილაკი. მაგალითად:

კინ დახატა სურათი?

ხოვ დახატა სურათი?

გ) კითხვითი წინადადების სეგმენტურ მიმდევრობას შეიძლება დაეფინოს დაუსრულებლობის ინტონემა. ამ შემთხვევაში სეგმენტურ მიმდევრობაში შეიძლება იყოს კითხვითი სიტყვა. მაგალითად:

კინ დახატა სურათი?

აქ მოლაპარაკეს აინტერესებს არა მარტო პასუხის მოსმენა შეკითხვაზე, არამედ იგი გულისხმობს, რომ უკვე უპასუხეს შეკითხვაზე, მაგრამ პასუხი ვერ გაიგო და ითხოვს ნათქვამის გამეორებას (სპეციალური ჩაკითხვაა).

დ) კითხვითი წინადადების სეგმენტურ მიმდევრობას ეფინება თხოვნითი ინტონემა. ამ შემთხვევაში სეგმენტურ მიმდევრობაში უსათუოდ უნდა იყოს კითხვითი სიტყვა ან კითხვითი ნაწილაკი. მაგალითად:

სურათი კინ დახატა?

აქ სეგმენტური მიმდევრობით გადმოიცემა შეკითხვა, სუპერსეგმენტულო კი თხოვნა, გასცენ პასუხი.

3. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ბრძანებითი წინადადება გამოხატავს მთქმელის ნება-სურვილს, რომლის შესრულებასაც ის ავალებს ამა თუ იმ პირს“⁵.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ბრძანებითი წინადადების სეგმენტურ მიმდევრობას შეიძლება დაეფინოს დასრულებულობის, დაუსრულებლობის ან თხოვნითი ინტონემა. მაგალითები:

ა) სეგმენტურ მიმდევრობას ეფინება დასრულებულობის ინტონემა:

წიგნი წაიკითხე!

ბ) სეგმენტურ მიმდევრობას ეფინება დაუსრულებლობის ინტონემა:

წიგნი წაიკითხე!

(ორივე დასახელებულ შემთხვევაში ბრძანებით წინადადებას თხრობითი-საგან განასხვავებს კონტექსტი).

გ) სეგმენტურ მიმდევრობას ეფინება თხოვნითი ინტონემა:

წიგნი წაიკითხე!

4. ემოციურ წინადადებაში გამოხატულია მოლაპარაკის რაიმე ემოცია ან გრძნობა.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ემოციურ წინადადებაში სეგმენტურ მიმდევრობას შეიძლება დაეფინოს დასრულებულობის, ძლიერემოციური I, ძლიერემოციური II ან თხოვნითი ინტონემა.

ა) სეგმენტურ მიმდევრობას ეფინება დასრულებულობის ინტონემა:

რა მშვენიერი ბუნებაა?!

ბ) სეგმენტურ მიმდევრობას ეფინება ძლიერემოციური I ინტონემა:

რა მშვენიერი ბუნებაა?!

გ) სეგმენტურ მიმდევრობას ეფინება ძლიერემოციური II ინტონემა:

რა მშვენიერი ბუნებაა?!

დ) სეგმენტურ მიმდევრობას ეფინება თხოვნითი ინტონემა:

რა მშვენიერი ბუნებაა?!

⁵ ლ. კვაჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოლაპარაკე მსმენელს თხოვს გაიზიაროს მისი ემოციური განწყობილება.

ჩვენ შევეხეთ სხვადასხვა მოღალატის წინადადებებს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში. ყურადღებას იპყრობს ის, რომ სხვადასხვა მოღალატის წინადადებებში ხშირად აღინიშნება ერთი და იმავე ინტონემის გამოყენება, მაგალითად, დასრულებულობის ინტონემა გამოიყენება თხრობით, კითხვით, ბრძანებითა და ემოციურ წინადადებებში, დაუსრულებლობის ინტონემა — თხრობით, კითხვითა და ბრძანებით წინადადებებში. თხოვნითი ინტონემა — ბრძანებითში, კითხვითა და ემოციურ წინადადებებში. ამათგან განსხვავებით კითხვითი ინტონემა (I და II სახის) მხოლოდ კითხვით წინადადებებში ეფინება სეგმენტურ მიმდევრობას, აგრეთვე ძლიერემოციური (I და II სახის) ინტონემა მხოლოდ ემოციურ წინადადებებში ეფინება სეგმენტურ მიმდევრობას.

რა განასხვავებს ერთმანეთისგან სხვადასხვა მოღალატის წინადადებებს, როცა ისინი ერთმანეთისაგან სუპერსეგმენტული მიმდევრობებით არ განსხვავდებიან? ცხადია, ისინი სეგმენტური მიმდევრობებით უნდა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

როგორი სახისაა ეს დაპირისპირება?

შევადაროთ ერთმანეთს წინადადებები:

— ზავში მოვიდა.

— კი მოვიდა?

— წაიკითხე წიგნი!

— რა ღამაა?!

ოთხივე ეს წინადადება ინტონაციურად ერთნაირადაა გაფორმებული დასრულებულობის ინტონემით. ისინი სხვადასხვა მოღალატის წინადადებებია: პირველი თხრობითია, მეორე — კითხვითი, მესამე — ბრძანებითი, მეოთხე ემოციური. რა განაპირობებს ამ შინაარსებს? რასაკვირველია, სეგმენტური მიმდევრობა: კითხვითში კითხვითობას კითხვითი სიტყვა გადმოსცემს, ბრძანებითში მნიშვნელობა აქვს რა კონტექსტში წარმოითქმის ეს წინადადება, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთმანეთში აირევა ბრძანებითი და თხრობითი, ემოციურში მნიშვნელობა აქვს სპეციფიკურ ლექსიკურ მიმდევრობას (კითხვითი ნაცვალსახელი ან კითხვითი ზმნიზედა + მეშველზმნიანი სეგმენტი) ან კონტექსტს (მაგ., „როგორ მღერის“ შეიძლება კითხვითიც იყოს, მაგრამ რომელიმე კონტექსტში შესაძლებელია ემოციური მნიშვნელობაც მიიღოს, აქ სასაუბრო სიტუაციაც არის მხედველობაში მისაღები).

შევადაროთ ერთმანეთს შემდეგი წინადადებები:

— ზავში მოვიდა.

— კი მოვიდა?

— წაიკითხე წიგნი!

ინტონაციურად სამივე წინადადება ერთნაირია: დაუსრულებლობის ინტონემა ეფინება. რაგვარობით კი ერთმანეთისგან განსხვავებულია: პირველი თხრობითია, მეორე — კითხვითი, მესამე — ბრძანებითი. კითხვითობაზე კითხვითი სიტყვა მიუთითებს, ბრძანებითი შინაარსი კი გაირკვევა კონტექსტით. ანალოგიურად შეიძლება შევადაროთ ერთმანეთს ასეთი წინადადებები:

წიკნი წაიკითხე!

ვინ მოვიდა?

რა ღამაზია?!

პირველი წინადადება ბრძანებითია, მეორე — კითხვითი, მესამე — ემოციური. სამივეს ეფინება თხოვნითი ინტონემა, რაც სეგმენტური მიმდევრობითი გადმოცემულ შინაარსს უმატებს თხოვნის შინაარსსაც. კერძოდ, მეორე წინადადებაში მოლაპარაკეს აინტერესებს არა მარტო ის, თუ ვინ მოვიდა, არამედ ითხოვს, რომ პასუხი გასცენ შეკითხვაზე. მესამე წინადადებაში სეგმენტური მიმდევრობით მოლაპარაკის აღფრთოვანებაა გამოხატული, სუპერსეგმენტული მიმდევრობით კი მოლაპარაკე მსმენელს თხოვს გაიზიაროს მისი აღფრთოვანება.

ამგვარად, მოდალობის მიხედვით წინადადებების დაპირისპირების დროს დაპირისპირება ხდება ან სეგმენტური, ან სუპერსეგმენტული მიმდევრობების საშუალებით.

აგებულების მიხედვით გამოყოფენ მარტივ, შერწყმულ და რთულ წინადადებებს. ისინი ინტონაციურად შესაძლებელია ერთნაირად გაფორმდნენ. მაგალითები:

მხატვარმა დახატა. (მარტივი გაუკრძოლვად წინადადება).


მხატვარმა მშვენიერი სურათი დახატა. (მარტივი გავრცობილ წინადადება).


მხატვარმა სურათი დახატა და გამოფენაზე წაიღო. (შერწყმულ წინადადება).


მხატვარმა სურათი დახატა და მხატვრულ ალფრთოვანებულ დარჩნე (რთულ თანწყობილ წინადადება).


მხატვარმა რომ სურათი დახატა, მხატვრულმა მოეწონათ. (რთულ ქვეწყობილ წინადადება).


წარმოდგენილი წინადადებები თხრობითია. ანალოგიური ვითარება გვაქვს სხვა რაგვარობის მქონე წინადადებებთანაც. მაგალითისათვის წარმოვადგენთ კითხვით წინადადებებს:

 მხატვარმა დახატა?

 მხატვარმა მშვენიერი სურათი დახატა?

 მხატვარმა სურათი დახატა და გამოფენაზე წაიღო?

 მხატვარმა სურათი დახატა და მნახველები აღფრთოვანებულ დარჩნენ?

 მხატვარმა რომ სურათი დახატა, მნახველებს მოეწონათ?

ამგვარად, სხვადასხვა აგებულების წინადადებები ინტონაციურად ერთმანეთს არ უპირისპირდებიან.

Н. А. КИЗИРИА

ИНТОНАЦИЯ И ТИПЫ ПРЕДЛОЖЕНИЙ

Резюме

Предложение — это единство сегментных и суперсегментных последовательностей. Оно выражает законченную мысль.

Предложение можно рассматривать по модальности и строению.

Сопоставление предложений разных модальностей осуществляется с помощью сегментных или суперсегментных последовательностей.

Разные по строению предложения друг другу интонационно не противопоставляются.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია
წარმოადგინა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

**/ჟ/ და /ვ/ ფონემათა კომბინატორული ქცევის
ზოგი საკითხი დიალექტებში**

/ჟ/ და /ვ/ ფონემების დისტრიბუციისა და ხმოვნებთან მათი კომბინატორული ცვლილებების საკითხი ქართული ენის დიალექტებისა თუ ისტორიული ქართულისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ღრმად შესწავლილი პრობლემაა. შესაბამისი საკითხები ჯერ კიდევ 20-იან წლებში დასვა აკად. არნ. ჩიქობავამ და არსებითად განსაზღვრა კიდევ პრობლემის შემდგომი კვლევის მიმართულება და სიღრმე¹.

აღნიშნულ გამოკვლევებში გამოჩნდა, რომ ჟ და ვ გრაფემებით გამოხატული ფონემების ფონოლოგიური ქცევა ქართული ენის სხვადასხვა დიალექტში ფაქტობრივ ერთი მიმართულებისაა და ეს მოვლენა დამყარებული უნდა იყოს **/ჟ/ და /ვ/ ფონემათა ისტორიულის მსგავს დისტრიბუციაზე**. კერძოდ, მკვლევრის დაკვირვებით, თანხმოვანთა მომდევნოდ ფონემა წყვილბაგისმიერია — **/ჟ/**, ხმოვანთა მომდევნოდ — **კბილბაგისმიერი — /ვ/**.

როგორც ითქვა, საკითხის კვლევა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შემდგომ სათანადოდ გაღრმავდა და გაფართოვდა, კერძოდ, ქართულ-ქართველური ენების ფაქტობრივ ყველა დონეზე აღიწერა **/ჟ/, /ვ/ ფონემათა დისტრიბუცია**, ასევე ამ ფონემებთან დაკავშირებული კომბინატორული ცვლილებები ისტორიულ ქართულსა და დიალექტებში².

ამჯერად ყურადღებას საკითხის იმ მხარეს მივაპყრობთ, რომელიც განსხვავებულად წარმოჩნდება სხვადასხვა ენობრივ ქვესისტემებში.

უფრო თანმიმდევრული ხასიათის გამო მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიექცა **ჟა → ო** პროცესს. ეს პროცესი ქართული ენის დიალექტებში გამოწველილვით არის შესწავლილი. დიალექტები (ფერეიდნული, მთიულური, მოხეური...) მეტ-ნაკლები თანმიმდევრულობით წარმოაჩენენ პროცესის სისტემურ ხასიათს. მაგალითად, მოხეურში **ჟ + ა** კომპლექსის გადასვლა **ო**-ში ჩვეულებრივი მოვლენაა: **ცხორი, ჯორი, ძოლი, კოლი, თოლი, ქობი, ყოვი, ნათქომი, გაწოლა, დამწორი...**

საგულისხმოა, რომ ამ თვალსაზრისით ხეცურული დიალექტი, ჩვეულებრივ, ამოსავალ ვითარებას იცავს (**ცხვარი, ჯვარი, ძვალი, კვალი, თვალი...**), თუმცა ცალკეული შემთხვევები ამგვარი გადასვლისა ხეცურულშიც დასტურ-

¹ ეს საკითხები აისახა არნ. ჩიქობავას გამოკვლევებში: ვინის რეფლექსები ფერეიდნულში, „ჩვენი მეცნიერება“, ტფ., 1923, № 2—3; მთიულურის თავისებურებანი, — ენიჭეის მოამბე, ტ. 2, ნაკ. I, ტფ., 1937 (გაანალიზებული მასალა 1923 წელს არის შეკრებილი და მოსაზრებებიც, ბუნებრივია, პირველი წერილის თანადროულად ყალიბდებოდა); გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად (უშუალო დაკვირვებანი). კრ. „არილი“, ტფ., 1925.

² მიუთითებთ ზოგიერთ ძირითად ნაშრომს: გ. როგაეა, ვ ბგერის მეტათეზისა საკითხისათვის ქართულში, — ქუთაისის პედ. ინსტ. შრ., XVII, 1958; ფ. ერთელიშვილი, უმარცვლო უ ძველ ქართულში, თსუ შრ., 93, 1960; ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბ., 1964; თ. გამყრელიძე, გ. მაქავეარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965; ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე, /ვა/, /უა/, /ვე/, /უე/ და /ო/ სეგმენტთა ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში, მრავალთავი, III, თბ., 1973.

დება: გამაართმს, ვსომთ, გიგონ (= გიგვანან), ყოილიანა (ტოპონიმია), მიხოლ, წაიყონს, ქოჩადალა (ქვა + ჩადალ-)³, ქოჯილა (← ქვა-ჯილ-ა)...⁴

ხევისურულის მასალას, ვინაიდან პროცესი არათანმიმდევრულია, დიფერენცირებული მიდგომა სჭირდება. კერძოდ, მოყვანილი მაგალითებიდან პირველ ორში გასათვალისწინებელია ლაბიალური მ-ს მეზობლობაც (შდრ.: ვსომთ, მაგრამ შასვას...); ყოილიანა ტოპონიმია (ჩვეულებრივია ყვავის, ყვა/ვ/ილი), აქაც გასათვალისწინებელია მომდევნო ვ-ს მეზობლობა; დანარჩენ სამ მაგალითში ისტორიული ვ-ს პოზიციაა; პირველ შემთხვევაში (მიხოლ) გასათვალისწინებელია ისიც, რომ პარადიგმის დანარჩენ ორ წევრში (მიოლ, მიოს) ხევისურული-სათვის ბუნებრივი გადასვლა ხდება.

მოხეურსა და ხევისურულში ამგვარი ფონეტიკური პროცესების განსხვავებულობას კარგად წარმოაჩენს წუალ- (განწვალვა) და წოლ- (დაწოლა) ფუძეების მიმართება: მოხ. გაწოლა — მაგრამ დაწვალა (წაყვალა); ხევს. გაწვალა — დაწოლა (წაყოლა).

ამგვარი საპირისპირო ვითარება სხვა შემთხვევებშიც ვლინდება. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, ყურადღებას მიიპყრობს ის იშვიათი შემთხვევები, რომლებშიც ხევისურული შებრუნებულ პროცესს (ო → ჟა) წარმოგვიდგენს იმისას, რაც მოხეურისათვის არის ნიშანდობლივი (ჟა → ო): ყვარანი (შდრ. ბერძ. *χέραν*), დვალი (დოლი), ყვაჩი (თურქ. *kıdç*), გვაბი⁵... შდრ. მთიულ. კალვაში (ქართ. დიალ., 56, 2)... ამგვარი მოვლენა, ასევე სპორადულად, ისტორიულ მასალაშიც დასტურდება: ღიაკვანი (ბერძ. *ἐξέκχυνον*), ხვანჯარი (სომხ. *խոնար*), ხვანტჯარი (თურქ. *hondgār*), ამილახვარი (სპარს. *āmīrāxōr*). ხვადაბუნი (სპარს. *xodabūn*), ხვარბალი...⁶

საზოგადოდ, ეს ორმხრივი ფონეტიკური პროცესი ვლინდება ქართული ენის მთელ ისტორიულ კრილსა და მის დიალექტებში. ხევისურულისა და მოხეურის ვითარება იმით არის საინტერესო, რომ ამ მეზობელ დიალექტებში ურთიერთსაპირისპირო ვითარება სინქრონულად არის წარმოდგენილი.

ამ მოვლენებთან მიმართებით ჩვენს ყურადღებას მიიქცევს ის ენობრივი ფაქტები, რომლებშიც არა ბილაბიალური ჟ, არამედ ლაბიოდენტალური ვ + ა იძლევა ო-ს და — პირიქით.

რამდენად არის ეს პროცესი შესაძლებელი?

ჟა → ო პროცესის ახსნისათვის არსებითად სამგვარი დაშვება არსებობს:

³ შდრ. ქვაჩადალა — მდინარე ახმეტის რაიონში, ალაზნის მარჯვენა შენაკადი.

⁴ ასევე არასისტემურია (ფაქტობრივ, ერთი მაგალითით წარმოსდგება) ხევისურულში ლაბიალური ბგერის დისტანციური გავლენა ხმოვანზე (კლოვ ← კულავ) მაშინ, როდესაც მოხეურში ამგვარი პროცესი ჩვეულებრივია და საკომპენსაციო ხასიათს, გარკვეულ მორფოლოგიურ დატვირთვას იძენს: წოგივიდა (← წაგვივიდა), დოგიჯდა (← დაგვიჯდა), დოგლია (← დაგვლია), შოგრცხვა (← შაგვრცხვა), ჩოგივარდა (← ჩაგვივარდა), გოგიჯავრდა (← გაგვიჯავრდა), განოსკა (← განასკვა), გამძროლი (← გამძვრალი), დამტროლი და მისთ... (შდრ.: ფერეიდნულის ანალოგიური მოვლენა: მ. მაქავარიანი, ფერეიდნულის ზოგი თავისებურება, იკე, ტ. 23, 1985, გვ. 155).

⁵ გვაბი ჩაქეცილი, ჩალრმავებული ადგილია და ეუქავშირებთ გობ- ფუძეს, სტრუქტურის მიხედვით შეიძლება პირველადი გვაბ- იყოს.

⁶ იე. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 304—305.

1. ეს არის შერწყმა⁷. 2. ეს არის ასიმილაცია⁸. 3. საქმე გვაქვს საკომპენსაციო ლაბიალიზაციასთან⁹.

მოხმობილი თვალსაზრისებიდან ჩვენთვის არსებითი ის არის, რომ არცერთი ეს დაშვება არ გამოირიცხავს ჭ ფონემის ლაბიალური ელემენტის მონაწილეობას აღსაწერ პროცესში. სწორედ ეს ლაბიალური ელემენტი თამაშობს გადამწყვეტ როლს, პროცესი ლაბიალური ელემენტის აქტივიზაციით წარმოიჩნდება.

ისტორიულად ყველა ლაბიალური ნიშნის შემცველ ბგერას (ხმოვანსაც და თანხმოვანსაც) ახასიათებს ამ ნიშნით გამოხატული გავლენა მეზობელ (ძირითადად, მომდევნო) ხმოვნებზე. ამგვარ ვითარებაში სრულიად მოსალოდნელია ლაბიოდენტალურმა ვინმაც გამოავლინოს ანალოგიური პოტენცია. ასეთ გამოვლენას იშვიათად ადასტურებენ შუა საუკუნეების ისტორიული დოკუმენტების ენაში, ზოგ დიალექტში¹⁰.

ვინაიდან თანხმოვნის მომდევნო პოზიცია ვინისათვის არსებითად მორფო-ფონოლოგიური პოზიციაა და აქ იგი ვერც ფონოლოგიურ სახეს ინარჩუნებს, ყურადღებას მივაქცევთ ვინის ბუნებრივ პოზიციას და მის ქცევას პაუზისა და ხმოვნის მომდევნოდ. კერძოდ, ხევსურული და მოხეური დიალექტები ვა → ო და ო → ვა პროცესის თვალსაზრისითაც ურთიერთსაპირისპირო და ზემოთ აღწერილი მოვლენის უკუსიმეტრიულ სურათს წარმოაჩენენ.

ო → ვა: მოხეურისათვის დამახასიათებელი ო ხმოვნის დაშლა ვა კომპლექსად ხორციელდება პაუზისა და ხმოვნის შემდგომ პოზიციაში:

ვვა: ივალას, სივანი, ყალივანი, ივარლა, გივარგი, ივასება, ნივარი, ალივანი...

□ ვა: ვარსული, ვასი, ვანისე, ვასეფა (← იოსება, შდრ. ოსეფა, ოსეფა-შვილი)...¹¹.

ვა → ო: ანალოგიურ პოზიციაში საპირისპირო პროცესს წარმოაჩენს ხევსურული დიალექტი, აქ ვა → ო:

ვვა: საორცხალი, საოთი, გავსაოთდი, გაონახევრებ (ჯარსაო), (თავ ხიზანს ვერ) დაონებე, დაკლებიოს, მოოს (← მაოს ← მაეას), თაოდ, თაოდი, თაოდობდა, შაორდენი, ლაოში, მაოდ, წაოს, ვდგვიორ, გამოორდნილი, აოდ, საოდ-ყოფო (სურათზე წარწერიდან), თავმასაკლაოდ, სანამეტნაოდ, უკაცრაოდ, თაო-ზა, კრაოტი (ბერძ. κρᾶπτῖον), იონეური (საკ. სახ.), ჯაოხა, ჯაოხანი (საკ. სახ.)...

შდრ. ისტორიული: შაღაოთი, შანაოზ (შაჰნაეაზ), ჯაოხოხ, ჯაოხიშვილი¹², ფარნაოზ... ჯავახ. ჩინჩავატი — ქიზიყ. ჩინჩაოტი და მისთ.

⁷ ზ. სარჯველაძე, ქართული ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984, გვ. 353.

⁸ ივ. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 303; თ. უთურობაძე, ქართული ენის მთის კილოთა ფონემატური სტრუქტურა სალიტერატურო ქართულთან მიმართებით, თბ., 1968, გვ. 167.

⁹ მ. მაჭავარიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 162. აქვე უნდა ითქვას, რომ პირველი ორაზრი არსებითად ჩანს ა. შანიძის ნაშრომში „ქართული კილოები მთაში“. გ. დეეტერსი ამ პროცესებს უწოდებდა დიფთონგიზაციასა და მონოფთონგიზაციას.

¹⁰ ივ. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 300—304.

¹¹ შდრ.: ხევს. ივარდანე (← იორდანე, სადიდებლის ტექსტში), ვარძირა (← ორძირა, ჭურჭელი), ალბათ მცენარის ხევს. სახელიც ვერყუნწა (← ორყუნწა → ვარყუნწა, რეინტერპრეტაციით: ვერყუნწა). შდრ. ისტორიული: და თუ იზოვებოდეს ან თოვლი და ან ყინული, ასრე ახლოს დაიდვან, რომე მისი სიფა და სიცივე თავსა და პირზედა მისდიოდეს (იალიგარ დაუდი, 237, 15). შესაძლებელია, ამ შემთხვევაში ამოსავალი სიფა იყოს, შდრ. თეო ← თევა-ქეთეფან (← ქეთეონ) — ზ. კუშბურიძე, რა გქვია შენ?...

¹² ივ. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 300.

□ ვა: ორ (ვარ, კაცი-ორ), ოქშამი, ოფი, ოშკაცი, ოზნა, ორია (ვარია, „სადღევბელი“)¹³, საკუთარი სახელები: ოხტანგი¹⁴, ოთანდილი (დასტურდება შუალედური ფორმაც — ვათანდილი), ოხილო (ვასილო)...

შდრ. ისტ.: ვალტ → ოტ, ოხჰან *[xaxan]*...

ეს პროცესები საინტერესოა იმით, რომ, როგორც ითქვა, დიალექტები ჯვარედინ ურთიერთსაპირისპირო სურათს წარმოგვიდგენენ: ვა → ო პროცესი ვლინდება იქ, სადაც ჭა კომპლექსს სიმყარე ახასიათებს და, პირიქით, ო → ვა გადასვლას გამოავლენს ის დიალექტი, რომელშიც ჭა → ო სისტემური ხასიათისაა. გარკვეული ტენდენციების გათვალისწინებით შესაძლებელია მოხეურისა და ხევსურულისათვის ამგვარი სქემატ ავაგოთ (ორმხრივი გამონაკლისების მორიცხვით):

	ჭა→ო	ვა→ო	ო→ვა	ო→ჭა
ხევს.	—	+	—	+
მოხ.	+	—	+	

ვფიქრობთ, ამ პროცესების სიჭრელე დიალექტებში (ისტორიულადაც) ვა გადასვლების არარეგულარობა გარკვეული ასახვაა /ვ/, /ჭ/ ფონემათა ისტორიული დისტრიბუციული სურათის მოშლისა; ეს არის რეციდივები ძველიდან ახალ ფონოლოგიურ მიმართებებზე გადასვლისა. ზოგ დიალექტში /ჭ/-ს ისტორიული „უფლებები“ მეტ ძალას ავლენს და /ვ/-ს ამ „აქტიურობით“ უპირისპირდება, სხვაგან, სადაც /ჭ/ ფონემას პოზიციები დაუთმია, ისტორიული /ვ/ ბგერის ლაბიალური ელემენტი იწყებს თავისი „უფლებების“ გამოხატვას. ამგვარი გარდამავალი ვითარების ამსახველი პროცესები ყოველთვის რთულია და ძნელად ექვემდებარება თანმიმდევრულ სისტემურ აღწერას. წარმოდგენილი სურათი რაღაც კანონზომიერებას მაინც ამჟღავნებს და სხვადასხვა დონის მონაცემებთან კომპლექსური, ამავე დროს, დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობას მიანიშნებს.

А. И. АРАБУЛИ

К ВОПРОСУ О КОМБИНАТОРИКЕ ФОНЕМ [w] И [v] В ДИАЛЕКТАХ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

В специальной литературе подробно описан процесс слияния би-лабиального w+гласного а в одно гласное о (схwаgи→схoгi).

В статье проанализированы различные исходы одних и тех же

¹³ შეიძლება აქაც ორ- ფუძე იყოს ამოსავალი, შდრ. ორძირა / ვარძირა.

¹⁴ შდრ.: სვან. ვოხთა (← ვახტანგი).

фонетических комбинаций (w + a, v + a) в основном в хевсурском и мо-
хевском диалектах грузинского языка, в частности:

	wa→0	va→0	0→va	0→wa
хевс.	—	+	—	+
	+	—	+	—

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეც-
ნიერების ინსტიტუტის ქართული ლექსიკოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

არაბულ ფარინგალურ ტანხმოვანთა ადაპტაცია ქართულ ენაში

არაბული წარმოშობის ლექსიკა ქართულ ენაში საკუთრივ არაბულ სიტყვებთან ფონეტიკურ მიმართებათა თვალსაზრისით არაერთგვაროვან სურათს გვაძლევს. ეს ბუნებრივიცაა, რამდენადაც საქმე ეხება სიტყვათა სესხებას ისეთ ორ სრულიად განსხვავებული ფონოლოგიური სისტემის მქონე ენას შორის, როგორც არაბული და ქართული ენებია. საერთოდ, თუ უცხო სიტყვა შეიცავს შემთვისებელი ენის ფონეტიკურ სისტემაში არსებულ ბგერას ან ბგერათა კომპლექსს, მათი ჩანაცვლების მექანიზმის ანალიზისას უმეტესწილად მსჯელობენ ამ ენის მატარებელთა სმენითსა და არტიკულაციურ ჩვევებზე, მაგრამ განსხვავებული ფონოლოგიური სისტემების ენათა ინტერფერენციისას წინა პლანზე გადმოინაცვლებს ენის მატარებელთა ფსიქოლოგიური ფაქტორი. ნ. ტრუბეცკოი, როდესაც ეხება შესაძლო შეცდომებს უცხო ენის ფონემათა ინტერპრეტაციისას, აღნიშნავს უცხო ფონემის დისტინქციურ ნიშანთა ამოცნობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ყოველივე წარმოთქმულის ანალიზი ამა თუ იმ ენაში მოიცავს მისი ფონოლოგიური სისტემის შესაბამის რამდენიმე ეტაპობრივ გაცხრილვას. პირველ ეტაპზე ხდება ფონემათა დისტინქციური ნიშნების გამოყოფა, შემდეგ წარმოებს აპელატიურ ნიშანთა ამოცნობა და ბოლო ეტაპზე მისი ექსპრესიული მხარის ანალიზი¹. უცხოელის მეტყველების ბგერითი ანალიზის სირთულე სწორედ სხვადასხვა ენის ფონოლოგიურ სისტემებზე დამყარებულ ბგერათა მარაგის ამგვარ „გაცხრილვათა“ განსხვავებული პრინციპებიდან გამომდინარეობს — ის აკუსტიკური ნიშანი, რასაც ერთ ენაში დისტინქციური ფუნქცია აკისრია და რის მიმართაც განსაკუთრებით მგრძნობიარეა ენის მატარებელთა სმენა, სხვა ენაზე მოლაპარაკემ შესაძლოა ყოველგვარ ფონოლოგიურ მნიშვნელობას მოკლებულ წმინდა ფონეტიკურ მოვლენად მიიჩნიოს. უ. ვაინრაიხიც ენათა ინტერფერენციის ამ ასპექტის აღწერისას ხსენებული პრინციპიდან ამოდის და ემყარება ჭარბ და დისტინქციურ ნიშანთა სისტემას — რომელიმე ენის მატარებლის მიერ უცხო ბგერათა ანალიზის პროცესში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ამა თუ იმ დისტინქციური ნიშნის არასაკმაო გარჩევას ან ჭარბი ნიშნის დისტინქციურთან გაიგივებას². ამრიგად, ენაში განსხვავებული ფონოლოგიური სისტემის სხვა ენიდან ლექსიკურ ერთეულთა შეღწევისას ამ ენის მატარებელთა მხრივ ნასესხებ სიტყვათა ბგერითი შემადგენლობის არაადეკვატური ინტერპრეტაცია რეგულარულ და კანონზომიერ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ. ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ რამდენად სისტემატიზებულ ზასიათს ატარებს ბგერითი მიმართებანი ორი ენის ინტერფერენციის პროცესში. თუ ჩვენ ამოვალთ კონტაქტში მყოფ ენათა გარკვეული სინქრონული მდგომარეობისთვის დამახასიათებელი ფონოლოგიური სისტემების ურთიერთმიმართებიდან, შესაძლებელი იქნება ერთი ენიდან მეორეში სიტყვის შესვლისას მის ფონეტიკურ ცვლილებათა არაორაზროვანი პროგნოზირება. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის ფონეტიკური პროცესები, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს შემთვისებელ ენაში, და ნასესხები სიტყვის

¹ Н. С. Трубецкой, Основы фонологии. М., 1960, с. 59.

² Э. Хауген, Языковой контакт, Новое в лингвистике, VI, М., 1972, с. 73.

შემდგომი ადაპტაცია, რომლის დროსაც არაა გამორიცხული სიტყვის ბგერით გაფორმებაზე ისეთ ფაქტორთა გავლენა, როგორიცაა ენის მორფოლოგიური სტრუქტურა, ხალხური ეტიმოლოგია და სხვ. მიუხედავად ყოველივე ამისა, უმეტეს შემთხვევაში ორ ურთიერთმოქმედ ენას შორის ბგერითი მიმართებები კანონზომიერი ხასიათისაა და სწორედ ამ გარემოების ბუნებრივი შედეგია ისიც, რომ ლინგვისტიკაში შეიქმნა ბგერათა ურთიერთმიმართებების აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინოლოგია. ჰაუგენი ამგვარ ურთიერთობას უწოდებს დიაფონურს, ხოლო შეთვისებულ უცხოენობრივ ლექსიკურ ერთეულში შესაბამისი ენის ფონემათა სანაცვლო ფონემებს — დიაფონებს ან ორენოვან ალოფონებს³.

ქართულში არაბულ ფონემათა გადმოსვლის ანალიზისას განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ამ ორი ენის ბგერათა დისტინქციური ნიშნების თავისებურება. იაკობსონი არაბულ ფონემათა კლასიფიკაციისას ეყრდნობა ცხრა აკუსტიკურ დისტინქციურ ნიშანს, რომელთა საშუალებითაც შეიძლება აღიწეროს ნებისმიერი არაბული თანხმოვანი⁴. თუ იმავე ბინარულ პრინციპს გამოვიყენებთ ქართული ენის ფონემათა აღწერისას, აღმოჩნდება, რომ ერთი ნიშნაა, ძლეთ-ფლენ (ფარინგალიზებული — არაფარინგალიზებული) გარდა, ქართული ენის ფონემებისათვის ყველა ეს აკუსტიკური ნიშანი დისტინქციურია. ამ ორი ენის ფონოლოგიური სისტემის ელემენტთა მსგავსება სრულიადაც არ ნიშნავს არაბული სიტყვის ქართულში შემოსვლისას მის ბგერათა ცალსახა მიმართებებს ქართულ ფონემებთან — ამ ენათა ფონოლოგიურ სისტემებს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ცალკეულ დისტინქციურ ნიშანთა მოქმედების სხვადასხვა ინტენსივობა, მათ აკუსტიკურ მახასიათებელთა რაოდენობრივი მაჩვენებლები, განსხვავებული როლი, რომელსაც ერთი და იგივე ნიშანი ასრულებს ამ ორი ენის ფონოლოგიურ სისტემებში. გარდა ამისა, სიტყვათა სესხების დროს უცხო ენის ფონემათა ინტერპრეტაციისას, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც ზედმეტია ორი ენის ფონოლოგიური სისტემების იდეალურ სქემათა შესაბამისობის დაცვაზე. ქართულ ენაში ნიშნით ფორტის — ლენის ერთმანეთს უპირისპირდებიან მკვეთრი ხშულები და ფშვინიერები, ხოლო არაბულ ენაში ამ ნიშნის ყრუ თანხმოვნები უპირისპირდებიან მელერებს (მელერობა — საყრუე არაბული ენის ფონოლოგიურ სისტემაში ფორტის — ლენის ნიშნის თანმხლებ ნიშნად განიხილება); არაბულში ნიშნით სთრაიდენტ — მელოუ ერთმანეთს უპირისპირდებიან ისეთი თანხმოვნები, როგორც *s — t* ან *z — d* მაშინ, როცა ქართულში ამ ნიშნით აფრიკატები გამოირჩევიან ჰომორგანული ხშულებისგან. არაბული და ქართული ენების ფონოლოგიურ სისტემათა თავისებურებებიდან გამომდინარე, არაბულ-ქართული ბგერითი მიმართებების ანალიზისას ამ ენების ფონემათა დისტინქციურ ნიშანთა სისტემებთან ერთად გასათვალისწინებელია არაბულ და ქართულ ბგერათა ფიზიკური მახასიათებლები. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ განვიხილავთ არაბული წარმოშობის სიტყვებში არაბული ფარინგალიზებული თანხმოვნების სანაცვლო ქართულ ბგერებს — რამდენადაც ქართულში ფარინგალიზაცია არ ასრულებს დისტინქციურ ფუნქციას. თუ ამოვალთ ორი ენის იდეალურ ფონოლოგიურ სქემათა ურთიერთმიმართების პრინციპიდან, ეს ნიშანი საერთოდ არ უნდა ასახულიყო შესაბამის

³ იქვე, გვ. 73—74.

⁴ R. J a k o b s o n, Mufaxxama, The „Emphatic“ phonemes in Arabic, Studies Presented to Joshua Whatmough, N.—Y., 1960, გვ. 106.

ქართულ ბგერებში, მაგრამ ამ სქემათა კონკრეტულ ფონეტიკურ ხორცშესხმას მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს ამ კანონზომიერებაში.

ფარინგალიზებული დენტალები. ჯ. თუ შევადარებთ არაბულ ჯ-ს და ქართულ ს-ს, დავინახავთ, რომ თავ-თავიანთ სისტემებში ფონოლოგიურად ღირებული რაიმე ნიშნით ისინი ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან. ქართულ ს-ს, მსგავსად არაბული ჯ-სა, თუ წარმოვთქვამთ ფარინგალიზაციით ან ველარიზაციით, ამით მისი ფონემურობა არ შეიცვლება. ამდენად, არაბული წარმოშობის ქართულ სიტყვებში არაბული ჯ უმეტესწილად შემოსულია, როგორც ს — მასლაათი (მასლაპათ), სადაფი (სადაფ), სურათი (სურათ) და სხვ. სიტყვაში ნაყიში (ნაყის) მოსალოდნელი ს-ს ნაცვლად შ-ს მიღება, როგორც ჩანს, დაკავშირებულია ფარინგალური ყ-ს გავლენასთან (ს-ს არტიკულაციის ადვილმა გადაიწია უკან და მოგვცა შ).

არაბული ჯ-ს სანაცვლოდ ქართულ სიტყვებში ზ-ს გაჩენას აშკარად სპონტანური ხასიათი აქვს და ამასთან ერთად ვხვდებით პარალელურ ფორმებსაც ზ/ს მონაცვლეობით — მუზამფარი (მუსაბბარი), ყაფაზი / ყაფასი (ყაფას) და სხვ.

ძ. აკუსტიკურად არაბულ ძ-სთან ყველაზე ახლოს დგანან ქართული დ და ზ. ამათგან დ-ს ძ-სგან ძირითადად განასხვავებს ის, რომ ძ არის ფარინგალიზებული (ველარიზებული). ამდენად ძ-დ მიმართება ყველაზე ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ. რაც შეეხება ზ-ს, იგი, ამ ნიშნის გარდა, გამოირჩევა ძ-სგან, როგორც „უწყვეტი“ „წყვეტილისაგან“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართულის სხვა ფონემებთან შედარებით დ-ს შემდეგ ის ყველაზე ახლოსაა ძ-სთან და ძ-ზ მიმართებაც საკმაოდ ხშირია არაბული წარმოშობის სიტყვებში — მიზრაფი (მიდრაბ), ფარეზი (ფარაჟა). ამავე დროს არაბული ძ-ს ქართულში გადმოსვლის თავისებურებათა განხილვისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ძ ძველად და ახლაც ზოგ დიალექტში თანამედროვე არაბული წარმოთქმისაგან საგრძნობლად განსხვავდება. მაგალითად, სამხრეთ-არაბულ დიალექტებში შენარჩუნებულია მისი ძველი წარმოთქმა და უახლოვდება ყრუ მთრთოლ ქ-ს, ბედუინები და ფელახები მას არ განარჩევენ 7-სგან, ხოლო სპარსელების, თურქებისა და ინდოელებისთვის ის არის 2⁵. ამდენად არაბულ-ქართული ძ — ზ მიმართება ძირითადად გულისხმობს მისი შემცველი არაბული სიტყვის სპარსულის გზით შემოსვლას.

რაც შეეხება სიტყვაში „მარწუხი“ (მირდახ) ძ-ს წ-დ გადმოსვლას, აქ მიზეზი ალბათ ღ-ს მეზობლობაში უნდა ვეძიოთ, რომელმაც დააყრუა ძ, ხოლო მის ყრუ წყვილესა და ქართულ წ-ს შორის ამ ორივე ენობრივი სისტემისათვის ფონოლოგიური მნიშვნელობის მქონე რაიმე ნიშნით განსხვავება არ არსებობს.

ტ. არაბულ ტ-სა და ქართულ თ-ს ან ტ-ს შორის ფონეტიკური განსხვავება ძირითადად მდგომარეობს ტ-ს ფარინგალიზებულობაში და იმ ქართულ სიტყვებში, რომლებიც მომდინარეობენ არაბული ტ-ს შემცველი სიტყვებისაგან, მის სანაცვლოდ შეიძლება ორივე ამ თანხმოვანს შევხვდეთ. გასათვალისწინებელია ოღონდ ის გარემოებაც, რომ ქართული ტ უპირისპირდება თ-ს, როგორც მკვეთრი (ყელსშული) — ფშვინიერს და ამდენად ტ-ს სანაცვლოდ, რომელიც ფარინგის დაძაბვით იწარმოება, უფრო მოსალოდნელი ქართული ტ იქნება. მაგრამ არაბული წარმოშობის სიტყვებში ქართული ტ-ს პარალელურად თ-ც ვხვდება. იმ სიტყვათა უმრავლესობა, სადაც გვაქვს მიმართება ტ — ტ, ქარ-

⁵ Н. В. Юшманов, Грамматика литературного арабского языка, Л., 1928, с. 9—10.

თულ ძეგლებში ფიქსირებულია უფრო ძველი დროიდან (დაახლოებით X ს.^{II} საუკუნიდან და უფრო ადრეც) — ბატი (ბატტ), ტურფა (ტურჭა), ლალატი (ლალატ), ხატი (ხატტ), ხოტბა (ხუტბა) და სხვ., ხოლო იმ სიტყვების შემოსვლა, სადაც გვაქვს — თ მიმართება, შედარებით გვიან ხანას განეკუთვნება. მაგ., ფუთა (ჭუტა), თაბაშირი (ტაბაშირ), თილისმა (ტილასმ) და სხვ. როგორც ჩანს, ის სიტყვები, სადაც დაცულია ფონეტიკურად უფრო გამართლებული — ტ შესაბამისობა, შემოსულია ქართულში უშუალოდ არაბულიდან, ხოლო ის სიტყვები, სადაც შედარებით ნაკლებ მოსალოდნელი — თ მიმართება გვხვდება, შემოსულია რომელიმე სხვა ენის (ამ შემთხვევაში სპარსულის) მეშვეობით⁶.

ჟ. არაბული ჟ ქართულში შემოდის ზ-დ — ნაზირი (ნაზირ), ზარიფი (ზარიფ), ოზმა ('უზმა) და სხვ.

ფარინგალიზებული ვეღარები. X. X-ს შემცველი არაბული სიტყვის ქართულში შემოსვლისას შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში მას ქართული ვეღარული ხ წარმოადგენს — დახლი (დახლ), ნუსხა (ნუსხა), ხაზინა (ხაზინა) და სხვ. ქართულში გვაქვს მხოლოდ რამდენიმე სიტყვა, სადაც ის გადმოსულია ღ-ს საშუალებით. ძნელია იმის თქმა, თუ რამ გამოიწვია იმ რამდენიმე სიტყვაში არაბული X-ს შემოსვლა ხ-ს მეღერი წყვილეულით — ღ-თი. ოღონდ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ასეთ შემთხვევებში X ყოველთვის მეზობლობს გრძელ ხმოვანთან — თარიღი (თა'რიხ), მალარიჩი (მახზარიჩ), შეღავათი (სახაჟათ).

ბ. არაბული ფარინგალიზებული ვეღარული მეღერი ნაპრალოვანი გ ქართულში თითქმის ყოველთვის გადმოდის ვეღარულ ღ-დ — ბურღი (ბურღი), ლადარი (ლადდარი) და სხვ. იშვიათად მას ენაცვლება ფარინგალური ყრუ ყ — ასეთი სულ რამდენიმე მაგალითია ქართულში — ყამირი (ღამირ), ყაირათი (ღაჟრათ); პარალელური ფორმებით შემოვიდა არაბული ღარიბ — ღარიბი / ყარიბი.

გ. არაბული წარმოშობის ქართულ სიტყვებში, იქ. სადაც შესაბამის არაბულ სიტყვაში არის გ, ვხვდებით კ-ს, ქ-ს, ხ-ს, ღ-ს. გვაქვს ასევე პარალელური ფორმებიც კ / ყ. და ყ / ღ მონაცვლეობით. ასეთი არაერთგვაროვანი მიმართება, როგორც ჩანს, უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია იმით, რომ არაბული გ-ს ფონეტიკური ადეკვატი ქართულ ფონემათა შორის არ არის. მასთან ყველაზე ახლოს ქართულ ფონემათაგან დგანან კ და ყ. რამდენადაც გ წარმოადგენს უველარულ ფარინგალიზებულ ხშულს, მას ერთგვარად უახლოვდება ფარინგალური ხშული ყ ნიშნით ძლეთ (არაბულ გ-ში ეს ნიშანი განპირობებულია მისი ფარინგალიზებულობით, ქართულში კი ყ-ს არტიკულაციის ადგილით — ფარინგსით), მაგრამ არ ემთხვევა არტიკულაციის ადგილით — გ არის უველარული, ყ — ფარინგალური.

ქართული კ განსხვავდება არაბული გ-სგან როგორც იმით, რომ ის არ არის ფარინგალიზებული, შესაბამისად არ აქვს ნიშანი ძლეთ, ასევე არტიკულაციის ადგილით, როგორც ვეღარული უველარულისგან. მაგრამ აქ ალბათ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არაბული გ-ს ურთიერთმიმართებაში k-სთან ფონოლოგიური ღირებულება აქვს მხოლოდ ერთ ნიშანს — ფარინგალიზებულობა-არაფარინგალიზებულობას (ძლეთ — ფლეინ), რამდენადაც k-ს წარმოთქმის ადგილი არაბულში (და მის დიალექტებშიც) არ არის მკაცრად

⁶ მ. ანდრონიკაშვილი, არაბული სიტყვების სპარსული გზით შემოსვლის შესახებ ქართულში, თსუ შრომები, ტ. 105, 1965, გვ. 327.

განსაზღვრული⁷. შესაბამისად q -ს უვეულარობა, თუ ის მოკლებულია ფონოლოგიურ მნიშვნელობას, არ იქნება იმდენად გამოკვეთილი, რომ იქცეს დაბრკოლებად უვეულარული q -ს ველარულ k -დ გადმოსასვლელად. ამრიგად, ძირითადი ნიშანი, რითაც არაბული შეიძლება ქართულ k -ს დაპირისპირებოდა აკუსტიკურად, იქნება ძლეთ — ფლეინ, ოღონდ თუ გავიხსენებთ იმას, რომ ქართულ k -ს აქვს თავისი არამკვეთრი (ფშვინიერი) კორელატი $ქ$ და არის ფორტის (ყელხშული), შეიძლება მიახლოებითი პარალელის გავლება ამგვარ (ყელხშულ) ბგერათა და ფარინგალიზებულ ბგერებს შორის და აკუსტიკური დაპირისპირება არაბულ ფარინგალიზებულ (ძლეთ) q -სა და ქართულ არაფარინგალიზებულ, მაგრამ „ყელხშულ“ k -ს შორის არ იქნება იმდენად აშკარა (მით უმეტეს, რომ ქართულ ფონემებს, არაბულისგან განსხვავებით, თუ არ ჩავთვლით ერთადერთ შესაძლებელ დაპირისპირებას ამ ნიშნით k -სა და y -ს შორის, ძლეთ — ფლეინ ნიშანი არ ახასიათებთ), რომ არაბულ სიტყვათა შემოსვლისას მიმართება q — y უფრო მისაღებად ჩავთვალოთ, ვიდრე q — პირიქით, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უფრო გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ q — k შესაბამისობა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა მ. ანდრონიკაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ის სიტყვები, სადაც არაბული q გადმოსულია ქართულ y -დ, უნდა მივიჩნიოთ არა უშუალოდ არაბულიდან, არამედ სპარსულის გზით შემოსულად იმ სიტყვათა საპირისპიროდ, სადაც დაცულია q — k მიმართება⁸.

შედარებით იშვიათად ვხვდებით მიმართებას q — $ლ$, მაგ., ილბალი (‘იკბალ), ნალდი (ნაქდ), ნილაბი (ნიკბ), ნულლი (ნუკლ). ამ შემთხვევებში $q \rightarrow ლ$ შესაძლოა განპირობებული იყოს მეღერო თანხმოვნების მეზობლობით, რაც გაამჟღავნებდა q -ს და შესაბამისად ქართულში მოგვცემდა პირის ღრუს უკანა ნაწილში წარმოებულ ერთადერთ მეღერო $ლ$ -ს, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არაბულის ზოგიერთ დიალექტში, ასევე ბედუინებს შორის, q წარმოადგენდა მეღერო ბგერას. სიტყვებში „თაბუხი“ (ტაბუჟ), „თაბახი“ (ტაბაკ) და შესაძლოა სიტყვაშიც „ახმახი“ (‘აჰმაკ) ბოლოკიდური $ხ$ სწორედ ამგვარად მიღებული $ლ$ -ს დაყრუების შედეგი იყოს, ხოლო სიტყვებში „ეშხი“ (‘იშკ), „მისხალი“ (მისკალ) $q \rightarrow ხ$ შეიძლება განპირობებულია არტიკულაციურად წინამავალი ნაპრალოვანი თანხმოვნის გავლენით და ქართულშიც q -ს სანაცვლოდ უკანაენისმიერი ყრუ ნაპრალოვანი $ხ$ მივიღეთ.

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, არაბულ ბგერათა ფარინგალიზებულობა ქართულში ან საერთოდ არავითარ ასახვას არ პოულობს (რაც სავსებით ბუნებრივია ქართულ ფონოლოგიურ სისტემაში ამ ნიშნის უქონლობის გამო), ან ხდება არაბული ნიშნის ძლეთ — ფლეინ (ფარინგალიზებული — არაფარინგალიზებული) მასთან აკუსტიკურად რამდენადმე მიახლოებული და ქართული ენის ფონოლოგიური სისტემისთვის დისტინქციური ნიშნით — ფორტის — ლენის ჩანაცვლება (როგორც ესაა არაბული ხშული ყრუ ფარინგალიზებული ბგერების სანაცვლოდ ქართულში ყრუ მკვეთრ ბგერათა გაჩენისას $ქ \rightarrow ტ$, $q \rightarrow კ$), ხოლო ცალკეულ შემთხვევებში არაბულმა ფარინგალიზებულმა თანხმოვანმა ქართულში შემოსვლისას დაკარგა ყველა ნიშანი, ძლეთ ნიშნის გარდა, და ჩაინაცვლა ქართული ფარინგალური თანხმოვანი (თანხმლები ნიშნით ძლეთ) — $გ \rightarrow ყ$.

⁷ R. Jakobson, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

⁸ მ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 327.

АДАПТАЦИЯ АРАБСКИХ ФАРИНГАЛИЗОВАННЫХ СОГЛАСНЫХ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

При рассмотрении заимствованной арабской лексики в грузинском языке возникает вопрос о принципах соотношения арабских фонем и фонем грузинского языка. Поскольку речь идет о двух языках с различными фонологическими системами, при анализе мы основывались на сопоставлении различительных признаков фонем грузинского и арабского языков и функциональных нагрузок, которые несут эти признаки в фонологических системах двух языков (мы пользовались классификацией арабских фонем Р. Якобсона). Особый интерес для нас представляла передача в грузинском языке арабских фарингализованных согласных, так как фарингализация играет заметную роль в арабской фонологической системе, а в грузинском языке этот признак лишен фонологической значимости. В большинстве случаев, как и следовало ожидать, фарингализация арабских согласных никак не отражается на фонетике заимствованных в грузинском арабских слов. В значительной части заимствований фарингализованные арабские согласные перешли в грузинский язык как абрутивные, а в отдельных случаях они утрачивают почти все фонологические признаки, кроме своей фарингализованности и соответственно передаются грузинскими фарингальными согласными.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკისა და აღმოსავლურ ენათა ლინგვისტური ტიპოლოგიის ლაბორატორია

წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

საბუნებისმეტყველო სტატიების კომპოზიციური სტრუქტურა


(ქართული და ინგლისური ენების მასალაზე)

სამეცნიერო სტატიების კომპოზიციური სტრუქტურა წარმოადგენს სამეცნიერო ენის სტილისტიკის ერთ-ერთ ნაკლებად შესწავლილ სფეროს. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია სამეცნიერო სტატიის შედგენის და მასში საინფორმაციო მასალის განლაგების, მისი ელემენტების გაერთიანებისა და ურთიერთშეკავშირების, ე. ი. კომპოზიციის კვლევა.

კვლევის მასალად აღებულ იქნა საბუნებისმეტყველო სტატიები ქართულ და ინგლისურ ენებზე, კერძოდ, სტატიები ჟურნალიდან „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ და ინგლისური, ამერიკული და ავსტრალიური ჟურნალებიდან: „Proceedings of the Royal Society of London (Mathematical and Physical Sciences)“, „Catalysis Reviews“, „Australian Journal of Chemistry“.

საჟურნალო სტატიის შექმნისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ისეთი ექსტრალინგვისტური ფაქტორები, როგორიცაა ავტორის ინტენცია, პრესუპოზიციის არსებობა, სოციალური ორიენტაცია, კომუნიკაციური არხის სპეციფიკა (წერილობითი ფორმა), ბეჭდვითი ორგანოს ტრადიციები და მოთხოვნები, რაღაც სტატიის ენა, როგორც აზრის მატერიალიზაცია, ამ ფაქტორებითაა განპირობებული და მათ ექვემდებარება.

სამეცნიერო სტატიის ზოგად, ლოგიკურ სქემად შემდეგ სტრუქტურას მიიჩნევენ: სათაური, შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. ესენი სტატიის ტიპურ კომპოზიციურ ერთეულებს წარმოადგენენ და მათ განსაზღვრული დანიშნულება აქვთ. ჩვენი აზრით, სამეცნიერო სტატიის კომპოზიციის უნივერსალური მოდელის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ლ. მეშმანის (1) მიერ მოცემული სქემა:



ქართული სამეცნიერო სტატიები არ არის ასეთნაირად დანაწევრებული, მათში ასეთი ნაწილები ფორმალურად არ გამოიყოფა, მაგრამ თვით სტატიების შინაგანი ორგანიზებულობა და მათში სამეცნიერო მასალის განლაგება ემთხვევა ზემოთ მოყვანილ ლოგიკურ სქემას.

არსებული მასალიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ საბუნებისმეტყველო სტატიები ინგლისურ ენაზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა ქვეყნის გამოცემებიდანაა ამოკრეფილი, ასევე ექვემდებარებიან ერთიან ლო-

გიკურ სქემას. სათაურს მოსდევს ანოტაცია (Abstract), ძირითადი ტექსტი დანაწევრებულია შემდეგ ნაწილებად: Introduction, Materials and Methods, Results and Discussion, Conclusions, References (შესავალი, მასალა და მეთოდები, შედეგები და მათი განხილვა, დასკვნა, ლიტერატურა).

სათაური, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ სტატიებში, შეიცავს ახალ ინფორმაციას და აზრობრივად დამოუკიდებელია. მასში მოცემულია პრობლემის შინაარსი, რომელიც გამოიხატება ერთი (ზოგ შემთხვევაში ორი) წინადადებით. სათაურები წარმოადგენენ ორივე შესაძარებელ ენაში თხრობითი ტიპის ნომინატურ წინადადებებს:

„განმუხტული გალვანური ელემენტებიდან ვერცხლისწყლის გამოყოფა“.

„A Ginzburg-Landau equation with non-local correction for superconductors in zero magnetic field“.

„Effectiveness factor in partially wetted catalyst particles: Evaluation and application to the of trickle bed reactor“.

სამეცნიერო სტატიის კომპოზიციის შემდეგი კომპონენტი — ანოტაცია (Abstract) ინგლისურ სტატიებში მოცემულია ტექსტის დასაწყისში, სათაურის შემდეგ. ქართულ სტატიებს ანოტაცია ქართულ ენაზე არა აქვთ. სტატიის ბოლოში ერთვის რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ანოტაცია გამოხატავს ავტორის კონცეპტს და არის სტატიის თემატური ბირთვი. იგი მოკლედ, მაგრამ ზუსტად გადმოსცემს კვლევის შინაარსს, მათ მეთოდებს და ძირითად შედეგებს. მაგ., The GRI radiation damage centre in diamond has been studied by means of optical absorption and uniaxial stress. Two zero phonon at 1.665 and 1.673 ev have been associate with the defect, and an energy level scheme is proposed to explain the thermal behaviour in the lines. The energy level diagram facilitates interpretation of the uniaxial stress data, and it is concluded that the defect possesses tetrahedral symmetry.

ანოტაცია ისევე, როგორც სათაური, ხასიათდება ნომინალური თხრობით, ე. ი. მაქსიმალურად მდიდარია არსებითი სახელებით და შედარებით ღარიბი მეტყველების სხვა ნაწილებით. დამახასიათებელია ისიც, რომ უმეტეს შემთხვევაში ყველა პრედიკატი გამოყენებულია პერფექტულ დროში: Had been developed, has been obtained, has been found, etc.

სტატიის კომპოზიციის მესამე ელემენტია შესავალი. იგი შეიცავს პირველი რიგის ინფორმაციას, ანუ პრობლემის, კვლევის დეფინიციას.

ინგლისურ სტატიებში შესავალი წარმოდგენილია ცალკე სათაურით Introduction. დ. მარდერის (2) აზრით, ინგლისური სამეცნიერო ტექსტის შესავალი ნაწილი (Introductory section) შედგება ოთხი ელემენტისაგან, კერძოდ: პრობლემის დეფინიციის, ფონის (Background), შემზღუდავი მტკიცებისა (Limiting statement) და სამუშაო ღეგმისაგან. ფონის ქვეშ იგულისხმება პრობლემის ისტორია, რომელიც აუცილებელია მის გადასაწყვეტად, აგრეთვე ძირითადი პრინციპები, რომელთაც ეყრდნობა ეს პრობლემა. შემზღუდავი მტკიცება, ალბათ, უნდა გავიგოთ, როგორც ტექსტის ნაწილი, რომელშიც მათითებულია მკვლევრის წინაშე დასმული ამოცანის ზღვარი. ჩვენ მიერ გამოკვლეულ ინგლისურ სტატიებში შესავალი მოიცავს 10—30 სტრიქონს. ენობრივი საშუალებების შერჩევა განპირობებულია იმით, რომ ავტორს სჭირდება საკვლევი პრობლემის ირგვლივ სრული დეფინიციისა და ინფორმაციის მოცემა. ამიტომ შესავალში ვხვდებით ინფორმაციისა და ცოდნის გამომხატველ ზმნებს:

show, study, report, observe, obtain, detect, etc. ხშირი ვიწროსპეციალობითი ტერმინოლოგიის გამოყენება (Bragg reflexion, single-crystal X-ray diffraction, heterocyclic aldehydes) სტატიის შესავალი ნაწილის მაღალ სამეცნიერო ინფორმატულობაზე მიუთითებს. მაგ., INTRODUCTION: „Organo-triflates (trifluoromethanesulfonates) have found increasing use as versatile substrates for organometallic coupling reactor. For example, vinyl triflates will react readily with organostannanes and activated alkenes under the influence of a palladium catalyst. Similarly, aryl triflates have been shown to undergo palladium-mediated coupling with organostannanes, alkenes and alkynes and with carbon monoxide.

We wish to report that a variety of substituted naphthalenes can be conveniently prepared by the palladium-catalysed coupling of naphthyl triflates with organostannanes“.

შესავალი ქართულ საბუნებისმეტყველო სტატიებში ცალკე სათაურით არ გამოიყოფა. შესავლად უნდა მივიჩნიოთ სტატიის პირველი (ან პირველი ორი) აბზაცი. თუ შევადარებთ ინგლისური სტატიის შესავალ ნაწილს და ქართული სტატიის დასაწყისს, დავინახავთ, რომ ორივეში მოცემულია კვლევის მიზანი და საკითხის მოკლე ისტორია. მაგ.:

„ცნობილია, რომ ტკივილი ხასიათდება სენსორული, მოტორული და ემოციურ-აფექტური კომპონენტებით. ამავე დროს გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება ძვრები ვეგეტატიური ნერვული სისტემის მხრივ, რაც თავს იჩენს ჰემოდინამიკური, გულის მუშაობის და სუნთქვის ცვლილებების სახით. აღნიშნული ვეგეტატიური ძვრების გენეზი და მნიშვნელობა დღეისათვის არ არის სრულად შესწავლილი. ისინი გამოხატავენ ორგანიზმის ადაპტური მექანიზმების ამოქმედებას, მაგრამ გარკვეულ პირობებში შეიძლება შეიძინონ საკუთარი პათოგენური მნიშვნელობა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანი იყო შეგვესწავლა ემოციური და ვეგეტატიური მაჩვენებლების დინამიკა სხვადასხვა ძალის მტკივნეული გაღიზიანების დროს“.

თემატური ბირთვი, რომელსაც სათაური და ანოტაცია მოიცავს, თავის ექსპლიკაციასა და დაკონკრეტებას კომპოზიციის გარეგანი ელემენტების ძირითად ნაწილში პოულობს. ინგლისურენოვან სტატიებში ძირითადი ნაწილი (Procedure) ხშირად დანაწევრებულია ნაწილებად: Materials and Methods, Results and Discussion ან მოცემულია ქვესათაურები უშუალოდ კვლევის თემასთან დაკავშირებით. ძირითადი ნაწილი არის სტატიის კომპოზიციური სტრუქტურის ყველაზე დიდი ერთეული, რომელიც კომპოზიციურად და ლოგიკურად დამთავრებული ტექსტის ყველა ნიშნით ხასიათდება. სამეცნიერო ინფორმაცია მოცემულია მკაცრ, ლოგიკურად გაშლილი მტკიცებისა და ფაქტების თანამიმდევრობით ინტერპრეტაციის ფორმით. როგორც ქართულ, ისე ინგლისურენოვან სტატიებში გამოიყენება რთული სინტაქსური წინადადებები. მაგ.:

„რაც შეეხება ოდონტობლასტებს, საკონტროლო მასალაზე ისინი შედგებალია მკრთალად, თანაბრად, მთლიანად იკავებს პულპის პერიფერიას როგორც წინა, ისე უკანა მხრიდან, განსხვავებით იმ მასალისაგან, რომელსაც ვხვდებით დიდი და მცირე წონის ახალშობილების ჭგუფში, ამ ორ უკანასკნელ შემთხვევაში ოდონტობლასტები შედგებილია ინტენსიურად, რაც განსაკუთრებით აღინიშნება დიდი წონის მქონე ახალშობილებში“.

„The third model (Be-III) considers that only a fraction of the wetted external area is active, since the stagnant wetted area is blocked and the dry zone is active for the transfer of oxygen but not for the removal of the SO_2 formed by the reaction“.

ინგლისურ ენაზე არსებულ საბუნებისმეტყველო სტატიებში აუცილებლად ცალკე გამოიყოფა დასკვნა (Conclusions). ჩატარებული კვლევის შედეგების გარდა დასკვნაში ისახება აგრეთვე მოცემული პრობლემის შემდგომი კვლევის პერსპექტივა, მისი მნიშვნელობა მეცნიერების გარკვეული სფეროსათვის. სამეცნიერო სტატიის ეს ნაწილი მეტად არსებითია, რადგან იგი შეიცავს ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას განხილული პრობლემის ირგვლივ.

„The development of new materials for monoliths has opened many new fields of application for monoliths. Monolithic structures have been tested successfully within chemical processing and refining industries as chemical catalysts“.

ქართულ საბუნებისმეტყველო სტატიებში „შედეგები“ არ გამოიყოფა ცალკე ქვესათაურით. დასკვნად უნდა მივიჩნიოთ ალბათ, ბოლო აბზაცი, რომელიც აჯამებს კვლევის შედეგებს:

„ამრიგად, ექსპერიმენტში მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით და ლიტერატურული მასალიდან გამომდინარე. თავს უფლებას ვაძლევთ გავაკეთოთ დასკვნა, რომ კარის სისხლს მოკლებული ღვიძლის ატროფია და ორი ღვიძლის ურთიერთბრძოლა ძალზე საჭირო ნივთიერებისათვის მეტყველებს ღვიძლის კომის სამკურნალოდ ღვიძლის პეტეროტოპიული გადანერგვის, როგორც მკურნალობის დამოუკიდებელი მეთოდის, არაპერსპექტიულობაზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ დამხმარე ღვიძლის წარმატებით ალოტრანსპლანტაციისათვის აუცილებელია მისი უჯრედოვანი ფუნქციის ბუნების უფრო ღრმად შესწავლა“.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ და ინგლისურ ენებზე განხილული საბუნებისმეტყველო სტატიების კომპოზიციის ელემენტების სტრუქტურის გარეგნული განსხვავების მიუხედავად, ორივე ენის სტატიები ექვემდებარებიან ერთიან ლოგიკურ სქემას. სტატიების ლოგიკური სქემის არსებობა აიხსნება ტექსტის აგების საყოველთაო ჟანრობრივი პრინციპით, რომელიც ექვემდებარება ტექსტების ჟანრობრივი ფორმის კავშირს მის შინაარსთან. ჟანრობრივი ფორმის ქვეშ იგულისხმება „ნაწარმოების კომპოზიციური ორგანიზაციის მდგრადი ფორმა, გარკვეულ კონსტრუქციად გადაქცეული შინაარსი“ (3). მოცემული მასალა მიუთითებს, რომ არსებობს სტატიების ჟანრობრივი, ტიპური მოდელი. განხილული ტიპის სტატიებში კომპოზიციის ელემენტების ენობრივი და ლოგიკურ-სინტაქსური გამოხატვის შესწავლა კვლევის შემდგომ ეტაპს წარმოადგენს.

ლიტერატურა

1. Мешман Л. И., В кн.: Функциональные стили и преподавание иностранных языков, М., 1982, с. 14—27.
2. Marder D., The Craft of Technical Writing, N.-Y.: MacMillan, 1960, გვ. 400.
3. Гуляев Н. А., В кн.: Жанр и композиция литературного произведения, вып. I, Калининград, 1974, с. 16.

Р. Г. ДОЛИДЗЕ

КОМПОЗИЦИОННАЯ СТРУКТУРА ЕСТЕСТВЕННОНАУЧНЫХ СТАТЕЙ

Р е з ю м е

Рассмотрена и сопоставлена композиционная структура естественнонаучных статей на грузинском и английском языках. Установлено, что несмотря на внешнее различие построения статей на сопоставляемых языках, эти статьи подчиняются единой логической схеме, что объясняется всеобщим жанровым принципам построения научных статей.

იქანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ინგლისური ფილოლოგიის კათედრა

წარმოდგინა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

კუხლიკაცია

საროზ ბრიჩი

ალა-მაჰმად ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს დედაქალაქ
თბილისის (ფაიტაბარანის) გადაწვის მოკლე ისტორია

დიდებით მოსილი კეისრობისას ჩრდილოეთის ნეტარი დედოფლისა ეკატერინესი და მბრძანებლობისას ქართველთა ქრისტეს მიერ ძლევამოსილი ძეფისა ერეკლე მეორესი, აგრეთვე — აგარიანელთა სულთან სელიმ ხონთქარისა, სპარსეთის ღრმა პროვინციებში აჯანყდა ხანი, ალა-მაჰმად საჭურისად წოდებული და იწყო სხვა სამფლობელოთა ხანების შემოკრება, თუმც (თანამოაზრენი*) ირგვლივაც საკმარისი ჰყავდა. ჯართა გამრავლების შემდეგ განიზრახა უმაღლესი წოდების მოპოვება, რადგან ხანად ყოფნას შაჰად გახდომა ამჯობინა. ამ მიზნით, ჩვეული მჭევრმეტყველებითა და ცბიერი, შავბნელი ხერხებით მოსაზღვრე ქალაქების ხანებიც დაიახლოვა, სიყვარული უჩვენა, გული გადაუშალა, თავდაპირველად უახლოესი მეგობარივით ეპყრობოდა (მათ) და ხალხს თავს მოწყალედ აჩვენებდა. გამჭრიახმა გონებით და ისლამის განუხრელმა მიმდევარმა (დაარწმუნა ხანები), რომ მზად იყო სარწმუნოებისათვის სიცოცხლეც კი გაეწირა. შემდეგ გულისამაჩუყებლად და ფარისევლურად დაიტირა და სინანული გამოთქვა აზიის ყველა საზღვრის გამო, რომელიც ასე უპატრონოდ და უსარგებლოდ იყო მიგდებული ნადირის (მბრძანებლობის) დროიდან დღემდე. (მაღა გაუღვიძა ხანებს). დორბლი მოადინა და ეკითხებოდა, იყო თუ არა სიმართლე. რასაც ამბობდა.

ისინი (ხანები). აღტყინებულნი თავიანთი ჩვეულებისამებრ, ამბობდნენ, რომ სიმართლეს შეეფერება თქმული თქვენი დიდებულების მიერ და ხელსაყრელი დროა თქვენი ნების აღსასრულებლად, თუკი იქნება სურვილი თქვენი. ჩვენი და თქვენი მისწრაფებანი და აზრები თანაზიარია, მხოლოდ შევეცდებით, რომ აგარიანთა კეისარმა თავისი კეთილგანწყობა დაგვიდასტუროს მისი აღმატებულების ხელმოწერილი სიგელითა და გერბიანი ბეჭდით.

ამ დროს მათ გამოეყო ერთ-ერთი მათგანი და (განაცხადა), რომ დიდია სურვილი მისი, მაგრამ კიდევ უფრო განმტკიცდება, თუკი გერმანელთა კეისარიც დასტურს მისცემს.

მაშინვე ამოაწეს საწერკალმები შავ მელანში და წერილები შეადგინეს, შემდეგ კი რჩეულ კაცთაგან საჩუქრებით დატვირთული დესპანები გაგზავნეს თითოეულ კეისართან, ანუ ბიზანტიონსა და ვენაში. კონსტანტინეპოლიდან პასუხად მიიღეს, რომ თანახმაა, თუკი (ალა-მაჰმად-ხანი) საქართველოს თავისი მბრძანებლობის ქვეშ მოაქცევს.

ასევე მოვიდა პასუხი გერმანიის კეისარისგანაც, რომ იწონებს (მათ გადაწყვეტილებას), მაგრამ საჭიროა საქართველოსა და ბაბილონის დაპყრობა. მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ აპირებდა ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მონაწილეობის მიღებას, მათთვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ ამ წამოწყებას არ შეიძლებოდა კეთილი ბოლო ჰქონოდა, ამიტომ მხოლოდ წყალს ამღვრევდნენ.

* ფრჩხილებში მოთავსებული ყველა სიტყვა გვეყუთვნის ჩვენ. — რუსუდან ჭუბაბრია.

შეიტყვეს პასუხი, სასწრაფოდ პირი შეკრეს, ჯარი დაძრეს, რამდენის შეკრებაც მოახერხეს, რამდენიც ჰყავდათ იმჟამად და გაემართნენ აღმოსავლეთისაკენ. საზღვრისპირა ქალაქებში ზოგი ტანჯეს, უმორჩილებდნენ ეშმაკეულს და ქალაქის თავთაგან, ვინც კი ოდნავ წინააღმდეგობას გასწევდა, აწამებდნენ. ზოგიერთნი შეშინებულნი გამოდიოდნენ თავწაკრულნი და კისერზე ხმალდაკიდულნი მორჩილების ნიშნად, ზოგი ცოლსა და შვილს უტოვებდა მძევლად, მაგრამ იბრაიმ ხანი დაიმედებული იყო მტკიცე, ქვითნაგები სიმაგრით თავისი ქალაქისა, ქერითა და ხორბლით პირსავსე ბელღებითა და ერეკლე მეფის მხარდაჭერით, ამიტომაც წინ აღუდგა თავისი ძალმოსილებით და ხანგრძლივი ბო-ბოქარი ორთაბრძოლით მოქანცა ისინი. ვერ შეძლეს, წინ აღდგომოდნენ ტყვიათა ნაკადს. თქვეს: აქ რატომ ვშვრებით ამაოდ, უმჯობესია ქართველთა სახლის აღებას მოვახმაროთ ჩვენი ძალ-ღონე, მაშინ ხომ შუშაც ჩვენი იქნება!... ამგვარად, დატოვეს ის (შუშა), ხელი საქართველოზე აღმართეს, მეფე ერეკლეს დესპანი გაუგზავნეს და მძევლად შვილი ან შვილიშვილი მოსთხოვეს, რათა საქვეყნოდ განეცხადებინა ეს დიდი ამბავი, რომ საქართველო დაიმორჩილეს და ხარკი დაადეს, რამეთუ ძალმოსილება სიგელისა სწორედ ამას გულისხმობდა (თუ იქნები ჩემი მორჩილი, მეწოდება შაჰი).

მაგრამ კეთილმოღვაწე მეფე ერეკლე გამჭრიახი იყო და შემწე ტანჯული ქრისტიანი ხალხისა და არ სურდა დასაღუპად გაეწირა ამდენი მორწმუნე ადამიანი (რამეთუ წესად ჰქონდა შაჰად წოდებულს ყოველწლიურად 30 ან 40 ჯან-ღონით სავსე სრულწლოვანი ჭაბუკისა და ყმაწვილი ქალის წაყვანა თბილისიდან, რათა თავისი სურვილისამებრ ვაჟები საჭურისებად ექცია, ხოლო ქალები ხარჭებად დაესვა).

ერეკლე მეფემ, მიენდო რა ღმერთის (კეთილ ნებას) და შემდეგ რუსეთის (დახმარების იმედს), ალა-მაჰმად ხანს უარი შეუთვალა. ეკატერინე დედოფალმა 25 000 შეიარაღებული მეომარი გაუგზავნა ერეკლეს. ისინი მოზდოკში იდგნენ მუდმივ მზადყოფნაში და ნიშანს ელოდნენ, რომ შევარდენისებრ სწრაფად მოწეულიყვნენ ქრისტიანთა გაჭირვებისაგან დასახსნელად... მაგრამ იცოდა რა ძალა (ფარისევლობისა), ალა-მაჰმად ხანმა ეშმაკობას მიმართა, დაუტკბა ეარანალის, მოზდოკში ძღვენით (დატვირთული) დესპანი აფრინა და თან მეგობრული წერილიც გაატანა. წერდა, რომ, ვინაიდან ჩემია აზია დასაბამიდან, ვალდებული ვარ, წილი მოვითხოვო ყველა მოსაზღვრე საგანმგებლო ოლქიდან და, თუკი საქართველოს ვალისთვის ეს უცნობია, მოგიწოდებთ თქვენ საშველად (და)ნუ შეწუხდებით, რადგან სრულებითაც არ ვაპირებ ქალაქში შესვლას, მის გადაწვასა თუ მისი ნაწილის (მისაყუთრებას). ასე რომ, მშვიდად და უზრუნველად ბრძანდებოდეთ.

ცბიერებით დაარწმუნა ის და, რამდენჯერაც ერეკლემ შიკრიკი გაგზავნა (რუსთა ჯარის სარდალთან) თხოვნით, რომ ესაჭიროებოდათ სასწრაფო დახმარება, ვინაიდან ილუპებოდნენ უიმედოდ ჯარის სიმცირის გამო, პასუხად მიიღო, რომ არ შეშინებოდა, რადგან (ალა-მაჰმად ხანი) ვერ გაბედავდა ქალაქში შემოსვლას, რადგან მოვიდოდა (რუსთა) მრავალრიცხოვანი ჯარი. ის მხოლოდ ელოდა ხელმეორე ბრძანებას დედოფლისა. დაიმედებულმა ერეკლემ თავისი შეგროვილი ჯარები დაითხოვა (საჭიროებისამებრ შეეძლო დაახლოებით 50 000 ცხენოსნის შეკრება), იმედს ამყარებდა რუსთა ლაშქარზე. მოუწოდა მხოლოდ მეფეს თავშიშველთა, რადგან პატივი იყო მისთვის მოსვლა ტანჯულ ქრისტიანთა დასახმარებლად. მოვიდა (მეფე) დიდი სიმრავლით, დაახლოებით 12 000 ჯარითურთ, რომელთაც შეეგება მეფე ერეკლე ყველა მსაჯულით, ქალაქის თავებითა, დიდებულებითა და ერისთავებით დიდი ზარ-ზეიმით, მოწიწებით და პატივით იყვნენ შეყვანილნი ქალაქში. ხოლო ისინი ამ გულითადი შეხვედრის

საპასუხოდ დღითი დღე გარბოდნენ და ძლივსღა დარჩა 1 000 და სხვას ამო-
კითხავს ბოლოს განცვიფრებული მკითხველი. ერისთავთაგან შეშფოთებული
ერეკლე (მზვერავთა და მეთვალყურეთაგან ამბის შეტყობის შემდეგ) გამოვიდა
ქალაქიდან 1795 წლის 9 აგვისტოს ამ დარჩენილი 1000 და 2000 ერთგული
კაციტურთ, თავისი მხედრობით, თან ჰქონდა 11 ევროპული ზარბაზანი 300
მეთაურითა და 12 წინამძღოლით, აგრეთვე ახლდა 2 მთავარსარდალი, რომელ-
თაგან ერთის სახელი იყო გაბრიელი (ეროვნებით სომეხი) პირველი მაიორი
და გიორგი (ქართველი) მეორე მაიორი. აფრიალებული დროშებით, ქრისტიან-
ული რეგალიებითა და დიდი იმედით მოელოდა მხსნელის (რუსთა ჯარის)
მოსვლას (ქალაქიდან) სამი დღის სავალ მანძილზე, გზის შესაყარზე, სადაც
მტერს უნდა გაეცლო. ყოველდღიურად მოდიოდა ამბავი ანტიქრისტეს მოახ-
ლოების შესახებ. 16 დღის შემდეგაც გაურკვეველობაში იმყოფებოდა ჩვენი
უმწეო მეფე, როდესაც შემორიგებული დამხმარე ჯარი მოეწია მას და, ვიდრე
ყოყმანობდა, ურჩხული მოადგა განჯას და მის ხანთან კავშირი შეკრა, უბრძანა,
რომ გადაეწვათ ყველა სახლი ქართველთა და სრულიად გაეცამტვერებინათ
სამეფო მათი. ეს ხანი, ჯავადად წოდებული, იყო თანამოაზრე მელიქ მეჰმუდისა,
რომელიც იხმო ამ თავყრილობაზე. უბრძანეს მორჩილება, რაც აღუთქვა მტკა-
ცედ და აღასრულა კიდევ, ვინაიდან ამ დროს ორივენი ერეკლე მეფის დაუძი-
ნებელი მტრები იყვნენ. მოკავშირეობის ამ პირობით დიდძალი ჯარი შეკრიბეს
და უბრძანეს სპარაპეტებსა და ზორაპეტებს, შეექმნათ თავიანთი ლაშქარი და
სრულყოფილი სახე (მიეცათ მისთვის) და მათგან ზოგიერთი მრავალრიცხოვანი
რაზმით სხვადასხვა მიმართულებით გაეგზავნათ და დანიშნულ დროს ერთ ად-
გილას მალულად შეკრებილნი მუდმივ მზადყოფნაში ყოფილიყვნენ იქ, სადაც
უფროსი იქნებოდა დაბანაკებული. (მისი) ხელმძღვანელობით აეკეცათ კარგება,
წაედოთ ტვირთი და წასულიყვნენ. მათი დაძვრისას თვითონაც მოინდომა გზას
გასდგომოდა, დიდი ბანაკის აყრა ბრძანა და ისინიც სასწრაფოდ აიშალნენ,
გამოვიდნენ გზაზე ნალარისა და დაფის კვრით და წამოვიდნენ აქეთ.

ვიდრე უმწეოდ შთენილ მეფეს მოუვიდოდა თავის საზღვრებთან მტრის
მოსვლის ამბავი, უკან დახევა იწყო და მივიდა თავისი ქალაქის ბაღ-ვენახებამ-
დე (რომელიც ქალაქს ნახევარი მილითაა დაშორებული, სულ 12 წუთის სავალ-
ზე). (ქართველთა) ჯარი დაბნეულობამ მოიცვა. მებრძოლებმა მეფეს შეშფო-
თება შეამჩნიეს, მცველთა და გზის მეთვალყურეთაგან შეიტყვეს მტრის ჯარის
სიმრავლის ამბავი და დიდი სიახლოვე მათი (რადგან მოვიდა, დაბანაკდა სო-
ლანლულად წოდებულ სოფელში და, ვინაიდან დარწმუნდნენ, რომ შეუძლებე-
ლია ბარბაროსთა დამარცხება, მაშინვე გაიფანტნენ და მიიშალნენ). იქ იმყო-
ფებოდა მართლაც რომ მგლოვიარე მხცოვანი, ვაჟკაცი ჩვენი მეფე ერეკლე და
სასოწარკვეთილებას მოეცვა იგი (რადგან თვალწინ ედგა გარდაუვალი დალუპვა
თავისი სამეფოსი, შეურაცხყოფა, დამცირება სხვა სახელმწიფოთა შორის
უძლეველად წოდებულისა, აგრეთვე დატყვევება ურიცხვ ქრისტიანთა). ქედ-
მაღალმა საჭურისმა ფიცხი ბრძანება გასცა 9 „ეროზლუმ“ (?) სექტემბრის
თვეში. ყველა ქვეშევრდომ ხანს, რომლებიც მის ბანაკში იმყოფებოდნენ,
დილით გამოაყვანილა თითო რჩეული სპარაპეტი 4000 მხედრითურთ. მომქან-
ცველი აღმოჩნდა ბრძოლა, მებრძოლთა შემართებამ იკლო, ამიტომაც ადვილად
დაგვამარცხეს ჩვენ.

ესმათ რა ყოველივე მრავალრიცხოვან მცხოვრებთ ქალაქისა, იწყეს მოთ-
ქმით ტირილი, გულდამღუღრულნი გლოვობდნენ დალუპვას თავიანთ ახლო-
ბელთა, მიატოვეს საცხოვრებელი და ქონება, რაც კი რამ ებადათ, მრავალი
სასომიხდილი ცხენებითა და ურმებით გამოვიდა ქალაქიდან ჩრდილოეთის
კარის გავლით და კავკასიის მთებში გაქცევით (უშველა თავს), ხოლო, ვისაც
ცხენი არ ჰყავდა და არც ურემი გააჩნდა, ფეხით გარბოდა, ვისაც სიარულის

ძალა აღარ შესწევდა, ანდა შეეძლო, მაგრამ ეწვნია სირთულე გზისა ავაზაკთა (თაყდასხმისა) და შიმშილის გამო, უიმედობას მოეცემა და დაწანწალებდა, რათა პურის ნატეხი ეშოვა და არსებობა შეენარჩუნებინა. როცა გათენდა, ამავე თვის 10 რიცხვში უკანა მხრიდან მოადგნენ ვენახებს ცხენოსნები და უშიშრად დაუწყეს ბრძოლა ჩვენს ზარბაზნებს დაახლოებით 4 საათზე. წინ ვერ აღუდგნენ ჩვენი ინგლისური ზარბაზნებიდან წამოსულ (ყუმბარათა) ნაკადს. ზურგი აქციეს და თავზარდაცემულნი გაიქცნენ. მიაღწიეს ლევიტანის ბანაკს. მხედართმთავართა გასაგონად ცრუ ჩივილი იწყეს და მათაც შეძრწუნებულებმა აფიქრებინეს თავიანთ სასტიკ საჭურისს, რომ ადგილი აქვს ღალატს, თითქოს სხვა შემთხვევაში ამ ორთაბრძოლის გამარჯვება (უეჭველად) მათ დარჩებოდათ. აშკარა უკანდახევამ იგაახელა ავსული, თანამებრძოლთა სისხლისთვის შურისგების მძაფრმა სურვილმა გაიღვიძა, მოწინააღმდეგის დაუყოვნებელი განადგურების წყურვილმა შეიპყრო. გაორებული ლაშქარი ხან ერთ მოსაუბრეს უგდებდა ყურს, ხან — მეორეს და თითოეული მეოპარი პირადი კეთილგანწყობით წყვეტდა, ვის მიზნობოდა და გაჰყოლოდა. ამ ავის მომასწავებელმა ამბავმა ქედმაღალი და უწმინდური ბელიარის ყურამდე მიაღწია. დაბადებიდან გულბრძო იყო და გამჭრიახი. უმაღლე ტარტაროზულმა აზრმა გაჰკრა და ეშმაკობით გამოსავლის პოვნას ცდილობდა. თავისი ეშმაკეული ძმის რჩევით, დადუმება უფრო საზიანოდ მიიჩნია, ვიდრე ლაყბობა. როგორც ახლად გამოღვიძებული და სიმთვრალედაძლეული ღამის 5 საათზე კარვიდან გამოვიდა, უხმო მსახურებს, სასწრაფოდ შეყარა დიდგვაროვანნი თვისი. რომლებიც თვალეგათვართოებულნი და შიშისგან თავზარდაცემულნი გულხელდაკრეფილნი უმაღლე (მის წინაშე წარდგნენ). ამით არ დაკმაყოფილებულა. ბრძანა მრის-ხანე მედიდურობით, ესროლათ თოფები მთელი ჯარისა და მხედართმთავართა გონს მოსაყვანად და წარმდგარიყვნენ საზარელი სამსჯავროს წინაშე. 15 წუთსაც კი არ გაეცლო, რომ შემართულნი იდგნენ დიდი კარვის წინ. როდესაც დაინახა თავისი ჯარების საზიზღარი ლეგიონები თავმოყრილი, გახსნა მყრალი და გესლიანი პირი და მოჰყვა ბოდვას აზრგამოცლილი მანუგეშებელი სიტყვებით. აღიდებდა და ხოტბას ასხამდა გამბედაობასა და ფიცს ორთაბრძოლას მათსას, შემდეგ სიმდიდრით სავსე ქალაქის სიმშვენიერეს გადასწვდა. სიტურფესა და უბადლო სილამაზეს ქალთა, მოსახლეობის სიჭარბეს, ფასდაუდებელ თვალმარგალიტს და ოქრო-ვერცხლს მეფისა ჩვენისა. ეპირფერებოდა და ახელებდა ჯარს, შთააგონებდა — უშიშრად შებმოდნენ მტერს და ჰპარდებოდა განდიდებასა და ქალაქის ნაძარცვით უხვად დასაჩუქრებას, აგრეთვე სასურველ ტყვეთა ხელში ჩაგდებას, თავიანთი ჩვეულებისამებრ თითოეულს სჯულის განუხრელ მიმდევრობას სთხოვდა, (ამბობდა, რომ) თითოეული მკვლეელი მარტვილს შარავანდედით შეიმოსებოდა, გამარჯვებულს ღირსეულ ჯილდოსა და პატივს მიაგებდა. გულუხვად აღუთქვამდა ძლიერებას და ფიცს აძლევდა. ამგვარად იმედმიცემულ ჯარს საბრძოლველად აქეზებდა და, ვიდრე სიტყვას დაამთავრებდა, ღამემაც განვლო, აღმოსავლეთს სინათლე შეეპარა. თენდებოდა 11 სექტემბერი. როდესაც აკიაფებულ სხივს თვალი მოჰკრა, (თქვა): ვიხილავ თქვენს ძლიერებას, აჩქარდით, ნურათრის გეშინიათ. ისმინა ყოველივე მიმობნეულმა ჯარმა და ისე ერთსულოვნად შემართული მობრუნდა, თითქოს საბრძოლველად კი არა, ქორწილზე მიეჩქარებოდათ. ზოგმა თასმები შეიკრა, ქვედა საცვალი და წინდები ამოიცვა, ზოგმა აბჯარი აისხა, სამკლავური მოირგო, ფარით შეიარაღდა, დენთიან თოფებს ხელი წაატანეს, მუზარადი ჩამოიხურეს, სხვები შუბების ძგერებაში ვარჯიშობდნენ, თოფები დატენეს, ხმალი შემოირტყეს, შუბს ხელი დაავლეს და ორმხრივ გამოპირეს, ხანჯლები ალესეს, სხვას ქარქაშში ჩაეგო და ბრძოლას მოელოდა, ზოგი მშვილდს ჭიმავდა, ისრებს კარპაჭებში აწყობდა, სხვა იარაღს ისხამდა, ცხენს კაზმავდა, უნაგირს ამაგრებდა.

ყველანი მზად იყვნენ. ფაციფუცობდნენ და დაწრიალებდნენ. აელვარებულნი (იღვნენ) საწყალი ქრისტიანების წინაშე, რომლებიც თავს ველარ იკავებდნენ, ხუმრობდნენ, მიმოდრიოდნენ, ერთმანეთს ამხნევებდნენ, იმედს უნერგავდნენ, ბედაურებს მიაგელვებდნენ, მხედრები თავიანთ ალვირამოდებულ ცხენებს ძლივს იმორჩილებდნენ, ცეცხლსასროლი იარაღის ალაპლაპებულ კაეს ტალკვესთან ერთად (მოწინააღმდეგეს) უმიზნებდნენ, დამბაჩის ლულას ცეცხლს აკვესებინებდნენ, გამომწვარ შუბებს პირს უმახვილებდნენ, ვიდრე არ დაკვარგეთ ზარბაზნები. ხოლო ვერაგი სულთამხუთავი ერთი მაღალი მთის წვერზე მოექცა და იქ მდგომმა ბრძანა კარვის დადგმა, რათა თვალყური ედევნებინა გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ამ დროს ცა ღრუბლებმა დაფარა, ბურუსი ჩამოწვა, სპარსთა და ქართველთა ჯარი ნისლში გაეხვია, გაურკვეველობამ დაისადგურა, შეფიქრიანდნენ მოწინააღმდეგენი, სპარსელებს ჩვენი ლაშქრის სიმრავლე ადარდებდათ, ჩვენები კი მათი სიმცირით იყვნენ დაიმედებულნი. შუადღის თამამად მონაბერმა ქარმა ღრუბლები დაფანტა და მზე კაშკაშა სხივებად დაიღვარა. მაშინ კი ნათელი შეიქნა უსასრულო სიმრავლე საპირისპიროდ მდგარი ჯარისა, რომელიც კალიასავით შესეოდა მინდორსა და მთას და უღრანი ტყის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ჩვენი ჯარის სიმცირემ განცვიფრების ღიმილი მოჰგვარა მტერს, ცოტანი იყვნენ, თითქმის ყველა ქალაქელი შიშს აეტანა, ნაწილი კი გაქცეულიყო. ავსული ველს ჭოგრით ზევიდან ადევნებდა თვალყურს. თოვლივით დაეპენტა მინდორი ლტოლვილ ქალთა თეთრ ხილაბანდებს, რაც (უმაღლეს) აცნობა თავის ჯარს და (მიმართა): ჰოი, უგნურო მონადირენო, რატომ ჰკარგავთ მხნეობას?! ხელიდან კი შვლის ნუკრები გისხლტებიან. შეიტყვეს (ყოველივე) მხედართმთავრებმა და მეთაურებმა, ყველა ღონე იხმარეს, სახალხოდ გამოაცხადეს, ჰეროლდის მსგავსად. გამძვინვარდა ჯარი, გააფთრდა, წვიმასავით წამოვიდა ტყვიისა და ისრის ნაკადი, მხედართა შუბები და ამოწვდილი ხმლები მზის შუქზე ლაპლაპებდნენ, უხორცოთა მსგავსი აბჯარასხმული გოლიათების შუბები ელავდნენ, სწრაფად წამოვიდნენ წან და ჩვენს ჯარს შეეკრივნენ.

ამ ბრძოლის ნახვა ერთ რამედ ღირდა. ხმლისა და ფარის შეჯახების ქუხილი მთებს გადასწვდა, ხმლის ჟღერიალმა იქაურობა გააყრუა, არ წყდებოდა ქვემეხთა გუგუნე, რომელიც ისართა შხუილს ახშობდა. დენტის კვამლი და მტვერი ერთმანეთში აირია. ხედვა ჭირდა, ბედაურთა ჭიხვინს განგმირულთა გმინვა შეერწყა, ისმოდა დაჭრილთა და მომაკედავთა შემზარავი ხმები. ეს დაინახეს უკან მდგომმა სარდლებმა, დატოვეს მთელი ჯარი და სასწრაფოდ მოიწივნენ თანამებრძოლთა დასახმარებლად. იქნებოდნენ 80 000-ზე მეტი.

როდესაც დაინახა (ყოველივე) უნუგეშოდ დარჩენილმა ჩვენმა მეფემ, ალვირი მოსწია, ცხენი შეაბრუნა და სასოწარკვეთილმა გაქცევა იწყო. მას მთელი ჯარი გაჰყვა. ჯერ აბანოს კარამდეც არ იყო მისული, რომ მას ფეხმარჯ ცხენებზე ამხედრებული მტრის რაზმი დაედევნა, რათა ცოცხალი ჩაეგდოთ ხელში. ამის დანახვისთანავე მეფის ერთგულმა მეციხოვნემ ორჯერ-სამჯერ გაისროლა ზარბაზანი მდევართა (შესაჩერებლად). მათ შეშინებულებმა (მართლაც) დაიხიეს უკან და მცირე ხნით შეეკვნდნენ. ამან იხსნა ჩვენი საბრალო მხცოვანი მეფე და, რომელნიც პირისპირ ებრძოდნენ ზარბაზნებს, თავდაპირველად შეკრთნენ და შემდეგ გააფთრებულებმა და ნადირთა მსგავსად გავეშებულებმა გააქციეს აღრიალებული (მოწინააღმდეგე). ღმუილით, მრისხანებით, ბრდღვინვით, ღრიალით, ზავილითა და ბლავილით ემსგავსებოდნენ ლომებს, რომლებიც მონადირეთა (დანახვისას) თავიანთი ბოკვერებისაყენ ილტვიან. ალაპ, ალაპის ძახილით თავს დაესხნენ ჩვენს ზარბაზნებს, საიდანაც თუმცაღა წვიმასავით მოდიოდა ტყვიები, მაგრამ იძულებით იბრძოდნენ. (უთუოდ) ღვთის ბელი ერია ამ საბედისწერო ბრძოლაში.

და ხედავდნენ სასჯელს (ღვთისა), ანუ უსასრულო სიმრავლეს მძვინვარე და ველურ მკვლელთა, ჩვენმა მეთაურებმა ზარბაზნებს თავი განარიდეს, დარჩა მხოლოდ პირველი მაიორი სომეხი გაბრიელი ერთი მეთაურითურთ, რომელმაც თავდაუზოგავად გაუხსნა ცეცხლი მტერს ქრისტეს ჯვრის (სადიდებლად) და თავისი მეფის სიყვარულის გამო და შეუდგა რწმენისთვის წამებულ მარადიული ცხოვრების გზას ღვთის მადლის გარდმოსავლენად. გაბრიელივით ეწამა ერთი საათით ადრე მეორე მაიორი ქართველი. (მტერი) შეურაცხყოფელი უღარდებლობით გაემართა ქალაქისაკენ, სპარსელები შეიჭრნენ და თავიანთი ნიანგისებრი სუნთქვა დააფრქვიეს ქრისტიანთ. და იწყეს ძარცვა მღვდარი ქალაქისა და აივსნენ ძვირფასი თვლებითა და თვალ-მარგალიტით, სხვადასხვაგვარი თხელი ფარჩის ქსოვილითა და აბრეშუმის სამოსლით. ზოგიერთი სასულიერო პირი (ხმლით) აკუწეს, ზოგიც ბატკანივით დაკლეს, ზოგიც დაატყვევეს და გაყიდეს. ზოგიერთ მღვდელთაგანს ნავთს ასხამდნენ და ცეცხლში ბუგავდნენ, ზოგს პირდაპირ ხოცავდნენ. ზოგი წინ გაიგდეს, რათა ეჩვენებინა ეკლესიათა საგანძური, ზოგიც ტყვედ წაასხეს. საერო პირთაგან ბევრს თავი მოჰკვეთეს და მიჰქონდათ ეს თავები და თითოეულში საფასურად 3 თუმანს იღებდნენ. (ამ თავებით) აგებდა უკეთური მინარეთს, რომლის შეხედვაც ახარებდა და (ამბობდა): შური ვიძიე ჩემს მტრებზე. ზოგს ნელ-ნელა დაღავდნენ გავარჯარებული შანთით, სხვადასხვა ხერხებს მიმართავდნენ საწამებლად, ზოგს კი ტყვეობაში მიერეკებოდნენ.

ასევე მოექცნენ ხნიერ ქალებს, ხოლო ჭაბუკები და ქალიშვილები უვნებლად გარეკეს თავიანთი ბილწი ვნებების დასაოკებლად და ძვირფას საქონლად. კიხეში მყოფი მათივე სარწმუნოებისანი ქრისტიანებზე მეტად ტანჯეს, დაატყვევეს და მათი სალოცავი ცეცხლს მისცეს. მეფის სასახლე ჯერ გაძარცვეს, შემდეგ გადაწვეს. ამითაც ვერ დაკმაყოფილდნენ, იწყეს შებილწვა წმინდა მონასტერთა. დააცარიელეს გუმბათიანი და სამრეკლოს მქონე ეკლესიები. გაიტანეს ძვირფასი თვლებით მოჭედილი ეპისკოპოსთა ოქროს გვირგვინები, ოლარები და ოქროცურვილი, სიმებით დაქარგული სამღვდლო ანაფორები, ოქროს ჯვრები და სახარებანი, ვერცხლის საცეცხლურები, სამწერობლები და მთელი ჭურჭლეული და შემდეგ გადაბუგეს. უფლისა და ღვთისმშობლის ხატები ჯერ ფეხქვეშ გათელეს, შემდეგ დაწვეს, წმინდა წერილი (დაგლიჯეს) და მიმოაბნიეს. ყოველივე ჩაიდინეს უგნური ვერაგობით ბარბაროსებმა. ყოყლადღიერმა და სულგრძელმა შემოქმედმა არც ერთ წარმართს არ უჩვენა თავისი უდიდესი ძალა ჩვენი ცოდვებისათვის დასასჯელად. მოგვცა საშუალება ჩვენი სურვილისამებრ მოექცეულიყავით, იქნებ (გონს მოვსულიყავით) და მოგვენანიებინა (ჩვენი ცოდვანი), მაგრამ ყველანი ერთმანეთის მსგავსნი ვართ, რის გამოც არასდროს არ ვიხვეთ უკან.

ანგარიშის მიხედვით, დატყვევებულთა რიცხვა 50 000 მიაღწია.

კავკასიის მთებში გაქცეულ საწყალ ლტოლვილებს, ვინც კი განსაცდელს გადაურჩა. გზაში თავშიშველთა ავაზაკები წამოეწივნენ. მათ კვლავ თავი აარიდეს ბრძოლას და ნაცვლად იმისა, რომ დახმარების ხელი გაეწოდებინათ გაჭირვებული ხალხისთვის და ცრემლი შეეშროთ მათთვის, ხელიდან წაგლიჯეს, რაც კი ებადათ. ზოგი შიშველ-ტიტველი დაადგა თავის გზას, ზოგიც წავიდა და აღარ დაბრუნებულა. აჰა, კვლავ საზღაური ერეკლე მეფისაგან განდიდების სანაცვლოდ. მეორე, შიმშილმა გატანჯა ისინი ძლიერ და, მესამე, ავადმყოფობას ისეთი უბედურება მოჰყვა, რომლის მსგავსი გაჭირვება არც არავის უნახავს და არც სმენია არავის. რატომ გგონიათ, მკითხველნო, (ვინც გულშემატკივარნი და კეთილმორწმუნენი ხართ), რომ (აქ მოთხრობილი შეთხზული ამბავია?).

ამიტომ შიში გვქონდეს შემოქმედისა მიწისა და ცისა, რამეთუ მან მოგვაწია ეს სიმწრით სავსე დღენი და თვითვე დაგვიმკვიდრებს სიმშვიდეს, თვითვე იქმნამ ორთაგან ერთს. მზაკვარმა წარმართებმა დააწიოკეს (მთელი ქალაქი), ყოვლად უღირსმა საჭურისმა არ ინდომა 6 დღეზე მეტ ხანს აქ გაჩერება, როგორც აღვნიშნეთ, მისი სურვილი იყო არა მხოლოდ წაეხილწა და გადაეწვა ეს ქალაქი, არამედ სრულიად საქართველო, კახეთი, თრიალეთი, მიწასთან გაესწორებინა კავკასიის მთებში არსებული ყველა ნაგებობა, რათა შემდეგ ებატონა ყველა მოსაზღვრე (პროვინციათა) მცხოვრებლებზე, მაგრამ ვერ დაეძლია გულის სიღრმეში (ჩაბუდებული) შიში განდიდებული თვითმპყრობელი და უავგუსტოესი ეკატერინე დედოფლის მიმართ. კარგად უწყოდა, რომ ჩვენი ქალაქი იმყოფებოდა მისი უმაღლესი და დიდებული მეფობის მფარველობის ქვეშ და მით უფრო, რომ, როგორც აღვნიშნეთ, მის მიერ მოტყუებულ იქნა მისი სამეფო აღმატებულების მხარეთმმართველი, რომელიც მოზდოკში (იმყოფებოდა). ამ განზრახვით ცეცხლს მისცა მთელი ქალაქი (თავისი) ხიდებითურთ და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა. როდესაც შეიტყო (ხსენებულმა) მხარეთმმართველმა ამბავი ამ განსაცდელის შესახებ, უმაღვე დასძრა თავისი ჯარი, დაეწეოდა კიდევ იმ ავაზაკებს, რომ არა კავკასიის ოღრო-ჩოღრო გზები. მათმა მოსვლამ დუშეთს დარჩენილთა დარდითა და ვაებით (დაწყლულებული) გულები სიხარულითა და (იმედით) აავსო. ხოლო ბოროტმოქმედმა (საჭურისმა) გადალახა ერეკლეს საზღვრები, ვერ გაერკვია, ნამდვილი იყო თუ არა მათი მოსვლის ამბავი. პირობა დადო, რომ გაზაფხულის პირს კვლავ დაბრუნდებოდა.

და, როდესაც დარწმუნდა, რომ (ნამდვილად) შემოვიდა (რუსთა ჯარი) ალანთა კარიდან მრისხანე (ბრძანებით) განდიდებული და აღმატებული დედოფლისა და მოადგა სპარსთა საზღვრებს და (როდესაც წარმოიდგინა) ფიცხელი ბრძოლა მისადგომებთან და ურიცხვი დახოცილი თავისი ჯარისა, იმედდაკარგული გაეცალა (იქაურობას). ასე გადარჩენილი ქვეყნის დარჩენილი საბრალო მცხოვრებნი მარად კურთხევით მოგიხსენებთ და ვადიდებთ, უპირველეს ყოვლისა, ყოვლისშემოქმედ მოწყალე ღმერთს და მის მიერ ძლევამოსილს, მის რჩეულსა და (მუდამ) მზად მყოფს (დახმარებისათვის უპატრონო და მიმოფანტული სომეხი ხალხისა) ნეტარ და აღმატებულ დედოფალს მთელი ჩრდილოეთისა ეკატერინე ალექსანდრეს ასულს, ძალა მიეცემა ყველა მტრის (დასამარცხებლად), დღეგრძელობასა და უდრტვინველ ცხოვრებას დაუმკვიდრებს მასა და მის სამეფო შთამომავლობას უფალი, ამინ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წმინდა ნაწილებს წვავდნენ, მაგრამ სახელგანთქმული და ყოვლადბრწყინვალე სანაინის წმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის, რომელიც აშენებულ იქნა თვითმპყრობელი მოწყალე მეფის აშოტ ბაგრატიუნისა და ანუიშ დედოფლის მიერ და რომლის წმინდა ტაძრებშიც არის 40 ტაბლა 40 საიდუმლოსთვის, რათა საჭიროებისამებრ განსვენებულთა სულებისათვის უფალს უწირონ და იმ დღესვე გადაიხადონ 40-თვის (მსახურება). იყო მზრუნველი და მოაპაგე, აგრეთვე გულშემატკივარი განდიდებისა და აღმშენებლობისა, წინამძღვარი ჩრდილოეთში მოსახლე მთელი სომეხი ხალხისა მოციქულთა (თანასწორი) და სამეფო გვირგვინით შემკული უწმინდესი პოვსეფ არქიეპისკოპოსი (?) წმინდა ნაწილები და აშოტისა და სხვა მეფეთა მიერ შემონაწირი და პატრიარქთა ნაბოძები გამოისყიდა მისი მაღალი უწმინდესობის ძმისშვილმა ღირსეულმა იშხანმა კნიაზ სოლომონ მხარგრძელმა არღუთეანმა.

ამჟამად ამ წმინდა ტაძრის მოძღვარია მისი მაღალი უწმინდესობის მიერ დადგენილი განსაკუთრებული ერთგულებით გამორჩეული მსახური, სანაინელი, თავმდაბალი და კეთილგონიერი არაქელ ვარდაპეტი, (გვარად) მურადიანი,

რომელმაც გამოიხსნა ტყვეობაში მყოფი სასწაულმოქმედი მარჯვენა სამგზის ნეტარი უწმინდესი პატრიარქისა ჰოვჰანეს ოძნეცისა.

მაშინვე დაიხსნეს მუღნის წმინდა გეორგის სასწაულმოქმედი ნაწილი, რომლის (დაკარგვაც) სიკვდილად უღირდა უხუცეს მღვდელს იმავე ეკლესიისა მაღალპატიოსან და ბრძენ უფალ გრიგორს, ტერ შმაგონეანს, რომელიც ცოცხალ მარტვილად იქცა სადიდებლად უფლისა და წმინდა გეორგის პატივის მისაგებად და შუამავალი იქნება ღმერთის წინაშე. ჩაიწეროს ამ ერთგული მსახურის სახელი ცხოვრების წიგნში, ამინ.

რუსუდან ჰუბაბრია

სეროზ ბრიჩის „აღა-მაჰმად ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს დედაქალაქ თბილისის (ფაიტაკარანის) გადაწვის მოკლე ისტორია“

1795 წელს ამიერკავკასიაში აღა-მაჰმად ხანის შემოჭრასთან დაკავშირებული წერილობითი წყაროებით საკმაოდ მდიდარია როგორც ქართული, ასევე სომხური ისტორიოგრაფია. ეს წყაროები ქანრობრივი თვალსაზრისითა და ფორმით ერთმანეთისგან განსხვავდებიან. უმეტესწილად ისინი ეპისტოლარულ და მემუარულ ხასიათს ატარებენ; საკმაოდ ხშირად ვხვდებით სამგლოვიარო ქანრის ძეგლებსაც. მათი უმეტესი ნაწილი სალექსო წყობითაა შესრულებული. არსებულ ნარატიულ წყაროებს განსაკუთრებულ სანდობასა და მნიშვნელობას სძენს ის გარემოება, რომ ავტორები მოთხრობილი ამბის თვითმხილველნი და თანადამხვდურნი, ან თანამედროვენი არიან. ზოგიერთი წყარო ანონიმურია, მაგრამ უმთავრესად წერილთა ავტორებიცა და აღრესატებიც იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილი და თვალსაჩინო პიროვნებანი გახლავთ.

ამჯერად ერთ-ერთ სომხურ წყაროზე შევაჩერებთ ყურადღებას. იგი 1796 წლის 26 მარტითაა დათარიღებული. მოცულობა თაბახის 12 ნაბეჭდი ფურცელია. მისი სათაურია „აღა-მაჰმად ხანის მიერ 1795 წლის 11 სექტემბერს დედაქალაქ ფაიტაკარანის გადაწვის მოკლე ისტორია“.

თავდაპირველად ეს წერილობითი ძეგლი ჟურნალ „დივან ჰაიოც პატმუ-თეანის“ მეათე ნომერში დაიბეჭდა 1912 წელს. შესულია აგრეთვე რ. ტიტანიანის მიერ შედგენილ კრებულშიც, რომელიც ერევანში გამოიცა 1981 წელს, მაგრამ არსად არ არის მითითებული დედნის ადგილსამყოფელი.

აღნიშნული წყარო ხელნაწერის სახით დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშიც. აღნიშნულია ნომრით 22. ჩვენს ხელთ არსებული ტექსტების შედარებამ თითქმის სრული იდენტურობა გვიჩვენა, სხვაობა მეტად უმნიშვნელოა.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში დაცული ხელნაწერი წარმოადგენს სახარჯო დავთარს. ყდა მკერვი აქვს, ტყავგადაკრული, ძუნწად ორნამენტირებული, ფურცლები მოუხეშავი, სქელი, დაყოფილია სვეტებად. ყდას გადასაშლელ მხარეს ორი ოქროსფერი ანჯამა აქვს დატანებული, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ხელნაწერი სრულყოფილი სახით არ არის შემორჩენილი.

ნაწერი შესრულებულია მელნით. წყარო აღა-მაჰმად ხანის შემოსევის შესახებ დაწერილია დიდი გულისყურითა და მონდომებით, ლამაზი, თანაბარი ასოებით, ხოლო დანარჩენი ფურცლები შევსებულია ძნელად გასარჩევი, ნაჩქარევი და გაკრული ხელით.

აღნიშნული წყარო ფორმის თვალსაზრისით ორ ნაწილად იყოფა: პირველია პროზაული და ძირითადი ნაწილი და მეორე — ლექსის ფორმით წარმოდგენილი. მეორე ნაწილის განხილვას აქ არ შეეუდგებით. კონკრეტულ შემთხვევაში ის ჩვენთვის იმდენად საინტერესო, რამდენადც ლექსის აკროსტიხით შედგენილი ბოლო სტროფი წერილის ავტორის სახელს გვატყობინებს.

სომეხი ისტორიკოსის, რ. ტიტანიანის თანახმად, ავტორი სერობ პატკანიანი უნდა იყოს. სერობი დაბადებულია 1770 წელს კონსტანტინოპოლში. აქვე მიუღია დაწყებითი განათლება. შემდეგ ტრიესტს გამგზავრებულია და სწავლა პარუთიუნ ბასენციანთან გაუგრძელებია. კონსტანტინოპოლში დაბრუნების შემდეგ მასწავლებლობისათვის მოუკიდია ხელი, მაგრამ უსამართლოდ დაუდანაშაულებიან და დაუპატიმრებიათ (რაში ედებოდა ბრალი, ტიტანიანს აღნიშნული არა აქვს. — რ. ჭ.).

სერობს გაქცევა მოუხერხებია და თბილისში ჩამოსულა, სადაც თავი გაბრიელ მაიორისათვის შეუფარებია¹ (ეს გაბრიელი და სერობის თხზულებაში მოხსენებული „პირველი მაიორი სომეხი გაბრიელი“ ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს. — რ. ჭ.).

ქართველთა მეფის ერეკლეს მხარდაჭერით სერობს სომეხთა პირველი სკოლა დაუარსებია, რომელიც 1805 წლამდე მოქმედებდა. ამ სკოლაში სომეხებთან ერთად სწავლობდნენ აგრეთვე ქართველი ბავშვებიც². 1805 წლიდან სერობი მასწავლებლობას ეწეოდა ჭერ ასტრახანში, ხოლო შემდეგ ნორ-ნახიჭევანში. გარდაიცვალა 1836 წელს³.

სერობთან მოხსენიებული „ფრიმერ მაიორი“ ფორმით „არაჯინ მაიორი“ — პირველი მაიორი — დასტურდება კიდევ ერთ სომხურ წყაროში. ხსენებული წყარო ანონიმურია. იგი 1941 წელს ჟურნალ „ტელეკაგირის“ მე-3 — მე-4 ნომერში გამოაქვეყნა ლეონ მელიქსეთ-ბეგმა. მისი ცნობით, ამ წყაროს შიგნით ხელნაწერთა ნუსხა ვენეციის მხითარისტთა კონგრეგაციის აწ განსვენებული წევრის დიონისიოს ვარდაპეტ კალატოზიანის ნათესავებისაგან შეუსყიდია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს და იმ დროს დაცული ყოფილა ნომრით 20⁴. ამჟამად ეს ხელნაწერი № 98-ით არის აღნიშნული. მისი სათაურია: „ალა-მაჰმად ხანის მიერ თბილის-ქალაქის შემადრწუნებელი დარბევის მოკლე ისტორია. განდევნა ქართველთა მცხოვანი მეფის ერეკლე მეორისა 1795 წელს (დაბადებიდან) უფლისა“.

თხზულების ბოლოში დართული ანდერძ-მინაწერი გვატყობინებს, რომ „დაიწერა თბილის-ფაიტაკარანში, ტყვეობიდან გაჭირვებით თავდახსნილის მიერ უხვსიტყვაობით უფლის (დაბადებიდან) 1796 წელს, იანვრის თვეში და, როგორც ფოთოლთა ხვავიდან, ასევე სიტყვათაგან მრავალთა ნაყოფი ისტორიისა სამზეოზე გამოტანილ იქნა, მსმენელთათვის სასურველქმნილი შეიკვეცა დასავლეთში, კონსტანტინოპოლში 1796 წლის ივნისში“.

ჩვენი აზრით, სრულიად სამართლიანია ლ. მელიქსეთ-ბეგისა და რ. ტიტანიანის დაკვირვება ანონიმი ავტორისა და სერობის თხზულებათა მსგავსების შესახებ. მათ ბევრი აქვთ საერთო როგორც კომპოზიციური მთლიანობის, ასევე ფაქტთა გადმოცემის თანმიმდევრობის თვალსაზრისით. ხშირად ემთხვევა ერთმანეთს ქრონოლოგიური აღნიშვნები და ჯარის რაოდენობრივი შემადგენლობაც.

რ. ტიტანიანი, ჰაიკაკან აღბიურნერ ალა მუჰამად ხანი ანდრკოვასიან არშავანქნერი მასინ, ერევან, 1981, გვ. 22 (სომხურ ენაზე). გაბრიელ მაიორთან დაკავშირებით იხ. იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, II, 207, „Кавказ“, 1858, № 86, გვ. 446.

² Армянская советская энциклопедия, т. 9, Ереван, с. 152.

³ რ. ტიტანიანი, დასახ. შრ., გვ. 22.

⁴ „ტელეკაგირი“, 1941, 3—4, გვ. 47.

როგორც სერობის, ასევე ანონიმის თხზულება შეიცავს ანდერძ-მინაწერს, პროზაულ და პოეტურ ნაწილს, მაგრამ სერობის ნაშრომი უფრო ვრცელია და უფრო მეტად მხატვრული ნაწარმოების ელფერი დაჰკრავს. არცთუ იშვიათად გვხვდება დახლართული კონსტრუქციები, რაც ზოგჯერ აზრის გარკვევას ართულებს.

უცნობია ანონიმის სრული ვერსია. არ ვიცით, ავტორმა შეამოკლა ის, თუ სხვა პიროვნებამ და რა ამოიღო თხზულებიდან.

თუ სერობის ნაშრომი 84 სტრიქონისაგან შემდგარ 16 მარცვლიან ლექსს შეიცავს, ანონიმის ლექსი სულ 4 სტრიქონიანია, სტრიქონი კი ათ მარცვლიანი და ეს სტროფი ნაწყვეტის, ფრაგმენტის შთაბეჭდილებას გვიტოვებს.

ანონიმი თხრობის განმავლობაში თავისი ვინაობის შესახებ არაფერს მიგვანიშნებს, მხოლოდ ანდერძმინაწერი გვატყობინებს, რომ იგი ტყვეობიდან გამოქცეულა. ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მას სწორედ სპარსელთა ტყვეობიდან დაუღწევია თავი. რაც შეეხება სერობ გრიჩს, იგი შემოსევის დროს საქართველოში უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ქალაქს განრიდებია და ტყვედ ჩავარდნას გადაარჩენილა.

ამ ორი წერილობითი წყაროს ურთიერთშედარებამ საფუძველი მოგვცა გვეფიქრა, რომ ავტორები სხვადასხვა პიროვნებანი არიან, მაგრამ სერობ გრიჩისათვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი ანონიმის თხზულება და უნდა ეხელმძღვანელა კიდევ ამ „ისტორიით“.

ორივე ავტორი აღწერილი ამბის დათარიღებას თურქეთის სულთან სელიმის (ანონიმთან — სელიმ III⁵) ზეობასა და რუსეთის იმპერატორის ეკატერინე II-ის მეფობას უკავშირებს და ალა-მაჰმად ხანის პოლიტიკური კავშირების გარკვევას ცდილობს იმ განსხვავებით, რომ ანონიმ ავტორს ალა-მაჰმად ხანის შემოსევის თარიღი გალთა ეროვნული აჯანყების მე-4 წლით აქვს ნაანგარიშევი. ორივე წყარო მოწმობს, რომ ალა-მაჰმად ხანს თავისი პოზიციების გასამაგრებლად კონსტანტინოპოლში (სერობთან — ბიზანტიონში) და გერმანელთა „კეისართან“ შიკრიკები გაუგზავნია.

აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის ცნობილ არც ერთ ქართულ, სომხურ, თურქულ და სპარსულ წყაროში არაფერია ნათქვამი ალა-მაჰმად ხანის გერმანიის „კეისართან“ კავშირის შესახებ.

თურქული წყაროების მიხედვით, ირანი ცდილობდა ოსმალეთი საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ გაეხადა, მაგრამ ოსმალეთს კარგად ესმოდა, რომ საქართველოს წინააღმდეგ გამოსვლა რუსეთისათვის ომის გამოცხადებას ნიშნავდა, რაც მას მეტად მძიმედ დაუჯდა რუსეთ-თურქეთს შორის მიმდინარე ომებში (1768—1774, 1787—1791).

„მ. კუტუზოვი, რომელიც ეკატერინე II-მ გაგზავნა თურქეთში, იასის ზავს დადების შემდეგ ატყობინებდა ეკატერინე II-ს 1793 წლის 5 ნოემბრის წერილში, რომ მის მიერ მიღებული ცნობის თანახმად, ალა-მაჰმად ხანმა ოსმალეთის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა ვინმე მირზა გალიბი, რომელიც ბაღდადის გზით ჩამოვიდა. მირზა გალიბის გარდა ალა-მაჰმად ხანმა კიდევ ორი კაცი გაგზავნა ასტრახან-ტაგანროგის გზით. ყველანი ესენი ვაჭრებად ასალებდნენ თავს, რათა არავის გაეგო მათი მოგზაურობის ნამდვილი მიზანი. დესპანები ოსმალეთს კავშირს სთავაზობდნენ. ამავე დროს მათ ოსმალეთს გააცნეს ალა-მაჰმად ხანის უახლოესი მიზნები, კერძოდ, მათ ჩაიტანეს ამბავი, რომ ალა-მაჰმადი გაზაფხულზე საქართველოს შეესევა“⁶.

⁵ სელიმ მესამე — ოსმალეთის სულთანი 1789—1807 წლებში.

⁶ სპა, ფონდი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობანი, 1793 წ., ს. 777, ფურცელი 14—16.

„აღა-მაჰმადი ითვალისწინებდა აგრეთვე რუსეთ-ოსმალეთის ანტიირანულ კავშირის შესაძლებლობას, ისეთს, როგორიც იქნა დადებული 1724 წელს, ამიტომაც აღა-მაჰმადისათვის აუცილებელი იყო ოსმალეთის მიმხრობა თუ მოკავშირედ არა, კეთილგანწყობილი ნეიტრალიტეტის სახით მაინც“⁷.

აღა-მაჰმადის მეცადინეობამ თავისი შედეგი გამოიღო. მას ბაღდადის ფაშასაგან შესანიშნავი ცხენები, ევროპული დამბაჩები და სხვა საჩუქრები მოსვლია... ბაღდადის ფაშა ამ შემთხვევაში თურქეთის სულთანის დავალებით მოქმედებდა. თურქეთი თვითონ არ ჩანდა და ბაღდადის ფაშას მეშვეობით, როგორც ჩანს, იგი ულოცავდა აღა-მაჰმად ხანს წარმატებებს, აქეზებდა და ამხნევებდა საქართველოში ლაშქრობისათვის“⁸.

როგორც სერობის, ასევე ანონიმის თხზულება ცნობას გვაწვდის იმის შესახებ, რომ აღა-მაჰმად ხანს საქართველოში შემოსევისთანავე ერეკლესათვის მძევალი მოუთხოვია, რაზედაც ერეკლეს უარი შეუთვლია. სერობს ანონიმასაგან განსხვავებით დაკონკრეტებული აქვს მძევლის ვინაობა: „ითქვა და დატოვეს შუშა, ხელი საქართველოზე აღმართეს, მეფე ერეკლეს დესპანი გაუგზავნეს და მძევლად შვილი ან შვილიშვილი მოსთხოვეს“.

ორივე ავტორი ადასტურებს, რომ მოზდოკში რუსთა 25 000-იანი არმია მდგარა და მზად იყო დაუყოვნებლივ მოწეულიყო ქართველთა დასახმარებლად: ეკატერინე II-ის ბრძანებისთანავე (სერობთან — ხელმეორედ ბრძანების შემდეგ).

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე მოვლენების მიმართ თავიანთი დამოკიდებულება ავტორებს გარკვევით აქვთ გამოთქმული. სერობი გუდოვიჩს (მოზდოკში მდგომი რუსეთის ჯართა სარდალს. — რ. ჯ.) უფრო გულუბრყვილოდ მიიჩნევს და დატრიალებული ტრაგედიის პასუხისმგებლობას მას არ აკისრებს: „ცბიკრებით დაარწმუნა ის“ (გუდოვიჩი. — რ. ჯ.). რაც შეეხება ანონიმს, მისთვის გუდოვიჩი წინასწარგანზრახული პოლიტიკური კურსის გამტარებელია: „რამეთუ მოსყიდული ჰყავდა საჭურისს (მხედართმთავარი რუსთა) მოსაზღვრე ქალაქებში შესვლასთან დაკავშირებით, რომელთაც ადრე მისი წინაპრები განაგებდნენ. მოისყიდა საჩუქრებით მხედართმთავრის გული...“.

სერობსაც აქვს აღნიშნული ე. წ. „ეარანალისთან“ ძღვენით დატვირთულა დესპანისა და მასთან ერთად მეგობრული წერილის გაგზავნის ფაქტი, მაგრამ ამას იგი დიდ ყურადღებას არ აქცევს და ქრთამის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

გუდოვიჩის მოსყიდვის აზრი საქართველოშიც არსებობდა. ერეკლე II-ის შვილიშვილის ცნობით, აღა-მაჰმად ხანი დიდძალ საჩუქრებს უგზავნიდა კავკასიაში განლაგებული რუსთა ჯარის სარდალს გენერალ გუდოვიჩს და ამიტომაც მან რუსთა მაშველი ჯარი არ გამოგზავნა⁹.

ეს მოსაზრება ჩვენც სამართლიანად გვეჩვენება, რადგან გუდოვიჩი ერეკლეს დაუინებულ თხოვნას 3000-იანი სამხედრო ნაწილის გამოგზავნასა და გაფრთხილებას აღა-მაჰმად ხანის მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ აუღელვებელი ტონითა და სიტყვიერი დაიმედებით პასუხობდა: „პასუხს ვუგზავნი მეფე ერეკლეს, რომ, თუმცა აღა-მაჰმად ხანმა ისპაჰანელმა დაამარცხა ლუფტალი ხანი შირაზელი... და ჯარს თავს უყრის არდებილში, ყოფს მას და ერთ ნაწილს გზავნის მულანის სტეპში, ხოლო მეორეს — ერევნისაკენ, მაგრამ მულანის ველი ჯერ კიდევ შორსაა საქართველოსაგან“¹⁰.

⁷ ო. გიგინეიშვილი, ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბ., 1982, გვ. 89.

⁸ ზ. შარაშენიძე, ირანი მე-18 საუკუნის II ნახევარში, თბ., 1970, გვ. 160.

⁹ მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილთა მიერ, ტფილისი, 1905, გვ. 46.

¹⁰ Цагарели А. А., Грамоты и другие исторические документы, т. 2, вып. 2, Спб., 1902, с. 88.

გუდოვიჩისათვის არც 13 სექტემბერს იყო ცნობილი საქართველოში დატრიალებული ტრაგედია და უწინდელი გულდამშვიდებით ეკითხებოდა გრაფ ზუბოვს: „თუკი ალა-მაჰმად ხანი მართლაც შემოვა საქართველოში, რაც სრულიად დასაშვებია, და მისი გაძლიერებისა და წარმოგზავნილთა ჩემთან მოსვლის შემთხვევაში, როგორ მოვიქცე, უმოკრჩილესად გთხოვთ, მაცნობოთ თქვენი უმაღლესობის ნება-სურვილი“¹¹.

აღსანიშნავია, რომ 1793 წლის 30 მაისს რუსეთის სამხედრო საბჭომ დადგენილება მიიღო, რომლის თანახმადაც გუდოვიჩს გადაწყვეტილებების მიღებისა და საომარი მოქმედებების დაწყების საკითხში სრული თავისუფლება ენიჭებოდა, მაგრამ იქვე გამოთქმული იყო სურვილი, რომ დახმარების გაწევა რაც შეიძლება ნაკლები ზარალითა და ძალთა დანახარჯით მომხდარიყო¹².

ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, გამართლებულად უნდა ჩაითვალოს ჩვენი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ რუსეთი არ იყო მაინცდამაინც დაინტერესებული საქართველოსთვის ალა-მაჰმად ხანის შემოსევის თავიდან აცილებით. მეტად დუნედ მოქმედებდა რუსეთის დაზვერვაც. საქართველოს გადასარჩენად მოზდოკში დაბანაკებული 25 000 ჯარის „მზადყოფნაც“ თვალის ასახვევად და კეთილშობილი მფარველობის ილუზიის შესაქმნელად იყო გამიზნული. როგორც ჩანს, რუსეთის სამეფო კარს მიაჩნდა, რომ საქართველოს სხვა „ხსნის“ გზა არ ჰქონდა და ნებისმიერ შემთხვევაში იგი რუსეთთან პოლიტიკური კავშირის მოსურნე იქნებოდა, ამიტომაც 1783 წლის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით თავს არ იწუხებდა. და, თუ შემოვიდა ოქტომბრის დამლევს, მხოლოდ იმის გამო, რომ რუსეთის სამეფო კარის წინაშე ირანსა და საქართველოს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების საშიშროება დადგა.

ერეკლე მეფე 1795 წლის 17 ოქტომბრის გენერალ გუდოვიჩისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „ამა თვის 16 რიცხვს კაცის ხელით ალა-მაჰმად ხანის წერილი მივიღეთ. ჩვენგან, პირველ რიგში ჩვენი შვილის მძევლად მიცემას მოითხოვს, მეორე — საქართველოში შემოხიზნული ყარაბაღელების გადაცემას, მესამე — აზატ-ხანთან ბრძოლაში თეთრი აღმასი რომ დაგვრჩა და მეოთხე — მისმა ბრწყინვალეობამ თავადმა პოტიომკინმა რომ საათი გამომიგზავნა. მარწმუნებს, რომ, რაც უფრო ადრე ამ მის წინადადებებს შევასრულებ, თბილისში დატყვევებულთა 30 000 სულს დამიბრუნებს, ქალაქში გადამწვარს და დანგრეულს აღმიდგენს, აგრეთვე მპირდება, რომ ჩემთან სამოკავშირეო ხელშეკრულებას დასდებს“¹³.

როგორც სერობი, ასევე ანონიმი გვაწვდის ცნობას ერეკლეს მიერ იმერეთის მეფის სოლომონ მეორეს მოხმობასთან დაკავშირებით:

ანონიმი: „შემდეგ საშველად მოუხმო პატარა ქართველ მთავარს აჩხაპუ სოლომონს, რომელმაც სასწრაფოდ 12 000 მეომარი შემოიყვანა თბილისში“.

სერობი: „მოუწოდა მხოლოდ დავშიშველთა მეფეს, რადგან პატივი იყო მისთვის მოსვლა ქრისტიანთა დასახმარებლად. მოვიდა 12 000-იანი ჯარიტურთ“.

„აჩხაპუ“ ანუ „ბაში-აჩუხი“ საკმაოდ გავრცელებული ფორმაა მე-17 საუკუნის წყაროებში დასავლეთ საქართველოს ხალხის აღსანიშნავად. იგი გვხვდება როგორც ქართველ, ასევე სომეხ, რუს და ევროპელ ავტორებთან. „ბაშ“ თურქულად თავს ნიშნავს, აჩუხ კი — ღიაა, ახდელი¹⁴. სერობ გრიჩის მიერ

¹¹ იქვე, გვ. 104.

¹² იქვე, გვ. 81.

¹³ იქვე, გვ. 107.

¹⁴ ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ბაში-აჩუხის განმარტებისათვის: ავ. წერეთელი, „საიუბილეო კრებული“, თბ., 1940, გვ. 204.

გამოყენებული ფორმა „ბაცაგლუხ“ ზუსტი სომხური თარგმანია ამ სიტყვაზე.

ზოგჯერ ადგილი აქვს ამ კომპოზიტიში შემავალ ცნებათა ადგილმონაცვლეობას, რომლის თვალსაჩინო მაგალითადაც სწორედ ჩვენს წყაროში წარმოდგენილი „აჩხაშუ“ გამოდგება.

სერობისა და ანონიმის მიერ მოწოდებული ცნობა სოლომონის 12 000-იანი ჯარის შესახებ გაზვიადებული გვეჩვენება. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის ზიხედვით სოლომონს მოყოლილ მებრძოლთა რიცხვი 3000 ყოფილა, მეფის ძე თეიმურაზი 2000-ს ასახელებს, ბაგრატ ბატონიშვილის „ახალი მოთხრობა“ კი გადმოგვცემს „მეფემან ირაკლიმ მოუწოდა იმერთა მეფეს სოლომონს მხედრობითა თვისითა და მივიდა მცირითა სპითა თვისითა“, ერეკლე მეფე კი 1795 წლის 15 სექტემბერს მირიანისადმი და გარსევან ჭავჭავაძესთან გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ „მასთან, ბრძოლის დროს, იმყოფებოდა 1000-მდე მეომარი სოლომონისა“¹⁵.

სერობი და ანონიმი აღნიშნავენ, რომ სოლომონის 11000 მეომარი გაიქცა, რაც ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ერეკლეს, სოლომონსა და მის ჯარს შორის რომ ერთსულოვნება არ იყო, ფაქტია.

1795 წლის 23 სექტემბრით დათარიღებულ რაპორტში გენერალი გუდოვიჩი აღნიშნავს, რომ „თბილისთან მიახლოებისას (იმერლებს. — რ. ჯ.) არ მოუხდომებიათ ბრძოლა და დახმარების ნაცვლად თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ თბილისიდან ლტოლვილ მოსახლეობას“¹⁶. ამასვე ადასტურებენ სერობი, ანონიმი, იოანე ქართველიშვილი თავის „მემუარებში“ და დავით ბატონიშვილი: „ხოლო დღესა მეორესა, ვინაითგან იმერთა იწყეს ტყვევნა აყრილთა მათ მცხოვრებთა ტფილისისათა, არღარა უვიდოდა ორთავე მეფეთა მკედრობა უმეტეს ათას ხუთასისა კაცისა“¹⁷.

სერობისა და ანონიმის ცნობები გარკვეულწილად განსხვავდება ერთმანეთისაგან ერეკლეს ჯარის რაოდენობრივი აღნიშვნის თვალსაზრისით.

სერობი: „გამოვიდა ქალაქიდან 1795 წლის 9 აგვისტოს ამ დარჩენილი 1000 და 2000 ერთგული კაციტურთ, თავისი მხედრობით, თან ჰქონდა 11 ევროპული ზარბაზანი 300 მეთაურითა და ორი მთავარსარდლით“.

ანონიმი: „ხოლო ერეკლესეული 2000, 11 ევროპული ზარბაზანი, 3000 გამოცდილი (მეომარი), 20 წინამძღოლი და ორი სახელოვანი მხედართმთავარი“.

დღევანდელ ქართულ მეცნიერებაში ერეკლეს ჯარის აღიარებულ რაოდენობად 5 000-ია მიჩნეული, რაც დასტურდება დავით გიორგის ძის და თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულებებით. მაგალითად, ბაგრატ ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ საბრძოლველად გასული სოლომონისა და ერეკლეს „სპა“ 2 000 კაცს არ აღემატებოდა, ხოლო ერეკლე II-ის შვილიშვილის, ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის თანახმად — „ოცი ათასი ქართველი ჯარის მაგიერად ორი ათასი კაციც ძლივს უდგა გვერდით ირაკლის“¹⁸.

თვით ერეკლე მეფე თავის წერილში არც თავისი და არც მოწინააღმდეგის ჯარის კონკრეტულ რაოდენობას არ ასახელებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ „ჩვენ

¹⁵ Цагарели А. А., *დასახ. ნაშრ.*, გვ. 105.

¹⁶ იქვე, გვ. 108.

¹⁷ დავით ბატონიშვილი, *ახალი ისტორია, გამოსცა თ. ლომოურმა*, თბ., 1941, გვ. 23.

¹⁸ ირაკლი II-ის შვილიშვილის თ. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის დღიურიდან, *ქურონალი „ქედი“*, 1895, № 39, გვ. 8.

სამგზის დავამარცხეთ ის (ალა-მაჰმად ხანი. — რ. ჯ.), მაგრამ მათი რაოდენობა გაცილებით დიდი იყო¹⁹.

ორივე წყარო ერეკლესაგან განმდგარ ალა-მაჰმად ხანის მომხრეებად ჯავად ხანსა (ანონიმთან — ჯავატა. — რ. ჯ.) და მელიქ მეჰნუნს ასახელებს.

ანონიმი: „ისიც შეიტყო (ერეკლემ. — რ. ჯ.), რომ ალა-მაჰმად ხანის მოკავშირეები გამხდარიყვნენ ორი ხანი არარატის გავარისა და კენჭესი — ჯავატა და მელიქ მეჰნუნი, რომელნიც მეგობრებად მიაჩნდა და შეელას მოელოდა. საჭურისის კენჭეში მიწვენისას (ან შიშის, ან ხანგრძლივი შურის გამო ერეკლეს მიმართ) წარსდგნენ საჭურისის წინაშე, მორჩილება აღუთქვეს და დაპირდნენ, რომ საქართველოს ქართველთაგან გაწმენდნენ“.

სერობი, ანონიმისაგან განსხვავებით, ხანების განდგომის მიზეზთა ახსნისას არ ყოყმანობს და გარკვევით ამბობს: „ვინაიდან ორივენი (ჯავად ხანი და მელიქ მეჰნუნი. — რ. ჯ.) ერეკლე მეფის დაუძინებელი მტრები იყვნენ“.

რას უნდა გამოეწვია ასეთი მტრობა და შურისძიების სურვილი?

ერთი ქართული წყარო მელიქ მეჰნუნის ერეკლესაგან განდგომისა და სიძულვილის მიზეზად ასახელებს ერეკლეს გულმოწყალე დამოკიდებულებას ნუხის მთავრის — იბრაიმ ხანის მიმართ: „ერეკლემ ერთადერთი ხალხი, რომელიც მაჰმადიანობისაგან შეწუხებული იყო, ე. ი. სომხებიც გადაიმტერა მითი, რომ ყარაბაღის მელიქები უმსხვერპლა ნუხის ხანს — იბრაიმ ხანს. ეს შაჰი შირვანის მმართველი საზოგადოთ სასტიკად ეპყრობოდა თავის ქვეშევრდომ სომხებს, რომლებიც იმ დროს კარგად გამდიდრებულნი იყვნენ ვაჭრობით. როგორც კი ფული დასჭირდებოდა სამხედრო მომზადებისათვის, იბრაიმ ხანი მაშინვე მიმართავდა სომხების ვაჭრებსა და მელიქებს და, თუ ისინი გაუძლიანდებოდნენ, შეიპყრობდა მათ, წაართმევდა ქონებას და ხშირად ადგილმამულსაც. ამ სახით მან ორს დიდი შეძლების მეპატრონე სომხის მელიქებს — მეჰნუნს და აჰოს ააღებინა ხელი თავის ქონებაზე. ისინი გამოიქცნენ მეფე ერეკლესთან და მას მფარველობა სთხოვეს. ირაკლიმ არამც თუ არ უპატრონა მათ, არც კი ინახულა ისინი. ამას დიდი გავლენა ჰქონდა სომხეთის ხალხზე და მის კათალიკოს ლუკაზე“²⁰.

იბრაიმ ხანისა და ერეკლეს კეთილგანწყობილ დამოკიდებულებასა და მოკავშირეობას არაერთი ქართული წყარო ეხება. დავით ბატონიშვილის ცნობით, ერეკლემ და იბრაიმ ხანმა 1778 წელს „ქკს უფე ალაღეს განჯა და შეიპყრეს მაჰმად ხან განჯისა სახლეულითურთ, რომელიცა წარიყვანა იბრაიმ ხანმან შუშისამან ტყუშდ და დაადგინეს ორთავე გამგენი თვისანი. დაადგინა ენდრონიკაშვილი ქაიხოსრო მდივან ბეგი, ხოლო იბრაიმ ხანმა დაადგინა ევზირი თვსი აზრათ ყული ბეგ მარტყოფელი... და ესენი მართვიდნენ განჯას ურთიერთას კითხვითა“²¹.

ამასვე ადასტურებს ომარ ხერხეულიძეც: „მეფე ერეკლე შუშის იბრაიმ ხანს სწყალობდა და ენდობოდაო“, — წერს იგი და აღნიშნავს, რომ განჯის ხანი შავერდი ხანის შვილი ჯავადი გაძევებული იყო განჯიდან ორგულობისა და გაიძვერობის გამო ერეკლეს მიმართ. მოგვიანებით ერეკლემ ჯავად ხანი „დააფიცა ერთგულებაზე და განჯა ისევ იმას უბოძა“²². ...მაგრამ 1791 წელს ირანის მბრძანებლების მიერ აზერბაიჯანის დამორჩილების შედეგად ქართლ-კახეთის სამეფომ დაკარგა განჯის სახანო²³.

¹⁹ Цагарели А. А., დასახ. ნაშრ., გვ. 105.

²⁰ ჟურნალი „კვალი“, 1895, № 39, გვ. 7.

²¹ დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გვ. 14.

²² ომარ ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, თბ., 1989, გვ. 99.

²³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი 4, თბ., 1973, გვ. 754.

მართლაც, ამ ურთულეს ვითარებაში, ალა-მაჰმად ხანის შემოსევისას ერეკლეს ერთადერთ მოკავშირედ იბრაიმ ხან შუშელი რჩებოდა, რომელიც თავის „მტკიცე, ქვითნაგებ ციხეში“ გამაგრდა და ალა-მაჰმად ხანს მორჩილებაზე გადაჭრით უარი შეუთვალა. მართალია, ერეკნის ხანმა ჰუსეინმაც სცადა ყაჯარ-სათვის წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მალე „იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა მას“²⁴.

ერეკნისა და ყარაბაღის ხანები რომ თავიდანვე ალა-მაჰმადის მოწინააღმდეგენი იყვნენ, დასტურდება იმ ფაქტითაც, რომ 1794 წელს მათ კონსტანტინოპოლში დესპანი გაუგზავნიათ და ალა-მაჰმად ხანისაგან დაცვა უთხოვიათ, მაგრამ ამოდ, სულთანს ისინი უარით გამოუსტუმრებია²⁵.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვითომდა კეთილგანწყობილი, მეგობრული დამოკიდებულება მეტად არამყარია იყო და არასაიმედო. ერეკლეს ხშირად უხდებოდა განმდგარი სახანოების ხელახალი დამორჩილებისათვის ბრძოლა. ჯერ კიდევ 1753 წელს მას განუდგნენ განჯის, ყარაღალის და შუშის ხანები, „წელსა 1780-სა ქ(ორონიკონ)ს უმც ერეკნის ხანი უსეინ ალი უკუდგა და არღარა მისცა ხარკი ერეკლეს“²⁶. მაგრამ მეფეს ერეკნის ხანი მორჩილებაში მოუყვანია. 1783 წლის სიგელში იგი აღნიშნავს, რომ იგი არის „მეფე ქართლისა და მეფე კახეთისა, მემკვდ(რ)ე მთავარ სამცხე საათაბაგოსა, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა, მთავარი შირვანისა, მკყრობელი და მბრძანებელი განჯისა, ერეკნისა და სხვათა“²⁷.

მოგვიანებით იბრაიმ ხანსა და ერეკლეს შორის ურთიერთობა მეტად დაძაბულა. იბრაიმ ხანმა, რომელიც ფათალი ხანს ებრძოდა განჯის დაუფლებისათვის, ერეკლეს დახმარებისათვის მიმართა. ერეკლეს არ შეეძლო დაეშვა იბრაიმ ხანის განჯაში გაბატონება, რადგან, როგორც ბურნაშევი აღნიშნავს 1796 წლის 1 ივნისს პ. ს. პოტიომკინისადმი გაგზავნილ წერილში, „თბილისი ვაჭრობის თვალსაზრისით დიდ ზარალში აღმოჩნდებოდა“, ამიტომაც იბრაიმ ხანის თხოვნას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია²⁸.

საპასუხოდ იბრაიმ ხანი თბილისელი ვაჭრების შევიწროებას შეუდგა და მაღალი გადასახადი დაადო. როგორც ერეკლე აღნიშნავს, იმასაც შეეცადა, რომ „ერევანი საქართველოსათვის ჩამოეცილებინა და თვითონ დაპატრონებოდა“²⁹.

1787 წლის დასაწყისში კონფლიქტი ერეკლესა და იბრაიმ ხანს შორის იმდენად გამწვავებულა, რომ ერეკლეს 6 000-იანი შეიარაღებული ჯარი შეუკრებია და ბურნაშევისათვის ყარაბაღზე ლაშქრობის მოწყობის თხოვნით მიუმართავს, მაგრამ ბურნაშევს უარი განუცხადებია იმ მოტივით, რომ „ყარაბაღი ირანის სამფლობელოა“³⁰.

ქართულ წყაროში გადმოცემული ცნობა იბრაიმ ხანისადმი სომხების მტრული დამოკიდებულების შესახებ იმითაც დასტურდება, რომ ერეკლე „იბრაიმ ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში იმედებს სწორედ სომეხი ხალხის მხარ-

²⁴ Бутков П. Г., Материалы для новой истории Кавказа, Спб., 1869, с. 258.

²⁵ იქვე, გვ. 249.

²⁶ ომან ხერხეულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

²⁷ საისტორიო მოამბე, ტ. I, თბ., 1945, გვ. 24.

²⁸ Маркова О. П., Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М., 1966, с. 227.

²⁹ Армяно-русские отношения в XVIII веке, Ереван, 1990, с. 345.

³⁰ Маркова О. П., დასახ. ნაშრ., გვ. 227.

დაქერაზე ამყარებდა“³¹. დიდი ხნის მტრობამ ახლა აშკარად იჩინა თავი და ახალი ძალით იფეთქა. „მელიქი აპო და მეჰნუნი, რომლებიც წლების განმავლობაში მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ იბრაიმ ხანთან, ახლა უკვე თამამად გამოვიდნენ მის წინააღმდეგ“³².

მხოლოდ „ყაჯართა საშინოროებაჲ“ აიძულა მოწინააღმდეგენი ერთიანი ძალებით ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ.

Р. Г. ЧУБАВРИЯ

**«КРАТКАЯ ИСТОРИЯ СОЖЖЕНИЯ СТОЛИЦЫ
ФАИТАКАРАН АГА-МАГОМЕТ
ХАНОМ 11 СЕНТЯБРЯ 1795 ГОДА» СЕРОБА ГРИЧА**

Резюме

Как грузинская, так и армянская историография богата источниками, касающимися вторжения Ага-Магомет Хана в 1795 году в Закавказье. Среди имеющихся источников значительное место занимает «Краткая история сожжения столицы Фаитакаран Ага-Магомет Ханом 11 сентября 1795 года» Сероба Грича. Этот письменный источник в виде рукописи хранится в Грузинском Государственном Институте рукописей имени К. Кекелидзе под номером 22.

Автор — свидетель происшедшего. Во время вторжения Ага-Магомет Хана Сероб Грич находился в Грузии, так что события, описанные им, достойны внимания.

Автор приводит интересные сведения о политическом курсе Ага-Магомет Хана, о взаимоотношениях его и Ираклия II с Гудовичем, также о сторонниках и противниках Ираклия II, о тяжелейшем политическом положении тогдашней Грузии и т. д.

Предлагается грузинский перевод полного текста «Краткой истории сожжения Ага-Магомет Ханом столицы Фаитакаран 11-го сентября 1795 года».

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. გეახარიამ

³¹ იქვე, გვ. 234.

³² იქვე, გვ. 286.

მ ო ზ ო ნ ე ბ ა ნ ი

ალექსანდრე ბარამიძე

ზვინად გამსახურდია

(მოგონებათა კვალდაკვალ)

1974 წლის 29 მარტს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მორიგი არჩევნები იყო დანიშნული. ენისა და ლიტერატურის განყოფილებაში საექსპერტო კომისიისა და ხმის დამთვლელი ჯგუფის თავმჯდომარე ვიყავი. აკადემიკოსი კონსტანტინე გამსახურდია მძიმე ავად ბრძანდებოდა და განყოფილების საერთო კრების სხდომას ვერ ესწრებოდა. ხმის დამთვლელი კომისიის წევრის სერგი ჯიქიას თანხლებით ბატონ კონსტანტინეს შინ (კოლხურ კოშკში) ვეახელი საარჩევნო ყუთით. ავადმყოფი დიდ დარბაზში იწვა. დარბაზი ჩამობნელებული მეჩვენა. მკაცრი და სევდიანი განწყობილება სუფევდა.

ბატონმა კონსტანტინემ ძალა მოიკრიბა, ყურადღებით მოგვისმინა, საარჩევნო ბიულეტენები შეავსო, დაკეცა და ყუთში ჩაუშვა. შემდეგ შინაურები და სტუმრები დროებით დაითხოვა. დაგვტოვა მხოლოდ მისი ვაჟი ზვიადი და მე. ახლოს მოდიით. მცირეოდენი პაუზის შემდეგ სუსტი, დაბალი ხმით მომმართა: ბატონო ალექსანდრე, თქვენ ყმაწვილობის დროიდან გიცნობთ და გაფასებთ. ხომ ხედავთ დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია (მართლაც კონსტანტინე გამსახურდია ერთი წლის შემდეგ, 1975 წლის 17 ივლისს გარდაიცვალა). უმწეოვ მრჩება ჩემი ზვიადი. მამას არ შეჰფერის შეილის ქება, მაგრამ, ვერ დავფარავ, ნამდვილად კარგი ახალგაზრდაა, ნიჭიერი, ბეჯითი, განსწავლული ფილოლოგი, უცხო ენების მცოდნე, მკვლევარი და მწერალი. მომაკვდავი მამა თქვენ გაბარებს თავის შეილს, გაუწიეთ მფარველობა, უხელმძღვანელოთ, თქვენთან აიყვანეთ მეცნიერ თანამშრომლად ლიტერატურის ინსტიტუტში, მერწმუნეთ, არც თქვენ შეგარცხვენს, არც ინსტიტუტს, არც მამამისს.

მე გულდასმით მოვუსმინე ბატონ კონსტანტინეს, ვუსუტრვე გამოჩანმრთელება (ამაზე ხელი ჩაიქნია), მადლობა მოვახსენე ნდობისათვის, აღვუთქვი, რომ ძალღონეს არ დავიშურებდი და მონდომებით შევეცდებოდი მისი დანაბარების შესრულებას. გამოვემშვიდობე, ხელი ჩამოვართვი (გაღეული, გამხდარი და ცივი ხელი ჰქონდა) და დარბაზი დავტოვე (სევდიან გუნებაზე დავდექი).

ამ ამბის შემდეგ ბატონი კონსტანტინე ცოცხალი აღარ მინახავს. მის გარდაცვალებას მივუძღვენი პატარა წერილი — „მწერალი, მეცნიერი, მამული-შვილი“ („კომუნისტი“, 22. 7. 75).

ადვილი არ აღმოჩნდა ბატონ კონსტანტინეს დანაბარების შესრულება. ზვიად გამსახურდია მანამდის მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტში ინგლისური ენის მასწავლებლად და ამერიკული ლიტერატურის ლექტორად. მთავარი ის იყო, რომ ზვიადი საშიშ დისიდენტად ითვლებოდა და ორჯერ იყო რეპრესირებული. ამიტომ ყველა ფრთხილობდა. პირველად აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი სერგი დურმიშიძე ვინახულე. მან მხარი დამიჭირა. ორივე ვეახელით პრეზიდენტს, ბატონ ილია ვეკუას და ჩვენი სათხოვარი მოვახსენეთ. ბატონ ილიას უარი არ უთქვამს, აღნიშნა, რომ ზვიად გამსახურდიას მოწვევა ადვილი საქმე არ არის, სხვადასხვა ინსტანციაშია საკითხი შესათანხმებელი. შევეცდები საქმე მოვაგვარო. რამდენადაც ვიცი, პრეზიდენტმა საჭირო ინფორმაცია მოთხოვა აკადემიის სპეცგანყოფილებას, დაუკავშირდა „ზემდგომ ორგანოს“.

საქმე გაჭიანურდა. ბატონი კონსტანტინე ღელავდა. საყვედურის ბარათიც მოჴწერა:

„ბ-ნო ალექსანდრე!

როდესაც თქვენ ჩემთან მობრძანდით ამას წინად, არჩევნების დროს, დამპირდით, რომ შუამავლობას აღძრავდით ჩემი ვაჟის მისაღებად თქვენს ინსტიტუტში. ნეტავ რა დაგიშავათ ჩემმა ვაჟმა იმისი ფასი, რომ უარს ეუბნებით შუამავლობაზე? მე თქვენგან არ მოველოდი ამას.

კონსტანტინე გამსახურდია

24 დეკემბერი, 1974.

P. S. მე მგონი, როდესაც ბუდენზიგი ჩამოვიდა საქართველოში, თქვენ არ აღმოგაჩნდათ სპეციალისტი რუსთველოლოგი, რომელიც შესძლებდა გერმანული თარგმანის შემოწმებას და თქვენ ოფიციალურად მოსწერეთ ჩემს ვაჟს, შეემოწმებინა მისი თარგმანი“.

ამ ბარათის პოსტსკრიპტუმიდან ჩანს, რომ ბატონ კონსტანტინეს არ ჰქონდა სრული ინფორმაცია. სწორია, რომ ზვიად გამსახურდიამ ვეფხისტყაოსნის ენისა და გერმანულის კარგი ცოდნით დიდი სამსახური გაუწია ბუდენზიგს. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ლიტერატურის ინსტიტუტის განკარგულებაში იყო ვეფხისტყაოსნის ტექსტის მიხაკო წერეთლისეული გერმანული პწკარედი თარგმანი. ამ პწკარედის შესამოწმებლად, ახალი მონაცემებით შესავსებად და შესასწორებლად მუშაობდა გერმანისტთა სპეციალური ჯგუფი (ნელი ამაშუკელი, ნათელა ხუციშვილი და დავით ლაშქარაძე). ამ ჯგუფს კვალიფიციურაა და ქმედითს კონსულტაციას უწევდა ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის¹ დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის წევრი, სწავლული მდივანი გურამ კარტოზია.

ვიმეორებ, ზვიად გამსახურდიას ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლად აყვანა მარტო ჩემზე როდი იყო დამოკიდებული. ამისათვის სუბორდინაციის გარკვეული ჯებირი არსებობდა. როგორც ჩანდა, საქმეს აბრკოლებდა და აჭიანურებდა აკადემიის სპეცნაწილი. ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ბატონ კონსტანტინეს მოვერიდე და საკითხის დელიკატური მხარე ვერ გავაცანი. ბოლოსა და ბოლოს, 1976 წლიდან, მოხერხდა ზვიად გამსახურდიას ლიტერატურის ინსტიტუტის შტატში ჩარიცხვა უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე (მას უკვე ჰქონდა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი). მაგრამ, ვაი რომ ბატონი კონსტანტინე გამსახურდია მაშინ ცოცხალი აღარ იყო! ზვიადმა ირჩია ინსტიტუტის რუსთველოლოგიური განყოფილება. შეეარჩიეთ მიმდინარე და პერსპექტიული სამუშაო გეგმები. შევთანხმდით სადოქტორო თემაზე („ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“). ზვიადი პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. მისივე აღიარებით, „ინსტიტუტში შესანიშნავი პირობები შეექმნა მეცნიერული მუშაობისათვის“. ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთათვის დაწესებული გვქონდა ე. წ. „ბიბლიოთეკის დღე“, რაც იმას ნიშნავდა, რომ კვირაში ორ დღეს სავალდებულო არ იყო სამსახურში გამოცხადება, ის დღეები განკუთვნილი იყო წიგნთსაცავებში, მუზეუმებსა და არქივებში, ან შინ სამუშაოდ. ნაყოფიერ კვლევა-ძიებითს საქმიანობასთან ერთად ზვიადი წარმატებით მოღვაწეობდა მხატვრული მწერლობის სფეროში. ასე გაგრძელდა თითქმის ორი წელიწადი. 1977 წლის პირველ აპრილს ზვიად გამსახურდია ჯერ პწერალთა კავშირიდან გარიცხეს¹, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ დააპატიმრეს და გაა-

¹ გურამ პეტრიაშვილი, ნულარ დავიძეებთან ცოდვებს („ახალგაზრდა ივერიელი“, 20.10.90, გვ. 11).

სამართლეს პოლიტიკური ხასიათის ბრალდებების წაყენებით. თავის ინტერ-
ვიუში, რომელიც ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა (1990, № 2), ზვიადი იგო-
ნებს, რომ 1976 წელს მერაბ კოსტავასთან ერთად შექმნა „პელსინკის ჯგუფი“
და სცემდა (რასაკვირველია, არალეგარულად) „ოქროს საწმისს“ (1975 წ.) და
„საქართველოს მოამბეს“ (1976 წ.), მაგრამ უკვე 1977 წელს, „საქარ-
თველოს მოამბის“ მეორე ნომრის გამოცემის შემდეგ ჩვენ ძალე დაგვა-
პატიმრესო (გვ. 98). სხვაგან აზუსტებს დაპატიმრების თარიღს: „დამაპატიმრეს
1977 წლის 7 აპრილსო“ („ქართული მიწის ძალა“, გაზ. „ახალგაზრდა ივერიე-
ლი“, 31.3.90.). მან ბევრი ტანჯვა-წამება გადაიტანა მოსკოვის ფსიქიატრულ
სპეცციხეში, თუ „სუკის“ საპყრობილეში და ისევ თბილისში დააბრუნეს. „სა-
ფრანგეთის ფსიქიატრებმა და აკადემიკოსმა ა. სახაროვმა მიხსნესო“ („ქართუ-
ლი მიწის ძალა“). თბილისში ზ. გამსახურდია სასამართლოს წინაშე წარდგა.
სასამართლომ მოგვთხოვა ზ. გამსახურდიას დახასიათება. გავგზავნეთ მისი
კარგი დახასიათება როგორც ადამიანისა, მეცნიერისა და თანამშრომლისა. თა-
ვის მრავალმხრივ საყურადღებო წერილში — „შეიცან სკამი შენი, ანუ ესეც
თქვენი გარდაქმნა“ (გაზ. „კომუნისტი“, 16.2.90) ზვიად გამსახურდია გვიამ-
ბობს, რომ ტაქტიკური მოსაზრებით „გადაწყვეტიტე შემეცვალა კურსი და პო-
ზიცია“, გარეგნულად „მოვინანიე“ და ვითხოვე პატიებაო. ვფიქრობდი, პატიმ-
რობათავდალწეული გავაგრძელებდი ბრძოლას, რითაც მეტ სამსახურს გავუ-
წევდი ჩემს ხალხსო. წინააღმდეგ შემთხვევაში (ე. ი. მოუწინააღმდეგებლობის შე-
თხვევაში. — ა. ბ.) მემუქრებოდა საქართველოდან გაძევება და ემიგრანტობაო.
აღნიშნულს ზ. გამსახურდია საგანგებოდ დასძენს: „მართალია, პატიების შეს-
ახებ ჩემს განცხადებაში არის არაგულწრფელი მომენტები, და ჩემთვის უჩვეუ-
ლო ფრაზეოლოგია, მაგრამ განა დიდი ილია გულწრფელი იყო, როდესაც ტაქ-
ტიკური მოსაზრებით აღიღებდა საქართველოს ანექსიას რუსეთის მიერ შეერ-
თების 100 წლისთავის იუბილეზე, რათა ამ გზით შეენარჩუნებინა ერთადერთი
ქართული გაზეთი და გადაერჩინა ეროვნული საქმე?“.

მერაბ კოსტავა ადასტურებს, რომ მან იცოდა და იწონებდა თავისი მეგობ-
რის, ზვიად გამსახურდიას, ნაბიჯს. სხვაგვარად, უმეთაუროდ, ეროვნულ-გან-
მათავისუფლებელი მოძრაობა შეფერხდებოდაო. 1990 წლის 31 აგვისტოს თა-
რილით (გაზ. „Молодежь Грузии“, № 34) დაბეჭდილია ზვიად გამსახურდიას
ერცელი წერილი „Письмо бывшему благодетелю“ (გვ. 5, 14). წერილში
ჩართულია მერაბ კოსტავას განცხადება (1987 წლის მაისის თარიღით), მარტა-
ლია, რუსული თარგმანის სახით. მ. კოსტავა ამბობს, რომ ის არა მარტო იწო-
ნებდა ზვიადის ნაბიჯს (ლაპარაკია „მონანიებაზე“), არამედ იმჟამინდელ სიტუ-
აციაში ამას თვლიდა აუცილებლად.

პატიმრობას თავდალწეულმა ზ. გამსახურდიამ მოაკითხა ლიტერატურის
ინსტიტუტს. „გთხოვთ აღმადგინოთ თქვენს ინსტიტუტში უფროხი მეცნეირა
თანამშრომლის თანამდებობაზე რუსთველოლოგიის განყოფილებაშიო“, —
მწერდა ის 1979 წლის 10 ოქტომბერს. თხოვნა მაშინვე დავაკმაყოფილე. ლიტე-
რატურის ინსტიტუტში „მუშაობა განვაახლე 1979 წლიდან და ვმუშაობ დღემ-
დეო“, — წერს ზვიადი ავტობიოგრაფიაში (12.3.85). მან ახალი ენერგიითა
და დიდი გულმოდგინებით განაახლა შეწყვეტილი მუშაობა. რა თქმა უნდა,
ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ზ. გამსახურდია ადრინდელი გატაცებითვე უძღვე-
ბოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმეს (ეს კია, თითქოს
მოქმედებდა უფრო წინდახედულად და სიფრთხილით). ხიფათმა მაინც ხანა
არ დააყოვნა.

1981 წლის 29 ოქტომბერს გაზეთ „მცხეთაში“ (№ 125) გამოქვეყნდა მწვავე
კილოთი დაწერილი დიდი სტატია — „მოთმინებასაც საზღვარი აქვს, ანუ ხუ-
ლიგნები «მორწმუნეთა» როლში“. წერილის ავტორად გამოცხადებულია

გიორგი მამულაშვილი. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ავტორის ვინაობა იყო შენიღბული, რეალური ავტორი გახლდათ გავლენიანი პარტიული ფუნქციონერი ცენტრალური კომიტეტიდან. ფსევდონიმს ამოფარებული ავტორი მოგვითხრობს, რომ სვეტიცხოვლობის დღეს, 14 ოქტომბერს, 20—25 კაცისაგან შემდგარ ახალგაზრდათა ჯგუფმა ტაძრის ეზოში „ატეხა აურზაური“ და „აყალმაყალი“, „მოაწყეს სალაყბო“, დაურღვიეს მყუდროება დღესასწაულზე მოსულ სტუმრებს (მათ შორის საზღვარგარეთიდან ჩამოსულ სტუმრებს). იმ ახალგაზრდების საქციელს გამოუწვევია სტუმრების გაოცება. ახალგაზრდებზე არც „შეგონებამ გაჭრა, არც თხოვნამ“. „მორწმუნე «ხულიგნები» თურმე არ დაემორჩილნენ წესრიგის დამცველებს, აიკლეს ისინი მუქარით და „ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს“. დებოშის მომწყობნი ისე „გათავხედნენ“, რომ აუცილებელი გახდაო თბილისის მილიციის გამოძახება. აწერილი ამბების მთავარი „გმირი“ თითქოს ყოფილა ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ზვიად გამსახურდია, ხოლო მისი „ამქრები“ — თბილისის უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები (ერთიც დიმიტროვის სახელობის ქარხნის მუშა). წერილის ავტორი ახალგაზრდობის აღზრდისადმი უყურადღებობისა და თავის ნებაზე „მიშვებულობისათვის“ ადანაშაულებდა დამოწმებული დაწესებულებების ხელმძღვანელებს. პირველ რიგში დასახელებული იყო „ლიტერატურის ინსტიტუტის პატივცემული დირექტორი აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე“. მაშინ როდესაც „მუშა დაზგასთანაა, გლეხი ვენახში“, ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი „სამუშაო საათებში ქუჩა-ქუჩა უნდა დადიოდეს? გვითხარით, რას ჰგავს ეს?“. ინსტიტუტში „სადავემიშვებულობის განწყობილება“ სუფევსო, წერდა ავტორი და მოჩვენებითად ზრდილობიანი, მაგრამ აშკარა მუქარის ფორმით გვაფრთხილებდა: „გვაპატიეთ ასეთი სითამამე, მეტის მოთმენა, მართლა, აღარ შეგვიძლია“.

შეიქმნა საგანგაშო სიტუაცია.

„ახსნა-განმარტებისათვის“ სასწრაფოდ დამიბარა პარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა თენგიზ მენთეშაშვილმა.

თ. მენთეშაშვილის შემოტევას მოველოდი და მზად ვიყავი პასუხის გასაცემად (ზვიადისაგან მქონდა საჭირო ინფორმაცია). მას განვუმარტე, რომ ჩვენს ინსტიტუტში დამკვიდრებული წესის თანახმად, 14 ოქტომბერს ზ. გამსახურდიას ბიბლიოთეკის დღე ჰქონდა და თავისუფალი იყო ინსტიტუტიდან. მას სასახურებრივი დისციპლინა არ დაურღვევია. რაც შეეხება ინცინდენტს სვეტიცხოვლის ეზოში, ამის გარკვევა ევალება მილიციასა და საგამომძიებლო ორგანოებს-მეთქი. ოღონდ ის ფაქტი, რომ თბილისის მილიციის უფროსმა კვანტალიანმა ზ. გამსახურდიამ დაკითხვის შემდეგ მსჯავრდაუდებლად გაათავისუფლა, მის სასარგებლოდ ლაპარაკობს. მაშინ მენთეშაშვილმა მოიგონა, თითქოს ყოფილა შემთხვევაო, როდესაც თქვენი ნებაართვით სამსახურში გამოუცხადებლობა გამსახურდიამ ანტისაბჭოური ქმედობისათვის გამოიყენაო. ამიტომ მას უნდა შეუტყვალათ მუშაობის რეჟიმი, გაუუქმონ ბიბლიოთეკის დღე და მუდმივი კონტროლის ქვეშ იყოლიოთ. მე კატეგორიული ფორმით განვუცხადე, რომ ზ. გამსახურდიას მუშაობის დაწესებულ რეჟიმს ვერ შევუცვლი. ინსტიტუტი აკონტროლებს თავისი თანამშრომლების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიმდინარეობას. ინსტიტუტის გარეთ თანამშრომლებს ვერავითარ კონტროლს ვერ დავუწესებთ. ასეთ ფუნქციას ჩვენ ვერ ვიკისრებთ-მეთქი, დავასკვენი. არ ვიცი, რამდენად კმაყოფილი დარჩა მენთეშაშვილი ჩემი ახსნა-განმარტებით; ბოლოს მითხრა, ჩვენ ერთად უნდა დავეხმაროთ გამსახურდიას, რომ ცხოვრების სწორ გზაზე დადგეს იგიო. ჩვენი დიალოგი ამით დამთავრდა.

თუმცა წამოსვლის წინ შემახსენა, გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის გამო წერილობითი პასუხი უნდა გასცეთ შესაფერის ორგანოებს.

ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ თავის სხდომაზე განიხილა გაზეთ „მცხეთის“ პუბლიკაცია და პასუხი გაუგზავნა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, თბილისის საქალაქო კომიტეტს, კალინინის რაიკომს, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს და გაზეთის („მცხეთის“) რედაქციას. სამეცნიერო საბჭო ოფიციალურად, უკეთ, ფორმალურად, იძულებული შეიქმნა გაეფრთხილებინა ზვიად გამსახურდიას, რომ მას თავი გაენებებია „გარეთ“ სიარულისათვის. ეს იყო მაშინ მიღებული და დაკანონებული დადგენილების სტანდარტული ფორმა. რეალურად კი არც მაშინ და არც შემდეგ მისთვის ადმინისტრაციული ხასიათის არავითარი შენიშვნა არ მიგვიცია.

რალა თქმა უნდა, ზ. გამსახურდიას „დისიდენტური“ მოღვაწეობა არა თუ შეუწყვეტია, არამედ უფრო გაშალა და გაათართოვა.

...ახლა მოვლენებს წინ უნდა გავუსწრო და მოვიგონო ერთი გვიანდელი ამბავი. 1990 წლის 20 თებერვალს ზვიად გამსახურდიამ ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე წაიკითხა საინტერესო მოხსენება — „ალეგორიული მეთოდის ევოლუცია ანტიკურობასა და შუა საუკუნეებში“. მოხსენების გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მეც მივიღე მონაწილეობა. ჩემს სიტყვაში ხაზი გავესვი იმას, რომ, მიუხედავად საქვეყნო-საზოგადოებრივი საქმით უზომოდ დატვირთვისა, ზ. გამსახურდია მაინც ახერხებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და ამ მუშაობის შედეგს აცნობს ინსტიტუტის კოლექტივს. დღევანდელი მოხსენება ეხება-მეთქი ურთულეს სამეცნიერო პრობლემას. ზოგი რამე შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ მოსაწონი და მისასალმებელია, რომ ზ. გამსახურდია წარმატებით უთავსებს ერთმანეთს სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ეგოდენ საპასუხისმგებლო ორივე სფეროს.

მართლაც, შედარებით მცირე დროის განმავლობაში ზ. გამსახურდიამ გამოაქვეყნა არაერთი ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა განსაკუთრებით რუსთველოლოგიის დარგში.

ამასობაში პოლიტიკური ამინდიც შეიცვალა. დაბერა გარდაქმნისა და საჯაროობის სიომ, ტაბუ მოეხსნა ზ. გამსახურდიას საზოგადოებრივ საქმიანობას, მძლავრად ამოქმედდა მისი ნამდვილად საკვირველი დაუშრეტელი ენერგია. გახშირდა მისი გამოსვლები სხვადასხვა თავყრილობებზე (დედაქალაქში და პერიფერიებში) ტელევიზიით და რადიოთი. ბევრი იბეჭდება პრესაში მისი პუბლიცისტური წერილები, ინტერვიუები, მოწოდებანი, მიმართვანი, დეკლარაციები და ა. შ. კვლავ ვიტყვი, ასეთი დამქანცავი საზოგადოებრივი მოღვაწეობის დროსაც კი ის არ ანელებს სამეცნიერო მუშაობას (თუმცა მეორე სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, უკეთ, გასაფორმებლად, ვერ მოიცალა).

საოცარი ის არის, რომ თითქოს საყოველთაო ტაბუაქსნილობის დროსაც იწვნია ზ. გამსახურდიამ საბჭოთა ხელისუფლების უსამართლოდ რეპრესირების სუსხი. 9 აპრილს მოპყვა მისი ხელახალი დაპატიმრება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად. 9 აპრილი უმაგალითო ტრაგედია იყო მრავალი უბედურების გადამტანი ჩვენი ხალხის მიერ. 9 აპრილმა შეძრა და შეაძრწუნა მთელი ჩვენი ხალხი. შეაძრწუნა და გამოაფხიზლა, თვლები აუხილა, მტერ-მოყვარე გაარჩევინა, ახალი მძლავრი იმპულსი მისცა ეროვნული მოძრაობის საკმაოდ მტკიცედ ფეხადგმულ საქმეს. ღრმად ხანდაზმული კაცის ჩემი სუსტი ხმაც დავაწიე ამ მოძრაობას და მოურიდებლად ვაჩიხილე საბჭოთა მხედრიონის ყიზილბაშური მხეცობის საშინელება. ზ. გამსახურდიასა და მისი ამხანაგების სადილეგოდან გამომხსნის მოთხოვნას, რასაკვირველია, მხარი ავუბი (გაზეთი „თბილისი“, 15. 5. 89).

ვერ დავმაღავ, მე გულს მიკლავს ჩვენს ეროვნულ მოძრაობაში ბოლო-დროინდელი ბოლომოუღებელი გათიშულობა, მტრულ მოპირდაპირე ბანაკებად განლაგება. ძალების დაქსაქსება და შუღლი აძაბუნებს ეროვნულ მოძრაობას, მტერს ახარებს, ხოლო მოყვარეს უიმედობისა და უნდობლობის, გულგატეხილობის შხამით წამლავს.

ჩვენ დაუბრკოლებლად ვუბეჭდავდით ზვიად გამსახურდიას მის ნაშრომებას, რასაც კი ის სთავაზობდა „მაცნეს“ რედაქციას, ან „ლიტერატურულ ძიებებსა“ და მეცნიერებათა აკადემიის „მოამბეს“. ვერ დავუბეჭდეთ მხოლოდ ერთი წერილი, რომელიც შეეხებოდა ინგლისელ ქართველოლოგ რობერტ სტივენსონს. სტივენსონი ქართული კულტურის დიდი დამფასებელია და მისი ღირსების პოპულარიზატორი ინგლისურენოვან სამყაროში. მან შეისწავლა ქართული და ინგლისურ ენაზე გადათარგმნა „ამირანდარეჯანიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“ (ამჟამად თარგმნის „რუსუდანიას“). ზ. გამსახურდიას კრიტიკულად აქვს განხილული თავის წიგნში („ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე“, 1984) მარჯორი უორდროპის, ვენერა ურუშაძის, რობერტ სტივენსონისა და ქეთრინ ვივიენის თარგმანები. სტივენსონი გამოეხმაურა ზ. გამსახურდიას კრიტიკას და მოგვაწოდა საპასუხო წერილი, რომელიც „მაცნეში“ გამოქვეყნდა (1984, № 2). სტივენსონი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ზ. გამსახურდიამ დაიწუნა ზოგი რუსთველოლოგიური ცნებების (და აზრის) ინგლისური ეკვივალენტი და თვითონვე მიუთითა მისი შეხედულებით უფრო შესაფერის ინგლისურ სიტყვებზე. სტივენსონმა იწყინა ზ. გამსახურდიას მხრივ მისი მშობლიური ენის სფეროში შეჭრა და იმ პოზიციიდან მომდინარე კრიტიკა. სტივენსონის პასუხმა თავის მხრივ გაანაწყენა ზვიად გამსახურდია და დააწერინა მწვავე პოლემიკური ხასიათის პასუხის პასუხი.

„მაცნეს“ სარედაქციო კოლეგიის ყოველი წევრი გაეცნო ზ. გამსახურდიას წერილს. ყველას საერთო აზრით, საჭირო იყო თავი შეგვეკავებინა ამ წერილის გამოქვეყნებისაგან. მით უფრო, რომ ჯერჯერობით თვითონ ქართველ რუსთველოლოგთა შორისაც როდი სუფევს ერთსულოვნება რუსთველური ზოგი თეოლოგიური ცნებისა თუ გამოთქმის ინტერპრეტაციის მხრივ².

ძალიან მომეწონა ზვიად გამსახურდიასეული შეფასება რ. სტივენსონის ღვაწლისა, რომელიც გამოთქმულია მის ინტერვიუში, გაზეთ „სახალხო განათლებაში“ რომ დაიბეჭდა (29.3.90): „მართალია, მისი თარგმანი (ვეფხისტყაოსანისა) არ არის სრულყოფილი, რაც მე სპეციალურ გამოკვლევაში აღვნიშნე და რაზეც იგი დიდად შემომწყვრა, მაგრამ მე ვაღიარებ მის დიდ წვლილს რუსთველოლოგიაში. იგი უაღრესად საინტერესოდ იკვლევს ვეფხისტყაოსანს თანამედროვე მედიევისტიკის მიღწევათა შუქზე, საერთოდ შუა საუკუნეების ქართულ საერო ლიტერატურას იგი იკვლევს ტრუბადურულ და რაინდულ ლიტერატურასთან შეპირისპირებით, რაც დიდად მნიშვნელოვანია რუსთველოლოგიისთვის“ (კურსივი ჩემია. — ა. ბ.).

ზვიად გამსახურდიას საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის შესაცნობად საუკეთესო წყაროა მისი ინტერვიუ, რომელიც ჩაიწერა ოლეგ გოლიაძემ (გაზ. „სახალხო განათლება“, 29.3.90). ზ. გამსახურდია სავსებით მართებულად ამბობს, რომ მეცნიერული მუშაობა მას საერთოდ უხდებოდა „არნახული დევნა-შევიწროების, ფსიქოლოგიური ტერორის, უკიდურესი იზოლაციის და შინაური პატიმრობის პირობებში“. ამისდა

² 1991 წელს დასტამბულ ზვიად გამსახურდიას წიგნში („წერილები, ესაუბრა“, გვ. 396-406) შეტანილია მისეული „პასუხის პასუხის“ მოსაწონი, კორექტული ფორმით გამართული ახალი რედაქციული ტექსტი, (შნვ. 5, 6, 91).

მიუხედავად, მან მაინც შეძლო შთამბეჭდავი შრომების გამოქვეყნება. უწინარეს ყოვლისა ესაა მისი წიგნი „ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე“. ამ წიგნის არსი მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ და ნათლად „ძირითადი დასკვნების“ სახით გადმოსცა გაზეთ „წიგნის სამყაროს“ ფურცლებზე (11. XII. 85). მისეული ცალკეული წერილებიდან დავიმოწმებთ შემდეგს (ვიმოწმებთ რუსთველოლოგიურ ლიტერატურას)³:

1. რუსთველი და ანტონ პირველი: 1. ღმრთისმეტყველება და სახისმეტყველება (პარალელები), ენისა და ლიტერატურის სერიის მ ა ც ნ ე, 1984, № 1

2. ქალის კულტი „თამარიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ (სსსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, 1985, ტ. 119, № 2).

3. ვეფხისტყაოსანი და წმინდა გიორგის კულტი (ლიტერატურული ძიებანი, 1987, № 2).

4. ვეფხისტყაოსნის სიმბოლური ონომატოლოგია (აკადემიის მოამბე, ტ. 127, № 3, 1987).

5. „თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“. 1. თამარ მეფე და სულიწმიდას ჰიპოსტასი (ენისა და ლიტერატურის სერიის მ ა ც ნ ე, 1987, № 4).

6. ვეფხისტყაოსნის სრულყოფილი გამოცემისათვის (მაცნე. ელს, 1989. № 4; იგივე. ქართული მწერლობა, 1990, № 3).

უფრო მეტი ჰქონია ზ. გამსახურდიას გამოქვეყნებული ნაშრომები. მზალ მაქვსო დასაბეჭდად დაახლოებით ოცთაბახიანი წიგნი „ვეფხისტყაოსნის სახიამეტოებელება“, რომელიც ალბათ მალე იხილავს დღის სინათლესო (ინტერვიუ. „სახალხო განათლება“, 29. 3. 90). განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ზ. გამსახურდიას სულ ბოლოდროინდელი წიგნი „საქართველოს სულიერი მისია“ (თბილისი. 1990, 112 გვ.). აქ განხილულია ქართული სულიერი კულტურის არა ერთი გლობალური საკითხი (მათ შორის ვეფხისტყაოსნის საკითხებიც).

მოგონებათა რიგის ამ წერილში ჩვენ არ ვიხილავთ ზვიად გამსახურდიას სამეცნიერო-კვლევითს საქმიანობას (ეს მომავლისთვის მაქვს გადადებული). ოღონდ იმას კი ვიტყვი, რომ მისი ნაკვლევ-ნააზრევი (მისაღებიც და სადავოც) ყოველთვის ორიგინალურია, პრობლემების ახლებური განსჯის სულისკვეთებით არის გამსჭვალული, მასშტაბურია, ემოციური, პატრიოტული...

ერთხელ, „მაცნეში“ გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი ნაშრომის („ვეფხისტყაოსნის სრულყოფილი გამოცემისათვის“) თაობაზე ზვიად გამსახურდიას ჩემთან ვიხმე ბინაზე. საქმეს რომ მოვრჩით, ვთხოვე ეამბნა ჩემთვის პრეზიდენტ რეიგანთან მოსკოვში (1988 წლის მაისში) შეხვედრის ისტორია. ხალისით, სინტერესოდ და დაწვრილებით მომითხრო ყოველივე. მისმა გულახდილმა საუბარმა დიდი სიამოვნება მომანიჭა.

მინდა მოვიგონო კიდევ ერთი სამახსოვრო ეპიზოდი.

1989 წლის 22 მარტს ლიტერატურის ინსტიტუტს ეწვია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი. მიხი სიტყვით, ეს იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინააარჩევნო კამპანიის თავისებური ფორმა (პატიაშვილის გამოსვლის მთავარი თემა იყო აფხაზეთის საკითხი). ამ შეხვედრის დროს სიტყვით გამოვედით მეც და ზვიად გამსახურდიაც. ვისარგებლე შემთხვევით და დამსწრეთ ვუამბე ბატონ კონსტანტინეს დანაბარები ზვიადის შესახებ (ზემოთ რომ მაქვს მოთხრობილი). აღვნიშნე, რომ სავსებით მხარს ვუჭერ ქართულ ეროვნულ მოძრაობას, რომელსაც მეთაურობს ზვიად გამსახურდია, თუმცა ზოგიერთ მის

³ სხვა ხასიათის ნაშრომების ბიბლიოგრაფია იხ. ზვიად გამსახურდიას წიგნში „საქართველოს სულიერი მისია“, თბილისი, 1990 (გამომცემლობა „განათლება“).

იქცეას არ ვეთანხმები. ბოლოს დავძინე, მე არ ვიცი, რას იტყვის-მეთქი ზვიადი (ის ჩემს შემდეგ გამოვიდა), მაგრამ მე ვკისრულობ ზნეობრივ პასუხისმგებლობას მისი ნათქვამის გამო, ისე როგორც ვკისრულობ ზნეობრივ პასუხისმგებლობას მის მოქმედებაზე საერთოდ-მეთქი.

...1984 წელს ლიტერატურის ინსტიტუტის ვიზიტით გამოქვეყნდა ზვიად გამსახურდიას მონოგრაფია „ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე“. წიგნის ერთი ცალი მან თავაზიანად მისახსოვრა თბილი, გრძნობიერი წარწერით: „გამოჩენილ ქართველ მეცნიერ აკად. ალ. ბარამიძეს, უღრმესი პატივისცემით, ავტორისაგან. 23. X. 84“.

ამის შემდეგ ერთი სრული თვეც არ იყო გასული, რომ მე მძიმე ავად გავხდი, რის გამოც ინსტიტუტის მესვეურობიდან გადავდექი...

P. S. ზვიად გამსახურდიას შეუწელებელი ბრძოლა ქართული ეროვნული მოძრაობის სარბიელზე სრული წარმატებით დაგვირგვინდა. 28 ოქტომბერს და 11 ნოემბერს საქართველოს უზენაეს საბჭოს მრავალპარტიული, თავისუფალი არჩევნების ორივე ტურის დროს ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა იმ საარჩევნო ბლოკმა (მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო), რომელსაც მეთაურობდა ზვიად გამსახურდია. ახლად არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესიის პირველსავე სხდომაზე ამ საბჭოს თავმჯდომარედ ერთსულოვნად აირჩიეს ზვიად გამსახურდია (1990 წლის 17 ნოემბერს). მის ამ საპატიო პოსტზე არჩევას მეც დავაწიე გულწრფელი მილოცვის ჩემი ხმა: „საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას. მთელი გულით მოგილოცავთ ერის წინამძღვრობის პატივს და საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობას. ალექსანდრე ბარამიძე. თბილისი, 1990 წლის 18 ნოემბერი“. თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ წარმოთქვა შესანიშნავი საპროგრამო სიტყვა, რომელსაც მკაფიოდ ახასიათებს შესაშური სიდინჯე, საქმიანობა, გამჭრიახობა და წინდახედულობა. ასეთივე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე მისმა ერთ-ერთმა პირველმა ინტერვიუმ, ცენტრალურ პრესაში რომ გამოქვეყნდა (გაზეთი „Советская Россия“, 28. XI. 90; გადმობეჭდილია გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“, 1. 12. 90).

მოგონებანი „ვეფხისტყაოსნის“ უბაღლო მთარგმნელ
ბელა ვიკარზე

უნგრეთში, ბოლო ხანებში, მაღიმალ გაისმის ერთიმეორეზე მშვენიერი ხალხური სიმღერები, რომლებიც ერთი ადამიანის სახელს აუღერებენ: ბელა ვიკარი. ერთის შეხედვით ეს გახლავთ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი სახელი და გვარი, რომლის მატარებელი ერთი თავმდაბალი კაცი, შემდგომში მსოფლიო მასშტაბის ცნობილი მეცნიერი გახდა.

გასული საუკუნის მიწურულში ცოტანი იყვნენ ისეთნი, რომელნიც წრფელი გულით და თანაგრძნობით გამსჭვალულნი ჩასულიყვნენ სოფლებში მხოლოდ იმიტომ, რომ ახლოს გასცნობოდნენ ხალხს, ხალხური ტრადიციების კვლევა-ძიებისა და შეკრების მეშვეობით დაახლოებოდნენ იმ ადამიანებს, რომელთა ხვედრი მონური შრომა და სხვათა მომსახურება იყო.

და კიდევ უფრო ცოტანი შეგხვდებოდნენ ისეთნი, რომელნიც ქალაქის მშრომელებში ხედავდნენ კარგის, სიკეთის მომტან ადამიანებს. მაგრამ არსებობდნენ ადამიანები, თუმცა ძალზე მცირენი, რომელთა რიგებს მიეკუთვნებოდა ბელა ვიკარი.

საუკუნის მიჯნაზე ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ მოდაში შემოვიდა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა. სუფევდა ყველასათვის ცნობილი უნგრული შოვინიზმი, ეროვნული ციებ-ცხელება, მაგრამ ამას ყოველ წამს, მხოლოდ თვალის ასახვევი ბრწყინვალეობა ეკრა. იყო ერთი სჯა-ბაასი ხალხის კეთილდღეობის შესახებ, დაიწყეს ხალხური ცეკვების სწავლება და მათი დადგმა სცენაზე, ქალაქში ჩამოჰქონდათ ბრჭყვიალა ეროვნული ტანსაცმელი, მარჯნის მძივები, მაგრამ ყოველივე ამ ფერად-ფერადი, ჭრელა-ჭრულა ტანსაცმლის გარდა არაა ახსოვდათ. დავიწყებას მისცეს ტანჯული, გაწვალებული ხალხი და სავსებით შესაძლებელია, არც ჰქონდათ სურვილი ყურად ეღოთ მათი ფასაჭირი. მართალია, იყვნენ მასწავლებლები, მეცნიერები, რომელთაც დროულად შენიშნეს, თუ რამდენად ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხური ტრადიციების შეგროვებას ერთი ერის მერმისის ჩამოყალიბებაში, მაგრამ მათ მიერ არჩეული გზა ზერელე იყო, ისინი ვერ ჩასწვდნენ საკითხის ღრმად გაგებას.

ბელა ვიკარი მეცნიერულად უდგებოდა ხალხს. მისთვის ხალხურ პოეზიაში ჩაწვდომა „ნიშნავდა, ხალხის გულის გასაღების პოვნას“. იგი პეტეფისებურად უახლოვდებოდა ხალხს. სავსებით იზიარებდა პეტეფის მიერ 1847 წლის 4 თებერვალს იანოშ ორონისადმი გაგზავნილ წერილში დაწერილ სტრიქონებს: „ამაოდ არის ხალხური პოეზია, ნამდვილი პოეზია. აქედან გამომდინარე, ჩვენ სულ სხვა რამ უნდა მივიჩნიოთ მთავარ ფაქტორად. თუ ხალხი გაბატონდება პოეზიაში, ის პოლიტიკაშიც იბატონებს...“. „საჭიროა გავიცნოთ ხალხი, რომ ჩვენს მხარეზე გადმოვიბიროთ“, — ამბობდა ხოლმე იგი. ბელა ვიკარის ამგვარი მიდგომა ხალხისადმი ცნობილი იყო. ამას ხელი შეუწყო ოჯახურმა წრემაც, ბავშვობის დროინდელმა შთაბეჭდილებებმა, რწმენამ. იგი დაიბადა 1859 წლის 1 აპრილს, შომოდის ოლქში შემავალ სოფელ ჰეტეშში, უბრალო ჩალის სა-

ხურავიან, კირით შეღებილ სახლში. მამა, იანოშ ვიკარი პროვინციელი მასწავლებელი იყო, რომელმაც მოგვიანებით თავისი პროფესია უფრო მომგებიან ეკლესიის მღვდლის თანამდებობაზე გადაცალა. მართლაც, განათლებული კაცი გახლდათ. კერძოდ, სწავლობდა ფრანგულ და იტალიურ ენებს, ცოდა გერმანული, ესმოდა ბერძნული, ებრაული და ლათინური ენებიც. თავის დიდ ბიბლიოთეკაში ბევრი უცხოური წიგნები და ძვირფასი ნაწარმოებები ჰქონდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა პაპის გიმნაზიის მასწავლებელი იყო, მიწერ-მოწერა ჰქონდა შანდორ პეტეფისთან. იგი გახლდათ პაპის კორესპონდენტი პეტეფის რედაქტორობით გამოცემული ჟურნალისა, სახელწოდებით „ცხოვრებისეული სურათები“.

პეტეშში უკვე როგორც რეფორმაციის მომხრე მღვდელი გვევლინება. იანოშ ვიკარს შვიდი შვილი ჰყავდა. მძიმე პირობებში უხდებოდათ ცხოვრება პაპის მიერ დანიშნული მცირე ხელფასით. კიდევ უფრო გააძნელა მათი ცხოვრება ბელას მძიმე ავადმყოფობამ, რამაც სამ წელს გასტანა. ბევრი ბავშვებსაც ყოლა შეუძლებელს ხდიდა, რომ მათთვის განათლება მიეცათ. მაგრამ, სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბელა ვიკარში სიღარიბემ ვერ ჩაკლა ცოდნის წყურვალი. ხანგრძლივი ავადმყოფობის დროს პატარა ბელა მამის ბიბლიოთეკიდან კითხულობდა ხოლმე წიგნებს და მარტომ დაიწყო უცხო ენების შესწავლა. დიდი ინტერესით კითხულობდა პეტეფის თხზულებებს. პეტეფის ლექსებმა, მისმა პოეტურმა აღმაფრენამ გაიტაცა ათი-თერთმეტი წლის ბელა ვიკარი. მთელი მისი სურვილი გახდა: სწავლა და მხოლოდ სწავლა. პეჩში გიმნაზიაში მოხვდა და მოსწავლეებიც კი აიყვანა. ასწავლიდა, თვითონაც რომ ესწავლა.

თავისით აითვისა სტენოგრაფია და რეალური სასწავლებლის მეორეკლასელი უკვე თავისი ამხანაგების მასწავლებლად გვევლინება. ბრწყინვალედ აბარებს გამოცდებს (ექვს წელიწადში დაამთავრა რვა კლასის პროგრამა). მასწავლებლობით შეგროვილი მცირე ფულით პეშტის უნივერსიტეტში შედის. სწავლასთან ერთად აქაც აგრძელებს მუშაობას, რათა თავი გაეტანა. ლექციებს სტენოგრაფიის წესით იწერდა და გამრავლებული სახით ამხანაგებს ურიგებდა. სტენოგრაფიის ცოდნით ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ ოცი წლის ასაკში უკვე პარლამენტის სტენოგრაფიული კანცელარიის საპატიო წევრია, ოცდაერთი წლის ასაკში კი დაწინაურებული იქნა პარლამენტის სტენოგრაფიკ. ამავე დროს დადიოდა უნივერსიტეტში. მიქსათ კალმანთან ერთად პოლიტიკური გაზეთების რედაქციებთანაც თანამშრომლობდა. ლექტორებს ძალიან უყვარდათ ბეჩითი სტუდენტი. მოგვიანებით კი ბელა ვიკარი, როგორც ლექტორი, თვითონაც ასწავლიდა უნივერსიტეტში, კითხულობდა ლექციას სტენოგრაფიის ისტორიაზე. მძიმე სტუდენტური წლების მიუხედავად, უკვე ოცი წლისას კულტურული ცხოვრების სამ სფეროში იცნობდნენ: დიდებულ სტენოგრაფს, მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელსა და ხალხური სიმღერების შემგროვებელს.

ბელა ვიკარის დედა იწონებდა მისი შვილი რომ ხალხური სიმღერების შეგროვებით იყო გატაცებული.

ბელა ვიკარი ღრმა მოხუცებულობაშიც სიყვარულით იგონებდა, რომ დედამისს არა მარტო უყვარდა სიმღერები, არამედ მისი სიმღერის მოყვარული ხასიათი ხალხური სიმღერების შესრულების გარდა, მათ შეგროვებაშიც გამოიხატებოდა. იანოშ ვიკარის მეუღლე ვერონიკა სომიუ ბატის ფრთისგან გაკეთებული კალმისტრით იწერდა სიმღერების ტექსტებს. როდესაც შვილი დედის სანახავად ბუდაპეშტიდან სახლში ჩადიოდა, იგი უმღეროდა მას ამ სიმღერებს.

ბელა ვიკარმა 1880-იან წლებში მიჰყო ხელი ხალხური სიმღერების შეგროვებას და ამით მთლიანად ახალი ფურცელი შემატა თავის ბიოგრაფიას. 90-იანი

წლების მეორე ნახევარში მან თხოვნით მიმართა მაშინდელ განათლების მინისტრს, რათა ეთნოგრაფიული საზოგადოებისთვის ერთი ედისონის მაგვარი ფონოგრაფის დასამზადებლად გამოეყო თანხები. მინისტრმა, ძულო ვლო-შიჰმა, დიდი ინტერესით მოჰკიდა ხელი ხალხური სიმღერების აღფრთოვანებული შემგროვებლის თხოვნის შესრულებას და ერთი კვირის შემდეგ ბელა ვიკარს უკვე ხელთ ჰქონდა საჭირო თანხა და აი, დეკემბერში შუა დუნაის ვეებერთელა დაბლობის მიდამოებში დაიწყო სიმღერების შეგროვება.

თავის ზოგონებებში ბელა ვიკარი წერდა: „თავდაპირველად საქმე გაჭირვებით მიიწევდა წინ, არა მხოლოდ ჩვენს განკარგულებაში არსებული ფონოგრაფის მძიმე წონის გამო (ედისონის მიერ დამზადებული ფონოგრაფის მსგავსი იყო, ელექტრონის აკუმულატორი თითქმის ნახევარ ცენტნერს იწონიდა), არამედ უფრო ჩემი, ხელსაწყოთან მუშაობის გამოუცდელობის გამო. მაგრამ, სიძნელეების მიუხედავად, მაშინვე განვსაზღვრე, რომ დასახული მიზნის განხორციელება შეიძლებოდა. ფონოგრაფში ჩაწერილი ხმები, ყურსაცმელის მეშვეობით მაინც, საკმაოდ ნათლად ისმოდა და მელოდიები კი თავისუფლად და გარკვევით, შეიძლება ითქვას, კარგად იყო ჩაწერილი... ნელ-ნელა ფონოგრაფის სხვადასხვა თვისებას გავეცანი და თანამიმდევრობით მოვსინჯე. სიმღერების ჩაწერის ტექნიკის სირთულეები უფრო და უფრო დავძლიე“.

ბელა ვიკარი, ბრწყინვალე სტენოგრაფი, თავდაპირველად სტენოგრაფიის წესით იწერდა მშობლიური უნგრეთის თითოეული მხარის მთელი ფოლკლორის ტრადიციებს, შემდეგ კი სიმღერების ჩაწერას იწყებდა ფონოგრაფში, და ადგენდა, რომ ისინი არ მიეკუთვნებოდნენ ერთ რომელიმე კონკრეტულ ავტორს.

საოცრად მიმზიდველი გახდა სამუშაო, თუმცა არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ სიმღერების ტექსტების სტენოგრაფიული წესით ჩაწერით და ფონოგრაფის მეშვეობით მელოდიებსაც უკვდავყოფდა. მან შთამომავლობისათვის უნგრული მუსიკის ბევრი საინტერესო ნაწარმოები გადაარჩინა დაკარგვას. 90-იანი წლების დასასრულისათვის უკვე უნგრეთის სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში აწყობდა ლექციებს ხალხური სიმღერების შეგროვების შედეგებზე და ამ სიმღერებს ფონოგრაფის საშუალებით აცნობდა ფართო საზოგადოებას. 1901 წლის 15 ოქტომბერს ეთნოგრაფიულ საზოგადოებას სტატიით — „თანამედროვე დამწერლობის ძეგლები“ — მოუთხრო ადრინდელ საქმიანობაზე.

მის ამ წამოწყებას საზღვარგარეთაც მიაქციეს ყურადღება. ახალი ტიპის ხალხური სიმღერების შეგროვების მეთოდს პირველად ჰელსინგორის უნივერსიტეტის ლექტორი ჰენრიკ პაასონენი გაეცნო ურალში სამეცნიერო მივლინებით გამგზავრებამდე. ბელა ვიკარისაგან ისწავლა ფონოგრაფთან მუშაობა და, როგორც მოგვიანებით წერდა, დიდად გამოადგა ფონოგრაფი მონათესავე ხალხების მელოდიების ჩასაწერად. ახალი ტიპის შეგროვების მიმართ დაინტერესება გამოიჩინა პეტერბურგელმა მეცნიერმა — ვილმოშ როდლოფმა. გერმანული სამეცნიერო სამყაროდან კი გრაფის უნივერსიტეტის ლექტორი, ჰუგო შუჰარდტი გაეცნო ხალხური სიმღერების თავმოყრის უნგრულ მეთოდს. 1902 წელს პარიზში მოწყობილ მსოფლიო გამოფენაზე სენსაცია გამოიწვია ბელა ვიკარის ფონოგრაფმა და გეოგრაფიულმა რუკამ, რომელიც ხალხური სიმღერების ნაირსახეობათა მოგზაურობას გვიჩვენებდა. აჩვენა „თეთრი ლასლოს“ სახელწოდების ხალხური სიმღერის ოცდაშვიდნაირი სახეცვლილების სქემა, მისი წარმოშობის ადგილი. ამ საქმიანობისათვის იგი დაჯილდოებულ იქნა დიპლომით.

1905 წელს უნგრული ხალხური პოეზიის კრებულში გამოვიდა ბელა ვიკა-

რის ნაშრომი — „შომოდის ოლქის ხალხური პოეზია“. კრებულში შემავალი შრომები ბელა ვიკარის დაუცხრომელი შრომის შედეგად მიღწეული წარმატების კიდევ ერთი დამადასტურებელია. აქვე აქვეყნებდა იმ სიმღერების ტექსტებსაც, რომლებიც დედამ და ხალხური სიმღერების შეკრებაში „ჩათრეულმა“ ნათესაებმა, ახლო მეგობრებმა მოუგროვეს.

1906 წელს გამოვიდა მისი ექვსასფურცლიანი ნაშრომი ორ ტომად, სახელწოდებით — „უნგრული ხალხური სიმღერების შედეგები“.

ექვსი ათასზე მეტი სიმღერა ჩაიწერა სტენოგრაფიული წესით. სტენოგრაფიული ჩანაწერები შესანიშნავმა სტენოგრაფებმა დოქტორმა შანდორ პაპმა და დოქტორმა პალ გერგეიმ ამოშიფრეს. ასზე მეტი სიმღერა აღადგინეს მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში ომის დროს დაკარგული და თითქმის, შეიძლება ითქვას, რომ სასწაულად გადარჩენილი სტენოგრაფიული ჩანაწერებიდან.

ბელა ვიკარმა დააინტერესა ახალგაზრდა ზოლტან კოდაი და ბელა ბარტოკი ხალხური სიმღერების შეგროვების საქმით. ისინი ეწვივნენ ბელა ვიკარს და ისწავლეს მისგან ხალხური სიმღერების შეგროვების ახალი მეთოდი.

„...გადავულოცე მათ ფონოგრაფი პეტეფისებურად:
რაც მე სულ მთლად დიდებით არ დამიწყია,
განაგრძე შენ, ჩემო მეგობარო სრული სიდიდით“.

„ორივენი გაჰყვნენ ჩემს მეთოდს იმ თვალსაზრისითაც, რომ არა მხოლოდ მელოდიებს, არამედ ტექსტებსაც ჭეროვან ყურადღებას უთმობდნენ“, — წერდა ბელა ვიკარი ზოლტან კოდაის დაბადების 60 წელთან დაკავშირებით გამოცემულ კრებულში.

ასე გადასცა დიდმა მეცნიერმა თავისი ცხოვრების მდიდარი გამოცდილებანი ახალგაზრდებს, რომელთა შემდგომ საქმიანობას ყოველთვის ღრმა ინტერესითა და ექვნარევი სიყვარულით ადევნებდა თვალს.

„...თუ ჩვენ უდიდეს პოეტს, პეტეფის ძნელად ვუგებთ ხალხური პოეზიის საიდუმლოებათა გაგების გარეშე, — კვითხულობთ ბელა ვიკარის სამეცნიერო ნაშრომში სახელწოდებით „ხალხური პოეზიის საიდუმლოებანი“, — შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკუთრივ ხალხს კიდევ უფრო ძნელად გავუგებთ. ჩვენი ხალხის სულიერი სამყარო შვიდ ბოქლომდადებული კეტავდა ამ საიდუმლოებებს, რომელთა გასაღები ხალხური პოეზიაა... აკი ასე არ არის, რომ რაც ხალხის გულს ააღელვებს, რაც ტკივილსა თუ სიხარულს მიაწიჭებს, მათ ისინი ამას სიმღერებში აქსოვენ და ჩვენ კი მხოლოდ სიმღერებს უნდა გავეცნოთ, რომ ეს მათი მთელი შინაგან გრძნობათა სამყარო ჩვენს სულიერ ცხოვრებასთან ერთად შევადუღაბოთ“. დაუღალავად დადიოდა უნგრეთის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში, აგროვებდა ხალხურ სიმღერებს, ზღაპრებს. შომოდიდან შაროშში, ვოშის ოლქიდან, ზალადან, სიკეის მიწამდე ჰქონდა ატალახებული თავისი მშობლიური ქვეყანა.

ბელა ვიკარისათვის სრულიად ნათელი იყო, რას ნიშნავდა ერთი ერისათვის „ქალაქზე დაუწერელი ლიტერატურა და ხალხში კვლავ ცოცხალი პოეტური ტრადიციები“. იცოდა და იგრძნობდა ამას. აკი „ქალეველას“ სანამ თარგმნიდა, ფინეთისაკენ მიმავალი გზად ლადოგის ტბის მიდამოებში, ტუნდრის ჩრდილოეთით მდებარე ადგილებში, ნახევარი წლის განმავლობაში აგროვებდა ფინელი ხალხის ტრადიციებს და ამ მუშაობის გამოცდილებანი გამოიყენა სამშობლოში ყოფნისას თავის შემდგომ მოღვაწეობაში.

სწორედ მისი ამ წამოწყების საფუძველზე დააარსეს უნგრეთში ეტნოგრაფიული საზოგადოება, რომლის გენერალური მდივანიც მოგვიანებით თვითონ გახდა.

ბელა ვიკარი, როგორც ხალხური სიმღერების შეგროვების, ხალხური ტრადიციების თავმოყრის დამფუძნებელი, საქვეყნოდ ცნობილი გახდა. მაგრამ თუ მის მოღვაწეობას გავეცნობით, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ კულტურული ცხოვრების დანარჩენ ორ სფეროშიც მსგავსი შეხედულება არსებობს მასზე. საჭიროა დაიწეროს ბელა ვიკარზე, როგორც გამოჩენილ სტენოგრაფზე, სტენოგრაფიული სახელმძღვანელოების, ჟურნალების შემდგენელზე, პარლამენტის სტენოგრაფიული კანცელარიის ხელმძღვანელზე; ვისზეც თანამშრომლები ჰყვებოდნენ, რომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე ყოფნის დროსაც კი ყველას მიმართ ერთნაირად თავაზიანი, გამგებიანი, კეთილი და სამართლიანი კაცი იყო, ვისაც თავის სამოღვაწეო-სამსახურებრივ ასპარეზზე ყოფნისას მთელი რიგი ზემდგომი და ქვემდგომი ხელმძღვანელები, მასთან ახლო ურთიერთობაში მყოფი და არამყოფი თანამშრომლები იცნობდნენ. ის იყო თანამედროვე უნგრული სტენოგრაფიის დაფუძნების სულის ჩამდგმელი, ვინც ჩინებულ სტენოგრაფთა მთელი რიგი აღზარდა.

ბელა ვიკარის სამეცნიერო საქმიანობის მესამე სფერო გახლავთ მხატვრულ თარგმანებზე მუშაობა.

ჯერ კიდევ სტუდენტობის ხანაში დაიწყო ფინური ენის შესწავლა. პროფესორმა შეამჩნია მოწაფის დიდი მონდომება და ყურადღება გაამახვილებინა „კალევალაზე“. მან შესთავაზა ეთარგმნა ფინლების ეროვნული ეპოსი უნგრულ ენაზე. ბელა ვიკარმა ყურად იღო ბუდეხ და უნივერსიტეტის პროფესორის რჩევა და შეუდგა თარგმნას. ოცდახუთი წლის განმავლობაში თარგმნიდა ნაწარმოებს. თარგმანი იმდენად შესანიშნავი გამოვიდა, რომ ფინელები დღესაც იმას ამტკიცებენ, თუ „კალევალას“ პირველადი ტექსტი დაიკარგა, უნგრულიდან სავსებით თავისუფლად შეიძლება ორიგინალის აღდგენაო.

როგორ შეძლო ასე ჩინებულად ბელა ვიკარმა „კალევალას“ თარგმნა? იმით რომ იგი თვით იყო ხალხური ტრადიციების შემგროვებელი. თარგმანი, რომ რაც შეიძლება დიდებული გამოსვლოდა, ფინეთში ნახევარი წელიწადი სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს იგი აკითხავდა ხშირ ტყეებში ღრმად შემალულ პატარა სოფლებს, უბრალო ფინურ ქოხებში მცხოვრებ მოხუც მომღერლებს, რათა თვით დარწმუნებულიყო, თუ რა სახით ცხოვრობდა ხალხში „კალევალა“.

„თითქმის ოცდაორი წლის განმავლობაში ვმუშაობდი თარგმანზე — წერს ბელა ვიკარი, — ფინეთში პირველ სამეცნიერო მივლინებაში ყოფნის შემდეგ. სწორედ ამ თარგმანმა გამაჭაღარავა. მაგრამ იმიტომ არ ვბრაზობ, რომ ისეთი ხნოვანების ფინელებს შორის მომიხდა ყოფნა, რომელთაც უკვე ალბათ ქანდაკებები დაუდგეს საფლავებზე. ისინი ხომ უბრალო უწიგნური გლეხები იყვნენ, რომელთაც შეინარჩუნეს წინაპართა ტრადიციები ზეპირ სიტყვიერად...“.

ბელა ვიკარმა ფინური ენის სტენოგრაფიულად ჩაწერაც შეისწავლა, რათა მის მიერ გაკეთებული ჩანაწერები საუცხოო ყოფილიყო.

„კალევალას“ თარგმანთანაა დაკავშირებული მთელი მისი ეთნოგრაფიული კოლექცია. სტენოგრაფიული ჩანაწერები პელსინკის „კალევალას“ სახელწოდების მუზეუმში არის მოთავსებული.

თუ ავიღებთ ფინურ ენაზე შექმნილ „კალევალას“ და დავხედავთ წიგნის ფურცლებს, შევამჩნიებთ მინდვრებზე ბელა ვიკარის მიერ უნგრულ ენაზე სტენოგრაფიის წესით გაკეთებულ თარგმანს. ეს წიგნი ლაიონ კოშუტის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება.

„კალევალას“ მთლიანი თარგმანი 1908 წელს დასრულდა და 1909 წელს კი უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა.

ფინური ეპოსი ორმოცდაათი ლექსისგან და 22900 სტრიქონისაგან შედგება. ფინეთის მეცნიერებათა აკადემიამ ბელა ვიკარი თავის წევრთა რიგებში აირჩია.

და დააჩილდოვა უმაღლესი ჩილდოთი მთარგმნელობითი საქმიანობისათვის. მოგვიანებით კი, 1911 წელს უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი გახდა.

ბელა ვიკარმა ის-ის იყო დაამთავრა ფინეთის ხალხური პოეზიის, ზეპირი თქმულებების ზეშთაგონებული ჩამწერის იღუმ ლონროტის (1802-84) მიერ შედგენილი უზარმაზარი წიგნის თარგმანი და დღის სინათლეზე გამოვიდა უნგრული „კალევალა“, რომ მან, თმაგაჭაღარავებულმა, ახალ თარგმანზე დაიწყო მუშაობა.

ორმოცდაათი წლის ასაკში შეისწავლა ქართული ენა მხოლოდ იმიტომ, რომ XII საუკუნეში მცხოვრები შოთა რუსთაველის, ქართველი პოეტის რომანტიკული ეპოსი სახელწოდებით „ტარიელი, ვეფხის ტყაოსანი“ გაეცნო თანამემამულეთათვის.

რამდენიმე წლის წინათ უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა განყოფილებაში ძველ, გაყვითლებულ გაზეთებს, ჩანაწერებს შორის ერთ, 1908—1909 წლებისდროინდელ პატარა შავყდიან ხაზებიან რვეულს წაეაწყდა. რვეულში გაცემებული ჩანაწერებით ბელა ვიკარის ხელი შევიცანი. გაცემებული კვითხულობდი ქართული ენის გრამატიკის წესებს, შავად ნაწერ ქართული ენის გრამატიკის სავარჯიშოებს.

სანამ რვეულს ვფურცლავდი, გონებაში ამოტივტივდა ყოველივე ის, რაც ბელა ვიკარმა 40-იანი წლების დასაწყისში მომიყვა. — როგორ შეისწავლა ქართული ენა. მიაშობ, რომ ფინეთში პირველი სამეცნიერო მივლინებით გამგზავრებამდე, 1899 წლის მიწურულს ეწვია სანახავად ჩვენს ცნობილ ფერმწერს მიჰაი ზიჩის. ზიჩიმ იგი პეტერბურგის ახლოს მდებარე საკუთარ სახლში (სოფელ ლახტში) მიიღო. მხატვარმა უჩვენა ბელა ვიკარს 1888 წელს გამოცემული ლექსად დაწერილი ქართული რომანი სახელწოდებით „ტარიელი“. წიგნი ძვირფასად იყო გაფორმებული. ამასთან იგი შეიცავდა რომანის მიჰაი ზიჩისეულ 26 ილუსტრაციას. „ეს არის ჩემი ყველაზე საუკეთესო ილუსტრაციები. გთხოვ თარგმნო წიგნი უნგრულ ენაზე“.

იმ დროს ბელა ვიკარი „კალევალას“ თარგმნით იყო დაინტერესებული და არც შეეძლო ეფიქრა ახალ სამუშაოზე. მაგრამ დიდი მხატვრის წამქეზებელი სიტყვები არ დაუვიწყია.

„უკვე ორმოცდაათი წლის ვიყავი. — მიუხრა გაჭაღარავებულმა მეცნიერმა, — როცა მართლაც ტიტანური შრომით, მაგრამ დიდი მოთმინებით შევეუდექი ქართული ენის შესწავლას. ვფიქრობდი, რომ უკვე შევისწავლე-მეთქი ქართული ენა და თანაც თარგმანზე მუშაობის დაწყებაც მიზნოდა, რომ საძწუხარო აღმოჩენამდე მივედი. უნგრულ ენაზე სასურველი ეპოსის თარგმნა შეუძლებელი იყო, რადგან წიგნი შეიღასი წლის წინათ იყო ქართულ ენაზე შექმნილი და, მიუხედავად ჩემი ხანგრძლივი მუშაობისა ქართულ ენაზე, ნაწარმოების ორიგინალი თითქმის მთლად გაუგებარი იყო ჩემთვის. მაგრამ სასოწარკვეთილებაში არ ჩავეარდნილვარ, ვალიარე, რომ ამ ენის შესწავლას მართო ვერ გავართმევდი თავს.“

რუსთაველის მშობლიური სოფლიდან მოვიწვიე ერთი პოეტი. ვინც ესპერანტოს ენას ფლობდა — ვინმე გიორგი წიკლაური, ვინც კარგად ერკვეოდა ძველ ქართულ ლიტერატურაში და სხვა ევროპულ ენებზეც ლაპარაკობდა. ნახევარი წლის მანძილზე ყოველ დღე ოთხ-ოთხი საათის განმავლობაში ინგლისურ, ფრანგულ და ესპერანტოს ენებზე მაგებიანებდა ქართულ ენას და ქართულ ენაზე დაწერილ საგმირო ეპოსს...“.

„პირველად ერთად წავიკითხეთ ქართულად ახალი ალექსა, შემდეგ ხალხური პოეზიის ნიმუშები, მოგვიანებით რუსთაველის ეპოსი და მხოლოდ მაშინ, როცა ვიგრძენი, რომ ენის ყველა სიძნელე გადავლახე, შევეუდექი 47 ლექსისა-

გან შემდგარი ეპოსის თარგმნას. უკვე თარგმანზე მუშაობის პერიოდში სწრაფად გაიგო, რომ მიჰყავდა ზიზი მართალი ყოფილა-მეთქი. „ვეფხისტყაოსანი“ მართლაც რომ ღირსი იყო ყველა ევროპული ენის კუთვნილება გამხდარიყო“.

ძალზე საფუძვლიანად ემზადებოდა ბელა ვიკარი ნაწარმოების თარგმნისათვის. ერთ საერთო რვეულში, ჩემდა გასაოცრად, ქართული ენიდან გაკეთებულ მის სტენოგრაფიულ ჩანაწერებს წავაწყდი. როდესაც ქართული ენის შესწავლას შეუდგა, სწავლობდა საქართველოს ისტორიასაც, გეოგრაფიას, ეთნოგრაფიას, ლიტერატურას, ხალხის ზნე-ჩვეულებებს, ეცნობოდა სიმღერებს, ინტერესით ეკიდებოდა ქართველი ხალხის ჩაცმულობას, საჭმელებს, ადამ-წესებს.

ამგვარი, წინასწარი მეცნიერული გამოკვლევის შემდეგ შეუდგა ბელა ვიკარი თარგმნას.

დროდადრო გაზეთები აქვეყნებდნენ ცნობას მის საქმიანობაზე. 1812 წლის 5 ივნისს უნგრულმა გაზეთმა (Magyar Hirlep) გამოაქვეყნა ცნობა.

„...აკადემიის სხდომაზე აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ბელა ვიკარმა წარმოადგინა ყველასათვის უცნობ ენაზე XII ს. ქართველი პოეტის რუსთაველის რომანტიკული ეპოსი „ვეფხისტყაოსანი“. რუსთაველი მე-12 საუკუნეში ცხოვრობდა, როდესაც საქართველოს ვეებერთელა ტერიტორია ეკავა და კავკასიის ხალხების კულტურის სათავეში იდგა.

...ამჟამად წარმოდგენილი რუსთაველის ეპოსის ერთი ნაწილი გვარკვევს ორიგინალის სიმშვენიერეში და გვარწმუნებს, რომ 700 წლის წინათ მცხოვრები დიდი პოეტის ქმნილება არ დაძველებულა და რომ უნგრულ ენაზე ღირსეული სახით გამოვა...“.

რვა წლის გულმოდგინე შრომის შედეგი იყო ბელა ვიკარის მიერ ქართული ენის დაუფლება და რუსთაველის საგმირო ეპოსის უნგრულ ენაზე თარგმნა. 1918 წლის გაზაფხულზე ნაწარმოების გამოსვლასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ მადლობა გადაუხადა ბელა ვიკარს ძვირფასი ნამუშევრისათვის, ქვების სიგელი კი მეცნიერს პარლამენტში გადასცეს.

ასე გამოიკა კავკასიის იქეთა მხარეს მდებარე ქვეყანაში მცხოვრები მცირერიცხოვანი ქართველი ხალხის შედეგრი პირველად უნგრულ და შემდეგ სხვა ევროპულ ენებზე, რა თქმა უნდა, რუსულ ენაზე გამოცემულს თუ არ ჩავთვლით.

ბელა ვიკარს ძალიან უყვარდა ამ სამუშაოზე ლაპარაკი. მახსოვს, მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი გოგონა ვიყავი, როცა ბელა ვიკარი ხშირად მიყვებოდა მსოფლიოში სილამაზით განთქმული ქალების სამშობლოზე, საქართველოზე. გიმნაზიელი ვიყავი, როცა გავიცანი უკვე 80 წელს მიღწეული მხცოვანი მეცნიერი, მაგრამ ჩვენი ეს საუბრები ყოველთვის დაუფიწყარი იქნება ჩემთვის. ისეთნაირად ყვებოდა საქართველოზე, მის ხალხზე, მსახიობებზე, სიმღერებზე, გეგონებოდათ თავისი ცხოვრების ერთი ნაწილი იქ გაუტარებიაო. ამ დროს კი არასოდეს ფეხი არ დაუდგამს იქ.

თუ რარიგად უყვარდა ბელა ვიკარს რუსთაველის ეპოსის თარგმანზე მუშაობის გახსენება, ამის მშვენიერი დამამტკიცებელი საბუთია წერილი, რომელიც სიკვდილის წინ, 1945 წლის ივნისში (სექტემბერში გარდაიცვალა) მისწერა მაშინდელ განათლების მინისტრს. წერილში იგი სთხოვდა, მეორედ გამოეცათ შოთა რუსთაველის ნაწარმოები უნგრულ ენაზე.

1945 წლის ზაფხულში ხელმოკლედ და მართლაც მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება. 86 წლის მეცნიერს, უნგრეთის ერთ პატარა სოფელში — დუნავეჩინში მთლიანად მეზობლების შემწეობით გაჰქონდა თავი, სწორედ ამგვარ პირობებში დაწერა მოგონებები, თუ როგორ დაიწყო ქართული ენის შეს-

წავლა და ქართულ თარგმანზე მუშაობა. თავის მემუარებში არ გამოუტოვებია ისიც, როდესაც 1917 წელს ნაწარმოების უნგრულ ენაზე გამოცემის ჯერი დადგა. მიჰაი ზიჩის ილუსტრაციებიდან სტამბამ ერთი გამოტოვა. ეს სურათი გამოხატავდა რაინდებს, რომლებიც თამარ მეფეს ესალმებოდნენ.

სურათზე გამოხატულ ადამიანებს მხატვარმა უნგრული საზეიმო ფორმა ჩააცვა. სტამბის ხელმძღვანელობამ ეს მხატვრის ხუმრობად მიიჩნია. აქვე უნდა დავსძინოთ, სრული ჭეშმარიტებაა, ის, რომ ქართული და უნგრული საზეიმო ტანისამოსი ერთმანეთს ემსგავსება, თითქმის ერთნაირიც კია.

ბელა ვიკარი არა მხოლოდ ფინური და ქართული ენების შესწავლითა და ორი თარგმანის წყალობით იყო მსოფლიოში ცნობილი, არამედ თარგმნიდა გერმანულიდან, ფრანგულიდან, ესტონურიდან, ნორვეგიულიდან. იგი შილერის, გოეთეს, იბსენის აზრთა ერთგული გამომხატველი იყო.

ხუმრობის მოყვარულმა, ყოველთვის მხიარული სახის. მახვილი ბუნების მქონე ბელა ვიკარმა თავი გაართვა ლა ფონტენის იგავ-არაკების თარგმნასაც. ენების ღრმა მცოდნემ, დიდებული ლინგვისტიკური მონაცემებით დაჯილდოებულმა ბელა ვიკარმა მშვენიერზე უმშვენიერესი ნაწარმოებებით გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა.

დიდი ინტერესით აღევნებდა თვალს ნიჭიერ ახალგაზრდებსაც. ჩამოაყალიბა ლიტერატურული გაერთიანებები, რომ სხვადასხვა ეროვნების ხალხებს შორის კავშირი კიდევ უფრო გაედრმავებინათ ლიტერატურულ და კულტურულ ურთიერთობათა საფუძველზე. ამ სექციებში ღებულობდა ნიჭიერ ახალგაზრდებს და მათ წარმატებებს მთელი ძალით უწყობდა ხელს. არად ჩაუგდია ის გარემოება, რომ მისდაუნებურად აღმოჩნდა იმდროინდელი კულტურული მშენებლობის სფეროში.

უამრავი მაგალითების მოყვანა შეიძლება იმაზე, თუ ბელა ვიკარი რამდენად იყო თავისი შეხედულებების დამცველი. იგი არასოდეს არ ყოფილა ვაჭარი, როგორც მეცნიერი და როგორც პიროვნება.

მახსოვს, 40-იანი წლების დასაწყისი იყო, როდესაც ერთ-ერთი ჩვენი საუბრის დროს ბელა ვიკარმა მითხრა. თუ მქონდა სურვილი, რომ ჩემი მოგონებები მასზე დასაბეჭდად მომემზადებინა.

აქვე დასძინა: მხოლოდ იქპარე ჩემო პატარა დაიკო, რადგან წინასიტყვაობა მე მსურს დავწერო! — წამახალისა მან.

ბელა ვიკარის მეუღლე ჩვენი ამ საუბრის მოწმე იყო. მან, მისთვის დამახასიათებელ ალერსიან, ჩუმ ხმაზე შენიშნა: „მართლაც, კარგი იქნება თუ ამ მოგონებების წერას დააჩქარებთ, რათა უკვდავყოთ ყოველივე, რადგანაც მოგვიანებით ისინი მივიწყებას მიეცემიან“.

ბელა ვიკარმა მოჭუტული თვალებით გადახედა მეუღლეს და სიცილით, ეშმაკურად უბასუხა:

— მაგრამ რატომ ასე საზეიმოდ! მე სიკვდილს არ ვაპირებ. მხოლოდ იმიტომ ვჩქარობ, რომ ბევრი რამ კიდევ სათქმელი მაქვს... საკმაო დრო მაქვს სიკვდილზე ფიქრისა, ასე ასი წლის ასაკს როცა მივადწევ...

მის სურვილს არ ეღირსა განზორციელება. ჩვენი სამშობლოს ცა შავი ღრუბლებით დაიფარა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ყუმბარები სკდებოდა, სახლები ნაცარტუტად იყო ქცეული, ჩვენი ცხოვრება დაანგრის. ეულად დარჩენილი მხოვანი მეცნიერი საცხოვრებლად გადავიდა დაქვრივებულ უფროს დასთან სოფელ დუნავეჩინში. 1944 წელს ჩემდამი სოფლიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ მის წერილში იგი წერდა: „ძალზე ბევრი რამ მაქვს სათქმელი ჩვენი მშობლიური სტენოგრაფიის წარსულზე, ხალხური სიმღერების შეგროვების საქმიანო-

ბაზე, საზღვარგარეთის ქვეყნებში მოგზაურობათა შესახებ. დამელოდე, შემოდგომაზე კვლავ შეიძლება ჩამოვიდე ბუდაპეშტში და მაშინ ყველაფერს გიაპობ, როგორ ვაკეთებდი ჩანაწერებს მომავალი თაობისთვისო“. როდესაც იარაღის ელარუნი მიწყნარდა, უნგრეთში თავისუფლების სხივი შემობრუნდა და მრავალმთქმელმა შემოდგომამ მშვიდობა მოგვიტანა, მე დიდი მეცნიერის მხოლოდ სიკვდილია გავიგე. შემოქმედებით მდიდარი, მუშაობაში გატარებული ხანგრძლივი ცხოვრება მან სოფელ დუნავეჩინში დაასრულა 1945 წლის 22 სექტემბერს. ის, რისი თქმაც სურდა მას ჩემთვის, ვეღარ მოასწრო.

ნავარაუდევია ბიოგრაფიაც ახლა ჩამოაყალიბეს, დაბადების მე-100 წლისთავზე. წინასიტყვაობა ბელა ვიკარს არ დაუწერია, როგორც მას უნდოდა, და მასალის დიდი ნაწილიც მხოლოდ სხვების მოგონებებით შევძელით შეგვეგროვებინა და არა პირადად მისგან. ბელა ვიკარის დაბადების ასი წლისთავი ჩვენთან მთელ ქვეყანაში აღნიშნეს. ჰეტეშში მემორიალური დაფა ამშვენებს სახლს. სადაც ბელა ვიკარი ცხოვრობდა, ქუჩას მისი სახელი ჰქვია. ახალი კულტურის სახლები მის სახელს ატარებენ. მაგრამ არის ერთი საუცხოო მოგონება, რომელიც ერთი ჰეტეშელი გლეხისგან მოვისმინეთ. როდესაც რადიოს გადაცემისათვის მაგნიტოფონი მოვამზადე იმ მოხუცების ჩასაწერად, რომლებიც ჯერ კიდევ 7—8 წლის პატარა მოსწავლეები პირველები მღეროდნენ ბელა ვიკარის ცნობილ ფონოგრაფში ხალხურ სიმღერებს, ერთმა მოხუცმა გლეხმა იკითხა: „ახლა აპირებთ მის გახსენებას? ჩვენ არასოდეს ვივიწყებთ მას და ყოველთვის ვიხსენებთ“.

ასე ლაპარაკობდა მშობლიური სოფელი, შომოდოს ოლქის ხალხი და მშვენიერი მოგონება.

გაბედულ და დიდ ამოცანას ჩავეჭიდათ, როცა ბელა ვიკარის მუშაობაზე, ბრძოლასა და შედეგებზე მოგონებების მოკლე სტატიის ჩარჩოებში მოთავსება განვიზრახეთ. მის მრავალმხრივ პოლუფაქობაზე მთელი ტომები შეიძლება წეროს.

ბრძოლით აღწავს სტუდენტური წლების მიუზეუმი... უკვე 20 წლის ასაკში კულტურული ცხოვრების სამ სფეროში იცნობენ მის სახელს: როგორც გამოჩენილ სტენოგრაფს, მთარგმნელსა და ხალხური სიმღერების შემგროვებელს. 40-იანი წლების დროს უკვე როგორც მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერზე წერენ საზღვარგარეთული და მშობლიური გაზეთები. თავისი ცხოვრების შემდგომ, 50-იან წლებში სწრაფი ტემპით აგრძელებდა სამეცნიერო საქმიანობას და 85 წლის ასაკშიც კიდევ ბევრი ახალგაზრდის მსგავსად, მოჭარბებული ენერგიით მუშაობდა, წერდა, ლექციებს კითხულობდა. ლიტერატურული საზოგადოების სერიოზულ საქმიანობას ხელმძღვანელობდა, რადიოში შესანიშნავი იუმორით იგონებდა თავისი მდიდარი შემოქმედებითი ცხოვრების ხშირ ბრძოლებზე.

უნგრულიდან თარგმნა ი ვ ა ნ ე ი მ ე რ ლ ი შ ვ ი ლ მ ა.

მეცნიერის იუბილე

აკადემიკოსი კონსტანტინე წერეთელი



ქართველმა სამეცნიერო საზოგადოებამ ახლახან აღნიშნა თვალსაჩინო სემიტოლოგის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის კონსტანტინე წერეთლის დაბადების 70 და მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავი.

დიდია კ. წერეთლის დამსახურება ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის წინაშე. იგი არის სემიტოლოგიის ქართული სკოლის ღირსეული წარმომადგენელი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა აკად. გ. წერეთელმა. 1940 წლიდან დღემდე კ. წერეთელმა შექმნა 150-მდე ნაშრომი. მათ ფართო საერთაშორისო აღიარება მოუპოვეს ავტორს, რაზეც მეტყველებს მრავალი რეცენზია.

კონსტანტინე წერეთლის კვლევის ძირითადი ობიექტია არამეისტიკა. განუზომელია ამ დარგის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის. საკმარისია ამ მხრივ გავიხსენოთ არმაზული ეპიგრაფიკული ძეგლები, რომელთა აღმოჩენა ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს გახდა ქართული არქეოლოგიის მნიშვნელოვანი მონაპოვარი და სათავე დაუდო არამეისტიკის ახალ დარგს, არმაზულ-არამეულს. კ. წერეთელმა არაერთი გამოკვლევა უძღვნა საქართველოში აღმოჩენილ არმაზულ-არამეულ ძეგლებს. მათ შორის აღსანიშნავია მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევა „არამეული დამწერლობით შესრულებული ახალი წარწერა მცხეთა-არმაზიდან“ (თბილისი, „მეცნიერება“, 1990), რომელშიც გამოკვლეულია უკანასკნელ ხანებში მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ ფიალაზე დატანებული წარწერა. მეცნიერის მიერ იგი ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნით იქნა დათარიღებული.

1946 წ. კ. წერეთელმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ხმოვანთა პარმონიის საკითხები ურმიის არამეულ დიალექტში“, ხოლო 1956 წელს ნაშრომისათვის „ნარკვევები თანამედროვე ასურული დიალექტების

შედარებითი ფონეტიკისა“ მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

კ. წერეთლის სამეცნიერო მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ცოცხალ არამეულ დიალექტებს. ისინი გამოქვეყნებულია წიგნში „მასალები არამეული დიალექტოლოგიისა“ (ტ. I, თბილისი, 1965). აღნიშნულმა პუბლიკაციამ მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი გახადა ურმიიდან (ირანი) ჩვენში დასახლებულ ასურელთა მეტყველება. ნაშრომი შეიცავს ურმიის არამეულ ტექსტებს, მათ თარგმანსა და კომენტარებს. ამავე დროს მეცნიერი დიდ ყურადღებას უთმობს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ არამეულ დიალექტებს. მას სალამასურ და ვანურ დიალექტებთან ერთად შესწავლილი და გამოქვეყნებული აქვს ერაყის ტერიტორიაზე დაცული არამეული დიალექტები. ამ პუბლიკაციებს საფუძვლად დაედო ავტორის მიერ სხვადასხვა დროს საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინების დროს მოპოვებული დიალექტოლოგიური მასალა.

1968 წ. გამოქვეყნდა კ. წერეთლის ფუნდამენტური ნაშრომი „თანამედროვე ასურული ენის გრამატიკა“, რომელმაც იმთავითვე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ. წიგნში ცოცხალი არამეული დიალექტების მონაცემების გათვალისწინებით წარმოდგენილია თანამედროვე ასურული ენის სტრუქტურა. სამეცნიერო წრეებში აღნიშნული წიგნისადმი ინტერესს ზრდიდა ის გარემოებაც, რომ ამ ხასიათის ნაშრომი გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა XIX საუკუნის 60-იან წლებში და მას შემდეგ ამ ტიპის გამოკვლევა აღარ გამოქვეყნებულა. 1970 წელს ნეაპოლში იტალიურ ენაზე დაიბეჭდა აღნიშნული წიგნის იტალიური თარგმანი.

კ. წერეთლის მნიშვნელოვან გამოკვლევათა რიცხვს ეკუთვნის ნაშრომი „სირიული ენა“, რომელიც 1970 წელს გამოიცა მოსკოვში. აღსანიშნავია, რომ მანამდე ამგვარი ნაშრომი არც ქართულ და არც რუსულ ენაზე არ არსებობდა. „სირიული ენა“ სემიტოლოგთა სამაგიდო წიგნად იქცა. 1986 წელს „სირიული ენის გრამატიკა“ დაიბეჭდა ლაიფციგში გერმანულ ენაზე. 1979 წელს კ. წერეთელს ნაშრომისათვის „სირიული ენა“ მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია.

არამეული ენებისა და დიალექტებისადმი არის მიძღვნილი კ. წერეთლის მონოგრაფია „არამეული ენა“ (თბილისი, 1982). მასში, არამეისტიკის უახლესი მიღწევების საფუძველზე, მოცემულია არამეული ენისა და მისი მრავალრიცხოვანი დიალექტების დახასიათება, სათანადო ადგილი აქვს დათმობილი არამეული ენებისა და დიალექტების კლასიფიკაციას, ნაშრომში ვეცნობით თითოეული დიალექტის შესწავლის ისტორიას.

1988 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ კ. წერეთელს არამეული ენებისა და დიალექტებისადმი მიძღვნილი ნაშრომების შექმნისათვის მიანიჭა აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის პრემია.

კ. წერეთლის სამეცნიერო შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქართულ-აღმოსავლურ ენობრივ და კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ კ. წერეთლის გამოკვლევები ბიბლიის ქართული ტექსტის ენობრივ თავისებურებათა და ქართულ-სემიტური ეთნიკური ტერმინების შესახებ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კ. წერეთლის პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი არის ახალგაზრდა ქართველ სემიტოლოგთა თაობების აღმზრდელი. 1944 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობს ლექციების კურსებს კლასიკურ სირიულ ენასა და ძველ ებრაულ ენაში, უძღვება რამდენიმე სპეციალურ კურსს: სემიტურ ენათა შესწავლის შესავალს, სემიტურ ენათა შედარებით გრამატიკას და თანამედროვე არამეულ დიალექტოლოგიას.

როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ წარმატებით სარგებლობენ კ. წერეთლის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოებით „თანამედროვე ასურული ენის კრესტომათია“ და „ასურულ-ქართულ-რუსული ლექსიკონი“.

კ. წერეთლის დამსახურება მეცნიერების წინაშე სათანადოდ არის აღიარებული საერთაშორისო ორიენტალისტური ცენტრების მიერ. იგი არჩეულია „ამერიკული აღმოსავლური საზოგადოების“ საპატიო წევრად, „აღმოსავლეთის შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოების“ (გერმანია), „ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციათა შემსწავლელი საერთაშორისო ასოციაციის“ (საფრანგეთი ჰალტა), „გერმანული აღმოსავლური საზოგადოებისა“ (გერმანია) და სხვათა ნამდვილ წევრად.

კ. წერეთელი 1960 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილებას. არის რამდენიმე სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს წევრი. იგი სხვადასხვა დროს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, სემიტოლოგიის კათედრის გამგე. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა მრავალი სპეციალისტი, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

მეცნიერი დღესაც ენერგიულად იღვწის მეცნიერების წინსვლისათვის საქართველოში. ვუსურვებთ იუბილარს, ქართული სემიტოლოგიის პატრიარქს ჯანმრთელობასა და ახალ მეცნიერულ წარმატებებს.

გურამ ჩიქოვანი

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ზანუზ-აფხაზური ენობრივი ურთიერთობისათვის

გაზეთ „სახალხო განათლების“ 1989 წლის ბოლოს წინა და 1990 წლის პირველ ნომრებში გამოქვეყნდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალ. ონიანის ერცელი წერილი „აფხაზეთი და დასავლეთი საქართველო ენობრივ მონაცემთა მიხედვით“. ამ წერილში ავტორმა გააკრიტიკა ცნობილი ქართველი მეცნიერები — არნოლდ ჩიქობავა და სიმონ ჯანაშია.

მაუხედავად ხაზგასმისა („ენობრივ მონაცემთა მიხედვით“), პატივცემული ავტორი ისტორიულ საკითხებსაც განიხილავს და, ფაქტობრივ, ამ თვალსაზრისით აკრიტიკებს ხსენებულ მეცნიერებს.

პირითადი ბრალდება, რომელიც წაუყენა პატივცემულმა ავტორმა არნოლდ ჩიქობავასა და სიმონ ჯანაშიას, აი, რაში მდგომარეობს: ეს მეცნიერები აყალბებდნენ ჩვენს ისტორიას ქართველი ერის ინტერესების საზიანოდ.

ამ დებულებისათვის დამაჯერებლობის მინიჭების მიზნით ბატონი ალ. ონიანი შემდეგ არგუმენტებს გვთავაზობს:

ხსენებული მეცნიერები არიან ავტორები მცდარი თვალსაზრისისა: დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უძველეს ეპოქაში დღევანდელ აფხაზთა და ჩერქეზთა წინაპრები ცხოვრობდნენ;

არნოლდ ჩიქობავასა და სიმონ ჯანაშიას „ენერგიული მცდელობანი“ ქართველურ ენებში აფხაზურ-ადიღეური ელემენტების აღმოჩენისა ტენდენციურობის, მეცნიერული არაკეთილსინდისიერების შესანიშნავი მაგალითია;

პ. ეჭვქვეშ არის დაყენებული ამ მეცნიერთა პროფესიონალიზმი (მაგალითად კმარა ირონიული მსჯელობა „კაკამარ“ — „აკამფისი“ ფუძეთა დაკავშირების შესახებ).

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში წლების განმავლობაში მიმდინარეობდა დავა ქართველი ერის ოდინდელი პირველსაცხოვრისის შესახებ: ერთიმეორეს დაუპირისპირდა ორი თვალსაზრისი: პირველი, რომლის ავტორიცაა ივანე ჯავახიშვილი, მიიჩნევდა, რომ ქართველი ერის ოდინდელი სამშობლო მისი დღევანდელი საზღვრების სამხრეთით მდებარეობდა (იხ. მაგ. 6, 247—249; 7, 412—435). მეორე თვალსაზრისის ავტორი — სიმონ ჯანაშია ვარაუდობდა ქართველ ტომთა ავტოქთონობას ამიერკავკასიის ტერიტორიაზე (იხ. 8, 97).

რამდენად მისაღებია რომელიმე ამ თვალსაზრისთაგანი, ეს სულ სხვა საკითხია; მთავარია ამ ალექსანდრე ონიანი, აკრიტიკებს რა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზურ-ადიღეურ ტომთა ოდინდელი პირველსაცხოვრისის თვალსაზრისს, უპირისპირდება არა სიმონ ჯანაშიას (უფრო ზუსტად: არა მარტო სიმონ ჯანაშიას), არამედ ივანე ჯავახიშვილს.

შენიშვნა: სიმონ ჯანაშია, აღიარებდა რა ქართველურ ტომთა ავტოქთონობას, არ უარყოფდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადიღეური მოსახლეობის თანაცხოვრების ფაქტს (იხ. 9, 117—123): ეს გახლდათ შეხების წერტილი ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას თვალსაზრისებს შორის.

რასაკვირველია, ვერავინ დაუშლის ბატონ ალ. ონიანს (პროფესიით ლინგვისტს), არ დაეთანხმოს უდიდეს ავტორიტეტს თავის საქმეში, ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავარს — ივანე ჯავახიშვილს, მაგრამ, ალბათ, მას არავეინ დაუჩერებდა, დიდი ივანესათვის ტენდენციურობა, ქართველი ერისათვის საზიანო ქმედება რომ დაებრალეზინა... არადა, უძველეს პერიოდში რომ საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზურ-ადიღეური მორღმის ხალხი ცხოვრობდა, პირველად სწორედ ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა.

საქმე ის გახლავთ, რომ ბატონ ალ. ონიანს მოჰყავს პირველი თეზისი ჯავახიშვილას ცნობილი მოხსენებიდან — „Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего востока древнейшей эпохи“ (6), რომელშიც დიდი მეცნიერი ამგვარ აზრს გამოთქვამს: „თუკი ვაღიარებთ, რომ თაბალები და მუშქები ინდოევროპელები არიან, მაშინ მათი დაკავშირება ქართველურ ტომებთან — იბერებთან და მესხებთან არაფრით არ შეიძლება; აქედან გამომდინარე, თავიდან უნდა გადაგვეხედა როგორც ქართველთა ტომობრივი და ენობრივი ნათესაობის, ასევე მათი წარმოშობისა და უძველესი პერიოდის ისტორიის საკითხებისათვის...“ (იხ. 6, 227—228).

ალ. ონიანი, როგორც ჩანს, აღარ აგრძელებს ივანე ჯავახიშვილის წერილის კითხვას —

არადა, წერილის ავტორი, ხანგრძლივი კვლევა-ძიებისა და ანალიზის შედეგად, დაასკვნის: „Итак, в доисторическую эпоху адыгейские племена должны были жить в западном Закавказье, на территории Грузии исторической эпохи“ (6, 247).

კიდევ მეტიც, ივანე ჯავახიშვილი გამოთქვამს აზრს: „...восточные провинции восточной Грузии некогда были заселены чеченскими и дагестанскими племенами“ (6, 248).

როგორც ვხედავთ, ი. ჯავახიშვილი ქართველურ ტომებს მოსულად მიიჩნევს არა მარტო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ აღმოსავლეთ საქართველოსაც (მის აღმოსავლეთ პროვინციებს) არ მიიჩნევს მათ ძირძველ სამშობლოდ.

აღ. ონიანი გაიზიარებს თუ არა ივანე ჯავახიშვილის შეხედულებებს, პირადად მისი საქმეა; ფაქტი კი ფაქტად რჩება: სადავო დებულების ავტორია ივანე ჯავახიშვილი და არა სიმონ ჯანაშია ან არნოლდ ჩიქობავა.

სხვათა შორის, თავის წერილში ბატონი ალექსანდრე ონიანი, აკრიტიკებს რა ს. ჯანაშიასა და ა. ჩიქობავას მიერ გაანალიზებულ ტომონიმებს (სუფსა, აკამფსისი და სხვა), ლამის სასაცლოდ იგდებს მათ. არადა, ივანე ჯავახიშვილი დასახელებულ ნაშრომში სპეციალურად განიხილავს მთელ რიგ - ფს სუფიქსიან მდინარის სახელებს (იხ. 6, 246—247); ამდენად, შემთხვევაშიც მკვლევარი თავს არიდებს პირველწყაროს დასახელებას და „ღანაშაულის“ მოქცევაში არა ჩიქობავასა და ს. ჯანაშიას მხრებზე გადააქცის.

ყოველად უსაფუძვლოა ალექსანდრე ონიანის განცხადება იმის თაობაზე, რომ თითქმის ივანე ჯავახიშვილმა თავისი მოღვაწეობის ბოლო წლებში უარყო საკუთარი ჰიპოთეზა ქართველთა სამხრეთიდან მიგრაციის შესახებ. სხენებული შრომა (იგი წარმოადგენს მოხსენებას, წაკითხულს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და ისტორიის განყოფილების სხდომაზე 1939 წელს) ივანე ჯავახიშვილის სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდს განეკუთვნება და მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია ამ საკითხზე მან კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინა.

ალექსანდრე ონიანი თავის წერილში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზთა ოდინდელი მოსახლეობის თეზის საწინააღმდეგოდ განიხილავს არნ. ჩიქობავას შეხედულებას ზანურის ზმნისწინთა სისტემის სპეციფიკურობის შესახებ.

ენათა კონტაქტების შედეგად ყველაზე დიდ გავლენას განიცდის ამ ენების ლექსიკური შედგენილობა; მორფოლოგიური ინვენტარის სესხება შედარებით იშვიათად ხდება. ეს კი ბოლო დებულება ბატონმა აღ. ონიანმა გამოიყენა არნოლდ ჩიქობავას მოსაზრების საწინააღმდეგოდ.

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ რთული ზმნისწინები, რომელთა შემადგენელი ელემენტებზეც მსჯელობდა არნ. ჩიქობავა, თავისებური სემანტიკის მქონენი არიან: როგორც ცნობილია, ზმნისწინები წარმოშობით უკავშირდებიან ადგილის ზმნისართებს სიტყვებს, რომლებიც ადგილს გამოხატავენ. ქართულისგან განსხვავებით, ზანურში სტატიკურ ზმნებთანაც გვხვდება ზმნისწინი. რომელიც ამ ზმნით გამოხატული მოქმედების (პროცესის, მდგომარეობის) აუცილს აღნიშნავს: „მითხე“ — ქვეშ ზის; „მილახე“ — შიგნით ზის; „ეწოხე“ — წინ ზის და სხვა.

ასეთ შემთხვევებში ზმნისწინი ფაქტობრივად ზმნისართის ფუნქციებს ასრულებს. თავისთავად, ლოკალურ პრევერბთა არსებობა ზანურში ცალკე პრობლემაა (ამაზე ქვემოთ), მაგრამ ადგილის აღმნიშვნელი სიტყვის — როგორც ლექსიკური ერთეულის სესხება ერთი ენიდან მეორეში — სრულიად ბუნებრივია და მისაღები (შდრ. 10, 165—166).

აღ. ონიანი განიხილავს არნ. ჩიქობავას მიერ აფხაზურიდან ნასესხებად მიჩნეულ ორ ზმნისწინს წა- (ქართულსა და ზანურში) და ნ- (ქანურში). მკვლევარი უგულებელყოფს მოსაზრებებს, რომლებიც მოჰყავს არნ. ჩიქობავას თავისი დებულების დასამტკიცებლად და კატეგორიულად დაასკვნის: ზანურში აფხაზურიდან ნასესხები არც ერთი ზმნისწინი არ დასტურდება.

ჯერ ერთი. ამგვარი კატეგორიული დასკვნის გამოსატანად საჭიროა არგუმენტირებული უარყოფა ყველა იმ ფაქტისა, რომელიც ეწინააღმდეგება მკვლევრის მოსაზრებას: ეს პირობა დაცული არ არის; მეორეც, თვით არგუმენტაცია, რომელიც მოჰყავს აღ. ონიანს ორი ნასესხობის (წა-, ნ-) გასაბათილებლად, არასრული და, ამავე დროს, არადაამაჯერებელია.

უფრო დაწვრილებით მსჯელობს ზანურისა და აფხაზურის ზმნისწინთა სისტემების ურთიერთმართების საკითხზე აღ. ონიანი წიგნში — „ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები“ (3), ვინაიდან მიგვაჩნია, რომ პრობლემა მეტად აქტუალურია, შევეცდებით კრიტიკულად განვიხილოთ არგუმენტაცია, რომელიც მოჰყავს ბატონ აღ. ონიანს ხსენებულ ნაშრომში.

პირველ რიგში, ბატონი ალექსანდრე ონიანი განიხილავს წა- ელემენტს, რომელიც დასტურდება როგორც ქართულში, ასევე ზანურში.

პირველივე არგუმენტი, რომელსაც აღ. ონიანი ნეგატიურად აფასებს (წა- ზმნისწინას აფხაზურიდან ნასესხობას — არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი), გაუგებრობაზეა დამყარებული:

„...ქართ. ზმნისწინის არქეტიპად გამოცხადდა არა ძველი ფორმა (/წარ-/), არამედ — ახალი (/წა-/)“ (3, 310).

თვით ბატონი ალ. ონიანის შემდგომი მსჯელობიდანაც კარგად ჩანს, რომ არნ. ჩიქობავა წარ- ზმნისწინს შლიდა (იხ. 3, 310—311) წა- და რ (← რე) ელემენტებად, რომელთაგან უკანახველი (სუფიქსი -რე) ნასესხებ წა- ზმნისწინს დაერთოდა (იხ. 5, 44—45). ამ მოსაზრებას თუ გავითვალისწინებთ, თანამედროვე წა- ზმნისწინის ჩამოყალიბების შემდეგი გზა უნდა ვივარაუდოთ: აფხაზური წა → ქართული წა → ქართულშივე წა + რე → ძვ. ქართ. წარ- → თანამედროვე წა-.

ამდენად, ამგვარი დაშვების შეუძლებლობა აქ სრულიადაც არ ჩანს.

ალ. ონიანის აზრით, წარ- (← წარე) ზმნისწინში -რე ელემენტის გამოყოფა „...ემყარება უბრალო ანალოგიებს, კერძოდ, ისეთი ფორმების არსებობას, როგორიც არის „ზერე“ (დიად), „გარე“ (3, 310).

თავისი აზრის განსამტკიცებლად ალ. ონიანი შემდეგ მოსაზრებებს გვთავაზობს:

ა) ერთი და იმავე ელემენტის არსებობა სავალდებულო არ არის არა მხოლოდ სხვადასხვა-გვარ (?). არამედ ერთი და იმავე დანიშნულების ერთეულებშიც კი (ეთქვათ, ზმნისწინებში);

ბ) „გარე“, „ზერე“ ფორმათა ანალოგიით /წარ-/ ზმნისწინში -რ ელემენტის გამოყოფის შემთხვევაში ახსნა არ ეძებნება იმ ფაქტს, რომ იგივე მორფოლოგიური ელემენტი არ გააჩნიათ სხვა ზმნისწინებს;

გ) ქართულში არ მოიპოვება /წარე-/ ფორმა, ისევე, როგორც არ არსებობს ზერ-, გარ- ფორმები (3, 311).

უპირველეს ყოვლისა, დაისმის კითხვა: ბატონი ალ. ონიანი ში-და, ზე-და, ქუე-და ფორმებში გამოყოფს თუ არა საერთო -და ელემენტს, მიუხედავად იმისა, რომ ქართულში არ გვაქვს, მაგალითად, *წინ-და, *უკუ-და და სხვა; და თუ გამოყოფს, იქნება თუ არა ეს „უბრალო ანალოგია“?

აქვე დგება საკითხი: -და ელემენტი თუ „შიდა, ზედა, ქუედა“ ფორმებში საერთოა (და ეს რომ ასეა, ვფიქრობთ, ამაზე არც ღირს მსჯელობის გაგრძელება), რატომ არ გვხვდება იგი სხვა ზმნისარტებში?

მიგვაჩნია, რომ საკითხის ისე დაყენება, როგორც ბატონმა ალ. ონიანმა წარმოადგინა, ერთოდ უსპობს მკვლევარს გრამატიკული ანალიზის შესაძლებლობას. განა შესაძლებელია, მოითხოვო მეცნიერისგან, დაადასტუროს ელემენტი, რომელიც ყველა ზმნისწინისთვის საერთო იქნება (და არა, ეთქვათ, ორი ან სამი ზმნისწინისთვის)?

სრულ გაუგებრობასა და ფაქტების უგულებელყოფაზეა დამყარებული ოპონენტის შემდეგი მსჯელობა: „მორფოლოგიური სეგმენტაცია გარე, ჩვენი აზრით, უდავო სეგმენტაციად ვერ ჩაითვლება“, რადგან... „მაშინ ძველ ქართულში უნდა გვექონოდა არა /გან-/ ზმნისწინა, არამედ /გარ-/ (მსგავსად /წარ-/ ფორმისა)“ (3, 311).

ჯერ ერთი, ძველ ქართულშივე გარ- ფორმა გვხვდება ყველგან გარდა- ზმნისწინის შედგენილობაში; ამდენად, ამ გარ- და სადავო წარ- ფორმათა ურთიერთმიმართების შესახებ მაინც გვიწევს მსჯელობა, თუნდაც რომ გარ- გან ზმნისწინები ერთმანეთს ვერ დავუკავშიროთ. სხვა საქმეა, ამ ორივე ზმნისწინში (წარ-, გარ-) -რ ელემენტის -რე-სგან წარმომადელობა უარყოფით (დასაბუთებულად), მაგრამ იმის განცხადების უფლება, თითქოს „...ზერ-, გარ- ფორმები არ არსებობს“ (3, 311), არაღივს აქვს.

გაუგებარია, რატომ უარყოფს ბატონი ალ. ონიანი ზმნისწინებში შემადგენელი ელემენტების გამოყოფის შესაძლებლობას: ზმნისწინი, როგორც ცნობილია, ზმნისართის ცვეთის შედეგადაა მიღებული და მისი ეტიმოლოგიური დაშლა სულაც არ არის დიდი „ცოდნა“ მკვლევარისთვის. ნუთუ დიდ შეცდომად უნდა მივიჩნიოთ ა. შანიძის მიერ, მაგალითად, გარ-და ზმნისწინის ეტიმოლოგიის წარმოდგენა (4, 248), ანდა თვით ბატონ ალ. ონიანის მიერ დაშლილი შ-თა? (ეს -თა ელემენტი რომ სხვა ზმნისწინებში არ დასტურდება, როგორც ამას მოითხოვს ალ. ონიანი?)

წა- ზმნისწინის შესახებ კიდევ ერთი შეიძლება დავამატოთ: ალ. ონიანის განცხადებით, „აფხაზ. /წა-/ ნიშნავს „ქვეშ, ქვევით“, არაფერი მსგავსი ქართ. /წარ-/ ზმნისწინით, როგორც ცნობილია (ხაზგასმა ჩვენია. — კ. გ.), არ გამოიხატება“ (3, 311—312).

ეს განცხადებაც ენობრივი ფაქტების უგულებელყოფაა: ქართულში არსებობს ზმნები — „წარწერა“, „წაქცევა“, „წაყრა“, „წამოსვლა“ (წვიმის), რომლებშიც, არნ. ჩიქობავას აზრით, წარ- ზმნისწინის თავდაპირველი მნიშვნელობა შემონახული (5, 42—44). ეს მოსაზრება ალ. ონიანს არადამაჯერებლად მიაჩნია, თუმცა, აშკარაა, რომ „აქედან იქით“ მოძრაობის მართულება, რომელსაც დღეს გამოხატავს წა- ზმნისწინი, მეორეულია: ამავე ფუნქციას, არსებობად, ასრულებდა მი- ზმნისწინი. ისიც ფაქტია, რომ წა- ამ მნიშვნელობით არ იხმარება ზანურში — მისი შესატყვისია მეგრულში — მიდა-, ქანურში მენდა-. ამის შესახებაც მსჯე-

ლობს არნ. ჩიქობავა თავის ნაშრომში, ბატონი ალ. ონიანი კი საერთოდ უგულებელყოფს ამ საინტერესო მოსაზრებას.

ბატონი ალ. ონიანი ცალკე განიხილავს ქანური ნ- ზმნისწინის საკითხს: მას მიაჩნია, რომ /ნ-/ მიღებულია მ-სგან ხმოვნის წინა პოზიციაში (3, 313).

ქანური ნ- ზმნისწინის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა (იხ. 1); ერთს დაემატება: ალ. ონიანის აზრით, მ — ნ ცვლილება „საპირისპირო ფორმათა ერთმანეთისგან განსხვავების მოთხოვნილებამ განსაზღვრა“ (3, 313); გარდა ამისა, „/მო-/ ზმნისწინში მ- ელემენტის ლაბიალურად დარჩენის სტიმულად შეიძლება მისი მოძღვენო ლაბიალური ხმოვანიც მივიჩნიოთ“ (3, 313).

ჯერ ერთი, ზანურისთვის უცხო არ არის მო- და მე- ზმნისწინიან ფორმათა დანთხვევა ხმოვნის წინა პოზიციაში (შდრ. მეგრ. „ქიმიღ“ — მოიტანა; „ქიმიღ“ — მიიტანა).

ამდენად, სულაც არ ჩანს აუცილებელი მ — ნ პროცესის განხორციელება ამ შემთხვევაში; მეორეც — თუ მხოლოდ ფონეტიკურ ცვლილებაზეა ლაპარაკი (არ მოქმედებს მორფოლოგიური ფაქტორი), ნულურ, ნულუნ ფორმებში ნ-ს მომდევნოდ ლაბიალური ხმოვანი გვაქვს და ეს კი, თვით ალ. ონიანის აზრით, „მ- ელემენტის ლაბიალურად დარჩენის სტიმულია“... (3, 313).

ბატონი ალ. ონიანი ერთგან აცხადებს: „არადამაჯერებლობის დამახასიათებელ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ მტკიცება მეგრ. /თო-/ ზმნისწინის აფხაზურ /თა-/სგან მომდინარეობის შესახებ“ (3, 315).

თავად მკითხველმა განსაჯოს: რამდენად დამაჯერებელია პ. ჭარაიას მიერ 1896 წ. გამოქმულ მოსაზრებაზე დაყრდნობით იმის მტკიცება, რომ ქართ. /შთა-/ მიღებულია /შე-თა-/ ამოსავალი ფორმისგან (3, 315). ჯერ ერთი, ა. შანიძისეული ეტიმოლოგია (შთა — შდა — შე-და) სწორედ რომ მეცნიერული დამაჯერებლობის ნიმუშია (იხ. 4, 245); მეორეც, თვით ალ. ონიანის წინათ განცხადებული პრეტენზია ახლა თავდაყირაა დაყენებული: რა უფლებით გამოყოფა პატივცემული მკვლევარი -თა- ელემენტს შთა- ზმნისწინში? სხვა ზმნისწინებში სოკ სუფიქსი -თა არსად არ გვხვდება; არ გვხვდება იგი დამოუკიდებლადაც — საერთოდ არ არსებობს ქართულში ამგვარი სუფიქსი (თუ არ ჩავთვლით მრავლობითის -თა სუფიქსს, რომელთან მისი დაკავშირებაც ბატონ ალ. ონიანს, ალბათ, ძალიან გაუჭირდება).

აღსანიშნავია, რომ არნ. ჩიქობავა თავის ერთ-ერთ წერილში (10) განიხილავს -კა-, -ლა- ზმნისწინთა წარმომავლობის საკითხს (აქვე ლაპარაკია -ნა/-ნო ზმნისწინზეც, რომელიც მას -ლა-ს ფონეტიკურ ვარიანტად მიაჩნია).

ბატონი ალ. ონიანი არ განიხილავს არნ. ჩიქობავას მოსაზრებებს ამ ზმნისწინთა შესახებ და დაასკვნის: „...მეგრ. /თო-/ ზმნისწინის აფხაზურიდან მომდინარეობის მტკიცება შორსაა დამაჯერებლობისგან. არსებითად იგივე ითქმის სხვა მეგრულ-ქანურ ზმნისწინთა (/კა-/, /ლა-/) აფხაზურიდან მომდინარეობის მტკიცების შესახებაც“ (3, 315).

ამ კატეგორიულ განცხადებაზე მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას: ბატონ ალ. ონიანის შეფასება არნ. ჩიქობავას მოსაზრებათა არადამაჯერებლობის შესახებ უაღრესად სუბიექტივიატური და გაუმაართლებელია: მას შეუძლია არ გაიზიაროს კოლეგის თვალსაზრისი, მაგრამ ამავე დროს, წარმოადგინოს საფუძვლიანი, არგუმენტირებული კრიტიკა. ეს რომ ასე არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ ალ. ონიანი არც კი განიხილავს მთელ რიგ დებულებებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ დასმული საკითხების გადაჭრისათვის.

დასასრულ, ვიტყვით, რომ ჩვენთვის გასაზიარებელია ალ. ონიანის თვალსაზრისი: „ერთადერთი ქართული ზმნისწინისა (/წარ-/) და ოთხიოდე მეგრულ-ქანური ზმნისწინური ელემენტის (/ლა-/, /კა-/, /თა-/, /ნ-/) აფხაზური წარმომავლობა უდავოდ რომ იყოს, ასეთ მცირე მასალაზე დამყარებით ასეთი შორსმომავალი დასკვნების გაკეთება მაშინაც არაბუნებრივი იქნებოდა“ (ლაპარაკია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზურ-ადიღეური მოსახლეობის ოდინდელი ცხოვრების კეალზე); მაგრამ ერთი რამ უნდა იქნეს გათვალისწინებული: ზანურისა და აფხაზურის ზმნისწინები მხოლოდ მასალობრივ არ უკავშირდებიან ერთმანეთს — გასათვალისწინებელია ამ ენათა პრევერბთა სისტემების სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზანურში სტატიკურ ზმნებთანაც გვხვდება ზმნისწინები, რომელთა ფუნქციაა ადგილის და არა მიმართულების აღნიშვნა. ეს მოვლენა უცხოა სხვა ქართველური ენებისთვის, სამაგიეროდ, ასეთივე ვითარებაა აფხაზურში (იხ. 2). ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს ზანურისა და აფხაზურის მჭიდრო ენობრივ კონტაქტებს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზურ-ადიღეური ტომების უძველეს ეპოქაში მოსახლეობის პიპოთეზა მეცნიერული თვალსაზრისია და მისი პოლიტიკური კუთხით განხილვა (არნ. ჩიქობავასა და ს. ჭანაშვიას, როგორც „ქართველი ერის ინტერესების გამყალბებელთა“ შეფასება) ყოველად მიუღებელია; მით უმეტეს, რომ ამ პიპოთეზის ავტორია ივანე ჯავახიშვილი და, თუ ალ. ონიანი იღვას უპირისპირდებოდა და არა პიროვნებას, უპირველესად სწორედ ი. ჯავახიშვილის შეხედულებები უნდა განეხილა;

2. ასევე უსაფუძვლოა ქართულ ტოპონიმებში არნ. ჩიქობავასა და ს. ჯანაშიას მიერ აღზარა ზურ-ადილეური ელემენტების ძიების შეფასება, როგორც ცალმხრივობა და ტენდენციურობა, რადგან ჩერქეზულ -ფს- ელემენტს ქართულ ტოპონიმებში სხვა მკვლევრებიც (ი. ჯავახიშვილი) გამოყოფდა;

3. ზანურის ზმნისწინთა სისტემაზე მსჯელობისას ალ. ონიანი მთელ რიგ უზუსტობებს უშვებს; ამასთან, არაკეთილსინდისიერად იმოწმებს არნ. ჩიქობავას მოსაზრებებს. ამდენად, ამ მსჯელობიდან გამომდინარე დასკვნებიც მიუღებლად, არაარგუმენტირებულად უნდა ჩაითვალოს.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ბატონი ალ. ონიანის წერილი უფრო ემოციებს აუღილი კაცის დაწერილსა ჰგავს და მეცნიერული სიმართლის დადგენა კი ამგვარად განწყობილი კაცი-სთვის, საზოგადოდ, მეტად ძნელია.

ლიტერატურა

1. კ. გაბუნია, როგორ ვიბრძვიტ „სიმართლისათვის“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტა“, 1990, 17.02.
2. ქ. ლომთათიძე, ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი აფხაზურსა და აბაზურსა, თბ., 1986.
3. ალ. ონიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები. თბ., 1989.
ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, შრომები, ტ. III, თბ., 19
5. არნ. ჩიქობავა, წარ- პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში, ენიმკის მოამბე, თბ., 1937.
6. ი. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.
მისივე, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960.
ჯანაშია, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის სინათლეზე, შრომები, ტ. II, თბ., 1952.
7. მისივე, ჩერქეზული ადილეური ელემენტები საქართველოს ტოპონიმიაში. შრომები, ტ. III, თბ., 1959.
10. Арн. Чикобава, Морфологические встречи абхазского языка с картаельскими языками, еნიმკის მოამბე, ტ. XII, თბ., 1942.

კახა გაბუნია

მეჭდი სოჭეილი — „ირანის პოპულარული ანდაზები“

სპარსული ანდაზებისა და ხატოვანი თქმების არაერთი კრებული გამოიცა ოგორც ირანში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ერთ-ერთი ბოლო გამოცემა, რომელზეც ხელი მიგვიწვდება, არის მეჭდი სოჭეილის „ირანის პოპულარული ანდაზები“¹. კრებული 1970 წლის აგვისტოში (მზის კ. 1349 წ., შაჰრივარის თვე) თეირანში 3000-იანი ტირაჟით გამოსცა ფარუსის გამომცემლობამ. აქ წარმოდგენილია 1400-ზე მეტი ნიმუში (გვ. 9—182). მათ უძღვის მეჭდი სოჭეილის ნაწარმოებთა ჩამონათვალი (გვ. 7)², შემდგენლის წინასიტყვაობა (გვ. 9-14) ერთვის „გონების საყარჯიშო“ („ვარზეშე ჭექრი“), რომელიც შედგება კითხვებისა და პაუზებისაგან (გვ. 185—196). ავტორი წიგნს უძღვნის „საყვარელ ირანელ ხალხს მის ქვეშაარტ შემოქმედს“³.

წინასიტყვაობაში ავტორი საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს ანდაზებისადმი თავისი ინტერესის შესახებ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ირანის პოპულარული ანდაზები“ მეჭდი სოჭეილის მთელი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთგვარი ლოგიკური შედეგია. ავტორის აზრით, „ზოგჯერ რაიმე საკითხის ახსნისას ანდაზა იმდენად მეტყველო და გამომსახველია, რომ საფუძვლიან მსჯელობაზე უფრო ძლიერ ეფექტს იძლევა... ერთი ანდაზის წარმოთქმა მათს უმოკლესი გზით წარმართავს“⁴. თავისი დებულების საილუსტრაციოდ მეჭდი სოჭეილის მოჰყავს რამდენიმე ანდაზა შესაბამისი სიტუაციის აღწერით⁵. ანდაზებისადმი სიყრმისდროინდელ ინტერესს მოგვიანებით ფართო ასპარეზი მიეცა — ალი აქბარ დეჰხოდას „ამსალ ვა ჰეჰამ“ („ანდაზები და აფორიზმები“)-ის ოთხტომეულის მეორე გამოცემა მეჭდი სოჭეილის უშუალო მეთვალყურეობით განხორციელდა. ავტორი დიდი მოწიწებით იტყუებდა ამ ნაშრომს, განჰყრეტს თავისი კრებულის საჭიროების ექვეყნუ დაყენების შესაძლებლობას. და ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „ამსალ ვა ჰეჰამ“ ვრცელი კრებული იყო. ჩემს მიზანს კი წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ ანდაზების, ისიც პოპულარული ანდაზების მოკლე კრებულის შედგენა“⁶.

მეორე ეტაპად „ანდაზების აღორძინების გზაზე“ მეჭდი სოჭეილი მიიჩნევს რადიოგადაცემას სახელწოდებით „მოსწეყეჲ ზარბ-ოლ-მასალჰ“ („ანდაზათა პაექრობა“). რომელიც ყოველ პარასკევს დილაობით გადაიციემოდა. პროგრამამ ანდაზებისადმი რადიომსმენელების დიდი ინტერესი გამოიწვია⁷. მეჭდი სოჭეილი ასკვნის: „ჩემმა ხანგრძლივმა ინტერესმა ანდაზებისადმი... დეჰხოდას „ანდაზებისა და აფორიზმების“ გამოცემის, კითხვისა თუ რედაქტირებისას უშუალო

¹ ზარბ-ოლ-მასალჰჲე მა'რუჰე ირან, თა'ლიფ: მეჭდი სოჭეილი, თეირან, შაჰრივარ-მზჰ, 1349.

² ჩამოთვლილია სულ 21 დასახელების წიგნი (მათგან ერთი — „ჰაშთ დჰსთანე ჭელოზ“ „რვა პატარა ამბავი“ — 1958 წ. გამოიცა რუსულ ენაზე მოსკოვში), ლექსთა სამი კრებული და ერთი თარგმანი.

³ მეჭდი სოჭეილი, დასახ. კრ., გვ. 15.

⁴ იქვე, გვ. 9.

⁵ წინასიტყვაობაში მოხმობილი ნიმუშები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტორის პოლიტიკის გასარკვევად ერთ პრობლემასთან დაკავშირებით, კერძოდ: ცნობილია, რომ ირანში გამოცემულ კრებულებს „ანდაზებისა“ მხოლოდ პირობით შეიძლება ეუწოდოთ, რადგან მათში ყოველგვარი ფრაზეოლოგიზმიც შეაქვთ ხოლმე, ისიც სათანადო გამოჯენის გარეშე. მათ ავტორთა სათაურად კი „მასალ“ ან „ზარბ-ოლ-მასალ“ გვევლინება. ჩვენთვის ცნობილი არც ერთი კრებულის წინასიტყვაობაში არ არის მოცემული ამ ცნებების განმარტება. ავტორები, როგორც წესი, ფუნქციურ, ამასთან, საკმაოდ ბუნდოვან განსაზღვრებებს ჯერდებიან. ამიტომ ძნელი გასარკვევია, რას გულისხმობენ ამ ცნებაში — ანდაზას, ანდაზურ თქმას, აფორიზმს. იდიომას თუ არაკს. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც განსაზღვრელი კრებული წარმოადგენს, მაგრამ მეჭდი სოჭეილის მიერ წინასიტყვაობაში მოყვანილი მაგალითებით თუ ემსჯელებთ, „ზარბ-ოლ-მასალ“ მისთვის უმაღ ანდაზას ან ანდაზურ თქმას უნდა ნიშნავდეს.

⁶ მეჭდი სოჭეილი, დასახ. კრ., გვ. 13.

⁷ გადაცემა ამგვარად წარიმართებოდა: მეჭდი სოჭეილი წერდა მომცრო სცენარს და მხატვრობების დახმარებით ფირზე ჩაწერილს სტუდიის სალონში ორი მოპაექრისათვის გადასცემდა. ეს უკანასკნელნი დიდი მონდომებით შეუდგებოდნენ ხოლმე სცენარის დასკვნით ნაწილში ნაგულისხმევი ანდაზის ძიებას.

ზედამხედველობამ, რამდენიმე წლის მანძილზე ანდაზებისათვის სცენარების წერამ განაპირობა ამ თემაზე წიგნის შექმნა⁸.

კრებულში 1400-ზე მეტი ნიმუშია. მათი უმეტესობა ანდაზები და ანდაზური თქმებია, მაგრამ აქვე შესულია იდიომები, ცალკეული მყარი შესიტყვებები ან ფრაზები, რომლებიც არაკებს უკავშირდება. ნიმუშები დალაგებულია ანბანის რიგზე 29 თავად. არ არის ანდაზები საწყისი სე (س)-თი და ჯე (ج)-თი, ხოლო ნიმუშები საწყისი დალ (د)-ით რატომღაც გაუმიჯნავად მოსდევს ხე (خ)-ს თავს. ანდაზები თავკიდურა დალ-ით საკმაოდ დიდ ჯგუფს ქმნის, გაუგებარია, რატომ არ მოხდა მათი გამოცალკევება.

კრებულში შესულია ცნობილ ირანელ პოეტთა და მწერალთა ნაწარმოებებიდან ამოღებული ანდაზები და აფორიზმები. მეძლი სოჰეილი საგანგებოდ უთითებს ხოლმე აეტორს, ზოგან — შესაბამის ნაწარმოებსაც. ორიოდეჟერ (იხ., მაგ.: გვ. 130, 136) აბუ საილისა თუ გორგანის ბეიტები ამგვარი აღნიშვნის გარეშეა დატოვებული. ნიმუშებს ძალზე ხშირად მიწერილი აქვს სინონიმური ანდაზა, ერთის ცალკეული განმარტება, მითითებულია მათი გამოყენების ადგილი, მოყვანილია სათანადო არაკი (ზოგი მათგანი დეჰხოდას „ამსნლ ეა ჰეჰამ“-იდან) მათ შორის ბევრია მოლა ნასრედინის შესახებ. ზოგ ნიმუშს ახლავს სინონიმური არაბული ანდაზა ან რაიჰე კომენტარი ყურანიდან. კრებულში ვხვდებით ისეთ გამოთქმებსაც, რომლებიც გარკვეულ ადამიანს ან საბავშვო თამაშს უკავშირდება. აქვე შეტანილია ნიმუშები, რომლებიც მინიატურულ არაკებს წარმოადგენს. როგორც წესი, მათ ერთნაირი დასაწყისი აქვს: „ერთი ამბობდა“, „ერთს უთხრეს“ და მისთ.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს „ირანის პოპულარული ანდაზების“ ენა. თავად შემდგენელი კრებულის წინასიტყვაობაში აუცილებლად მიიჩნევს ერთი გარემოების აღნიშვნას: „წიგნში შეძლებისდაგვარად შევეცადეთ, ანდაზები იმავე სადა და შინაურული ენით გადმოგვეცა, რომელიც ხალხისათვისაა ჩვეული. ეს წინამდებარე წიგნის განსაკუთრებულ თვისებათაგანია“⁹. კრებული ამ თვალსაზრისით მართლაც გამორჩეულია. „ირანის პოპულარული ანდაზების“ ენა ძალზე უახლოვდება სასაუბრო სპარსულს, რაც განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს კრებულს. ეს ენობრივი თავისებურება, მოკლედ, შემდეგში მდგომარეობს: გრძელი ა ხშირად გადადის უ-ში, ამასთან, გვხვდება პარალელური ფორმები. ეს წესი ზოგჯერ რა თანდებულზეც ვრცელდება. რამდენსამე შემთხვევაში ამ მოვლენას თანდებულის თანხმოდენითი ნაწილის სრული დაკარგვაც ახლავს; ძალზე ხშირია, ერთგვარად გაბატონებულიც კი, ზმნის აწმყო დროის ფორმებთან მხოლოდით რიცხვში III პირის ნიშნად ე-ს გამოყენება. არის ერთადერთი შემთხვევა აწმყო დროის ფუძეზე მრ. რიცხვში III პირის ნიშნად ანდ-ის ნაცვლად ან-ის დართვისა; ზმნების „გოჰთან“, ხსთან“, „დნდან“ აწმყოს ფუძე პირიან ფორმებში ზოგჯერ შეკვეცილი სახით არის წარმოდგენილი (მაგ.: ბეგი, მიხანდ, ბელი და სხვ.). როგორც წესი, ასეთი ფორმები მხოლოდითი რიცხვისაა. რამდენიმე სიტყვა გვხვდება პარალელური ფორმებით — სრული და მოკვეცილი სახით: მექ || მე, აგ¹⁰არ || აგე, დიგ¹⁰არ || დიგე.

„ირანის პოპულარული ანდაზების“ 185—196 გვერდები ეთმობა „გონების სავარჯიშოს“, რომელიც შეიცავს კითხვებსა და პასუხებს. კითხვები აგებულია კრებულში წარმოდგენილი მასალის საფუძველზე. ფაქტობრივად, ეს არის ანდაზისა თუ ფრაზეოლოგიზმის ორი-სამი საყრდენი სიტყვა, რომელთა მიხედვით მკითხველმა უნდა ამოიცნოს, რომელ ანდაზაზე ან ფრაზეოლოგიურ ერთეულზეა ლაპარაკი. კითხვებს მოსდევს პასუხები შესაბამისი ნუმერაციით. სულ 100 ასეთი კითხვა-პასუხია.

ასეთია მეძლი სოჰეილის მიერ შედგენილი კრებული, რომელშიც შევიდა ის ანდაზები, ანდაზური თქმები, იდიომები, რომლებიც ყველაზე ხშირად გაისმის ირანში. გარდა იმისა, რომ ეს არის, თუ შეიძლება, ასე ითქვას, ანდაზების რჩეული, კრებულს აქვს კიდევ ერთი დიდი ღირსება — მასში შესული ნიმუშები სასაუბრო სპარსული ენის თანამედროვე მდგომარეობის სურათსაც გვიხატავენ, ამდენად, მეძლი სოჰეილის „ირანის პოპულარული ანდაზები“ საინტერესოა არა მარტო ფოლკლორისტიკისა და პარემიოლოგიის, არამედ თანამედროვე სპარსული ენის შესწავლის თვალსაზრისითაც.

თეა შურლანი

⁸ მეძლი სოჰეილი, დასახ. კრ., გვ. 12.

⁹ იქვე, გვ. 13.